

აგათა კრისტი

პადინგტონის
სადგური
4:50 (16:50)



თავი პირველი

მისის მაკგილიკადი სუნთქვააჩქარებული მისდევდა სადგურის ბაქანზე მებარგულს, რომელსაც მისი ჩემოდანი მიჰქონდა. ქალი დაბალი და მსუქანი იყო, მაღალი მუშა კი დიდი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. თანაც, მისის მაკგილიკადის საშობაოდ მაღაზიებში სიარულისას შეძენილი უამრავი პაკეტი ამძიმებდა. ასე რომ, ეს უთანასწორო რბოლა გახლდათ და როდესაც მებარგულმა პლატფორმის ბოლოს მიაღწია და შეუხვია, მას იქამდე საკმაო მანძილი რჩებოდა გასავლელი.

დღის ამ მონაკვეთში პირველ ბაქანზე უჩვეულოდ ცოტა ადამიანი შეიმჩნეოდა, რაც იმას გამოეწვია, რომ მატარებელი ახლახან გასულიყო, სამაგიეროდ, მის მიღმა ზღვა ხალხი ირეოდა. ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქაროდნენ: მიწისქვეშა გადასასვლელისკენ, ბარგის შემნახველი საკნებისკენ, კაფეებისკენ, ცნობათა ბიუროსკენ, მატარებლების განრიგის ტაბლოსკენ და ორი შემოსასვლელ-გასასვლელისკენ, რომლებიც სადგურს გარე სამყაროსთან აკავშირებდა.

ფუთეხაბორხლილ მისის მაკგილიკადის გზაში არაერთი მუჯღუგუნი მოხვდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მესამე პლატფორმამდე, ერთი პაკეტი ფეხებთან დადო და ხელჩანთაში ბილეთის ძებნას შეუდგა, რათა იგი გასასვლელთან მდგომი, უნიფორმაში გამოწყობილი, მკაცრი გამომეტყველების კონტროლიორისთვის წარედგინა.

სწორედ ამ დროს მის თავზე ხრინწიანი, თუმცა მკაფიო ხმა გაისმა:

- თექვსმეტ საათსა და ორმოცდაათ წუთზე მესამე პლატფორმიდან გადის ჩადმუთისკენ მიმავალი მატარებელი. გაჩერდება ბრეკჰემპტონში, მილჩესტერში, უეივერტონში, კარვილჯანქენში, როქსეტერში, შემდეგ კი ყველა სადგურში. ბრეკჰემპტონსა და მილჩესტერში მიმავალმა მგზავრებმა ადგილები ბოლო ვაგონში დაიკავეს. მათ, ვინც ვენეიში მიემგზავრება, როქსეტერში გადაჯდომა მოუწევთ.

ხმა შეწყდა, რალცამ გაიტკაცუნა, მცირე პაუზის შემდეგ კი ის კვლავ გაისმა და ყველას შეატყობინა, რომ 16:35-ზე მეცხრე პლატფორმაზე ბირმინგემიდან და ვულვერჰემპტონიდან მომავალი მატარებელი ჩამოდგებოდა.

მისის მაკგილიკადიმ, როგორც იქნა, ბილეთს მიაგნო და კონტროლიონს გაუწოდა. ამ უკანასკნელმა იგი დააკომპოსტირა და ჩაიბურტყუნა:

- მარჯვნივ, ბოლოში.

მისის მაკგილიკადიმ დარჩენილი გზაც გაიარა და თავისი მებარგული დაინახა, რომელიც მოწყენილი სახით მესამე კლასის ვაგონთან ელოდებოდა.

- აქეთ, ქალბატონო. - მე პირველი კლასით ვმგზავრობ, - განაცხადა მისის მაკგილიკადიმ.

- თავიდანვე ასე გეთქვით, - ჩაიბურტყუნა მებარგულმა და დამცინავად შეათვალა ქალის შავწინწკლებიანი, თითქმის მამაკაცური ყაიდის ტვიდის

პალტო.

აქოშინებულ მისის მაკგილიკადის კამათის თავი აღარ ჰქონდა, თორემ ეტყოდა, რომ სწორედ ასე მოიქცა.

მეზარგულმა ჩემოდანს ხელი დაავლო და მეზობელი ვაგონისკენ გაემართა, სადაც მისის მაკგილიკადი ერთადგილიანი კუპეს მყუდრო, დიდებულ გარემოში განმარტოვდა. 16:50-ზე გასასვლელი მატარებელი პირველი კლასის მგზავრებს შორის ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. ისინი დილის ექსპრესს ან უფრო გვიანდელს, 18:40-იანს ამჯობინებდნენ, რომელსაც ვაგონ-რესტორანი ჰქონდა. მისის მაკგილიკადიმ მეზარგულს ფული გადაუხადა. კაცს სახეზე აშკარა იმედგაცრუება დაეტყო, ვინაიდან, მისი აზრით, ეს თანხა მესამე კლასის მგზავრს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე პირველისას. მართალია, მისის მაკგილიკადი მზად იყო, ფული არ დანახებოდა ქვეყნის ჩრდილოეთიდან ღამით კომფორტულად მგზავრობისთვის, მით უმეტეს, წინასაშობაოდ მაღაზიებში აღმა-დაღმა სიარულის შემდეგ, მაგრამ წვრილმანი გასამრჯელოს გულუხვად გაცემა არ უყვარდა.

მან შვებით ამოისუნთქა, მოხერხებულად მოკალათდა და ჟურნალი გადაშალა. ხუთი წუთის შემდეგ სასტვენის ხმა გაისმა და მატარებელი დაიძრა. მალე ქალს ჟურნალი ხელიდან გაუცურდა, თავი გვერდზე გადაუვარდა და ჩაქმინა. მისის მაკგილიკადის ოცდათხუთმეტი წუთი ეძინა. გაღვიძებული თავს გაცილებით მხნედ გრძნობდა. მან გვერდზე მოქცეული შლაპა გაისწორა, გაიმართა და ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც სოფლური პეიზაჟები ერთმანეთს ცვლიდა. უკვე საკმაოდ ბნელოდა - დეკემბრის ნისლიანი, პირქუში დღე დასასრულს უახლოვდებოდა. შობამდე ხუთი დღე რჩებოდა. წელიწადის ამ დროს ლონდონში მოღუშული, გულის გამაწვრილებელი ამინდი ჭარბობდა, თუმცა მის მიღმაც ყველაფერი ასევე მოსაწყენად გამოიყურებოდა. თვალს მხოლოდ კაშკაშა გამონათება თუ ახარებდა,

როდესაც მატარებელი რომელიმე სადგურს ან ქალაქს ჩაუვლიდა.

- საღამოს ჩაი! - გაისმა გამცილებლის ხმა, რომელიც დერეფანში ზღაპრული ჯინივით მოულოდნელად გაჩნდა.

მისის მაკგილიკადის დიდ უნივერსიტეტში ჩაის დალევაც მოესწრო და დანაყრებაც. გამცილებელი დერეფანს გაუყვა, თან მონოტონურად იმეორებდა ერთსა და იმავეს. ქალმა კმაყოფილებით ახედა ბადეს დივნის თავზე, სადაც მისი მრავალრიცხოვანი პაკეტები ეწყო. პირსახოცები ძვირი არ დაუჯდა, თანაც სწორედ ისეთი შეიძინა,

მარგარეტს რომ უნდოდა. რობისთვის საუცხოო „კოსმოსური“ თოფი ეყიდა, ჯინისთვის - რბილი კურდღელი, თავისთვის კი თბილი და მოხდენილი ჟაკეტი შეერჩია, როგორც სჭირდებოდა. ესეც პულოვერი ჰექტორისთვის... მისის მაკგილიკადიმ კიდევ ერთხელ მოიწონა საკუთარი კეთილგონიერება საჩუქრების შერჩევისას.

მან კვლავ ფანჯარაში გაიხედა. შემხვედრმა ექსპრესმა გამაყრუებელი სტვენით ჩაუქროლა და ფანჯრები შეაზანზარა. მისის მაკგილიკადი უნებურად შეკრთა კიდეც. მატარებელმა გრუხუნით გაიარა ლიანდაგების ისრები და სადგური უკან მოიტოვა.

შემდეგ, როგორც ჩანს, შუქნიშანს დაემორჩილა და სვლა შეანელა. ერთხანს

ძლივს მილოდავდა, ბოლოს გაჩერდა კიდეც, მაგრამ მალე კვლავ დაიძრა. გვერდით კიდეც ერთმა შემხვედრმა ჩაუქროლა, თუმცა - ნაკლებად გამაყრუებელი ხმაურით.

მატარებელმა თანდათანობით სიჩქარე აკრიფა. მოულოდნელად მის გვერდით კიდეც ერთი შემადგენლობა გამოჩნდა, რომელიც იმავე მიმართულებით მიემართებოდა. წამით ქალს მოეჩვენა, რომ შეჯახებას ვერ გადაურჩებოდნენ... ერთხანს გვერდიგვერდ მიდიოდნენ და ერთმანეთს მონაცვლეობით უსწრებდნენ. მისის მაკგილიკადიმ შეამჩნია, რომ ფანჯრების უმრავლესობაზე შტორები ჩამოეფარებინათ, თუმცა იქ, სადაც ეს არ გაეკეთებინათ, კანტიკუნტად მგზავრების გარჩევაც შეიძლებოდა, ზოგიერთ ვაგონში საერთოდ არავინ იჯდა.

იმ დროს, როდესაც მატარებლების სიჩქარე ერთმანეთს გაუტოლდა და გაჩერების ილუზია შეიქმნა, მეზობელი ვაგონის ფანჯარაზე მოულოდნელად შტორი აიწია. ახლა განათებულ ფანჯარას მისის მაკგილიკადისგან რამდენიმე ფუტი აცილებდა.

უეცრად მას კინალამ სუნთქვა შეეკრა, სახეზე შეძრწუნება გამოეხატა, უნებურად სანახევროდ წამოდგა კიდეც.

ფანჯრისკენ ზურგით მამაკაცი იდგა, ხელები ვიღაც ქალისთვის ყელზე შემოეჭდო - მისის მაკგილიკადი ხედავდა კიდეც მას - და აუჩქარებლად, უღმობლად ახრჩობდა. მსხვერპლს თვალები გადმოეკარკლა, სახეზე სისხლი მოაწვა. თავზარდაცემულმა მისის მაკგილიკადიმ მისი აღსასრულიც იხილა: ქალს სხეული მოუდუნდა და კაცის ხელებში ჩვარივით იქცა.

სწორედ ამ დროს მისის მაკგილიკადის მატარებელმა სვლა შეანელა, მის გვერდით მიმავალმა, პირიქით, სიჩქარე აკრიფა და წამის შემდეგ განათებული ვაგონი თვალს მიეფარა.

მისის მაკგილიკადიმ ხელი ინსტინქტურად სამუხრუყე სახელურისკენ წაიღო, მაგრამ მაშინვე გაუბედავად უკან გასწია. რა აზრი ჰქონდა საკუთარი მატარებლის შეჩერებას? ახლოდან დანახულმა საშინელმა სცენამ, ამ უჩვეულო შემთხვევამ თითქოს დაადამბლავა. არადა, დაუყოვნებლივ რაღაც უნდა ეღონა... მაგრამ რა?

ერთი წუთის შემდეგ კუპეს კარი გაიღო, კონტროლიორი შემოვიდა და თქვა:

- თქვენი ბილეთი, თუ შეიძლება. მისის მაკგილიკადი მკვეთრად შეტრიალდა მისკენ.

- ქალი დაახრჩვეს, - ჩაილაპარაკა მან, - მატარებელში, რომელმაც ახლახან ჩაგვიარა. საკუთარი თვალით ვნახე.

კონტროლიორმა დაეყქვებით შეხედა მას. - რა ბრძანეთ, მადამ?

- კაცმა ქალი დაახრჩო! მატარებელში. დავინახე. აი, აქედან, - მან ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა.

კონტროლიონს სახეზე კიდევ უფრო მეტი სკეპტიციზმი აღებეჭდა.

- დაახრჩო? - იკითხა მან უნდობლად.

- დიახ, დაახრჩო! გეუბნებით, დავინახე-მეთქი. სასწრაფოდ რამე უნდა იღონოთ! კონტროლიორმა მორიდებულად ჩაახველა.

- ხომ არ ფიქრობთ, მადამ, რომ ცოტა ჩასთვლიმეთ და... ე-ე... - თქვა კონტროლიორმა და ტაქტიანად შეჩერდა.

- ცოტა ხნით მართლა ჩამთვლიმა, მაგრამ ცდებით, თუ გგონიათ, რომ ეს დამესიზმრა. გეუბნებით, საკუთარი თვალით ვნახე-მეთქი.

კონტროლიორმა მზერა სავარძელზე დადებულ გადამლილ ჟურნალზე გადაიტანა. ერთ-ერთ გვერდზე მამაკაცი ქალს ახრჩობდა, გაღებული კარიდან კი მათ კიდევ ერთი კაცი რევოლვერს უმიზნებდა.

- მითხარით, მადამ, - თქვა კონტროლიორმა მტკიცე კილოთი, - იქნებ ჟურნალში ამალეღვებელ ამბავს კითხულობდით, ჩაგეძინათ, გამოღვიძებისას კი უცებ ვერ მიხვდით, რომ...

- გიმეორებთ, დავინახე-მეთქი, - გააწყვეტინა მისის მაკგილიკადიმ, - თქვენსავით სრულიად გამოფხიზლებული ვიყავი. ამ ფანჯრიდან გვერდით ჩავლილი მატარებლის ფანჯარაში დავინახე, რომ კაცი ქალს ახრჩობდა. ახლა კი მაინტერესებს, რის გაკეთებას აპირებთ.

- მაგრამ... მადამ...

- ვიმედოვნებ, რამეს მაინც მოიმოქმედებთ.

კონტროლიორმა უხალისოდ ამოიოხრა, საათს დახედა და თქვა:

- ზუსტად შვიდი წუთის შემდეგ ბრეკჰემპტონში ვიქნებით. იქ მოვახსენებ თქვენს ნათქვამს. რომელ მხარეს მოძრაობდა ის მატარებელი?

- ცხადია, იმავე მხარეს, საითაც - ჩვენი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის დანახვას შემხვედრ მატარებელში მოვახერხებდი?

კონტროლიონს სახეზე ეტყობოდა, რომ, მისი აზრით, მისის მაკგილიკადის, ფანტაზიის მქონე ადამიანს, ყველაფრის დანახვა შეეძლო, მაგრამ მან თავაზიანობა შეინარჩუნა და განაცხადა:

- ჩემი იმედი გქონდეთ, მადამ. თქვენს განცხადებას, სადაც საჭიროა, იქ შევატყობინებ. იქნებ თქვენი სახელი და მისამართი დამიწეროთ... ყოველი შემთხვევისთვის.

მისის მაკგილიკადიმ ჩააწერინა, თუ სად აპირებდა რამდენიმე დღით გაჩერებას, აგრეთვე, თავისი მუდმივი მისამართი შოტლანდიაში. კონტროლიორი წავიდა. იმ ადამიანით გამოიყურებოდა, რომელმაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და მარჯვედ დაამშვიდა აბეზარი მგზავრი.

მაგრამ მისის მაკგილიკადი კვლავაც შეწუხებული და დაუკმაყოფილებელი ჩანდა. ეტყოდა კი კონტროლიორი შესაბამის ორგანოებს იმას, რაც მოისმინა? თუ იგი მხოლოდ მის დამშვიდებას ცდილობდა? ვარაუდობდა, რომ მგზავრებს შორის არცთუ იშვიათად იყვნენ ისეთი ხანდაზმული ქალები, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ კომუნისტური შეთქმულება გამოააშკარავეს, ან რომ სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდათ, რომ მფრინავი თეფშები და ზესაიდუმლო კოსმოსური ხომალდები დაინახეს. ისინი მზად იყვნენ, ბუნებაში არარსებული მკვლევლობების შესახებაც შეეტყობინებინათ. ვაითუ, იმ კონტროლიორმა იგი სწორედ ერთ-ერთ ასეთ ქალად მიიჩნია...

მატარებელმა სვლა შეანელა, ფანჯრებიდან დიდი ქალაქის ჩირაღდნები გამოჩნდა.

მისის მაკგილიკადიმ ხელჩანთა გახსნა და იქიდან ძველი ქვითარი ამოიღო, რადგან სხვა ქალაქს ვერ მიაგნო, და მის მეორე მხარეს სასწრაფოდ დაწერა რაღაც ბურთულიანი კალმისტრით, შემდეგ ქვითარი კონვერტში ჩადო, რომელიც სასწაულებრივად აღმოაჩნდა ჩანთაში, დააწება და წარწერა გაუკეთა.

მატარებელი ნელა შევიდა სადგურში. ბაქანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველგან მყოფი ჩვეულებრივი ხმა მკაფიოდ წარმოთქვამდა:

- ახლახან, 17:38-ზე, პირველ ბაქანზე ჩამომდგარი მატარებელი გავა სადგურიდან

და გაჩერდება მილჩესტერში, უეივერტონში, როქსეტერში და ყველა სადგურზე ჩადმუთამდე. მარკიტბეისინგში მიმავალ მგზავრებს ვთხოვთ, ჩასხდნენ მესამე

პლატფორმაზე მდგომ მატარებელში. პირველ ჩიხში მდგარი მატარებელი კარბერისკენ გავა და ყველა გაჩერებაზე გაჩერდება.

მისის მაკგილიკადიმ მოუსვენრად მოათვალიერა ბაქანი. ბევრი მგზავრი და ცოტა მეზარგული. აი, ერთ-ერთი მათგანი! მისის მაკგილიკადიმ მბრძანებლური კილოთი მოიხმო იგი თავისთან და უთხრა:

- თუ შეიძლება, ეს დაუყოვნებლივ სადგურის უფროსს გადაეცით!

მან კაცს კონვერტი და ერთი შილინგი(შილინგი - ბრიტანული შილინგი, ფულის ერთეული დიდ ბრიტანეთში, უდრიდა 6 პენსს.) გაუწოდა, ღრმად ამოისუნთქა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. წამით გული დასწყდა მიცემულ შილინგზე... ექვსი პენსიც სავსებით საკმარისი იქნებოდა...

გონებით კვლავ იმ სცენას დაუბრუნდა, რომლის მოწმეც გახდა. საშინელება იყო, ნამდვილი საშინელება... მისის მაკგილიკადი ნერვებს არ უჩიოდა, მაგრამ უნებლიეთ მაინც შეკრთა. რა უცნაური... ფანტასტიკური ამბავი შეემთხვა მას, ელსფეთ მაკგილიკადის! ფანჯარაზე უეცრად შტორი რომ არ აწეულიყო... მაგრამ ამაში, ცხადია, განგების ხელი ერია. განგებამ ინება, რომ იგი, ელსფეთ მაკგილიკადი, ამ დანაშაულს შესწრებოდა. ტუჩები მკაცრად მოკუმდა.

გაისმა შეძახილები, სასტვენის, კარების გაღება-დახურვის ხმა. 17:38-ზე ჩამომდგარი მატარებელი ნელა გავიდა ბრეკჰემპტონის სადგურის ბაქნიდან, საათისა და ხუთი წუთის შემდეგ კი მანჩესტერში შევიდა.

მისის მაკგილიკადიმ პაკეტები მოაგროვა, ჩემოდანი აიღო, პლატფორმაზე გადავიდა და მიიხედ-მოიხედა. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სადგურში წარმოუდგენლად ცოტა მეზარგული იმყოფებოდა. ვისაც კი თვალი მოჰკრა, ყველა საფოსტო ტომრებს ეზიდებოდა სატვირთო ვაგონებიდან. მაშასადამე, მგზავრებს თვითონ უნდა ეთრიათ საკუთარი ჩემოდნები. არა, ჩემოდანს, ქოლგასა და ამდენ

შეკვრას ვერ წაიღებდა. მოცდა მოუწევდა. მალე ერთი მეზარგული მიუახლოვდა და შეეკითხა:

- ტაქსიმდე? - არა, ვიმედოვნებ, დამხვდებიან.

მილჩესტერის სადგურის გასასვლელში მასთან ერთი მძლოლი მივიდა, რომელიც ცოტა მოშორებით იდგა და გამოსულ მგზავრებს აკვირდებოდა.

- მისის მაკგილიკადი? სენტ-მერიმიდში მიბრძანდებით? - იკითხა მან ადგილობრივი რბილი აქცენტით.

მისის მაკგილიკადიმ დაუდასტურა, მეზარგულს არცთუ გულუხვი, მაგრამ სავსებით საკმარისი გასამრჯელო მისცა და ერთი წუთის შემდეგ თავის ჩემოდანსა და

მრავალრიცხოვან ფუთებთან ერთად, ტაქსი მას უკვე ღამის სიბნელეში მიაქროლებდა. სულ ცხრა მილი უნდა გაევიდოდა. მისის მაკგილიკადი წელგამართული, დაძაბული იჯდა, მოუთმენლობას შეეპყრო: სასწრაფოდ უნდა გაეზიარებინა ვინმესთვის საკუთარი მოზღვავებული გრძნობები. ბოლოს ტაქსი სოფლის ნაცნობ ქუჩაზე გავიდა და დანიშნულების ადგილზე გაჩერდა. მისის მაკგილიკადი მანქანიდან გადმოვიდა და აგურით მოკირწყლული ბილიკით პარმალისკენ გაემურა. კარი ხანდაზმულმა მოსამსახურემ გაუღო, მძლოლმა ბარგი წინკარში შეიტანა. მისის მაკგილიკადი მაშინვე სასტუმრო ოთახისკენ გაემართა, სადაც მას დიასახლისი -

სუსტი, მოხუცი ქალი ელოდებოდა. - ელსფეთ! - ჯეინ!

მათ ერთმანეთი გადაკოცნეს. მისის მაკგილიკადის აღარ დაუხანებია და სხაპასხუპით წარმოთქვა:

- ოჰ, ჯეინ! ახლახან მკვლელობას შევესწარი!

თავი მეორე

მის მარპლმა, რომელსაც დედამ და ბებია ბავშვობიდანვე ჩააგონეს, რომ

ჭეშმარიტი ლედი ვერაფერმა ვერ უნდა გააოცოს და ვერც შოკში ჩააგდოს, მხოლოდ წარბები ასწია, თავი დააქნია და თქვა:

- ძალზე არასასიამოვნო და უჩვეულო ამბავი გადაგხდენია თავს, ელსფეთ. ვფიქრობ, აჯობებს, ყველაფერი ახლავე მიაშობო.

მისის მაკგილიკადისაც სწორედ ეს უნდოდა. მან დიასახლისის თხოვნა გაითვალისწინა, ბუხართან დაჯდა, ხელთათმანი გაიძრო და მგზნებარედ შეუდგა თხრობას.

მის მარპლი ყურადღებით უსმენდა. როდესაც, როგორც იქნა, მისის მაკგილიკადიმ სული მოითქვა, მის მარპლმა გადაჭრით განაცხადა:

- ჩემი აზრით, ძვირფასო, კარგი იქნება, თუ ზევით ახვალ, შლაპას მოიხდი და დაიბან. შემდეგ ვივახშმებთ და მაგიდასთან სხვა თემაზე საუბრით შევიქცევთ თავს, ბოლოს კი ყველაფერს საგულდაგულოდ ავწონ-დავწონით.

მისის მაკგილიკადი დაეთანხმა. ქალბატონებმა ივახშმეს, თან სოფელ სენტ-მერიმიდის ცხოვრების სხვადასხვა საკითხიც განიხილეს: საყოველთაო უნდობლობა ახალი ორგანიზაციის მიმართ, სკანდალური შემთხვევა ავთიაქარის ცოლთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორ ქალსა და საზოგადოებას შორის წარმოქმნილი დაპირისპირება. ბოლოს საკუთარი ბადლების ყვავილებზე გადაერთნენ.

- იორდასალამებს ვერაფერს გაუგებს კაცი, - თქვა მის მარპლმა და წამოდგა, - ისინი ან ეგუებიან ადგილს, ან - არა. მაგრამ თუ შეეგუებიან, უნდა იცოდეს, რომ მთელი ცხოვრება გვერდიდან აღარ მოგშორდებიან. ახალი ჯიშები კი პირდაპირ საოცრებაა.

ისინი კვლავ მოგიზგიზე ბუხარს მიუსხდნენ. მისის მარპლმა კუთხეში მდგარი

ერთი კარადიდან ორი ძველებური, უოტერფორდული ბოკალი გამოიღო, მეორიდან კი - ბოთლი.

- აჯობებს, ამ საღამოს ყავა არ დალიო, ელსფეთ, - თქვა მან, - ისედაც აღელვებული ხარ (რაც სულაც არაა გასაკვირი!) და დაძინება გაგიჭირდება. მე შენ ფურისულასგან დაყენებული ჩემი ღვინის ერთ ბოკალს გამოგიწერ, მოგვიანებით კი შეგიძლია, გვირილის ჩაიც მიირთვა.

მისის მაკგილიკადი მეგობარს უხალისოდ დაეთანხმა და მის მარპლმა ღვინო ჩამოასხა.

- ჯეინ, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, როდესაც ცოტაოდენი მოსვა, - შენ ხომ არ გგონია, რომ ეს ყველაფერი დამესიზმრა ან მომეჩვენა?

- ცხადია, არა, - გულთბილად მიუგო მის მარპლმა. მისის მაკგილიკადიმ შვებით ამოისუნთქა.

- ის კონტროლიორი სწორედ ასე ფიქრობდა, - ჩაილაპარაკა მან, - ძალიან თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ მაინც...

- ვფიქრობ, მისი რეაქცია სავსებით ბუნებრივი იყო, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. შენი ნათქვამი მას დაუჯერებლად მოეჩვენა - ეს მართლა დაუჯერებელია. ამასთანავე, ის შენ არ გიცნობდა. რაც შემეხება მე, ეჭვი არ მეპარება, რომ სიმართლეს ამბობ. ძალიან უჩვეულო ამბავია, თუმცა - სავსებით შესაძლებელი. გეცოდინება, რომ მეც ყოველთვის მიყვარდა გვერდით მიმავალ მატარებელში შექჭყეტა. იქ ხომ მოულოდნელი და სასაცილო სცენების ნახვა შეიძლება. მახსოვს, ერთი პატარა გოგონა პლუმის დათუნიათი თამაშობდა, შემდეგ კი ის მოულოდნელად, განზრახ ესროლა მსუქან კაცს, რომელსაც კუთხეში ეძინა. მას, ცხადია, გაეღვიძა და მრისხანე სახე მიიღო, მგზავრები კი სიცილს ძლივს იკავებდნენ. ამ ყველაფერს ისე გარკვევით ვხედავდი, სათითაოდ აღვწერდი ყოველი მათგანის გარეგნობასა და ჩაცმულობას.

მისის მაკგილიკადიმ მაღლობის ნიშნად თავი დააქნია. - მეც ასე ვარ.

- ელსფეთ, შენ თქვი, რომ მამაკაცი შენკენ ზურგით იდგა. მაშასადამე, მისი სახე არ დაგინახავს?

- არა. - ქალის? მისი აღწერა თუ შეგიძლია? ასაკის შესახებ რას იტყვი?

- ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ვფიქრობ, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის

იქნებოდა. დაზუსტება გამიჭირდება. - ლამაზი იყო? - არ ვიცი. ხომ გესმის, სახე დამახინჯებული ჰქონდა და... - დიახ, დიახ, გასაგებია, - სწრაფად ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - რა ეცვა? - ღია ფერის ბეწვის ქურქი. შლაპა არ ეხურა, ქერათმიანი იყო.

- მამაკაცისთვის რამე განსაკუთრებული ხომ არ შეგიძინებია? ისეთი, რაც დაგამახსოვრდებოდა.

მისის მაკგილიკადი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

- საკმაოდ მაღალი იყო და, ჩემი აზრით, შავგვრემანი. მკვრივი ქსოვილისგან შეკერილი პალტო ეცვა, ამიტომ მისი ფიგურის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, - თქვა მან და ნაღვლიანად დაამატა: - ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა.

- რაღაც მაინც არის, - მიუგო მის მარპლმა და პაუზის შემდეგ განაგრძო: - დარწმუნებული ხარ, რომ ქალი მოკვდა?

- მოკვდა. დარწმუნებული ვარ. ენა გადმოუვარდა... მირჩევნია, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ვიმედოვნებ, ხვალ დილით რამეს კიდევ შევიტყობთ.

- დილით?

- ჰო. შეტყობინება ამის შესახებ დილის გაზეთებში უნდა გაჩნდეს. მას შემდეგ, რაც ქალს თავს დაესხა და მოკლა, კაცს გვამი თავიდან უნდა მოეშორებინა. როგორ გააკეთებდა ამას? ცხადია, მატარებლიდან მომდევნო გაჩერებაზე ჩავიდოდა. სხვათა შორის, ხომ არ გახსოვს, რომელი ვაგონი იყო? საძილე?

- არა.

- მაშასადამე, ადგილობრივი დანიშნულების მატარებლით მგზავრობდნენ, რომელიც აუცილებლად გაჩერდებოდა ბრეკჰემპტონში. დავუშვათ, მკვლეელი ბრეკჰემპტონში ჩავიდა. გვამი, შესაძლოა, ვაგონის კუთხეში მიაწვინა, სახეზე კი ბეწვის საყელო მიაფარა, რათა უცებ ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოხდა. სავარაუდოდ, სწორედ ასე მოიქცეოდა. თუმცა მალე მაინც აღმოაჩენდნენ... და დილის გაზეთები მატარებელში ნაპოვნი მოკლული ქალის შესახებ გვამცნობენ. დაველოდოთ.

მაგრამ დილის გაზეთებში მსგავსი არაფერი ეწერა.

ამაში რომ დარწმუნდნენ, მის მარპლმა და მისის მაკგილიკადიმ უხმოდ ჩაამთავრეს საუზმე. ორივენი რაღაცაზე ფიქრობდნენ.

საუზმის შემდეგ სასეირნოდ ბაღში გავიდნენ. მაგრამ ასეთმა საინტერესო ქმედებამაც კი ვერ გამოაცოცხლა ისინი. მის მარპლი გულმოდგინედ განაგრძობდა ახალი და იშვიათი სახეობების ჩამოთვლას, რომლებიც თავისი ბაღისთვის შექმინა,

მაგრამ დაბნეულობა ეტყობოდა. მისის მაკგილიკადიც დუმდა, თუმცა, ჩვეულებრივ, საპასუხოდ, თავის ბოლოდროინდელ შენაძენს ჩამოთვლიდა ხოლმე.

- ბაღი, ცხადია, ცოტა მიშვებულია, - კვლავაც დაბნეულად თქვა მის მარპლმა, - დოქტორმა ჰეიდოკმა კატეგორიულად ამიკრძალა დახრა და მუხლებზე დგომა. მაგრამ თუ არ დაიხარე და მუხლებზე არ დადექი, ბევრს ვერაფერს გააკეთებ. რასაკვირველია, შემიძლია, მოხუც ედვარდსს მივმართო, მაგრამ ისეთი თავნებაა!.. და საერთოდ, ეს მეზღვეები ძალიან განებივრებულები არიან - გაუთავებელი შესვენებები, ჩაის სმა, სხვის დასანახავად ცოტას წაჩიჩქნიან, წესიერად კი არ მუშაობენ.

- ოჰ, ვიცი, - დაეთანხმა მისის მაკგილიკადი, - მართალია, ჩემთვის დახრა არავის

აუკრძალავს, მაგრამ რა დასაძალია, რომ განსაკუთრებით ყამის შემდეგ, თანაც, თუ წონაც გაწუხებს, - მან მსუქან სხეულზე დაიხედა, - როგორც კი დაიხრები, მაშინვე

კუჭის წვა გეწყება.

კვლავ ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. ბოლოს მისის მაკგილიკადი მტკიცედ შეჩერდა და მეგობრისკენ შეტრიალდა.

- 000? - იკითხა მან.

ეს მოკლე და თითქმის არაფრის მთქმელი სიტყვა მისის მაკგილიკადიმ ისე მჭევრმეტყველურად წარმოთქვა, რომ მის მარპლი ყველაფერს მიხვდა.

- ვიცი, - მიუგო გვერდით მდგომს. ქალებმა ერთმანეთს შეხედეს. - ვფიქრობ, - განაგრძო მის მარპლმა, - პოლიციის განყოფილებაში უნდა წავიდეთ

და სერჟანტ კორნიშს დაველაპარაკოთ. ჭკვიანი კაცია, ყურადღებით მოსმენაც შეუძლია. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. დარწმუნებული ვარ, მოგვისმენს და ჩვენს

ნათქვამს მსვლელობას მისცემს.

დაახლოებით ორმოცდახუთი წუთის შემდეგ მის მარპლი და მისის მაკგილიკადი ჯანსაღი სახისა და სერიოზული გამომეტყველების, ოცდაათი-ორმოცი წლის მამაკაცს ესაუბრებოდნენ.

ფრენკ კორნიშმა მის მარპლი გულთბილად და მოჭარბებული პატივისცემით მიიღო, შემდეგ კი ორივე ქალს სკამი შესთავაზა.

- რით შემიძლია თქვენი დახმარება, მის მარპლ? - იკითხა მან.

- მინდოდა, ერთი ამბავი მოგესმინათ, - მშვიდად მიუგო მის მარპლმა, - რომელიც ჩემს მეგობარს, მისის მაკგილიკადის გადახდა თავს.

სერჟანტი კორნიში ასეც მოიქცა. როდესაც მისის მაკგილიკადიმ თხრობა დაასრულა, პოლიციელს ორიოდე წუთი ხმა არ ამოუღია.

- დიახ, ძალზე უჩვეულო თავგადასავალია, - თქვა მან ბოლოს.

სანამ მისის მაკგილიკადი ლაპარაკობდა, სერჟანტი მას შეუმჩნევლად აკვირდებოდა. იგი მისდამი კეთილგანწყობით განიმსჭვალა: გონიერი, გაწონასწორებული ქალი ჩანდა, მკაფიოდ, დალაგებულად ჰყვებოდა, თითქოს არაფერს აჭარბებდა და ალამაზებდა. თანაც მისი, სავარაუდოდ, მის მარპლსაც სჯეროდა, რომელსაც კორნიში კარგად იცნობდა. სენტ-მერიმიდში მის მარპლის ფასი ყველამ იცოდა. მართალია, ზოგჯერ იბნეოდა და შეცბუნება ეტყობოდა, მაგრამ ძალზე მახვილი და გამჭრიახი გონება ჰქონდა.

სერჟანტმა ჩაახველა და განაგრძო:

- ცხადია, შესაძლებელია, რომ შეცდით. ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ ეს შესაძლებელია. ადამიანები ხშირად უცნაურად ხუმრობენ. იქნებ იმ ორმაც იხუმრა და ის, რაც თქვენ დაინახეთ, სერიოზული და ფატალური შედეგით არ დასრულდებულა.

- მე ვიცი, რაც დავინახე, - პირქუშად ჩაილაპარაკა მისის მაკგილიკადიმ.

„და ამას ჯიუტად გაიმეორებთ, - გაიფიქრა ფრენკ კორნიშმა, - თუმცა ვინ იცის, იქნებ მართალიც აღმოჩნდეთ“.

ხმამალლა კი თქვა:

- თქვენ ეს ამბავი ჯერ რკინიგზის თანამდებობის პირებს შეატყობინეთ, შემდეგ კი ჩემთან გამოცხადდით და მომიყევით. სწორად მოიქეცით და გარწმუნებთ, მეც შესაბამის ზომებს მივიღებ.

იგი გაჩუმდა. მის მარპლმა კმაყოფილებით დააქნია თავი. მისის მაკგილიკადი,

ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დარჩა, თუმცა არაფერი უთქვამს.

- დავუშვათ, ყველაფერი ისე იყო, როგორც ამბობთ, - მიმართა სერჟანტმა კორნიშმა მის მარპლს, არა იმიტომ, რომ მისი აზრის გაგება სურდა, არამედ უბრალოდ აინტერესებდა, რას იტყოდა, - თქვენი აზრით, გვამს რა ბედი ეწია?

- აქმხოლოდ ორი ვარიანტია შესაძლებელი, - დაუფიქრებლად მიუგო მის მარპლმა, - უფრო გონივრულია, ვივარაუდოთ, რომ ის მატარებელში დარჩა, მაგრამ ახლა ეს უნდა გამოვრიცხოთ, ვინაიდან ბოლო სადგურზე მისვლის შემდეგ გვამს აუცილებლად აღმოაჩენდა რომელიმე მგზავრი ან გამცილებელი.

ფრენკ კორნიშმა თავი დაუქნია.

- არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა: მკვლელმა იგი გაქანებული მატარებლიდან გადააგდო. ახლა სადღაც გდია და ჯერ მას ვერ მიაგნეს. თუმცა, არა მგონია. ასეა თუ ისე, გვამის თავიდან მოცილების სხვა გზას ვერ ვხედავ.

- ალბათ, წაგიკითხავთ, რომ გვამს ზოგჯერ სკივრში მალავენ, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - ოღონდ ჩვენს დროში მოგზაურობისას სკივრს აღარავინ დაატარებს. ყველას ჩემოდანი აქვს, ჩემოდანში კი გვამს ვერ ჩააკვებებთ.

- დიახ, - არ შეეწინააღმდეგა კორნიში, - ორივეს გეთანხმებით. გვამი, თუკი არსებობდა, ამ დროისთვის უკვე უნდა აღმოეჩინათ, ან ეს ძალიან მალე მოხდება. აუცილებლად შეგატყობინებთ მოვლენების განვითარების შესახებ, თუმცა, ვფიქრობ, ამას თქვენც თავისუფლად შეიტყობთ გაზეთებიდან. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ქალი ცოცხალია. შესაძლოა, გონზე მოვიდა და მატარებლიდან ჩავიდა.

- ამას სხვის დაუხმარებლად ვერ გააკეთებდა, - თქვა მის მარპლმა, - და თუ ვინმე დაეხმარა, ამას სხვებიც შეამჩნევდნენ. კაცი იტყოდა, რომ ავადმყოფს სიარულში ეხმარებოდა.

- დიახ, ამას სხვებიც შეამჩნევდნენ, - დაეთანხმა კორნიში, - თუ ვაგონში უგონოდ ან შეუძლოდ მყოფ ქალს გადააწყდნენ, მას საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, სადაც შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდებოდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამის შესახებ უმოკლეს ხანში შევიტყობთ.

მაგრამ გავიდა ერთი დღე, მეორე. საღამოს კი მის მარპლმა სერჟანტ კორნიშისგან ბარათი მიიღო:

„რაც შეეხება იმ საკითხს, რომლის თაობაზეც მომმართეთ, ცნობების შეკრება ვცადე, მაგრამ - უშედეგოდ. მოკლული ქალის გვამი აღმოჩენილი არ არის.

თქვენ მიერ აღწერილი გარეგნობით საავადმყოფოებისთვის არავის მიუმართავს. არც ტრავმირებული ან უგონოდ მყოფი ქალისთვის გაწეული გადაუდებელი დახმარების დამადასტურებელი რაიმე ჩანაწერი არსებობს. მატარებლიდან ჩასულ მგზავრებს სხვისი დახმარება არ დასჭირვებიათ. ამ მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობას

საკუთარ თავზე ვიღებ. ვფიქრობ, თქვენი მეგობარი მართლა შეესწრო ამგვარ სცენას, მაგრამ მისი ფინალი, როგორც ჩანს, არც ისე სერიოზული აღმოჩნდა, როგორც მას მოეჩვენა“.

თავი მესამე

- არც ისე სერიოზული? სისულელეა! - წამოიძახა მისის მაკგილიკადიმ. - ეს მკვლელობა იყო!

მან გამომწვევად შეხედა მის მარპლს, მის მარპლმა კი, თავის მხრივ, მზერა გაუსწორა.

- მიდი, ჯეინ, - ცხარედ წარმოთქვა მისის მაკგილიკადიმ, - მითხარი, რომ შევცდი! მითხარი, რომ ეს მომეჩვენა. შენ ხომ ასე ფიქრობ, არა?

- შეცდომა ყველას მოსდის, - დაყვავებით მიუგო მის მარპლმა, - ყველას, ელსფეთ, მათ შორის - შენც. ვფიქრობ, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. თუმცა, მაინც მგონია, რომ არ შემცდარხარ... მართალია, კითხვის დროს სათვალე გჭირდება,

მაგრამ შორს მშვენივრად ხედავ. ამასთან, ნანახმა სულის სიღრმემდე შეგძრა... როგორც კი შემოხვედი, სახეზე შეგატყვე, რომ რაღაც საშინელება მოხდა.

- ეს არასდროს დამავიწყდება, - ჩაილაპარაკა მისის მაკგილიკადიმ, რომელსაც ტანში გააჟრჟოლა, - უბედურება ისაა, რომ არ ვიცი, რა მოვიმოქმედო!

- არა მგონია, შენ რამის გაკეთება შეგეძლოს, - ჩაფიქრებული სახით უთხრა მის მარპლმა (მისის მაკგილიკადი მეგობრის კილოს რომ დაჰკვირვებოდა, შეამჩნევდა - მან სიტყვა „შენ“-ზე გააკეთა მსუბუქი აქცენტი), - მომხდარის შესახებ რკინიგზის ადმინისტრაციასა და პოლიციას შეატყობინე. არა, მეტს ველარაფერს მოიმოქმედებ.

- ეს ერთგვარი შვებაა ჩემთვის, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - რადგან, როგორც იცი, შობის შემდეგ ცეილონზე გამგზავრებას ვაპირებ, როდერიკის სანახავად, და, ცხადია, სულაც არ მინდა ამ ვიზიტის გადადება. ამას ხომ დიდი ხანია, მოუთმენლად ველი... მაგრამ თუ მოქალაქეობრივი ვალი მოითხოვს, რასაკვირველია, გადავდებ კიდევ, - დაამატა მან გულწრფელად.

- ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც მოიქცევი, ელსფეთ, მაგრამ გიმეორებ: ჩემი აზრით,

რაც შეგეძლო, უკვე ყველაფერი გააკეთე.

- ახლა ჯერი პოლიციაზეა, - ჩაილაპარაკა მისის მაკგილიკადიმ, - და თუ სულელურად არ მოიქცევიან...

- ოჰ, არა, - მიუგო მის მარპლმა და მტკიცედ გადააქნია თავი, - ჩვენს პოლიციაში სულელები არ მსახურობენ. თუმცა ასე უფრო საინტერესო გამოდის, არა?

მისის მაკგილიკადი გაოცებით მიაშტერდა და მის მარპლი კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რაც დიდი ხანია, იცოდა: მისი მეგობარი სინდისიერი და პრინციპული ადამიანი იყო, თუმცა წარმოსახვის უნარი არ ჰქონდა.

- ნეტავ რა მოხდა სინამდვილეში? - თქვა მის მარპლმა.

- ქალი მოკლეს.

- გასაგებია, მაგრამ ვინ მოკლა, რატომ მოკლა და სად გაქრა გვამი? სად არის ახლა?

- მისი პოვნა პოლიციის საქმეა.

- რა თქმა უნდა... მაგრამ მათ ჯერ ვერაფერს მიაკვლიეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკვლელი ქკვიანია, ძალიან ჭკვიანი. ვერაფრით გამიგია, - თქვა მის მარპლმა და სახე მოედუშა, - როგორ მოიშორა გვამი... დავუშვით, თავისი თანამგზავრი სიშმაგით შეპყრობილმა მოკლა... ეს წინასწარ დაგეგმილ მკვლელობას არ ჰგავს... ვის მოუვა თავში ადამიანის მოკვლა დიდ სადგურში შესვლის წინ?! დიახ, ალბათ შეკამათდნენ... კაცმა იეჭვიანა... ან რაღაც ამგვარი მოხდა. დაახრჩო... და ხელში გვამი შერჩა, მატარებელი კი სადგურს უახლოვდებოდა... ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვი, მას სხვა არაფერი რჩებოდა - ის უბედური კუპეს კუთხეში ისე უნდა მოეთავსებინა, რომ ყველას ჰგონებოდა, ქალს მხოლოდ სძინავსო, შემდეგ კი სასწრაფოდ ჩასულიყო მატარებლიდან. არ ვიცი, სხვა რა უნდა მოეფიქრებინა... თუმცა, კიდევ უნდა იყოს ერთი...

მის მარპლი ღრმად ჩაფიქრდა და მისის მაკგილიკადიმ ორჯერ სცადა მასთან დალაპარაკება, სანამ იგი პასუხს გასცემდა.

-- ბოლო დროს ცუდად გესმის, ჯეინ.

- შესაძლოა, ასეც იყოს. ვფიქრობ, ჩვენს დროში ადამიანები ისე მკაფიოდ აღარ ამბობენ სათქმელს, როგორც ამას უწინ აკეთებდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენი არ მესმოდა. უბრალოდ, ყურადღება სხვა რამეზე მქონდა გადატანილი.

- მე მხოლოდ ლონდონისკენ მიმავალი მატარებლების ხვალინდელი დღის განრიგის შესახებ გესაუბრებოდი. წინააღმდეგი ხომ არ ხარ, თუ შუადღეს გავემგზავრები? მარგარეტს შევუთანხმდი, ის კი სალამოს ჩაიზე ადრე არ მელოდება.

- მითხარი, ელსფეთ, იქნებ პირველის თხუთმეტწუთიანს გავყვეთ? ცოტა ადრე ვისაუზმებდით. და კიდევ... - განაგრძო მის მარპლმა ისე, რომ მეგობრის

პასუხს აღარ დაელოდა, - რა მოხდება, მარგარეტთან სალამოს ჩაისტვის კი არა, ვთქვით, შვიდი საათისთვის რომ მიხვიდე?

მისის მაკგილიკადიმ მას ცნობისმოყვარეობით შეხედა. - რა ჩაიფიქრე, ჯეინ?

- ელსფეთ, მინდა, ლონდონში გამოგყვე. ბრეკჰემპტონამდე ერთად გავემგზავრებით იმავე მატარებლით, რომელშიც იმ დღეს იჯექი. ბრეკჰემპტონიდან შენ ლონდონში დაბრუნდები, მე კი შინ წამოვალ. დანახარჯს, ცხადია, საკუთარ თავზე ვიღებ, - ხაზგასმით წარმოთქვა მის მარპლმა.

მისის მაკგილიკადიმ საქმის ფინანსურ მხარეს ყურადღება არ მიაქცია.

- ღვთის გულისთვის, მითხარი, ჯეინ, ამ მგზავრობისგან რას ელოდები? - წამოიძახა მან, - კიდევ ერთ მკვლელობას?

- რა თქმა უნდა, არა, - მიუგო ცოტა არ იყოს შოკირებულმა მის მარპლმა, - მაგრამ გამოგიტყდები, მინდა, რომ თვითონ ვნახო, შენი მითითებით, როგორ გითხრა... ძნელია შესაფერისი სიტყვების პოვნა... ის ადგილი, სადაც მკვლელობა მოხდა.

ასე და ამგვარად, მეორე დღეს მის მარპლი და მისის მაკგილიკადი იმ მატარებლის პირველი კლასის ვაგონის მოპირდაპირე კუთხეებში აღმოჩნდნენ, რომელიც ლონდონის პადინგტონის სადგურიდან თექვსმეტ საათსა და ორმოცდაათ წუთზე გავიდა. წინა პარასკევთან შედარებით, ვაგზალზე ახლა უფრო მეტი ხალხი ირეოდა (შობამდე ორი დღე რჩებოდა), თუმცა მატარებელში ბევრი თავისუფალი ადგილი იყო, ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობის ბოლოში მაინც.

ამჯერად არც მათ წამოსწევიათ რომელიმე მატარებელი და არც თვითონ დასწევინ სხვას. დროდადრო მხოლოდ შემხვედრი შემადგენლობა თუ

ჩაუქროლებდა დიდი სისწრაფით. მისის მაკგილიკადი შიგადაშიგ, დაეჭვებით უყურებდა საათს.

- ძნელი სათქმელია, როდის გავივლით იმ სადგურს, რომლის შემდეგაც მე... სადგური სადგურს მისდევდა.

- ბრეკჰემპტონში ხუთ წუთში ვიქნებით, - თქვა მის მარპლმა.

კარის ღიობში კონტროლიორი გამოჩნდა. მის მარპლმა მეგობარს კითხვის

გამომხატველი მზერა მიაპყრო. მისის მაკგილიკადიმ თავი გადააქნია. ეს სხვა კონტროლიორი იყო. მან ბილეთები დააკომპოსტირა და გზა განაგრძო, თან ოდნავ

შექანდა, როდესაც შემადგენლობა მოსახვევში შევიდა. მატარებელმა სიჩქარე შეამცირა.

- მგონი, ბრეკჰემპტონში შევდივართ, - თქვა მისის მაკგილიკადიმ. - ვფიქრობ, ეს მხოლოდ გარეუბნებია, - მიუგო მის მარპლმა.

გამოჩნდა ქალაქის ჩირაღდნები, შენობები, ქუჩები, ტრამვაი... მატარებელმა სვლა კიდევ უფრო შეანელა და მძიმედ გადადიოდა ერთი ისრიდან მეორეზე.

- ბრეკჰემპტონამდე ერთი წუთის სავალიდა დარჩა, - განაცხადა მისის მაკგილიკადიმ, - არ მესმის, რა მოვიგეთ ამ მგზავრობით. რამე თუ გაარკვით, ჯეინ?

- ვშიშობ, არაფერი, - მიუგო მის მარპლმა საკმაოდ გაუბედავად.

- ტყუილუბრალოდ გადავყარეთ ფული, - საყვედურის კილოთი წარმოთქვა მისის მაკგილიკადიმ, თუმცა გაცილებით უკმაყოფილო იქნებოდა, მგზავრობის ხარჯი თვითონ რომ გაეღო. ამაში მის მარპლს ეყვი არ ეპარებოდა.

- ასეა თუ ისე, - თქვა მის მარპლმა, - ყოველთვის მინდა, რომ დანაშაულის ადგილი საკუთარი თვალთ ვნახო. სხვათა შორის, მატარებელი რამდენიმე წუთით აგვიანებს. გასულ პარასკევს გრაფიკით მიდიოდა?

- ვფიქრობ, კი. ყურადღება არ მიმიქცევია.

მატარებელი ნელა გაიჭიმა ბრეკჰემპტონის სადგურის ხალხით სავსე პლატფორმის გასწვრივ. ხმამაღლა მოლაპარაკე ხრინწიანად გასცემდა ინფორმაციას, კარი ხმაურით იღებოდა და იკეტებოდა, მგზავრები გადიოდნენ და შემოდდიოდნენ, ბაქანზე წინ და უკან დადიოდნენ.

„რა ადვილია, - გაიფიქრა მის მარპლმა, - სურვილის შემთხვევაში, ამ ბრბოში ათქვეფა და სადგურის დატოვება... მკვლელს თავისუფლად შეეძლო, სხვა ვაგონში გადასულიყო და მგზავრობა იმავე მატარებლით განეგრძო. მგზავრებში შერევას ადვილად მოახერხებდა. მაგრამ გვამს ეს არ გამოუვიდოდა. გვამი სადღაც უნდა იყოს“.

მისის მაკგილიკადი მატარებლიდან ჩავიდა, კუპეს ღია ფანჯარასთან მივიდა და მის მარპლს უთხრა:

- თავს გაუფრთხილდი, ჯეინ, არ გაცივდე. წელიწადის ამ დროს მატყუარა ამინდი იცის ხოლმე, შენ კი არც ისე ახალგაზრდა ხარ.

- ვიცი.

- დაივიწყე ეს მკვლელობა. ისედაც ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო.

მის მარპლმა თავი დაუქნია.

- არც შენ გარგებს სიცივეში დგომა, ელსფეთ, - თქვა მან, - თორემ თვითონ

გაცივდები. ბუფეტში შედი და ცხელი ჩაი დალიე. დრო საკმარისი გაქვს: შენი მატარებელი თორმეტი წუთის შემდეგ გადის.

- ალბათ, ასეც მოვიქცევი. ნახვამდის, ჯეინ.

- ნახვამდის, ელსფეთ. ბედნიერ შობას გისურვებ. ვიმედოვნებ, მარგარეტაც კარგად იქნება. კარგი დრო გაგეტარებინოს ცვილონზე. როდერიკს ჩემგან

მოკითხვა გადაეცა. ცხადია, თუ ვახსოვვარ. თუმცა, არა მგონია.

- რა თქმა უნდა, ახსოვხარ... თანაც, საკმაოდ კარგად. შენ ხომ გადაარჩინე ის ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა... ფულთან დაკავშირებით, საკეტიანი კარადიდან რომ გაქრა. არ იფიქრო, რომ დაავიწყდა.

- აჰ, იმ სამწუხარო გაუგებრობას გულისხმობ? - თქვა მის მარპლმა.

მისის მაკგილიკადი შეტრიალდა, გაისმა საყვირის ხმა და მატარებელი დაიძრა. მის მარპლი უყურებდა, როგორ შორდებოდა მეგობრის მაგარი, ჯმუხი ფიგურა. ახლა ელსფეთი სუფთა სინდისით გაემგზავრებოდა ცეილონზე - მან თავისი ვალი პირნათლად მოიხადა, სხვა ვალდებულება კი არ ჰქონდა.

როდესაც მატარებელმა სიჩქარე აკრიფა, მის მარპლს მოხერხებულად მოკალათება არც უცდია. პირიქით, წელში გაიმართა და სერიოზულად დაფიქრდა. მართალია, საუბრისას ზოგჯერ ბუნდოვანება და დაბნეულობა ახასიათებდა, ნათელი და გამჭრიახი გონება ჰქონდა. ამჟამად ერთი რთული პრობლემა უნდა გადაეყრა: როგორ მოქცეულიყო შემდგომში. ვინაიდან, მისის მაკგილიკადის მსგავსად, მასაც მიაჩნდა, რომ ყველაფერი უნდა ელონა დამნაშავეის მოსაძებნად.

ელსფეთის აზრით, მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ელსფეთის შემთხვევაში ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ საკუთარ თავზე მის მარპლი სხვაგვარად ფიქრობდა.

იქნებ საკუთარი, არცთუ ჩვეულებრივი ნიჭი უნდა გამოეყენებინა?.. ზედმეტად პატივმოყვარე ხომ არ იყო?.. ბოლოს და ბოლოს, რისი გაკეთება შეეძლო? მეგობრის სიტყვები გაახსენდა: „შენ არც ისე ახალგაზრდა ხარ...“

აუღელვებლად, გენერალივით, საბრძოლო მოქმედებების გეგმას რომ ამუშავებს, ან ბუღალტერივით, მოსალოდნელი გარიგების შეფასებას რომ ცდილობს, მის მარპლი გონებაში საგულდაგულოდ წონიდა თავისი მომავალი ნაბიჯების ყველა დადებით და უარყოფით მხარეს. „კრედიტის“ მხარეს შემდეგი ჩამოაწიკწიკა:

ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება და ადამიანთა ბუნების ცოდნა.

სერ ჰენრი კლითერიინგი და მისი ნათლული (ამჟამად სკოტლენდიარდში უნდა მუშაობდეს), რომელიც ყოველმხრივ მეხმარებოდა ლითლჰადოქსში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას.

დევიდი, ჩემი ძმისშვილის, რეიმონდის მეორე ვაჟი. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის ახლა „ბრითიმ რეილუეისში“ მუშაობს.

ლეონარდი, გრიზელდას ვაჟიშვილი, რომელიც შესანიშნავად ერკვევა ტოპოგრაფიულ რუკებში.

მის მარპლმა აქტივებს თვალი გადაავლო და კმაყოფილი დარჩა. ყველა მათგანი ძალიან სჭირდებოდა, რათა „დებეტის“ სუსტი ადგილები გაემაგრებინა - განსაკუთრებით საკუთარი ფიზიკური სისუსტე.

„სადაღა შემიძლია ამდენი მგზავრობა და ყველაფრის გაგება, - გაიფიქრა მის მარპლმა, - უამისოდ კი არაფერი გამოვა“.

დიახ, ეს მთავარი დაბრკოლება იყო - მისი ასაკი და ფიზიკური უძლურება. ცხადია, მისი წლოვანებისთვის თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ უკვე მოხუცთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. და თუ დოქტორმა ჰეიდოკმა ბაღში მუშაობა აუკრძალა, ის არც დამნაშავეს მოსამძებნად აღმა-დაღმა ხეტიალს მოუწონებდა. არადა, სწორედ ამის გაკეთებას აპირებდა. გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა. თუ ადრე იძულებული იყო, მონაწილეობა მიეღო დანაშაულის გამოძიებაში, ვინაიდან ამას სთხოვდნენ, ამჯერად თვითონ, საკუთარი ინიციატივით განეზრახა მკვლელის კვალში ჩადგომა... ცოტა ეჭვი კი ეპარებოდა, რომ ამის გაკეთება სურდა... მოხუცდა. მოხუცდა და დაიღალა. ახლა, ამ შფოთიანი დღის შემდეგ, არაფრის გაკეთება აღარ უნდოდა. ოღონდ სახლამდე მიეღწია, აგიზგიზებულ ბუხართან დამჯდარიყო, ევახშმა და დასამძინებლად დაწოლილიყო... მეორე დღეს ცოტას ბადღში წაიმუშავებდა, ბუჩქებს მაკრატლით შეასწორებდა, დახრისა და გადაღლის გარეშე.

„მალიან მოვხუცდი ახალი თავგადასავლებისთვის“, - ნაღვლიანად ჩაიბურტყუნა მის მარპლმა და ფანჯრიდან უაზროდ გახედა ყრილის ხვეულ ხაზს.

ხვეული...

მეხსიერებაში რადაც სუსტად შეინძრა... მოსახვევი მას შემდეგ, რაც კონტროლიორმა მათი ბილეთები დააკომპოსტირა... ამან იდეა გაუჩინა. მხოლოდ

იდეა. სრულიად სხვა იდეა...

მოულოდნელად მის მარპლს სახე ოდნავ აუვარდისფრდა, დაღლილობა კი სრულიად გაუქრა!

- ხვალ დილითვე მივწერ დევიდს, - უთხრა საკუთარ თავს.

და მაშინვე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აზრი გაუჩნდა.

- რა თქმა უნდა, ჩემო ერთგულო ფლორენს!

მის მარპლი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა, მეთოდურად მოქმედებდა, საშობაო დღესასწაულსაც ითვალისწინებდა, რომელიც მისთვის, გარკვეულწილად, შემაფერხებელი ფაქტორი იქნებოდა.

თავდაპირველად, წერილი მისწერა თავისი ძმის შვილიშვილს, დევიდ უესტს, რომელსაც შობის დღესასწაულიც მიულოცა და ძალზე საჭირო ცნობების შეგროვებაც სთხოვა.

საბედნიეროდ, წინა წლების მსგავსად, იგი ამჯერადაც მიიწვიეს მღვდლის სახლში დაგეგმილ საშობაო ვახშამზე, სადაც შეეძლო, პირადად დაესვა შეკითხვები ტოპოგრაფიულ რუკებთან დაკავშირებით ახალგაზრდა ლეონარდისთვის, რომელიც დღესასწაულზე ჩამოსვლას აპირებდა.

ლეონარდი რუკებით იყო გატაცებული. მას სულაც არ გაჰკვირვებია, რომ მოხუცი ქალი უეცრად კონკრეტული რაიონის მსხვილმასშტაბიანი რუკით დაინტერესდა. მან რუკების შესახებ გასაგებ ენაზე ლექციაც კი ჩაუტარა მის მარპლს და დაუწერა, კონკრეტულად რომელი დასჭირდებოდა. შემდეგ კი გაახსენდა, რომ შინ სწორედ ასეთი ჰქონდა და მზად იყო, ეთხოვებინა კიდევ. მის მარპლმა დაარწმუნა, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა და დაუზიანებლად დაუბრუნებდა.

- რუკები, - თქვა გრიზელდამ, ლეონარდის დედამ, რომელიც, მიუხედავად იმისა,

რომ ამხელა შვილი ჰყავდა, მღვდლის ძველი და შელახული სახლისთვის ძალზე ახალგაზრდულად და ფერხორციანად გამოიყურებოდა, - რა რუკები აუტყდა? იმას ვგულისხმობ - რისთვის სჭირდება?

- არ ვიცი, - მიუგო ლეონარდმა, - ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

- როგორ მაინტერესებს, - განაგრძო გრიზელდამ, - ძალიან საეჭვოდ მეჩვენება... არადა, დროა, ამ ასაკში ასეთ საქმეებს თავი დაანებოს.

შვილის შეკითხვას, თუ რომელ საქმეებს გულისხმობდა, გრიზელდამ გაურკვევლად უპასუხა:

- ოჰ, ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა უყვარს. მაგრამ საინტერესოა, რისთვის სჭირდება რუკები?

მალე მის მარპლმა საპასუხო ბარათი მიიღო ძმის შვილიშვილისგან, დევიდ უეტსისგან, რომელიც გულთბილად სწერდა:

„ძვირფასო მამიდა ჯეინ, - ახლა რა ჩაგიფიქრებია? ყველაფერი შევიტყვე, რაც გაინტერესებდა. მხოლოდ ორი შესაფერისი მატარებელია: 16:33 და 17:00. პირველი - ჩვეულებრივი სამგზავროა. ჩერდება ჰეილინგბრუდუეში, ბარუელჰიტში, ბრეკჰემპტონსა და ყველა გაჩერებაზე მარკიტბეისინგამდე. მეორე - უელსური ექსპრესია და კარდიფს, ნიუპორტსა და სუონსის გაივლის. სამგზავროს შეუძლია გაუსწროს პადინგტონიდან 16:50-ზე გამოსულ მატარებელს, ოღონდ მხოლოდ ბრეკჰემპტონის სადგურის სიახლოვეს.

საინტერესოა, სოფლისთვის დამახასიათებელ პიკანტურ სკანდალთან ხომ არ გვაქვს საქმე? იქნებ მაღაზიებში სიარულის შემდეგ ლონდონიდან 16:50-ზე გამოემგზავრე და ფანჯრიდან დაინახე, როგორ კოცნიდა გვერდით ჩავლილი მატარებლის კუპეში სანიტარიული ინსპექტორი მერის ცოლს? თუ ასეა, რა მნიშვნელობა აქვს, ეს რომელ მატარებელში მოხდა? იქნებ პორტკოულში იყვნენ უიკენდზე? პულოვერისთვის მადლობა. სწორედ ისეთია, როგორიც მინდოდა. შენი ბალი რა მდგომარეობაშია? ვიმედოვნებ, წელიწადის ამ დროს იქ ცოტა სამუშაო გექნება.

მუდამ შენი ერთგული დევიდი”.

მის მარპლმა ოდნავ გაიღიმა და მოწოდებულ ინფორმაციას თვალი გადაავლო. მისის მაკგილიკადი ირწმუნებოდა, რომ მკვლელობა საძილე

ვაგონში არ მომხდარა. მაშასადამე, სუონსის ექსპრესი უნდა გამოერიცხა. რჩებოდა 16:33-ზე გამოსული სამგზავრო მატარებელი.

რამდენიმე მგზავრობის გარეშე ვერაფერს გახდებოდა. მის მარპლმა ამოიოხრა და გეგმების დაწყობას შეუდგა.

მეორე დღეს ლონდონში გაემგზავრა, უწინდელივით - 12:15-ზე, მაგრამ აქეთობას, ბრეკჰემპტონამდე, 16:50-ის ნაცვლად, 16:33-ს გამოჰყვა. გზაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუმცა მის მარპლის ყურადღება რამდენიმე გარემოებამ მიიპყრო. მატარებელი თითქმის ცარიელი იყო, რადგან სადამოს პიკის დადგომას ჯერ ბევრი აკლდა. პირველი კლასის დანარჩენ ვაგონებში მხოლოდ ერთი მგზავრი იჯდა,

რომელიც გაზეთ „ნიუ-სთეითმენტს“ კითხულობდა. ჰეილინგბროდუეისა და ბარუელჰიტში გაჩერებისას მის მარპლი ფანჯარაში იყურებოდა და ჩასულ და ამოსულ მგზავრებს აკვირდებოდა. ჰეილინგბროდუეიში რამდენიმე ადამიანი მესამე კლასის ვაგონში ჩაჯდა. ბარუელჰიტში მესამე კლასის ვაგონიდან საკმაოდ ბევრი მგზავრი ჩავიდა. პირველი კლასის ვაგონში არავინ შემოსულა, მოხუცმა ჯენტლმენმა, ხელში „ნიუ-სთეითმენტი“ რომ ეჭირა, მგზავრობა დაასრულა.

ბრეკჰემპტონთან მიახლოებისას მატარებელი მოსახვევში შევიდა. მის მარპლი წამოდგა, ფანჯარაზე შტორი დაუშვა და ზურგი აქცია.

დიახ, დაასკვნა მან, მოსახვევში შესვლამდე მატარებელი მკვეთრად ამცირებს სიჩქარეს, მოულოდნელი ბიძგისგან მგზავრი წონასწორობას კარგავს და ფანჯრისკენ გადაქანდება. შესაძლოა, შტორსაც შეეხოს, რომელიც მაშინვე მალლა ავარდება... მის მარპლი დაჟინებით გასცქეროდა სიბნელეს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად მოღრუბლული დღე იყო, ვიდრე მისის მაკგილიკადის მგზავრობისას, მაინც არაფერი ჩანდა. ასე რომ, კიდევ ერთხელ მოუწევდა მატარებელში ჩაჯდომა, ოღონდ - უფრო ადრეულ რეისზე.

მეორე დღეს ლონდონში დილის მატარებლით გაემგზავრა. მაღაზიაში სელის ოთხი ბალიშისპირი შეიძინა (მაგრამ რა ფასად!) და, ამგვარად, „გამოძიება“ სახლის საჭიროებას შეუთავსა, პადინგტონის სადგურიდან კი 12:15-ზე გამოსულ მატარებელს გამოჰყვა. პირველი კლასის ვაგონში კვლავაც მარტო აღმოჩნდა. „ამის მიზეზი მაღალი ფასია, - გაიფიქრა მის მარპლმა, - პირველი კლასით მგზავრობის უფლებას თავს ველარავინ აძლევს, მხოლოდ ბიზნესმენები, ისიც - პიკის საათებში. მათ, როგორც ჩანს, მგზავრობის ღირებულება სამსახურებრივ დანახარჯში შეაქვთ“.

ბრეკჰემპტონში მატარებლის შესვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე მის მარპლმა ლეონარდის მიერ გამოგზავნილი რუკა ამოიღო და სოფლის მიდამოებს დააკვირდა. ის ჯერ კიდევ გამგზავრებამდე შეისწავლა დაკვირვებით და ახლა, როდესაც სადგურის სახელწოდება შეამჩნია, ზუსტად განსაზღვრა ადგილი, სადაც იმყოფებოდა - სწორედ იმ დროს, როდესაც მატარებელმა მოსახვევის წინ სიჩქარის შემცირება დაიწყო. საკმაოდ დიდი რკალი იყო. მის მარპლი ფანჯარას მიეკრა და ყურადღებით აკვირდებოდა

არემარეს, მატარებელი მაღალ ყრილზე მიდიოდა. იქაურობას გამუდმებით რუკას ადარებდა, სანამ ბრეკჰემპტონში ჩავიდა.

საღამოს წერილი დაწერა და შემდეგ მისამართზე გაგზავნა: „მის ფლორენს ჰილი, 4, მედისონროუდი, ბრეკჰემპტონი“. მეორე დღით ბიბლიოთეკაში წავიდა და ბრეკჰემპტონის მისამართების წიგნი, გეოგრაფიული ცნობარი და საგრაფოს ისტორია შეისწავლა.

მის მარპლის ახალი ვერსია საკმაოდ არადამაჯერებლად და სქემატურად გამოიყურებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მას არაფერი უარყოფდა. მაშასადამე, მოვლენათა ასეთი მსვლელობა სავსებით შესაძლებელი იყო. ამ ეტაპზე მეტი არაფერი უნდოდა, მაგრამ მომდევნო ეტაპი გაცილებით აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა, ამისთვის კი მის მარპლს ძალა უბრალოდ არ ეყოფოდა.

ვარაუდის დასადასტურებლად ან უარსაყოფად დახმარება სჭირდებოდა. მაგრამ ვინ დაეხმარებოდა? მის მარპლმა გონებაში სხვადასხვა ადამიანის გვარები და შესაძლებლობები ჩამოთვალა, მაგრამ ხელის ერთი მოსმით ყველა უარყო. ისინი, ვისი გონებისა და საზრიანობის იმედი ჰქონდა, ძალზე დაკავებულნი იყვნენ, საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებდნენ, თავისუფალი დრო კი საათობრივად გაეწერათ. ნაკლებად საზრიანები კი, თუნდაც გამუდმებით თავისუფალნი, თვითონ მის მარპლს არ სჭირდებოდა.

იგი ფიქრს განაგრძობდა. სადაცაა, სასოწარკვეთილება დაეუფლებოდა, მაგრამ უეცრად სახე გაუნათდა და წამოიძახა:

- რა თქმა უნდა! ლუსი აილსბეროუ.

თავი მეოთხე

ლუსი აილსბეროუს სახელი კარგად იყო ცნობილი განსაზღვრულ წრეებში.

ამჟამად ოცდათორმეტი წლის იქნებოდა. ოქსფორდში სწავლისას მათემატიკის ფაკულტეტზე საუკეთესო სტუდენტის სახელი მოეხვეჭა. საყოველთაო აღიარებით, შესანიშნავი გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩეოდა და ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

ამ ყველაფერთან ერთად, ლუსი აილსბეროუ საოცრად გამჭრიახი და პრაქტიკული ჭკუის ადამიანი გახლდათ. იგი მალე მიხვდა, რომ მეცნიერის სახელი და პატივი ფინანსურ დამოუკიდებლობას არ უზრუნველყოფდა. პედაგოგიური საქმიანობა არ იზიდავდა, სამაგიეროდ, მასზე ნაკლებად ნიჭიერ ინდივიდებთან ურთიერთობას ამჯობინებდა. ერთი სიტყვით, ხალხთან ყოფნა მოსწონდა, ოღონდ ყოველთვის განსხვავებულ ხალხთან. რა დასამალია და, ფულიც უყვარდა. ფულის შოვნის საუკეთესო გზა კი სხვებისთვის იმის შეთავაზება იყო, რაზეც მოთხოვნილება არსებობდა.

ლუსი აილსბეროუმ სწრაფად დაასკვნა, რომ ქვეყანაში კვალიფიციური შინამოსამსახურის უდიდესი დეფიციტი შეიმჩნეოდა. თავისი მეგობრებისა და კოლეგების გასაოცრად, მან სწორედ ეს სფერო აირჩია.

აირჩია და მაშინვე განსაცვიფრებელ წარმატებას მიაღწია. რამდენიმე წლის შემდეგ მისი სახელი მთელ ბრიტანეთში იცოდნენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებად იქცა გახარებული ცოლების მიმართვა ქმრებისადმი: „ყველაფერი მოგვარდა. შენთან ერთად წამოსვლას შევძლებ. ლუსი აილსბეროუ დავითანხმე!“ ლუსი აილსბეროუს ასე იმიტომ აფასებდნენ, რომ, როგორც კი სახლში ფეხს შედგამდა, ოჯახის წევრები ყოველგვარი წუხილისგან, საზრუნავისა და მძიმე და მომაბეზრებელი სამუშაოსგან თავისუფლდებოდნენ. ლუსი აილსბეროუ ნებისმიერ საქმეს აკეთებდა, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, ყველაფერს ითვალისწინებდა, ყველაფერი ხელეწიფებოდა: ხანდაზმულ მშობლებსაც უვლიდა, პატარა ბავშვებსაც და ავადმყოფებსაც; საოცრად გემრიელ კერძებს ამზადებდა; კარგად ეწყობოდა ძველ

მოსამსახურეს, თუ ასეთი სახლში დახვდებოდა; შეეძლო, ყველაზე აუტანელი ხასიათის ადამიანთან საერთო ენა გამოენახა, გამძვინვარებული ლოთი დაეწყინარებინა; ძაღლებიც უჯერებდნენ. და, რაც მთავარია, არაფერს თაკილობდა: ფხეკდა სამზარეულოს იატაკს, ასრულებდა მიწის სამუშაოებს ბაღში, ასუფთავებდა ძაღლების სადგომებს, ტომრით ეზიდებოდა ქვანახშირს!

იგი მკაცრად იცავდა ერთ წესს: არასდროს რჩებოდა ერთ ადგილას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ჩვეულებრივ, ეს ორი კვირა გრძელდებოდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში - ერთი თვე. და ამ ორი კვირისთვის უზარმაზარი თანხა უნდა გადაეხადათ! სამაგიეროდ, ორი კვირა სამოთხეში იცხოვრებდით. შეგეძლოთ, არაფერზე გედარდათ, მშვიდად გამგზავრებულიყავით საზღვარგარეთ, შინ გენებივრათ, სხვა გასართობით დაკავებულიყავით. მთავარია, გეცოდინებოდათ, რომ ლუსის მარჯვე ხელების წყალობით, შინაურ ფრონტზე არაფერი გემუქრებოდათ.

ბუნებრივია, მასზე უდიდესი მოთხოვნილება იყო. რომ მოენდომებინა, სამი წლის სამსახურით უზრუნველყოფილი იქნებოდა. უზარმაზარ თანხას სთავაზობდნენ, რათა მუდმივ სამუშაოზე დაეთანხმებინათ, მაგრამ ლუსის ეს არ ხიბლავდა, ვალდებულებაში ყოფნის ტყვეობას გაურბოდა, ექვსი თვის იქით არავის არაფერს ჰპირდებოდა. მაგრამ ამ ნახევარი წლის განმავლობაშიც ახერხებდა დროის გამონახვას და კლიენტებისგან ფარულად, ხანმოკლე, მაგრამ ძვირად ღირებულ არდადეგებს იწყობდა (თავისი სოლიდური შემოსავლიდან ხომ თითქმის არაფერს ხარჯავდა, ვინაიდან ყველაფერი მზამზარეული ჰქონდა), ან თავს უფლებას აძლევდა, წინასწარ დაუგეგმავი წინადადება მიეღო, თუ რამე მიიზიდავდა, ან მხოლოდ იმიტომ, რომ ის ხალხი მოუვიდოდა თვალში, რომლებსაც იგი სჭირდებოდა. დიახ, შეეძლო, თვითონ აერჩია ვინმე მისი დახმარების მოსურნეთაგან, და, როგორც წესი, ამას იმის სასარგებლოდ აკეთებდა, ვინც ესიმპათიურებოდა. ლუსის ხელს აძლევდა ასეთი ცხოვრება, იგი, ყველაფერთან ერთად, იმის შესაძლებლობასაც აძლევდა, რომ ბევრი ახალი და საინტერესო რამ გაეგო.

ლუსი აილსბეროუს უკვე არაერთხელ გადაეკითხა მის მარპლის წერილი. იგი ორი წლის წინ გაიცნო, როდესაც მწერალმა რეიმონდ უესტმა საკუთარი მოხუცებული დეიდის მოსავლელად მიიწვია, რომელსაც ფილტვების ანთება გადაეტანა. ლუსი შეთავაზებას დათანხმდა და სენტ-მერიმიდში გაემგზავრა.

მის მარპლი მას ძალიან მოეწონა. რაც შეეხება თვითონ მის მარპლს, როგორც კი დაინახა თავისი საძინებლის ფანჯრიდან, თუ როგორ მარჯვედ აფხვიერებდა ლუსი აილსბეროუ ბალის არჯაკელის კვალს, შვებით ამოისუნთქა და ბალიშებზე მიწვა. იგი მაღიანად მიირთმევდა დიეტურ, მაგრამ ძალზე გემრიელ კერძებს, რომლებითაც ლუსი მას ანებივრებდა, და სასიამოვნოდ გაოცდა, როდესაც ხანში შესულმა ბუზდუნა მოახლემ ამაყად აუწყა: „იმ თქვენს მის აილსბეროუს ყაისნალით ქსოვისას ისეთი ნახეი ვაჩვენე, როგორც არასდროს ენახა! რომ იცოდეთ, რამდენი მადლობა გადამიხადა!“ ძალიან მალე მის მარპლი გამოკეთდა, რითაც გვარიანად გააკვირვა მკურნალი ექიმი.

წერილში მის მარპლი ლუსი აილსბეროუს ეკითხებოდა, ხომ არ დათანხმდებოდა იგი საკმაოდ უჩვეულო დავალების შესრულებას, და შეეძლო თუ არა მასთან შეხვედრა ამ საკითხის განსახილველად.

ლუსი აილსბეროუმ წამით შუბლი შეიჭმუნა და დაფიქრდა. მას ყოველი დღე გაწერილი ჰქონდა, მაგრამ უჩვეულო დავალების ხსენებამ და მის მარპლისადმი სიმპათიამ ყველაფერი გადაწონა. მაშინვე დაურეკა მოხუცებულს და უთხრა, რომ ჯერჯერობით არ ეცალა და სენტ-მერიმიდში ვერ ჩავიდოდა, მაგრამ მომდევნო დღეს ორიდან ოთხამდე თავისუფალი იქნებოდა და შეეძლოთ, ლონდონში შეხვედროდნენ ერთმანეთს. თუ სად, ამის არჩევას მის მარპლს სთავაზობდა. სათადარიგო ვარიანტად საკუთარი კლუბი დაასახელა - არაფრით გამორჩეული დაწესებულება, სადაც ყოველთვის მოიძებნებოდა ერთი-ორი თავისუფალი კაბინეტი.

მის მარპლი დაეთანხმა და მეორე დღეს შეხვედრაც შედგა.

ორმხრივი მისაღმების შემდეგ ლუსი აილსბეროუ სტუმარს ყველაზე ჩაბნელებული ოთახისკენ გაუძღვა.

- ვშიშობ, მის მარპლ, - თქვა მან, - თავისუფალი დღის გამონახვა გამიჭირდება, მაგრამ იქნებ ჯერ თქვენი დავალების შინაარსი გამაცნოთ.

- ეს ძალზე იოლი საქმეა, - მიუგო მის მარპლმა, - უჩვეულო, თუმცა მარტივი. მინდა, რომ გვამი იპოვოთ.

თავდაპირველად ლუსიმ გაიფიქრა, რომ მის მარპლს თავში ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. მის მარპლი უაღრესად კეთილგონიერი ადამიანი იყო და სწორედ იმას გულისხმობდა, რასაც ამბობდა.

- ვისი გვამი? - იკითხა ლუსი აილსბეროუმ შესაშური თავშეკავებით.

- ქალის, - მოკლედ მიუგო მის მარპლმა, - რომელიც მატარებელში მოკლეს - გაგუდეს.

ლუსიმ წარბები ოდნავ აზიდა. - ეს მართლა უჩვეულო საქმეა. დაწვრილებით მომიყევით, თუ შეიძლება.

მის მარპლმა ყველაფერი უამბო. ლუსი აილსბეროუ ყურადღებით უსმენდა და არ აწყვეტინებდა. ბოლოს კი თქვა:

- მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ეს ყველაფერი თქვენმა მეგობარმა დაინახა თუ მოეჩვენა?..

მან წინადადება არ დაასრულა და ეს შეკითხვასავით გაისმა.

- ელსფეთ მაკგილიკადის წარმოსახვის უნარი არა აქვს, - თქვა მის მარპლმა, - აი, რატომ ვენდობი მის სიტყვებს. მის ადგილას დოროთი კარტრაიტი რომ ყოფილიყო,

სულ სხვა საქმე იქნებოდა. დოროთის ყოველთვის გამზადებული აქვს დაუჯერებელი

ამბავი და, რაც მთავარია, ხშირად თვითონვე სჯერა მისი. ცხადია, მის ნათქვამში სიმართლის მარცვალი ყოველთვის არის, მაგრამ - მხოლოდ მომცრო მარცვალი. ელსფეთი კი სულ სხვანაირია. თითქმის წარმოუდგენელია, რომ მან ექსტრაორდინარული ან ძალზე უჩვეულო ამბავი ირწმუნოს. კლდესავით შეუვალია. მას ვერაფერს ჩააგონებთ.

- გასაგებია, - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა ლუსიმ, - კარგი, დავუშვათ, ასეა. მე რა შემიძლია?

- გამოგიტყდებით, მაშინ ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინეთ, - მიუგო მის მარპლმა, - ალბათ ხვდებით, რომ იმის ძალა აღარ შემწევს, ყველაფერი გავაკეთო, რაც აუცილებელია...

- და გინდათ, რომ გამოძიებას მე მოვკიდო ხელი? ამას გულისხმობთ? მაგრამ ეს ხომ პოლიციამ უკვე გააკეთა, არა? თუ ფიქრობთ, რომ მათ საქმეს რაღაც დააკლეს?

- ოჰ, არა, - თქვა მის მარპლმა, - მათ ყველაფერი იღონეს, რაც ასეთ შემთხვევაში მოეთხოვებოდათ. მაგრამ მე რაღაც აზრი ჩამომიყალიბდა გვამის შესახებ... ის ხომ სადღაც უნდა იყოს. რახან ვაგონში არ აღმოჩნდა, მაშასადამე, გადაუგდიათ... არადა, მას ვერც ლიანდაგებზე მიაგნეს. მე განზრახ გავიარე იგივე მარშრუტი, შევამოწმე, ხომ არ იყო სადმე ისეთი ადგილი, სადაც მატარებლიდან გვამის გადაგდება შეიძლებოდა ისე, რომ იგი რკინიგზის ვაკისზე არ დარჩენილიყო... უნდა გითხრათ, რომ არის ასეთი ადგილი. ბრეკჰემპტონის სიახლოვეს რკინიგზის ხაზი მოზრდილ რკალს აკეთებს და იქ მატარებელი მაღალ ყრილზე მიდის. თუ გვამი იმ ადგილას გადააგდეს, სადაც მატარებელი უხვევს, ის უეჭველად ქვევით ჩაგორდებოდა.

- მაგრამ მას ხომ მაინც მიაგნებდნენ - იქაც კი?

- ოჰ, დიახ, თუ ის იქიდან არავინ წაიღო... თუმცა, ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა კი შეხედეთ: აი, ეს ადგილი რუკაზე.

ლუსი დაიხარა და მის მარპლის თითს თვალი გააყოლა.

- ამჟამად ის ბრეკჰემპტონის გარეუბნად მიიჩნევა, უწინ კი ქალაქგარეთ მდებარე სახლი იყო, უზარმაზარი პარკითა და მამულით, რომელიც ჯერაც ხელუხლებელია, თუმცა პატარა კოტეჯებითა და ახალმშენებლობებითაა გარშემორტყმული. მას რეზერვორდჰოლს უწოდებენ. სახლი 1884 წელს ვინმე კრეკენტორპმა, შეძლებულმა ფაბრიკანტმა ააშენა. იქ ახლა მისი ვაჟიშვილი, უკვე ხანში შესული კაცი ცხოვრობს თავის ქალიშვილთან ერთად. მამულის თითქმის ნახევარს რკინიგზის ლიანდაგი გასდევს.

- რა გსურთ, რომ გავაკეთო? - იკითხა ლუსიმ.

მის მარპლმა პასუხი არ დაახანა:

- მინდა, რომ იქ სამუშაოდ მოეწყოთ. ახლა ყველას სჭირდება სახლში კარგი დამხმარე. ასე რომ, ეს რთული არ უნდა იყოს.

- ვფიქრობ, მართალი ხართ.

- როგორც ამბობენ, მისტერ კრეკენტორპი ძალზე ძუნწია. თუ მცირე გასამრჯელოს შემოგთავაზებენ, მზად ვარ, თანხა დავამატო. ჩემი აზრით, საკმაოდ სოლიდური ხელფასი უნდა გქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, საშუალოზე მაღალი მაინც.

- დანამატს სირთულის გამო გაიღებთ?

- არა იმდენად სირთულის, რამდენადაც საშიშროების გამო. ეს შესაძლოა, მართლა სახიფათო აღმოჩნდეს. ვალდებული ვარ, გაგაფრთხილოთ.

- არა მგონია, საფრთხის შესაძლებლობამ შემაშინოს, - ჩაფიქრებული სახით თქვა ლუსიმ.

- მეც ასე ვფიქრობ. ასეთ ადამიანს არ ჰგავხართ.

- გავკადნიერდები და გკითხავთ: ხომ არ გგონიათ, რომ ხიფათი მიზიდავს კიდევ? ცხოვრებაში საფრთხის წინაშე არაერთხელ ვმდგარვარ. ეს მართლა სარისკო საქმედ მიგაჩნიათ?

- ვილაცამ დანაშაული ჩაიდინა და მას ეს შერჩა, - შეახსენა მის მარპლმა, - არც გაზეთებს აუტეხავთ ხმაური, არავის არაფერი უეყქვია. ორი მოხუცებული ქალი საკმაოდ დაუჯერებელ ამბავს მოჰყვა, პოლიციამ გამოძიება ჩაატარა და მათი ნათქვამის დამადასტურებელი ვერაფერი აღმოაჩინა. ყველაფერი წყნარად და მშვიდად დასრულდა. არა მგონია, დამნაშავეს (ვინც უნდა იყოს იგი) მოეწონოს, თუ ამ საქმეს კვლავ მოჰკიდებენ ხელს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მცდელობა შედეგს გამოიღებს.

- კონკრეტულად რა უნდა ვეძებო?

- თავდაპირველად... იმ ადგილას, ყრილთან, შესაძლოა, ტანსაცმლის ნაგლეჯი დარჩა, ან ტოტები გადატყდა... რაღაც ამგვარი.

ლუსიმ თავი დააქნია.

- შემდეგ?

- მეც შორიახლოს ვიქნები, - მიუგო მის მარპლმა, - ბრეკჰემპტონში ჩემი ძველი და ერთგული მსახური, ფლორენსი ცხოვრობს. წლების განმავლობაში იგი საკუთარ ხანდაზმულ მშობლებს უვლიდა. ამჟამად ორივე გარდაცვლილია და ფლორენსი ოთახებს აქირავებს, ცხადია, მხოლოდ წესიერ ხალხზე. მას უკვე მოველაპარაკე - მასთან ვიცხოვრებ, თვალისჩინივით მომიფრთხილდება. მინდა, ყოველი

შემთხვევისთვის, თქვენ გვერდით ვიყო. კარგი იქნება, თუ იტყვით, რომ მეზობლად

მოხუცი დეიდა გყავთ და ამიტომაც გსურთ აქ გადმოსვლა. თავისუფალი დროც მოითხოვეთ, რათა მისი ხშირად მონახულება შეძლოთ.

ლუსიმ კვლავ დააქნია თავი.

- ზეგ ტაორმინში ვაპირებდი გამგზავრებას, - თქვა მან, - მაგრამ არა უშავს, ცოტა ხნით გადავდებ. ოღონდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მხოლოდ სამი კვირა მაქვს თავისუფალი, შემდეგ დაკავებული ვიქნები.

- სამი კვირა სავსებით საკმარისია, - მიუგო მის მარპლმა, - თუ ამ ხნის განმავლობაში ვერაფერს აღმოვაჩენთ, საკუთარი სინდისის წინაშე მართლები ვიქნებით და ამ ამბავს კომმარული სიზმარივით დავივიწყებთ.

მის მარპლი წავიდა. ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ ლუსიმ მოსამსახურეთა დაქირავების ბრეკჰემპტონის ბიუროში დარეკა, რომლის უფროსიც მისი დიდი ხნის ნაცნობი იყო. მან მარჯვედ მოფიქრებული საბაბით, რამდენიმე ხელსაყრელ წინადადებაზე უარი განაცხადა. მისმა მოთმინებამ შედეგი გამოიღო - ბოლოს რეზერფორდჰოლიც ახსენეს.

- ვფიქრობ, ეს სწორედ ისაა, რაც მჭირდება, - მტკიცედ განაცხადა ლუსიმ.

ბიუროდან მის კრეკენტორპს დაუკავშირდნენ. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ლუსის დაურეკა.

ორი დღის შემდეგ მის აილსბეროუ ლონდონიდან რეზერფორდჰოლში გაემგზავრა.

ლუსი საკუთარი პატარა ავტომობილით რკინის დიდ ქიშკარში შევიდა. იქვე ძალზე შელახული პატარა ჯიხური იდგა. დანამდვილებით ვერ იტყოდით, ის ომს დაეზიანებინა თუ ამის მიზეზი პატრონის დაუდევრობა იყო. მიხვეულ-მოხვეულმა გზამ, რომლის ორივე მხარეს პირქუში როდოდენდრონები მოჩანდა, ლუსი მიიყვანა სახლამდე, რომლის დანახვაზეც კინაღამ სუნთქვა შეეკრა: მის წინ ნამდვილი, ოღონდ მინიატიურული უინძორის სასახლე იდგა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ქვის საფეხურები გაწმენდას საჭიროებდა, მოხრეშილ გზაზე კი სარეველებს წამოეყოთ თავი.

ლუსიმ ხელი ძველმოდურ, რკინისგან ნაჭედ ზარს შემოჰკრა, რომლის ხმაც ექოსავით გაისმა სახლის შიგნით. კარი დაუდევრად ჩაცმულმა ქალმა გააღო,

რომელიც ხელებს წინსაფარზე იწმენდდა და მოსულს ეჭვის თვალით შესცქეროდა. - გკელოდებიან, არა? - იკითხა მან. - მითხრეს, მის რაღაცბეროუ უნდა მოვიდესო. - მართალია, ეს მე ვარ, - მიუგო ლუსიმ.

სახლში უჩვეულო სიცივე იგრძნობოდა. ქალი სტუმარს ჩაბნელებულ ჰოლში გაუძღვა და მარჯვნივ მდებარე კარი შეაღო. ლუსის გასაოცრად, საკმაოდ სასიამოვნო სასტუმრო ოთახი აღმოჩნდა, მრავალი წიგნითა და ჩითგადაკრული სკამებით.

- მოვახსენებ თქვენ შესახებ, - თქვა ქალმა, წავიდა და კარი გაიხურა, თუმცა მანამდე ლუსის საკმაოდ მტრულად გადახედა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი კვლავ გაიღო. ლუსი მაშინვე მიხვდა, რომ მის ემა კრეკენტორპი მოეწონებოდა.

ეს გახლდათ საშუალო ასაკის, არცთუ გამორჩეული გარეგნობის ქალი: არც ლამაზი ეთქმოდა, არც ულამაზო. პრაქტიკულად ეცვა - ტვიდის კოსტიუმი და პულოვერი, მუქი თმა უკან გადაევარცხნა, თაფლისფერი თვალები და ძალზე სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

- მის აილსბეროუ? - თქვა მან და ლუსის ხელი გაუწოდა.

შემდეგ დაეჭვებით შეხედა.

- საინტერესოა, დაგაკმაყოფილებთ თუ არა ეს ადგილი, - განაგრძო მის კრეკენტორპმა, - საქმე ისაა, რომ მე არ მჭირდება ეკონომი, რომელიც ყველაფერს გააკონტროლებს, ისეთ ადამიანს ვეძებ, თვითონ რომ შეძლებს ყოველგვარი საქმის კეთებას.

ლუსიმ მიუგო, რომ მისი კლიენტები ყველაზე ხშირად სწორედ ამას მოითხოვდნენ.

- ბევრს ჰგონია, - თქვა ემა კრეკენტორპმა ბოდიშის კილოთი, - მტვრის მსუბუქად გადაწმენდაც საკმარისია. ამის გაკეთება ხომ მეც შემიძლია.

- თქვენი კარგად მესმის, - მიუგო ლუსიმ, - გსურთ, რომ საჭმელი მოვამზადო, ყურჭელი გავრეცხო, სახლი დავალაგო და ბოილერს ნახშირი არ მოვაკლო, ხომ ასეა? ნუ ღელავთ, ყველაფერს გავაკეთებ. სამუშაო არ მაშინებს.

- ჩვენ - საკუთარ თავს და მამაჩემს ვგულისხმობ - დიდი და არცთუ მოსახერხებელი სახლი გვაქვს. მხოლოდ რამდენიმე ოთახს ვიყენებთ. მამა თითქმის ინვალიდია. წყნარად და მოკრძალებულად ვცხოვრობთ. სამზარეულოში ჩვეულებრივი, „აგას“ ფირმის გაზქურა გვიდგას. რამდენიმე ძმა მყავს, რომლებიც აქ იშვიათად ჩამოდიან. ორი მოსამსახურე გვყავს. მისის ქიდლერი ყოველ დილას მოდის, მისის ჰარტი კი - კვირაში სამჯერ: ბრინჯაოს ნივთების გასაწმენდად და ასე

შემდეგ. საკუთარი მანქანა თუ გყავთ?

- დიახ, მაგრამ თუ გადახურული სადგომი არ გაქვთ, ღია ცის ქვეშ დავაყენებ. ის ამას მიჩვეულია.

- ოჰ, არა. აქ რამდენიმე ძველი საჯინიბოა, ასე რომ, ამაზე ნუ იდარდებთ, - მის კრეკენტორპმა წამით შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა და დაამატა: - აილსბეროუ... საკმაოდ უჩვეულო გვარია. ჩემი მეგობრები ლუსი აილსბეროუს შესახებ მიყვებოდნენ... კენელები ხომ არა?

- დიახ, მათთან ჩრდილოეთ დევონში ვცხოვრობდი, როდესაც მისი კენედის შვილი შეეძინა.

ემა კრეკენტორპს გაეღიმა. - როგორც მითხრეს, მათთვის ეს დაუვიწყარი დრო იყო - თქვენ ყველაფერს

ასწრებდით. მაგრამ, როგორც ვხვდები, თქვენი მომსახურება ძალიან ძვირი ღირს. თანხა, რომელიც განცხადებაში მივუთითეთ...

- ის სავსებით მაკმაყოფილებს, - თქვა ლუსიმ, - საქმე ისაა, რომ ბრეკჰემპტონის გარეუბანში ვეძებ ადგილს. ჩემს მოხუცებულ დეიდას ჯანმრთელობა გაუუარესდა და მინდა, მის სიახლოვეს ვიყო. ამიტომ ახლა ჩემთვის ფული მთავარი არაა. უმოქმედოდ ვერ ვიქნები. მექნება თუ არა თავისუფალი დრო?

- ოჰ, რასაკვირველია. ყოველდღე, ლანჩიდან საღამოს ექვს საათამდე. მისაღებია?

- ეს იდეალური იქნებოდა. მის კრეკენტორპი ცოტათი შეყოყმანდა, სანამ იტყოდა:

- მამაჩემი ხანში შესული კაცია... საკმაოდ რთული ხასიათი აქვს. ძალზე ხელმომჭირნეა და ზოგჯერ შეიძლება, კაცს სრულიად უმიზეზოდ აწყენინოს. არ მინდა, რომ...

- ხანდაზმულებთან ურთიერთობას მიჩვეული ვარ, - გააწყვეტინა ლუსიმ, - ყოველთვის ვახერხებ მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, ყველაზე ჭირვეულებისაც

კი.

ემა კრეკენტორპმა შვებით ამოისუნთქა.

„მამასთან პრობლემები აქვს! - დაასკვნა ლუსიმ. - დარწმუნებული ვარ, მოხუცი კერკეტი კაკალი იქნება“.

ემა კრეკენტორპმა ჯერ მისთვის განკუთვნილი, საკმაოდ დიდი, თუმცა პირქუში

საძინებელი უჩვენა, რომლის გათბობაც ამაოდ ჰქონდა მინდობილი პატარა ელექტროგამათბობელს, შემდეგ კი მთელი სახლი დაათვალიერებინა - უზარმაზარი და არაკომფორტული. როდესაც ჰოლში ერთ-ერთ ოთახს ჩაუარეს, იქიდან ვიღაცის ღრიალი გაისმა:

- ეს შენ ხარ, ემა? ახალი ქალიშვილიც მანდ არის? აქ მომიყვანე, რომ კარგად შევათვალიერო.

ემა წამოწითლდა და ლუსის ბოდიშის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

ისინი ოთახში შევიდნენ. კედლებზე ძვირფასი ხავერდი გაეკრათ, ვიწრო

ფანჯრებში სინათლე ძნელად აღწევდა, ყველგან წითელი ხისგან დამზადებული მძიმე, ვიქტორიის სტილის ავეჯი მოჩანდა.

მოხუცი მისტერ კრეკენტორპი ინვალიდის ეტლში გაჭიმულიყო. იქვე ვერცხლისბუნიკიანი ხელჯობი მიეყუდებინა.

მაღალი და გამხდარი კაცი იყო, კანი მომჩვაროდა, წინ წამოწეული ყბებით მოჩხუბარ ბულდოგს ჰგავდა, მუქ თმაში ჭალარა მოუჩანდა, პატარა თვალებით ეჭვიანად იყურებოდა.

- აბა, ერთი შეგხედოთ, ვინ ბრძანდებით, ახალგაზრდა ქალბატონო! ლუსიმ მორჩილად გაუღიმა და მიუახლოვდა.

- მინდა, თავიდანვე აგიხსნათ ერთი რამ. ის, რომ დიდ სახლში ვცხოვრობთ, სულაც არ ნიშნავს, რომ მდიდრები ვართ. მდიდრები არ ვართ. უბრალოდ ვცხოვრობთ - გასაგებია? უბრალოდ! არავითარი პომპეზურობა და მსგავსი იდეები! კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ვირთევა პალტუსს არაფრით ჩამოუვარდება. უთავბოლოდ ხარჯვას არ დავუშვებ. ამ სახლში იმიტომ ვცხოვრობ, რომ ის მამაჩემმა ააშენა და მე ის მომწონს. როდესაც მოვკვდები, თუ მოისურვებენ, გაყიდონ კიდეც... ჩემი აზრით, მოისურვებენ... ოჯახის კერა არაფრად მიაჩნიათ. სახლი მტკიცედაა აშენებული, მყარად დგას. ირგვლივ ყველგან ჩვენი მიწაა, ასე რომ, უცხო არავინაა. ეს მიწა რომ სახლების მშენებლობისთვის გავყიდო, ოქროში ვიბანავებ, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ამას არ დავუშვებ. აქაურობას ვერავინ მომაცილებს, მხოლოდ ფეხებით წინ თუ გამიტანენ.

მან ლუსის მრისხანე მზერა მიაპყრო. - ჩემი სახლი - ჩემი ციხესიმაგრეა, - თქვა ქალიშვილმა. - დამცინით?

- აზრადაც არ მომსვლია. ვფიქრობ, შესანიშნავია სოფლურ გარემოში ცხოვრება, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქი გაკრავთ გარს.

- მართაღს ამბობთ. აქედანსხვა სახლი არც კი ჩანს. მხოლოდ მდელოებია, რომლებზეც საქონელი ბალახს ძოვს. და ეს ბრეკჰემპტონის ცენტრში ხდება! მართალია, ზოგჯერ ქარს ქალაქის ხმაური მოაქვს ხოლმე... მაგრამ სხვა მხრივ, ნამდვილი სოფელია.

უეცრად იგი თავის ქალიშვილს მიუბრუნდა და ყოველგვარი პაუზის გარეშე, იმავე ხმით უბრძანა:

- იმ წყეულ, უტვინო ექიმს დაურეკე და უთხარი, რომ მის მიერ გამოწერილი ბოლო წამალი არაფრად ვარგა.

ლუსი და ემა გავიდნენ.

- ის წყეული ქალი აქ აღარ შემოუშვა, - მიაძახა კაცმა შვილს, - აი, ის, მტვერს რომ წმენდს. ჩემი წიგნები სულ აურ-დაურეცია!

- დიდი ხანია, რაც მისტერ კრეკენტორპი დაინვალიდდა? - იკითხა ლუსიმ.

- ოჰ, უკვე რამდენიმე წელია... - ორჭოფულად მიუგო ემამ. - აი, ჩვენი სამზარეულოც.

უზარმაზარი სამზარეულო იყო. უმველებელი, ცივი და მიტოვებული ქურის გვერდით, „აგას“ ღუმელი მიყუჟულიყო.

ლუსიმ საუზმობის, სადილობისა და ვახშმობის დრო დააზუსტა და საკუჭნაო მოათვალიერა, შემდეგ კი მხიარულად მიმართა ემა კრეკენტორპს:

- აჰა, ესეც ასე. არაფერზე ინერვიულოთ. ყველაფერი მე მომანდეთ.

იმ საღამოს, სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, ემა კრეკენტორპმა შვებით ამოისუნთქა.

„კენედებს სიმართლე უთქვამთ, - გაივლო გულში, - შესანიშნავი ქალი ყოფილა“.

მეორე დილით ლუსი ექვს საათზე ადგა, ოთახები მიალაგა, ბოსტნეული გაასუფთავა, საუზმე გაამზადა და მამა-შვილს მიართვა. შემდეგ მისი ქიდერთან ერთად ლოგინები დააგო. თერთმეტ საათზე ორივენი სამზარეულოში შევიდნენ მაგარი ჩაის დასალევად და ნამცხვრის მისაყოლებლად. იმით დამშვიდებული, რომ ლუსი ცხვირს არ იბზეკდა, ჩაი კი ზომიერად მაგარი და ტკბილი იყო, მისი ქიდერი, ეს დაბალი და გამხდარი ქალი მკაცრად მოკუმული ტუჩებითა და გამჭოლი მზერით, მოდუნდა და ლაპარაკის ხასიათზე დადგა.

- ის ბებერი ნამდვილი წუწურაქია! რომ იცოდეთ, რამდენს უთმენს მის კრეკენტორპი, თუმცა არც ისეთი მიამიტია, როგორც ჩანს. თუ დასჭირდა, საკუთარი

აზრის დაცვაც შეუძლია. როდესაც ჯენტლმენები ჩამოდიან, თვალი უჭირავს, რომ ჭამის საკითხი მოგვარებული იყოს.

- ჯენტლმენები?

- დიახ. ეს ხომ დიდი ოჯახი იყო. უფროსი, მისტერ ედმუნდი, ომში დაიღუპა. შემდეგ - მისტერ სედრიკი. ის საზღვარგარეთ ცხოვრობს, რომელიდაც ქვეყანაში. უცოლშვილოა. უცხო მხარეში მხატვრობას მისდევს. მისტერ ჰაროლდი ლონდონშია, სიტში საკუთარი ოფისი აქვს, გრაფის ქალიშვილზე იქორწინა. მას მისტერ ალფრედი მოჰყვება. მშვენიერი კაცია, ოღონდ ცოტა თავქარიანია. ერთი-ორჯერ უსიამოვნებაში გაეხვია, მაგრამ გამოძვრა. კიდევ არის მისტერ ბრაიანი, მის ედიტის ქმარი, დიდებული ადამიანი. ცოლი რამდენიმე წლის წინ მოუკვდა, მაგრამ მაინც ოჯახთან დარჩა. ასე რომ, ოჯახის სრულფასოვანი წევრია. და კიდევ - ალექსანდრე, მის ედიტის პატარა ვაჟი. იგი სკოლაში სწავლობს, მაგრამ არდადეგებზე ყოველთვის ჩამოდის ხოლმე. მის ემამ ის ლამის სულში ჩაიძვრინოს.

ლუსი ყველაფერს გულმოდგინედ იმახსოვრებდა, თან გამუდმებით უმატებდა ჩაის თავის ინფორმატორს. ბოლოს მისი ქიდერი უხალისოდ

წამოდგა.

- კარგად კი ვისიამოვნეთ ჩაით ამ დილით, - თქვა მან გაოცებით, თითქოს მსგავსს არაფერს ელოდებოდა, - თუ გნებავთ, კარტოფილის გათლაში დაგეხმარებით.

- უკვე გავთალე.

- გამაგებინეთ, როგორ ასწრებთ ამდენ საქმეს?! მაშინ, თუ გასაკეთებელი არაფერია, წავალ.

მისის ქიდერი წავიდა, ლუსიმ კი მომენტით ისარგებლა და სამზარეულოს მაგიდის წმენდას შეუდგა. ამის გაკეთება დილიდანვე უნდოდა, მაგრამ აჭიანურებდა, რათა მისის ქიდერს არ სწყენოდა - ეს ხომ მისი მოვალეობა იყო. შემდეგ ლუსიმ ვერცხლეული გააპრიალა, ლანჩი მოამზადა, მაგიდა მიალაგა, ჭურჭელი გარეცხა და სამის ნახევრისთვის დაზვერვაზე წასასვლელად მოემზადა. ლანგარზე ჩაის სერვიზი, სენდვიჩები, პური და კარაქი დააწყო და ნამიანი ხელსახოცი გადააფარა, რათა საქმელი გახმობისგან დაეცვა.

თავდაპირველად ბაღში გაისეირნა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო ახლახან ჩამოსული ადამიანისთვის. ბოსტანში თითებზე ჩამოსათვლელ ბოსტნეულს მოჰკრა თვალი, სათბურების ნაცვლად, ხელში ნანგრევები შერჩა. ყველა ბილიკი სარეველებს დაეფარა. მხოლოდ სახლთან მდებარე ყვავილნარი ტოვებდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას - მას აშკარად ეტყობოდა მის ემას ხელი. მოხუცებული, სმენადაქვეითებული მეზობე თავს იკატუნებდა, თითქოს მუშაობდა, სინამდვილეში კი ბევრს არაფერს აკეთებდა. ლუსი გულთბილად გამოელაპარაკა მას და გაარკვია, რომ იგი საჯინბოების დამაკავშირებელი ეზოს გვერდით მდგარ კოტეჯში ცხოვრობდა.

ამ ეზოდან პარკში ორმხრივ შემოღობილი ხეივანი გადიოდა და ყრილისკენ, უფრო სწორად, რკინიგზის ხიდის თალისკენ მიემართებოდა, რომლის ქვეშაც ვიწრო გზას უერთდებოდა. რამდენიმე წუთში ერთხელ ყრილზე გრუხუნით მიქროდა მატარებელი. რკალზე შესვლამდე, უკნიდან რომ შემორტყმოდა კრეკენტორპების მამულს, სვლას ანელებდა. ლუსიმ ხიდქვეშ გაიარა და გზაზე გავიდა. ჩანდა, რომ აქ იშვიათად თუ გაივლიდა ვინმე. ერთ მხარეს რკინიგზის ყრილი იყო, მეორე მხარეს - მაღალი კედელი რომელიდაც ფაბრიკის შენობებს ფარავდა. ლუსი გზას გაუყვა და მალე ქუჩას მიადგა, სადაც პატარა სახლები აეშენებინათ. აქ მთავარ ქუჩაზე მიმავალი მანქანების ყრუ ხმა ისმოდა.

ლუსიმ საათს დახედა, უახლოესი სახლიდან გამოსული ქალი გააჩერა და ჰკითხა:

- მაპატიეთ, ხომ ვერ მეტყვით, აქ სადმე ტელეფონი-ავტომატი თუ არის?

- ფოსტასთან, ქუჩის კუთხეში.

ლუსიმ გზა განაგრძო, სანამ ფოსტას არ მოჰკრა თვალი. ერთ შენობაში ფოსტაც მდებარეობდა და მაღაზიაც. კედელთან ტელეფონის ჯიხური იდგა. ლუსი შიგნით შევიდა, ნომერი აკრიფა და მის მარპლი იკითხა.

- ისვენებს, - უკმეხად მიუგო ვიდაც ქალმა, - ვინც გინდა მთხოვოს, მაინც არ შევაწუხებ. მის მარპლი ისეთ ასაკშია, რომ კარგი დასვენება სჭირდება. რა გადავცე, ვინ დარეკა-თქო?

- მის აილსბეროუმ. მის მარპლის შეწუხება მართლა არ ღირს. უთხარით, რომ ჩავედი, რომ ყველაფერი კარგადაა და როგორც კი სიახლე იქნება, მაშინვე შევატყობინებ.

ლუსიმ ყურმილი დაკიდა და რეზერფორდჰოლში დაბრუნდა.

თავი მეხუთე

- ვფიქრობ, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ პარკში ყვანჯითა და ბურთით წავივარჯიშებ, - თქვა ლუსიმ.

- ოჰ, ცხადია, არა. გიყვართ გოლფი?

- ძალზე საშუალოდ ვთამაშობ, მაგრამ ის ფორმის შენარჩუნებაში მეხმარება. მეტი მხიარულებაა, ვიდრე ფეხით სეირნობისას.

- სხვა სასეირნო ადგილი არც არის, ჩვენი პარკის გარდა, - უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მისტერ კრეკენტორპმა, - ყველგან ტროტუარი და საცოდავი ყუთები დგას, რომლებსაც რატომღაც, სახლებს უწოდებენ. რომ მიუშვა, ჩემს მიწაზეც ასეთებს ააშენებენ. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ამას ვერ ეღირსებიან. სიკვდილს კი ჯერ არ ვაპირებ.

- არ გინდა, მამა, - დაყვავებით მიუგო ემა კრეკენტორპმა.

- ვიცი, ვიცი, რაზე ოცნებობს ყველა. უკლებლივ ყველა! სედრიკიც, ეს მელასავით ეშმაკი ჰაროლდი თვითკმაყოფილი სახით... ალფრედი კი... საოცარია, რომ ჯერაც არ უცდია, საკუთარი ხელით გამისტუმროს იმ ქვეყნად. თუმცა, შესაძლოა, სცადა კიდევ შობის წინ. მაშინ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი და ბებერმა ქუიმპერმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. შემპარავი კილოთი ათასგვარ შეკითხვას მისვამდა.

- კუჭის აშლილობა ყველას ემართება.

- კარგი, კარგი, ბარემ პირდაპირ მითხარი, რომ მაშინ ზედმეტი შევყამე. შენ ხომ ამას გულისხმობ? მერედა, რატომ შევჭამე ზედმეტი? იმიტომ, რომ მაგიდაზე უზომოდ ბევრი საჭმელი იყო. უზომოდ. წარმოუდგენელი უყაირათობაა! სხვათა შორის... აი, თქვენ, ძვირფასო, ლანჩისთვის ხუთი კარტოფილი მოამზადეთ, თანაც საკმაოდ მოზრდილი. მე და ემას კი ოთხი გვეყო. ერთი კარტოფილი ტყუილუბრალოდ დაიკარგა. ასე რომ, ეს სამომავლოდ გაითვალისწინეთ.

- ტყუილუბრალოდ არ დაკარგულა, მისტერ კრეკენტორპ. ვახშმად ესპანური ომლეტის მომზადებას ვაპირებ და სწორედ იქ გამოვიყენებ.

- 30!

როდესაც ლუსის ოთახიდან ლანგარზე დაწყობილი ყავის ფინჯნები გაჰქონდა, გაიგონა, როგორ ჩაიბურტყუნა მოხუცმა მოწონების ნიშნად:

- მოხერხებული ახალგაზრდაა. კარგად ამზადებს, თუმცა... შესახედავადაც ლამაზია.

ლუსიმ ყვანჯებიანი ჩანთიდან, რომელიც წინდახედულად გაიყოლა, ყველაზე მსუბუქი ამოიღო და პარკში შევიდა.

მან რამდენიმე დარტყმა შეასრულა. ხუთიოდე წუთის შემდეგ განზრახ უხერხულად ნასროლი ბურთი რკინიგზის ყრილზე დაეცა. ლუსი მის მოსამებნად გაემართა. მოიხედა და სახლს თვალი შეავლო: საკმაოდ შორს იყო და, როგორც ჩანს, მისი თავი არავის ჰქონდა. ლუსიმ ბურთის ძეხა განაგრძო, შიგადაშიგ ბურთი „შემთხვევით“, ხან კვლავ ყრილზე ეცემოდა, ხან - მის ქვემოთ წამოზრდილ ბალახზე. ორი საათის განმავლობაში ყრილის მესამედის გულდასმით დათვალიერება მოახერხა. ვერაფერი აღმოაჩინა. ახლა ბურთები სახლის მიმართულებით გაგზავნა.

მეორე დღეს რაღაც მნიშვნელოვანს წააწყდა. ყრილის ფერდობის შუაგულში ამოზრდილი კვრინჩხის ბუჩქის ზედა ტოტები გადატეხილი იყო და იქვე ეყარა. ლუსი ბუჩქს დააკვირდა. ერთ-ერთ ეკალზე ქურქის ნაგლეჯი ეკიდა, თითქმის ქერქის ფერის - ღია ყავისფერი. ლუსი დიდხანს მისჩერებოდა მას, შემდეგ ჯიბიდან მაკრატელი ამოიღო, ფრთხილად მოაყრა ნახევარი და კონვერტში შეინახა, რომელიც წინდახედულად წამოეღო თან. ციცაბო ფერდობზე დაეშვა და ახლა ბალახი შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ ვიღაცის კვალს მოჰკრა თვალი... ძლივს შესამჩნევს, თუმცა - არა საკუთარს. ალბათ, რაღაც დრო გავიდა, სანამ დაწოლილი ბალახი წამოიმართა და საკმაოდ გაიზარდა კიდევ. ერთი სიტყვით, ლუსი ეჭვმა შეიპყრო. გადაწყვიტა, გულდასმით დაეთვალიერებინა ადგილი გადატეხილი ბუჩქის ქვეშ. მალე მოთმინება დაუფასდა: ხშირ ბალახში რაღაც ნივთს მიაგნო. ეს ემალისსახურავიანი იაფფასიანი საპუდრე აღმოჩნდა. ლუსიმ ის ცხვირსახოცში გაახვია და ჯიბეში დამალა. ძეხა განაგრძო, მაგრამ სხვა ვერაფერი არმოაჩინა.

მომდევნო დღეს მანქანაში ჩაჯდა და „ავადმყოფი“ დეიდის სანახავად გაემურა.

- უკან დაბრუნება არ იჩქაროთ, - გულწრფელად უთხრა ემა კრეკენტორპმა, - ვახშამდე არ დაგვჭირდებით.

- გპმადლობთ, ექვსისთვის აუცილებლად მოვალ.

მედისონროუდის ოთხი ნომერი ისეთივე პატარა და უღიმღამო სახლი იყო,

როგორც თვით ქუჩა. მიუხედავად ამისა, ფანჯრებზე ნოტინგემური მაქმანებისგან დამზადებული ქათქათა ფარდები ეკიდა, პარმალნი გაეკრიალებინათ, შესასვლელი კარის ბრინჯაოს სახელური სარკესავით ბზინავდა. კარი მაღალმა, პირქუში შესახედაობის მქონე, შავებში ჩაცმულმა

ქალმა გააღო. ჭაღარაშეპარული თმა დიდ გუნდად შეეგროვებინა. მან ლუსი შინ მიიწვია, თან გამომცდელად და ეჭვიანად უმზერდა.

მის მარპლს შორეული სასტუმრო ოთახი ეკავა, რომლის ფანჯრებიც კობტა კვადრატულ ბაღს გადაჰყურებდა. შიგნით უჩვეულო, თითქმის გამომწვევი სისუფთავე სუფევდა. მოჩანდა ნოხები, ხელსახოცები, ფაიფურის სტატუეტები, საკმაოდ დიდი, ჯეიკობური სტილის გარნიტური და ორი ქოთანის, შიგ ჩარგული გვიმრებით. მის

მარპლი ბუხართან მდგარ დიდ სავარძელში მოკალათებულიყო და გატაცებით ქსოვდა. ლუსი შევიდა, კარი მიხურა და მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა.

- როგორც ჩანს, მართალი იყავით, - დაიწყო მან, ნაპოვნი ნივთები ამოიღო და დაწვრილებით მოჰყვა, სად და როგორ მიაგნო.

მის მარპლს ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა.

- შესაძლოა, ასე არ უნდა განვიცდიდე, - თქვა მან, - მაგრამ სასიამოვნოა იმაში დარწმუნება, რომ სწორად მსჯელობდი.

მან ქურქის ნაგლეჯს შეავლო ხელი. - ელსფეთმა თქვა, რომ ქალს ღია ფერის ქურქი ეცვა. საპუდრე, როგორც ჩანს,

ჯიბეში ედო და მაშინ გადმოვარდა, როდესაც სხეული ქვევით მიგორავდა. არაფრით გამოირჩევა, თუმცა, შესაძლოა, გამოგვადგეს. ეს მთელი ნაგლეჯია?

- არა, ნახევარი ბუჩქზე დავტოვე. მის მარპლმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია.

- სწორად მოქცეულხართ. ძალიან ყვეიანი ხართ, ჩემო კარგო. პოლიცია მოისურვებს, რომ თვითონ შეამოწმოს ყველაფერი.

- ამ ნივთების... პოლიციაში წაღებას აპირებთ?

- არა... 59M არა... - მის მარპლი ჩაფიქრდა, შემდეგ კი განაგრძო: - ჩემი აზრით, აჯობებს, თავდაპირველად გვამი ვიპოვოთ. რას იტყვით?

- დიახ, მაგრამ მოვახერხებთ კი? თუ თქვენი ვარაუდი სწორია, ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება. მკვლელმა გვამი მატარებლიდან გადააგდო, თვითონ ბრეკკემპტონში ჩავიდა, რაღაც დროის შემდეგ კი - ალბათ, როდესაც ჩამოხნელდა, -

იმავე ადგილას დაბრუნდა. მერე რა მოხდა? მას გვამის დამალვა ნებისმიერ ადგილას შეეძლო.

- ნებისმიერ ადგილას ვერ დამალავდა, - არ დაეთანხმა მის მარპლი, - ვფიქრობ, აზრი ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიიყვანეთ, ძვირფასო მის აილსბეროუ.

- ლუსი დამიძახეთ. მაშ, რატომ არა ნებისმიერ ადგილას?

- იმიტომ, რომ, ასეთ შემთხვევაში, მისთვის გაცილებით იოლი იქნებოდა, ქალი

რომელიმე უკაცრიელ ადგილას მოეკლა და გვამი მაშინვე გადაემალა. თქვენ არ ითვალისწინებთ...

- იმის თქმა გსურთ, - გააწყვეტინა ლუსიმ, - თქვენი აზრით... ეს წინასწარ განზრახული მკვლელობა იყო?

- თავდაპირველად, ასე არ ვფიქრობდი, - მიუგო მის მარპლმა, - ამაზე არაფერი მიანიშნებდა. ისე ჩანდა, თითქოს წაკამათდნენ, კაცმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და გამძვინვარებულმა ქალი გაგუდა. და მაშინვე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც რამდენიმე წუთში უნდა გადაეწყვიტა. კარგი, დავუშვათ, მან მკვლელობა მრისხანებით შეპყრობილმა ჩაიდინა, დავუშვათ, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ მატარებელი მოხვევას იწყებდა. მაგრამ იმის მოსაზრება, რომ იქ მაღალი ყრილი იქნებოდა და გვამი აუცილებლად ქვევით ჩაგორდებოდა, სადაც მოგვიანებით მივიდოდა და იქაურობას მოაშორებდა?.. არა, ეს მეტისმეტია! მას რომ მხოლოდ გადაეგდო თავისი მსხვერპლი, რათა იგი თავიდან მოეშორებინა და სხვაზე არაფერზე ეფიქრა, იმ ადგილს ვერ მიაგნებდა და გვამს დიდი ხნის წინ აღმოაჩენდნენ.

მის მარპლი გაჩუმდა. ლუსი მას გაოცებული მიშტერებოდა.

- უნდა გითხრათ, - ჩაფიქრებული სახით განაგრძო მის მარპლმა, - ეს ძალზე მახვილგონივრულად მოფიქრებული და საგულდაგულოდ დაგეგმილი დანაშაული იყო. მატარებლებში გაცილებით ადვილია, ასე ვთქვათ, შეუმჩნევლად მოქმედება. სახლში რომ მოეკლა, სადაც ქალი ცხოვრობდა ან სადაც დროებით მივიდა, ვიღაცას შეეძლო დაენახა, როგორ შევიდა და გამოვიდა კაცი. მანქანით რომ წაელო, ნომერს, ფერს ან მოდელს დაიმახსოვრებდნენ. მატარებელი კი უცნობი ადამიანებითაა სავსე, რომლებიც ამოდინან და ჩადიან. საგარეუბნო მატარებელში ადვილი დასადგენია, არის თუ არა ვაგონში გარეშე პირი. დამნაშავეს შემთხვევითი მოწმეების შიში არ ექნებოდა და გაცილებით თავდაჯერებულად იმოქმედებდა. მან ყველაფერი იცოდა - უნდა სცოდნოდა - რეზერვორდჰოლის შესახებ. ვგულისხმობ მის უჩვეულო იზოლირებას. ეს ხომ რკინიგზის ხაზით გარშემორტყმული ერთგვარი კუნძულია.

- სწორედ რომ ეგრეა, - კვერი დაუკრა ლუსიმ, - ნამდვილი ანაქრონიზმია. ქალაქის ხმაურიანი ცხოვრება მას სრულიად არ ეხება. მხოლოდ დილით მოაქვთ მაღაზიებიდან პროდუქტები და მორჩა.

- მაშასადამე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ, როგორც თქვენ თქვით, მკვლელი რეზერვორდჰოლში იმავე ღამეს გამოჩნდა. როდესაც გვამი ფანჯრიდან გადააგდო, უკვე ბნელოდა და დილამდე მას ვერავინ აღმოაჩენდა.

- გკეთანხმებით.

- დავუშვათ, მკვლელი მართლა მოვიდა... როგორ? მანქანით? რომელი გზით?

- ლუსი დაფიქრდა.

- ფაბრიკის კედლის გასწვრივ სოფლის პატარა გზა გადის. როგორც ჩანს, კაცი იქიდან მოვიდა, რკინიგზის ხიდის ქვეშ გაიარა და მამულის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. შემდეგ ლობეზე გადაძვრა და ყრილს ძირს გაუყვა. გვამს მიაგნო და მანქანაში გადაიტანა.

- და წინასწარ შერჩეულ ადგილას გადაიტანა, - განაგრძო მის მარპლმა, - არა

მგონია, ამ ტერიტორიას გასცდენოდა, და თუ გასცდა კიდეც, ალბათ, სულ ცოტათი. ვფიქრობ, სადმე ჩამარხა, - მან ლუსის კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

- მეც ასე მიმაჩნია, - მიუგო ლუსიმ, - მაგრამ ეს არც ისე ადვილი იქნებოდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

მის მარპლი დაეთანხმა:

- პარკში ვერ დამარხავდა - იქ თხრა ძნელია, თანაც, ახალამოღებული მიწა ყურადღებას მიიპყრობდა. გვამის დამალვა უფრო გონივრული იქ იქნებოდა, სადაც მიწა ფხვიერია.

- მაგალითად, ბოსტანში, თუმცა ის მებალის სახლთან ძალზე ახლოსაა. მართალია, მოხუცს თითქმის არაფერი ესმის, მაგრამ მაინც სარისკო იქნებოდა.

- კრეკენტორპებს ძალღი თუ ჰყავთ? - არა.

- თუ ასეა, მაშინ შეეძლო, გვამი ფარდულში ან რომელიმე დამხმარე სათავსში დაემალა.

- თანაც, გაცილებით მარტივად და სწრაფად... იქ ხომ უამრავი მიტოვებული შენობაა: ნახევრად დანგრეული სადღორეები, ცხენის კაზმულობის შესანახი ფარდულები, სახელოსნოები, სადაც აღარავინ შედის. შეეძლო, გვამი როდოდენდრონებისა და სხვა მცენარეების ბუჩქებში დაეგდო.

მის მარპლმა თავი დაუქნია.

- დიახ, ვფიქრობ, ეს კიდეც უფრო მეტადცაა შესაძლებელი.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს და სახემოდუმულმა ფლორენსმა ლანგრით ჩაი შემოიტანა.

- რა კარგია, რომ სტუმარი გყავთ, უფრო მხიარულ განწყობაზე ხართ, - უთხრა მან მის მარპლს, - მე კი თქვენი საყვარელი ფუნთუშები გამოგიცხვეთ.

- ფლორენსი ჩაისთვის ყოველთვის უგემრიელეს ნამცხვარს ამზადებს, - თქვა მის მარპლმა.

შექებით ნასიამოვნებმა ფლორენსმა მოულოდნელად გაიღიმა და ოთახიდან გავიდა.

- ვფიქრობ, ჩემო კარგო, - თქვა მის მარპლმა, - ჩაის სმის დროს მკვლელობაზე ლაპარაკი არ ღირს. ძალზე უსიამოვნო თემაა და მადას

დაგვიკარგავს!

ჩაი დალიეს თუ არა, ლუსი წამოდგა.

- ჩემი წასვლის დროა, - თქვა მან, - როგორც უკვე გითხარით, მათგან, ვინც ამჟამად რეზერვორდჰოლში ცხოვრობს, არავინ ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც ვეძებთ. იქ მხოლოდ მოხუცი კაცი, საშუალო ასაკის ქალი და ბებერი, სმენადაქვეითებული მეზადაა.

- მე არ მითქვამს, რომ ის ადამიანი იქ უნდა ცხოვრობდეს, - მიუგო მის მარპლმა, -

მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ იგი შესანიშნავად იცნობს რეზერვორდჰოლს. მაგრამ ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როდესაც გვამს იპოვით.

- ძალიან თავდაჯერებულად ამბობთ, რომ მას მივაგნებ, - თქვა ლუსიმ, - მე კი ასე ოპტიმისტურად არა ვარ განწყობილი.

- ეჭვი არ მეპარება, რომ ამას მოახერხებთ, ძვირფასო ლუსი, ძალზე მიზანდასახული ადამიანი ხართ.

- გარკვეულწილად, ასეა, მაგრამ გამოცდილება არ მაქვს. გვამები არასდროს მიძებნია.

- დარწმუნებული ვარ, აქ მხოლოდ ცოტაოდენი საღი აზრია საჭირო, - სცადა გამხნევება მის მარპლმა.

ლუსიმ თანამოსაუბრეს შეხედა და გაიცინა. პასუხად, მის მარპლმა ალერსიანად გაუღიმა.

მეორე დღეს ლუსი მეთოდურად შეუდგა ძებნას.

შეამოწმა საკარმიდამოში არსებული სათავსები, ასკილის ბარდები ნახევრად დანგრეული საღორის გარშემო. როდესაც სათბურის ქვეშ მდებარე საქვაბეში შეიხედა, უკნიდან მშრალი ხველა მოესმა. შეტრიალდა და დაინახა, რომ ბებერი მეზაღე გამკიცხავად მისჩერებოდა.

- ფრთხილად იყავით, მის, არ დაეცეთ და რამე არ მოიწიოთ, - თქვა მან, - ძალზე არასაიმედო საფეხურებია. სხვენზეც ყოფილხართ. არც იქ შეიძლება იატაკის ნდობა.

ლუსი ცდილობდა, მოხუცს მისთვის შეცბუნება არ შეემჩნია.

- თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ძალზე ცნობისმოყვარე ვარ, - წარმოთქვა მხიარულად, - დავინტერესდი, აქ რამის მოწყობა ხომ არ შეიძლება-მეთქი... მაგალითად, სოკოს მოყვანა ბაზარში გასაყიდად. თორემ აქაურობა საშინელ დღეშია.

- gb bam პატრონის ბრალია. პენის დახარჯვა არ უყვარს. წესით, ორი კაცი და ბიჭი უნდა დამახმაროს, რომ კარმიდამო რაღაცას დაემსგავსოს, მაგრამ ამის

გაგონებაც არ უნდა. არ უნდა და მორჩა. რამდენი ვეხვეწე, რომ გაზონსაკრეჭი ეყიდა. ძლივს დავითანხმე. უნდოდა, რომ ხელით მეწვალა.

- მეურნეობა შემოსავალს რომ იძლეოდეს... ცხადია, ბევრ რამეს დასჭირდებოდა ხელის შევლება...

- ეს ადგილი შემოსავლიანი აღარ გახდება, ძალზე მიშვებულია. მასზე პატრონიც აღარ ზრუნავს. მხოლოდ ფულის შეგროვება აინტერესებს. იცის, რომ, როგორც კი

გარდაიცვლება, ახალგაზრდა ჯენტლმენები წამსვე ყველაფერს გაყიდნიან. ერთი სული აქვთ, როდის მოკვდება. ყური მოვკარი, ძალზე ბევრი ფული დარჩებათ.

- თუ ასეა, ძალიან მდიდარი ყოფილა, არა? - იკითხა ლუსიმ.

- კრეკენტორპები ყველანი ახირებულები არიან. მათ სიმდიდრეს სათავე მოხუცმა ჯენტლმენმა დაუდო, მისტერ კრეკენტორპის მამამ. როგორც ჩანს, გაქნილი და ენერგიული კაცი იყო. ქონება დააგროვა და ეს სახლი ააშენა. კლდესავით უდრეკი და გულღრმაც ყოფილა, წყენა არ ავიწყდებოდა. თუმცა ხელგაშლილობაც შეეძლო, წუწურაქობა არ ახასიათებდა. ისტორია გვამცნობს, რომ ორივე ვაჟიშვილმა იმედი გაუცრუა. მან ისინი აღზრდითა და განათლებით უზრუნველყო, ყველაფრით, რაც ჯენტლმენებს შეეფერებათ - ოქსფორდი და მისტანები. მათ კი ეს ჯენტლმენობა ისე გაუტკბათ, რომ ყოველგვარ ბიზნესსაქმიანობაზე უარი განაცხადეს. უმცროსმა ცოლად მსახიობი მოიყვანა, ერთხელ კი მთვრალი დაჯდა მანქანის საჭესთან და

ავტოკატასტროფაში დაიდღუპა. უფროსი, რომელიც მამას არცთუ ისე უყვარდა, ახლა აქაურობის ბატონ-პატრონია. ადრე სახლში ვერ ისვენებდა, საზღვარგარეთ დახეტიალებდა, უამრავ წარმართულ ქანდაკებას ყიდულობდა და ინგლისში გზავნიდა. მაშინ, ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ არ ახასიათებდა ასეთი წუწურაქობა. ეს მერე დაეწყო, როდესაც ასაკში შევიდა. არა, როგორც ვიცი, მასა და მამამისს ერთმანეთში კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ.

ლუსის ისეთი სახე მიეღო, თითქოს მხოლოდ თავაზიანობის გამო უსმენდა, სინამდვილეში კი ცდილობდა, სიტყვა არ გამორჩენოდა. მოხუცი ზურგით კედელს მიეყრდნო და თავისი საგას გასაგრძელებლად მოემზადა. აშკარად ეტყობოდა, რომ მუშაობას ლაპარაკი ერჩივნა.

- მოხუცი ჯენტლმენი ომის დაწყებამდე მოკვდა. საშინელი ხასიათი ჰქონდა. შეპასუხებას ვერ იტანდა.

- მისტერ კრეკენტორპი აქ მამის სიკვდილის შემდეგ დასახლდა?

- დიახ, მთელ თავის ოჯახთან ერთად. იმ დროისთვის შვილები უკვე წამოზრდოდა.

- აჰა... გასაგებია... 1914 წლის ომს გულისხმობთ. - სულაც არა. იგი 1928 წელს გარდაიცვალა - აი, რას ვგულისხმობ.

ახლა კი მიხვდა ლუსი, რომ 1928 წელი „ომის დაწყებამდე“ ნიშნავდა, თუმცა ამას თვითონ სრულიად სხვაგვარად იტყოდა.

- ვფიქრობ, მუშაობის გაგრძელება გსურთ, - თქვა მან, - მე კი ვდგავარ და გაცდენთ.

- 93! - შესძახა მოხუცმა ჰილმენმა უენტუზიაზმოდ, - ასეთ დროს ბევრს ვერაფერს გააკეთებს კაცი. სადაცაა ჩამოზნელობა კიდევ.

ლუსი სახლისკენ გაემართა. გზად ეჭვის აღმძვრელ არყნარში შეიარა, იელიც დაათვალიერა.

როდესაც ჰოლში შევიდა, ემა კრეკენტორპი ფოსტით ახლახან მოსულ წერილს კითხულობდა.

- ხვალ ჩემი ძმისშვილი, ალექსანდრე ჩამოდის... სკოლის ამხანაგთან ერთად. მისი ოთახი პარმალის თავზეა. ჯეიმზ სტოდარტ-უესტს კი მის მეზობლად მოვათავსებთ. ისინი სწორედ მათ წინ მდებარე სააბაზანოთი ისარგებლებენ.

- დიახ, მის კრეკენტორპს. თვალყურს მივადევნებ, რომ ოთახები მოაწესრიგონ.

- დილით ჩამოვლენ, ლანჩამდე, - ქალი შეყოყმანდა, - ვფიქრობ, მომივებულნი იქნებიან.

- რა თქმა უნდა, - მიუგო ლუსიმ, - როსტბიფზე რას იტყვით? იქნებ ბადაგზე დამზადებული ღვეზელიც მივამატოთ?

- ალექსანდრეს ძალიან უყვარს ბადაგზე მომზადებული ღვეზელი.

ბიჭები დილის მატარებელს ჩამოჰყვნენ. თმა საგულდაგულოდ დაევარცხნათ, საეჭვოდ ანგელოზური სახეები ჰქონდათ, საუცხოო მანერებით გამოირჩეოდნენ.

ალექსანდრე ისთლი ქერა და ცისფერთვალეა იყო, სტოდარტ-უესტი კი - შავგვრემანი და სათვალისანი.

ლანჩის დროს სერიოზული სახით მსჯელობდნენ სპორტულ სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ერთმანეთს უახლესი, კოსმოსთან დაკავშირებული ფანტასტიკური რომანებისგან მიღებულ შთაბეჭდილებას უზიარებდნენ. პალეოლითის ეპოქის სამუშაო იარაღებზე მოსაუბრე ხანდაზმულ პროფესორებს ჰგავდნენ. მათ გვერდით ლუსის საკუთარი თავი პატარა გოგონა ეგონა.

როსტბიფი წამში გაქრა, ბადაგზე დამზადებული ღვეზლისგან ნამცეციც არ დარჩა.

- ასე თქვენ გამაკოტრებთ და კარდაკარ სამათხოვროდ გამიშვებთ, - ჩაიბუზღუნა მისტერ კრეკენტორპმა.

ცისფერთვალეა ალექსანდრემ მას საყვედურით აღვსილი მზერა მიაპყრო და უთხრა:

- ბაბუა, თუ ხორცის ყიდვის საშუალება არ გაქვთ, პური და ყველიც გვეყოფა.

- საშუალება არ მაქვს? დიახაც, რომ მაქვს. მაგრამ არ მიყვარს, როდესაც საჭმელი ტყუილუბრალოდ იკარგება.

- ტყუილუბრალოდ არაფერი დაკარგულა, სერ, - მიუგო სტოდარტ-უესტმა და ნათქვამის გასამყარებლად საკუთარ თეფშს დახედა.

- თითოეული თქვენგანი ჩემზე ორჯერ მეტს ყამს.

- ჩვენ ვიზრდებით, ორგანიზმი გვიყალიბდება, ამიტომაც დიდი რაოდენობით ცილა გვჭირდება.

გაბრაზებულმა მისტერ კრეკენტორპმა რაღაც ჩაიბურტყუნა. როდესაც ბიჭები

სუფრიდან წამოდგნენ, ლუსიმ გაიგონა, როგორ გადაულაპარაკა ალექსანდრემ თავის მეგობარს ბოდიშის კილოთი:

- ბაბუაჩემს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ის, მგონი, მკაცრ დიეტაზეა, ამიტომაცაა ასე

ახირებული. თანაც საშინლად ძუნწია. ვფიქრობ, ერთგვარი კომპლექსი აქვს.

- მე კი დეიდა მყავდა, - გაგებით მიუგო სტოდარტ-უესტმა, - რომელსაც გამუდმებით ეშინოდა, რომ გაკოტრდებოდა. არადა, უამრავი ფული ჰქონდა. ექიმმა თქვა, ეს პათოლოგიააო. ალექს, ფეხბურთის ბურთი თუ გაქვს?

ლუსიმ მაგიდა აალაგა, ჭურჭელი გარეცხა და სახლიდან გავიდა. გაზონის მხრიდან ბიჭების ხმები ისმოდა. ლუსი საპირისპირო მხარეს გაემართა, ხეივანს გაუყვა, როდოდენდრონების ბუჩქებისკენ გადაუხვია და ძებნას შეუდგა: ტოტებს აქეთ-იქით ფრთხილად სწევდა, ბუჩქიდან ბუჩქთან გადადიოდა და ბალახში გოლფის სათამაშო ყვანჯს აფათურებდა. უეცრად ალექსანდრე ისთლის თავაზიანმა ხმამ შეაკრთო:

- რამეს ეძებთ, მის აილსბეროუ?

- გოლფის ბურთს, - სწრაფად მიუგო მან, - თანაც რამდენიმეს. თავისუფალ დროს ვვარჯიშობდი ხოლმე და თითქმის ყველა ბურთი დაგვარგე. ჰოდა, გადავწყვიტე, დღეს აუცილებლად მომეძებნა.

- დაგეხმარებით, - თავაზიანად შესთავაზა ალექსანდრემ.

-- როგორი კეთილი ხართ! მე კი მეგონა, ფეხბურთს თამაშობდით.

- ფეხბურთს დიდხანს ვერ ითამაშებთ, - აუხსნა სტოდარტ-უესტმა, - გაიხვითქებით. გოლფს ხშირად თამაშობთ?

- არც ისე, თუმცა ძალიან მომწონს. მაგრამ დრო ყოველთვის არ მაქვს.

- ვიცი, რომ არ გაქვთ. თქვენ ხომ აქ საჭმელს ამზადებთ?

- დიახ.

- ლანჩისტვის კერძები თქვენი ნახელავია?

- დიახ. მოგეწონათ?

- ბრწყინვალე იყო, - თქვა ალექსანდრემ, - სკოლაში საშინელ, გამომშრალ ხორცს გვაჭმევენ. მე საქონლის ხორცი მიყვარს, რომელიც შიგნით ვარდისფერი და წვნიანია. ბადაგისგან დამზადებული ღვეზელი კი ისეთი იყო, თითებს ჩაიკვნიტდით.

- უნდა მითხრათ ხოლმე, რისი ჭამა გიყვართ ყველაზე მეტად.

- ვაშლის ბეზეს ხომ ვერ გამოგვიცხობდით? ჩემი საყვარელი საცმელია.

- რა თქმა უნდა.

ალექსანდრეს გაუხარდა.

- კიბის ქვეშ საათიანი გოლფის სათამაშო კომპლექტია, - თქვა მან, - შეგვიძლია, გაზონზე დავაყენოთ. რას იტყვი, სტოდერ?

- კარგიააა, - მიუგო სტოდარტმა.

- ავსტრალიელი არ გეგონოთ, - თავაზიანად აუხსნა ალექსანდრემ, - ყოველი შემთხვევისთვის ვარჯიშობს: ხომ შეიძლება, მშობლებმა კრიკეტის საერთაშორისო ტურნირზე წაიყვანონ?! გაისად ის ავსტრალიაში ტარდება.

ლუსის მიერ შეგულიანებული ბიჭები საათიანი გოლფის დასაყენებლად წავიდნენ. მოგვიანებით, როდესაც შინ ბრუნდებოდა, ქალმა დაინახა, რომ უკვე ფოსოებს აყენებდნენ და მათი განლაგების შესახებ კამათობდნენ.

- არ გვინდა, რომ საათის ციფერბლატივით, ნომრები მივანიჭოთ, - თქვა სტოდარტ-უესტმა, - პატარები ხომ არა ვართ. ნამდვილი მოედნის მოწყობა გვსურს. ფოსოებსაც წესისამებრ დავაყენებთ, მოკლე და გრძელ დისტანციებზე. დასანანია, რომ ციფრები გვარიანად დაჟანგულა. მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია.

- განახლება სჭირდება, - უთხრა ლუსიმ, - ხვალ თეთრი საღებავი იყიდეთ და გადაღებეთ.

- კარგი აზრია, - სახე გაუბრწყინდა ალექსანდრეს, - მოიცადეთ, თუ არ ვცდები, გრძელ ფარდულში რამდენიმე ქილა საღებავი უნდა იყოს დარჩენილი. იქნებ წავსულიყავით და გვენახა?

- გრძელი ფარდული რა არის? - იკითხა ლუსიმ.

ალექსანდრემ ქვის გრძელი შენობისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც სახლთან ახლოს, უკანა მისასვლელი გზის გასწვრივ იდგა.

- ის ძალიან ძველია, - თქვა ალექსანდრემ, - სახელი ბაბუამ შეურჩია. ამბობს, ელისაბედის დროინდელიაო. ვფიქრობ, ტრაბახობს. ფარდული ოდესდაც აქ არსებული ფერმიდან შემორჩა, რომელიც ჩემმა დიდმა ბაბუამ დაანგრია და მის ნაცვლად, ეს საშინელი სახლი ააშენა.

- ბაბუას კოლექცია სწორედ იმ ფარდულშია მოთავსებული, - განაგრძო მან, - ის, რასაც ოდესდაც საზღვარგარეთიდან გზავნიდა - როცა ახალგაზრდა იყო. ჩემი აზრით, ისინიც საშინელებაა. გრძელ ფარდულში ზოგჯერ ვისტის სათამაშოდ ან რამეზე სამსჯელოდ იკრიბებიან. ზოგჯერ „ქალთა ინსტიტუტის“ (სოფელში მცხოვრებ ქალთა საზოგადოება.) სხდომები ან ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო ბაზრობა იმართება. წამოგვეყვით და საკუთარი თვალთ ნახეთ.

ლუსიმ ხალისით მიიღო შეთავაზება.

ფარდულის მუხის კარს დიდქუდიანი ლურსმნები ერტყა. ალექსანდრემ კარის

მარჯვენა ზედა ნაწილზე აყოლებულ სუროში შეჰყო ხელი და ლურსმანზე ჩამოკიდებულ გასაღებს მიაგნო, საკეტი გახსნა და კარი შეაღო. ყველანი შიგნით

შევიდნენ.

თავდაპირველად ლუსის მოეჩვენა, რომ ძალიან ცუდ მუზეუმში მოხვდა. წინიდან რომის რომელიდაც ორი იმპერატორის თვალეზგადმოკარკლული მარმარილოს ქანდაკება უყურებდა. მათ გვერდით, ბერძნულ-რომაული დეკადენტური პერიოდის დიდი სარკოფაგი იდგა; კვარცხლბეკზე მდგომი ვენერა სულელურად იღიმებოდა და შემოდარცულ სამოსს ჩასჭიდებოდა. ხელოვნების ნიმუშების გარდა, ერთმანეთზე შემოწყობილი სკამები, რამდენიმე მაგიდა და ათასგვარი ხარახურა მოჩანდა: ბალახის საკრეჭი, დაჟანგული მანქანები, ორი ვედრო, ავტომობილის ძველი, ჩრჩილისგან შეჭმული სავარძლები და ბალის თუჯის, საღებავაქერცლილი უფეხო ძელსკამი.

- როგორც მახსოვს, აქ სადღაც საღებავებიანი ქილები ეწყო, - თქვა ალექსანდრემ და დაფლეთილი ფარდა გადასწია, რომელიც შორეულ კუთხეს ფარავდა.

იქ მართლა აღმოჩნდა რამდენიმე ქილა და გამხმარი ფუნჯი.

- ცოტაოდენი სკიპიდარი დაგვჭირდება, - თქვა ლუსიმ.

მაგრამ სკიპიდარს ვერსად მიაგნეს. ბიჭებმა გადაწყვიტეს, მის მოსატანად, ველოსიპედით ქალაქში წასულიყვნენ. ლუსის ეს ხელს აძლევდა კიდევ. „ღებონ ციფრები, - გაიფიქრა მან, - ცოტა ხნით მაინც გადააყოლებენ გულს“.

ბიჭები წავიდნენ, ლუსი კი ფარდულში დარჩა.

- აქაურობას მილაგება არ აწყენდა, - ჩაილაპარაკა თავისთვის.

- თქვენს ადგილას თავს არ შევიწუხებდი, - ურჩია წასვლამდე ალექსანდრემ,
- ისედაც ალაგებენ, როდესაც რამის მოწყობას აპირებენ, წელიწადის ამ დროს
კი აბა, რა უნდა მოაწყონი?..

- გასაღები კარის ლურსმანზე ჩამოვკიდო? ყოველთვის იქ კიდია?

- ყოველთვის. მოსაპარავი არაფერია. ვის სჭირდება ეს საშინელი
მარმარილოს ნივთები, თანაც, თითოეული ტონას მაინც იწონის.

ლუსი დაეთანხმა. მისტერ კრეკენტორპის გემოვნება ხელოვნებასთან
დაკავშირებით, აშკარად არ მოსწონდა. როგორც ჩანს, ამ კაცს ნებისმიერი
ეპოქის ყველაზე ცუდი ნიმუშების შერჩევის იმვიათი ნიჭი ჰქონდა.

ბიჭების წასვლის შემდეგ ლუსი იდგა და იქაურობას ათვალიერებდა.
უეცრად თვალში სარკოფაგი მოხვდა და დაჟინებით მიაშტერდა.

სარკოფაგი...

ფარდულში შმორის სუნი იგრძნობოდა. თითქოს იგი დიდი ხნის
განმავლობაში არ გაენიავებინათ. ლუსი სარკოფაგს მიუახლოვდა. ზემოდან
მას მძიმე, მჭიდროდ მორგებული თავსახურავი ედო. ლუსი ერთხანს
ჩაფიქრებული სახით დაჰყურებდა, შემდეგ სამზარეულოსკენ გაემართა, მძიმე
პატარა ძალაყინი მოძებნა და უკან დაბრუნდა.

ეს იოლი სამუშაო არ იყო, მაგრამ ლუსი შეუპოვრად მოქმედებდა. მან
ძალაყინის პირი სახურავს გამოსდო და ენერგიულად დააწვა. სახურავი

ნელ-ნელა მაღლა აიწია და მალე იმხელა ღრეჭო გაჩნდა, რომ ლუსიმ
შიგნით ჩახედვაც მოახერხა...

თავი მეექვსე

რამდენიმე წუთის შემდეგ საშინლად გაფითრებული ლუსი ფარდულიდან
გამოვიდა, კარი ჩაკეტა და გასაღები ლურსმანზე ჩამოკიდა.

შემდეგ მტკიცე ნაბიჯებით გაემართა საჯინბოსკენ, მანქანა დაქოქა და
ფოსტისკენ დაიძრა. ავტომობილი ქუჩის ბოლოში დატოვა და ტელეფონის
ჯიხურში შევიდა.

- მის მარპლს სთხოვეთ, - თქვა მან, როდესაც მონეტა ჩააგდო და ნომერი
აკრიფა.

- მის მარპლი ისვენებს. მის აილსბეროუ ბრძანდებით, არა?

- დიახ.

- მას ვერ შევაწუხებ, მის. არაფრის დიდებით. მოხუცებული ქალია და
დასვენება სჭირდება.

- მოგიწევთ ამის გაკეთება. სასწრაფო საქმე მაქვს. - მე ვერ... - თუ შეიძლება,
დაუყოვნებლივ გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით.

საჭიროების შემთხვევაში, ლუსი ხმაში ფოლადის სიმტკიცეს აქსოვდა, ფლორენსი კი დროულად ხვდებოდა ხოლმე, როდის არ ღირდა შეკამათება.

მალე ყურმილში მის მარპლის მშვიდი ხმა გაისმა: - დიახ, ლუსი?

ლუსიმ სული მოითქვა და სხაპასხუპით მიაყარა:

- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებოდით. მე მას მივაგენი.

- ქალის გვამს?

- დიახ. ქურქში გამოწყობილ ქალბატონს. ქვის სარკოფაგში. სახლთან ახლოს ძველი ფარდული მდებარეობს, რომელშიც მუზეუმის მსგავსია გახსნილი. სწორედ იქ დგას ეს სარკოფაგი. თქვენი აზრით, ახლა როგორ უნდა მოვიქცე? ალბათ, პოლიციას უნდა შევატყობინო, არა?

- დიახ. პოლიციას უნდა შეატყობინოთ. დაუყოვნებლივ.

- რა ვუთხრა, როდესაც მოვლენ? ყველაფრის შესახებ, თქვენ შესახებ? ისინი ხომ აუცილებლად დაინტერესდებიან, რატომ მომივიდა თავში აზრად სახურავის ახდა, რომელიც ტონას მაინც იწონის? თუ გნებავთ, რამე მიზეზს მოვიგონებ. ეს არ გამიჭირდება.

- არა, საჭირო არაა. ვფიქრობ, ხვდებით, - რბილად, მაგრამ დაჟინებით წარმოთქვა მის მარპლმა, - რომ სიმართლის თქმა მოგიწევთ.

- თქვენ შესახებ? - ყველაფრის შესახებ. მოულოდნელად ლუსის ფერმკრთალ სახეზე ღიმილი გამოესახა.

- ჩემთვის ამის თქმა რთული არ იქნება, - განაცხადა მან, - მაგრამ სხვა საქმეა, დაიჯერებენ თუ არა ისინი.

მან ყურმილი დაკიდა, ცოტა ხანს დაიცადა და პოლიციის განყოფილებაში დარეკა.

- ახლახან გვამი აღმოვაჩინე სარკოფაგში, რომელიც რეზერფორდჰოლის მამულის გრძელ ფარდულში დგას.

- რა? რა თქვით?

ლუსიმ გაიმეორა, მომდევნო შეკითხვას აღარ დაელოდა და საკუთარი სახელი და გვარიც აცნობა.

შემდეგ რეზერფორდჰოლში დაბრუნდა, მანქანა თავის ადგილას დააყენა და სახლში შევიდა.

ჰოლში წამით შეჩერდა და დაფიქრდა.

მალე თავი მტკიცედ გადააქნია და ბიბლიოთეკის კარი შეაღო, სადაც მის

კრეკენტორპი მამას გაზეთ „თაიმსში“ გამოქვეყნებული კროსვორდის ამოხსნაში ეხმარებოდა.

- რამდენიმე წუთს ხომ ვერ დამითმობთ, მის კრეკენტორპ?

ემამ მას ოდნავი შეშფოთებით შეხედა. ჩვეულებრივ, ასეთი კილოთი სახლში მომუშავე შეუცვლელი მსახური თავისი წასვლის შესახებ აცხადებს ხოლმე.

- ბრძანეთ, ქალიშვილო, ბრძანეთ, - თქვა ხანდაზმულმა მისტერ კრეკენტორპმა და მის ხმაში გაღიზიანებამ გაიჟღერა.

-- ცალკე უნდა დაგელაპარაკოთ, თუ შეიძლება, - უთხრა ლუსიმ ემას.

- რა სისულელეა! - ჩაიბუზღუნა მისტერ კრეკენტორპმა. - აბა, გადმოალაგეთ, რა მოხდა.

- ერთი წუთი მოიცადე, მამა, - თქვა ემამ, წამოდგა და კარისკენ გაემართა.

- სისულელეა. ვითომ მოცდა არ შეიძლებოდა, - ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა მისტერ კრეკენტორპმა.

- ვშიშობ, მოცდა მართლა არ შეიძლება, - მიუგო ლუსიმ. - რა თავხედობაა! - შესძახა მისტერ კრეკენტორპმა. ემა ოთახიდან გავიდა, ლუსი უკან გაჰყვა და კარი მიხურა.

- აბა?.. - დაიწყო ემამ. - რა მოხდა? თუ მიგაჩნიათ, რომ ბიჭების ჩამოსვლამ საქმე მოგიმატათ, მზად ვარ, დაგეხმაროთ და...

- არა, სხვა რამის თქმას ვაპირებ, - უთხრა ლუსიმ, - არ მინდოდა, მამათქვენის თანდასწრებით მელაპარაკა, რადგან, როგორც ვიცი, თავს ცუდად გრძნობს და ამ ამბავმა შესაძლოა, შოკში ჩააგდოს. საქმე ისაა, რომ ახლახან მოკლული ქალის გვამი აღმოვაჩინე გრძელ ფარდულში მდგარ დიდ სარკოფაგში.

ემა კრეკენტორპმა გაოცებისგან თვალები დააჭყიტა.

- სარკოფაგში? მოკლული ქალი? შეუძლებელია!

- ვშიშობ, ეს სიმართლეა. პოლიციაში უკვე დავრეკე. წუთი-წუთზე მოვლენ.

ემას ლოყები ოდნავ შეეფაკლა.

- უნდა გაგეფრთხილებინეთ... სანამ პოლიციაში დარეკავდით.

- მაპატიეთ.

- დარეკვის ხმა არ გამიგონია, - თქვა ემამ და ჰოლში, მაგიდაზე დადგმულ ტელეფონის აპარატს გახედა.

- ფოსტიდან დავრეკე.

- უჩვეულო საქციელია. რატომ აქედან არა?

- არ მინდოდა, ბიჭებს გაეგოთ, - არ დაიბნა ლუსი, - აქედან რომ დამერეკა, ყურს მოჰკრავდნენ.

- გასაგებია... დიახ... გასაგებია... ისინი ახლა მოვლენ? პოლიციელებს ვგულისხმობ.

- მგონი, უკვე მოვიდნენ, - მიუგო ლუსიმ, ვინაიდან შემოსასვლელ კართან მანქანის დამუხრუყების ხმა გაიგონეს. რამდენიმე წამის შემდეგ ზარის ხმაც გაისმა.

- ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ეს უნდა გთხოვოთ, - თქვა ინსპექტორმა ბეკონმა.

მან ემა კრეკენტორპს ხელი შეაშველა და ფარდულიდან გამოიყვანა. ქალს სახე გაჰფითრებოდა, ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ სიარულის დროს სიმტკიცეს ინარჩუნებდა.

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის ქალი ცხოვრებაში არასდროს მინახავს.

- მადლობას მოგახსენებთ, მის კრეკენტორპს. მხოლოდ ამის გაგება გვსურდა. ხომ არ აჯობებს, რომ წამოწვეთ და დაისვენოთ?

- არა, მამასთან უნდა წავიდე. როგორც კი ამ ამბის შესახებ შევიტყვე, მაშინვე დოქტორ ქუიმპერს დავურეკე. ახლა აქ არის.

როდესაც ჰოლს მიუყვებოდნენ, ბიბლიოთეკიდან დოქტორი ქუიმპერი გამოვიდა - მაღალი, გულკეთილი კაცი, რომლის უცერემონიო, ოდნავ ცინიკური მანერა პაციენტებზე სასიკეთო გავლენას ახდენდა.

იგი ინსპექტორს თავის დაკვრით მიესალმა.

- მის კრეკენტორპმა ვაჟკაცურად გაართვა თავი ამ ძალზე უსიამოვნო მოვალეობას, - თქვა ბეკონმა.

- ყოჩაღი ქალი ხართ, - უთხრა ექიმმა ემას და გასამხნეველად მხარზე ხელი მოუთათუნა, - ყველაფერს უმკლავდებით. თქვენი ყოველთვის მჯეროდა. მამის გამო კი ნუ იდარდებთ - არაფერი უჭირს. ცოტა ხნით მასთან შედით, შემდეგ კი სასადილო ოთახში შებრძანდით და კონიაკი გადაჰკარით. ჩათვალეთ, რომ წამალი გამოგიწერეთ.

ემამ მადლობის ნიშნად გაუღიმა და ბიბლიოთეკაში შევიდა.

- ქვეყნიერება ასეთი ქალებით სულდგმულობს, - განაცხადა ექიმმა და თვალი გააყოლა, - რა სამწუხაროა, რომ გაუთხოვარი დარჩა. ეს სასჯელია იმისთვის, რომ ერთადერთი ქალია ოჯახში. მისმა დამ დროულად მოასწრო გაქცევა - ჩვიდმეტი წლისა გათხოვდა. მის ემა საკმაოდ მიმზიდველი ქალია. შესანიშნავი მეუღლე და დედა იქნებოდა.

- როგორც ჩანს, საოცრად ერთგულია მამის მიმართ, - თქვა ინსპექტორმა ბეკონმა.

- არც მთლად მასეა საქმე... უბრალოდ, მას დაუძლეველი მოთხოვნილება აქვს, საკუთარი ოჯახის მამაკაცებს ბედნიერება მიანიჭოს. ხედავს, რომ

მამამისს მოსწონს, თავი ინვალიდად წარმოაჩინოს, და ამის უფლებას აძლევს. ძმებთანაც ასე იქცევა. სედრიკს ჰგონია, რომ გამორჩეული მხატვარია. მეორე, - რა ჰქვია? - ჰაროლდი, დარწმუნებულია, რომ იგი მხოლოდ მის აზრს ითვალისწინებს; ალფრედს თავისი საეჭვო საქმეებით ტრაბახს აცლის, თანაც ისეთ სახეს იღებს, თითქოს ალტაცებულია მისი სიმარჯვით. დიახ, დიახ, ძალიან ჰკვიანი ქალია. რამეში ხომ არ გჭირდებით, ინსპექტორო? ხომ არ გინდათ, გვამს დავხედო, თუ ჯონსტონმა (ჯონსტონი პოლიციის ქირურგი იყო) საქმე დაასრულა? ის, ალბათ, დარწმუნდა, რომ მოკლული არ არის ჩემი პაციენტი, რომელიც არასწორ მკურნალობას ემსხვერპლა.

- დიახ, რასაკვირველია, მინდა, თქვენც დაათვალიეროთ. მოკლულის ვინაობა უნდა დავადგინოთ. ალბათ არ ღირს, ამის შესახებ მისტერ კრეკენტორპს ვკითხოთ. მისი სწული გულისთვის ეს მძიმე გამოცდა იქნებოდა.

- მძიმე გამოცდა? რა სისულელეა! ის არასდროს გვაპატიებს, თუ ამ გასართობს წავართმევთ. ახლა ცნობისმოყვარეობა კლავს. თხუთმეტი წელია, ოდნავ მაინც დამაინტრიგებელ მოვლენას არ შესწრებია, და უეცრად - ასე გაუმართლა. თანაც

სრულიად უფასოდ.

- მაშასადამე, სერიოზული არაფერი სჭირს?

- სამოცდათორმეტი წლისაა, - მიუგო ექიმმა, - სულ ეს არის, მეტი არაფერი. ზოგჯერ რევმატიზმი აწუხებს. თუმცა, ვის არ აწუხებს? ის კი ირწმუნება, ართრიტი

მეჭირსო. ჭამის შემდეგ ზოგჯერ გულისცემა უჩქარდება, - დიდი ამბავი! - რასაც გულს აბრალებს. მაგრამ არაფერს იკლებს. ასეთი ეშმაკი პაციენტებიც მყავს. ვინც მართლა ავადაა, ისინი, როგორც წესი, ძალ-ღონეს არ იშურებენ იმის დასამტკიცებლად, რომ არაფერი სჭირთ. კარგი, წავიდეთ, თქვენს აღმოჩენას დავხედოთ. ვფიქრობ, უსიამოვნო სანახაობა იქნება, არა?

- ჯონსტონის აზრით, ორი-სამი კვირის წინ მოკლეს. - თუ ასეა, ძალზე უსიამოვნო სურათის ნახვა მოგვიწევს.

ექიმი სარკოფაგთან დადგა, შიგნით დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ჩაიხედა და პროფესიული გულგრილობით მიაჩერდა „ძალზე უსიამოვნო სურათს“.

- 00 ქალს პირველად ვხედავ. არასდროს ყოფილა ჩემი პაციენტი. არ მახსოვს, რომ მისთვის ბრეკჰემპტონში ოდესმე თვალი მაინც მომეკრას. როგორც ჩანს, სასიამოვნო გარეგნობა ჰქონია... ჰმ... ნეტავ, ვის დასჭირდა მისი თავიდან მოცილება?

ისინი კვლავ გარეთ გავიდნენ. დოქტორმა ქუიმპერმა შენობა შეათვალიერა.

- ნაპოვნია... რას უწოდებენ?... გრძელ ფარდულში... თანაც სარკოფაგში! ფანტასტიკურია! ვინ აღმოაჩინა?

- მის ლუსი აილსბეროუმ.

- აჰ, ახალმა მოსამსახურემ? საინტერესოა, სარკოფაგში ჩახედვა რატომ გადაწყვიტა.

- სწორედ ამის დადგენას ვაპირებ, - პირქუშად უპასუხა ინსპექტორმა ბეკონმა, - მაგრამ ჯერ მისტერ კრეკენტორპს მივუბრუნდეთ. ხომ არ შეგიძლიათ, რომ იგი...

- დიახ, ახლავე მოვიყვან.

გვარიანად შეფუთილი მისტერ კრეკენტორპი სხვების დაუხმარებლად, მკვირცხლი ნაბიჯებით მიუახლოვდა გრძელ ფარდულს. გვერდით ექიმი მოჰყვებოდა.

- აღმაშფოთებელია! - წამოიძახა მან. - სამარცხვინოა! ეს სარკოფაგი ფლორენციიდან ჩამოვიტანე... ნება მიბოძეთ, შევხედო... დიახ, 1908 წელს... თუ 1909 წელი იყო?

- გამაგრდით, - გააფრთხილა ექიმა, - არცთუ სასიამოვნო სანახაობა გელით.

- მიუხედავად იმისა, რომ ავად ვარ, ამის გაკეთება ჩემი ვალია, ხომ ასეა?

მაგრამ მისი ვიზიტი გრძელ ფარდულში ძალზე ცოტა ხანს გაგრძელდა. ორი წუთის შემდეგ მისტერ კრეკენტორპი გარეთ გამოვიდა და იქაურობა მისთვის უჩვეულო

სისწრაფით დატოვა. - ის ქალი არასდროს მინახავს, - თქვა მან, - რა ხდება? რა უმსგავსობაა? გამახსენდა, რომ ეს სარკოფაგი ფლორენციიდან არ ჩამომიტანია, ნეაპოლიდან

წამოვიღე. საუცხოო ნიმუშია. ამ დროს ვიღაც სულელი ქალი მოდის და ნებას იძლევა, რომ აქ მოკლან!

მან ხელი მარცხენა გვერდზე იტაცა, რომელსაც პალტოს ნაკეცი უფარავდა. - ჩემთვის ეს მეტისმეტია... გული... სად არის ემა? ექიმო... დოქტორმა ქუიმპერმა ხელი შეაშველა.

- არაფერია, კარგად იქნებით, - თქვა მან, - სტიმულატორის მიღებას გირჩევთ. კონიაკი დალიეთ.

ისინი ერთად გაემართნენ სახლისკენ. - სერ, თუ შეიძლება, სერ!

ინსპექტორი ბეკონი შეტრიალდა. მათკენ ველოსიპედებზე ამხედრებული აქომინებული ბიჭები მოქროდნენ.

- თუ შეიძლება, სერ, - ვედრებით მიმართეს მათ ინსპექტორს, - შეიძლება, რომ გვამს დავხედოთ?

- არა, თქვენთვის არ შეიძლება, - მიუგო ინსპექტორმა ბეკონმა.

- ოჰ, სერ, ძალიან გთხოვთ, სერ. რა იცით, იქნებ ვიცნოთ კიდეც ის ქალი. გთხოვთ, სერ, თუ შეიძლება. ეს უსამართლობაა. მკვლელობა ხომ ჩვენს

საკუთარ ფარდულში მოხდა. ასეთი შანსი, შესაძლოა, აღარასოდეს მოგვეცეს. გთხოვთ, სერ.

- თქვენ ვინ ხართ?

- მე ალექსანდრე ისთლი ვარ, ეს კი ჩემი ამხანაგია, ჯეიმზ სტოდარტ-უესტი.

- ოდესმე ახლომახლო ღია ფერის ციყვის ქურქში გამოწყობილი ქერათმიანი ქალისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

- დანამდვილებით არ მახსოვს, - ეშმაკურად მიუგო ალექსანდრემ, - აი, რომ შემახედა...

- ორივენი შეიყვანეთ, სანდერს, - მიმართა ინსპექტორმა ფარდულის კართან მდგომ კონსტებლს, - ყველამ ვიცით, რა არის ახალგაზრდობა!

- ოჰ, სერ, გკმადლობთ, სერ, - ახმაურდნენ ბიყები, - რა გულკეთილი ხართ, სერ. ბეკონი სახლისკენ შეტრიალდა.

- ახლა კი, - ჩაილაპარაკა თავისთვის, - მის ლუსი აილსბეროუს მივხედოთ.

ლუსიმ პოლიციელები გრძელ ფარდულთან მიიყვანა, ორიოდ სიტყვით აუხსნა, გვამს როგორ მიაგნო, სახლში დაბრუნდა და საკუთარი მოვალეობის შესრულება განაგრძო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ, ადრე თუ გვიან, მას უფრო დაწვრილებით გაესაუბრებოდნენ.

საღამოს, როდესაც კარტოფილი გაამზადა და ჩიფსების შეწვას აპირებდა, შეატყობინეს, რომ ინსპექტორს დაუყოვნებლივ მისი ნახვა სურდა. ლუსიმ გათლილ ნაჭრებს მარილიანი წყალი დაასხა და პოლიციელის თანხლებით კაბინეტში შევიდა, სადაც უკვე იმყოფებოდა ინსპექტორი. იგი სკამზე დაჯდა და მშვიდად დაელოდა შეკითხვებს.

მან თავისი სახელი და ლონდონის მისამართი წარმოთქვა და დაამატა:

- შემძლია, ის ადამიანები დაგისახელოთ და მათი მისამართებიც მოგცეთ, რომლებიც საკმაოდ კარგად მიცნობენ. ისინი ინფორმაციის მოწოდებას არ დაიზარებენ, თუ ჩემს შესახებ რაიმის გაგებას მოისურვებთ.

შთამბეჭდავი სია იყო: ფლოტის ადმირალი, ოქსფორდის კოლეჯის რექტორი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენოსანი ქალი. ამან ინსპექტორი ბეკონი, მისდა უნებურად, შეაცბუნა კიდევ.

- მაშასადამე, მის აილსბეროუს, გრძელ ფარდულში სადებავის მოსაძებნად შეხვედით. ასეა? შემდეგ კი, როდესაც სადებავს მიაგენით, ძალაყინი აიღეთ, სარკოფაგს სახურავი ახადეთ და იქ გვამი აღმოაჩინეთ. სარკოფაგში რას ეძებდით?

- სწორედ გვამს ვეძებდი, - მიუგო ლუსიმ.

- გვამს ეძებდით და მიაგენით კიდევ მას! ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს ძალზე უჩვეულოდ ჟღერს?

- ოჰ, დიახ, ეს ძალზე უჩვეულო ამბავია. თუ ნებას მომცემთ, ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით.

- რა თქმა უნდა, ასე აჯობებს.

ლუსიმ ზედმიწევნით ზუსტად ჩამოთვალა ის მოვლენები, რომლებიც ამ სენსაციურ აღმოჩენას უძლოდა წინ.

- თქვენ ამბობთ, რომ ერთმა სასიამოვნო მოხუცმა დაგიქირავათ, თქვენ კი ამ ოჯახში მოსამსახურედ მოეწყვეთ, - შეაჯამა აღშფოთებულმა ინსპექტორმა, - იმისთვის, რომ სახლი და კარმიდამო გაგეჩხრიკათ, ვინაიდან, თქვენი დამქირავებლის აზრით, აქ, სადღაც, მოკლული ქალის გვამი უნდა ყოფილიყო. რამე ხომ არ შეეშლია?

- არა.

- მერედა, ვინ არის ის სასიამოვნო მოხუცი ქალი?

- მის ჯეინ მარპლი. ამჟამად იგი მედიკონროუდის ოთხ ნომერში ცხოვრობს. ინსპექტორმა ჩაიწერა.

- bmd off გგონიათ, რომ ყველაფერი დავიჯერე, რაც მომიყევით?

- ცხადია, არ დაიჯერებთ, სანამ მის მარპლს არ გაესაუბრებთ, რომელიც ჩემი სიტყვების სისწორეს დაგიდასტურებთ.

- გავესაუბრებთ, აბა, რას ვიზამთ?! საბრალო, ალბათ, ჭკუიდან შეიშალა.

ლუსიმ კინაღამ უპასუხა, რახან ადამიანი მართალია, ეს მის გონებრივ ჩამორჩენილობას არ ნიშნავსო, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ ჰკითხა:

- მის კრეკენტორპისთვის რის თქმას აპირებთ? ჩემ შესახებ, რა თქმა უნდა. - ეს რატომ გაინტერესებთ?

- საქმე ისაა, რომ მის მარპლის წინაშე ნაკისრი ვალდებულება უკვე შევასრულე. გვამის პოვნა დამავალეს, რომელსაც მივაგენი კიდეც. მაგრამ ჯერაც მის კრეკენტორპს ვემსახურები. სახლში ახლა ორი ყმაწვილია, რომლებსაც კარგი კვება ესაჭიროებათ. ამ საშინელი ამბის შემდეგ, როგორც ჩანს, ოჯახის დანარჩენი წევრებიც ჩამოვლენ. მის ემა უჩემოდ საქმეს თავს ვერ გაართმევს. თუ მას ეტყვით, რომ აქ მხოლოდ იმიტომ დავიწყე მუშაობა, რათა გვამისთვის მიმეგნო, იგი დაუფიქრებლად გამიშვებს სახლიდან. თუ ასე არ მოხდება, დავრჩები და სარგებლობასაც მოვუტან.

ინსპექტორმა მკაცრად შეხედა.

- ჯერჯერობით არაფრის თქმას ვაპირებ. თავდაპირველად თქვენ მიერ მოწოდებული ფაქტები უნდა შევამოწმო. იქნებ ყველაფერი მოიგონეთ.

ლუსი წამოდგა.

- გპმადლობთ. თუ ასეა, სამზარეულოში დავბრუნდები.

თავი მეშვიდე

- რას იტყვით, ბეკონ, ხომ არ აჯობებს, ეს ამბავი სკოტლენდიარდს შევატყობინოთ?

ადგილობრივი პოლიციის უფროსმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო ინსპექტორ ბეკონს. ინსპექტორი ზორბა, ფლეგმატური კაცი იყო. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდით, მთელი კაცობრიობა ეზიზღებაო.

- მოკლული ქალი ადგილობრივი არ არის, სერ, - თქვა მან, - არსებობს

საფუძვლიანი ეყვი - მისი ქვედა საცვლების მიხედვით, - რომ უცხოელია. ცხადია, - ნაჩქარევად დაამატა ინსპექტორმა, - ჯერჯერობით არაფერს ვამტკიცებ. აჯობებს,

მოკვლევას დაველოდოთ.

პოლიციის უფროსმა თავი დაუქნია.

- ვფიქრობ, მოკვლევა ფორმალბა იქნება, არა?

- დიახ, სერ. უკვე შევხვდი კორონერს.

- როდისთვის დანიშნა მოკვლევა?

- ხვალისთვის. როგორც ვიცი, კრეკენტორპების ოჯახის ყველა წევრი აპირებს ჩამოსვლას. ვნახოთ, იქნებ რომელიმე მათგანმა მოკლული ამოიციოს. მთელი ოჯახი აქ იქნება.

მან სიას ჩახედა, რომელიც ხელში ეჭირა.

- ჰაროლდ კრეკენტორპი - როგორც შევიტყვე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა

სიტიში. ალფრედი - ვერაფრით მივხვდი, რას საქმიანობს. სედრიკი - საზღვარგარეთ ცხოვრობს. ხატავს!

ბოლო სიტყვა ინსპექტორმა ისე ავის მომასწავებლად წარმოთქვა, რომ პოლიციის უფროსს უღვაშში ჩაელიდა.

- გვაქვს თუ არა საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ კრეკენტორპებს ამ დანაშაულთან რაიმე კავშირი აქვთ? - იკითხა მან.

- არა. იმ ფაქტის გამოკლებით, რომ გვამი მათ მამულში აღმოაჩინეს. არც ის არის გამორიცხული, რომ იმ მხატვარმა, ოჯახის წევრმა, მოკლულის ამოცნობა შეძლოს. რომ არ დაგიმალოთ, მატარებლებთან დაკავშირებულ კარუსელს ვერაფერი გავუგე.

- აჰ, დიახ. თქვენ ხომ უკვე შეხვდით იმ მოხუც ქალბატონს... რა ჰქვია?... - უფროსმა მაგიდაზე დადებულ მოხსენებით ბარათში ჩაიხედა. - მის მარპლს?

- დიახ, სერ. ის აბსოლუტურად დარწმუნებულია საკუთარი ვარაუდის სისწორეში. ჭკუაზე შეიშალა თუ არა, ჩემი განსასჯელი არ არის, მაგრამ ერთსა და იმავეს დაჟინებით კი იმეორებს. ამტკიცებს, რომ ასი პროცენტით

დარწმუნებულია - მისმა მეგობარმა ყველაფერი საკუთარი თვალით მართლა დაინახა. მე კი გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს ბოდვაა - ზოგიერთი მგრძობიარე მოხუცი თავისივე მოგონილ ამბავს იჯერებს, მათ, შიგადაშიგ, საკუთარ ბაღში მფრინავი თევფშებიც ეჩვენებათ, ადგილობრივ ბიბლიოთეკაში კი - რუსი ჯაშუშები. თუმცა, როგორც ჩანს, მის მარპლს მართლა დაუქირავებია ის ახალგაზრდა ქალი - ახალ ეკონომს ვგულისხმობ - და გვამის მოძებნა დაუვალებია. ისიც ეძებდა.

- და, რაც მთავარია, მიაგნო კიდევ, - ჩაურთო პოლიციის უფროსმა, - დიახ, გამორჩეული შემთხვევაა. მარპლი, მის ჯეინ მარპლი... სადღაც უკვე მსმენია ეს სახელი... აჯობებს, სკოტლენდიარდს დავუკავშირდე. ვფიქრობ, მართალი ხართ - ეს საქმე ადგილობრივ მასშტაბს სცდება, თუმცა ჯერჯერობით მისი გახმაურება არ ღირს. პრესას, შეძლებისდაგვარად, მწირი ინფორმაცია მივაწოდოთ.

მოკვლევა აშკარად ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. მოკლული ვერავინ ამოიცნო. ჩვენების მისაცემად ლუსი გამოიძახეს, რომელმაც დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ მიაგნო გვამს. სამედიცინო დასკვნაში ჩაწერეს, რომ სიკვდილი მოგუდვამ გამოიწვია. საქმე გადაიდო.

ცივი და ქარიანი დღე იდგა. კრეკენტორპები იმ დარბაზიდან გამოვიდნენ, სადაც მოკვლევა მიმდინარეობდა. ხუთივენი აქ იყვნენ: ემა, სედრიკი, ჰაროლდი, ალფრედი და ბრაიან ისთლი, გარდაცვლილი ედიტ კრეკენტორპის ქმარი. აქვე იყო მისტერ უიმბორნიც, იმ საადვოკატო ფირმის უფროსი პარტნიორი, რომელიც კრეკენტორპების

ოჯახის საქმეებს უძღვებოდა. იგი საგანგებოდ გამოეძახებინათ ლონდონიდან, მოკვლევაზე დასასწრებად, რაც სულაც არ ეხატებოდა გულზე, რადგან იქ უამრავი საქმე ჰქონდა. ყველანი ტროტუარზე იდგნენ, სიცივისგან კანკალებდნენ და ცდილობდნენ, აქეთ-იქით არ გაეხედათ, ვინაიდან ბევრ ხალხს მოეყარა თავი - ლონდონურ და ადგილობრივ პრესას „სარკოფაგში ნაპოვნი გვამის“ შესახებ პიკანტური დეტალები გამოექვეყნებინა.

- ისინი არიან, - ისმოდა ჩურჩული.

- წავიდეთ აქედან, - მკვახედ წარმოთქვა ემამ.

ტროტუარის კიდესთან დიდი „დაიმლერი“ გაჩერდა, რომელიც ამ დღისთვის დაექირავებინათ. მასში ჯერ ემა ჩაჯდა, რომელმაც შემდეგ, ჟესტით ლუსი მიიპატიჟა. მათ მისტერ უიმბორნი, სედრიკი და ჰაროლდი მიჰყვნენ.

- ალფრედს ჩემს პატარა მანქანაში ჩავისვამ, - თქვა ბრაიან ისთლიმ.

მძლოლმა კარი მიხურა და „დაიმლერის“ დასაძრავად მოემზადა.

- შეჩერდით! - წამოიძახა უეცრად ემამ. - ბიჭებიც აქ არიან!

ალექსანდრე და მისი მეგობარი, მათი თავგანწირული პროტესტის მიუხედავად,

რეზერვორდჰოლში დატოვეს, მაგრამ ისინი როგორღაც მაინც აქ აღმოჩნდნენ. ახლა მანქანასთან იდგნენ, პირი ყურიდან ყურამდე დაელოთ და იკრიჭებოდნენ...

- ჩვენ ველოსიპედებით მოვედით, - თქვა სტოდარტ-უესტმა, - გულკეთილმა პოლიციელმა დარბაზში შეგვიშვა და უკანა რიგში მიგვიჩინა ადგილი. ვიმედოვნებ, ძალიან არ გაგვიბრაზდებით, მის კრეკენტორკ, - თავაზიანად დაამატა მან.

- ის არ ბრაზობს, - დის მაგივრად მიუგო სედრიკმა, - ახალგაზრდობას თავისი

უფლებები აქვს. ის მხოლოდ ერთხელ მოდის. მოკვლევას ალბათ არასდროს დასწრებიხართ, ბიჭებო, არა?

- იმედი გაგვიცრუვდა, - თქვა ალექსანდრემ, - ყველაფერი სწრაფად დასრულდა.

- აქ ველარ დავრჩებით, - გაღიზიანებული კილოთი ჩაილაპარაკა ჰაროლდმა, - შეხედეთ, რამდენი ხალხი შეგროვილა. კამერებით შეიარაღებულნიც მრავლად არიან.

მან მძლოლს ანიშნა და „დაიმლერიც“ დაიდრა. ბიჭებმა მხიარულად დაუქნიეს ხელი.

- სწრაფად დასრულდა! - გაიმეორა სედრიკმა. - ნეტავ, ასე იყოს... აი, ბავშვური მიამიტობა! ყველაფერი ახლა იწყება.

- ეს ყველაფერი ძალზე სამწუხაროა, მეტისმეტად სამწუხარო, - თქვა ჰაროლდმა, -

ვფიქრობ...

მან მისტერ უიმბორნს გახედა, რომელმაც თხელი ტუჩები მოკუმა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

- ვიმედოვნებ, - თქვა მან დამრიგებლური კილოთი, - ყველაფერი მალე გაირკვევა. პოლიცია ძალზე ენერგიულად მოქმედებს. თუმცა, ჰაროლდი მართალია: ძალზე არასასიამოვნო ამბავია.

ლაპარაკის დროს იგი გამკიცხავად შეჰყურებდა ლუსის. „რომ არა ეს მეტიჩარა, - იკითხებოდა მის თვალებში, - ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა რომ უყვარს, მსგავსი არაფერი მოხდებოდა“.

თითქოს მისი აზრები გამოიცნო, ჰაროლდ კრეკენტორპმა იკითხა:

- ჰო, მართლა... ე-ე... მის... ე-ე... აილსბეროუ, რამ გიბიძგათ სარკოფაგში ჩახედვისკენ?

ლუსი ელოდა, რომ რომელიმე კრეკენტორპი, ადრე თუ გვიან, ამ შეკითხვას აუცილებლად დაუსვამდა. პოლიციაში პირველად სწორედ ეს შეკითხვა

დაუსვეს. იმან უფრო გააოცა, რომ ოჯახის არც ერთი წევრი აქამდე ამით არ დაინტერესებულა.

სედრიკი, ემა, ჰაროლდი და მისტერ უიმბორნი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს.

პასუხი კი ლუსის წინასწარ მოემზადებინა. ახლა გაირკვეოდა, რამდენად წარმატებული აღმოჩნდებოდა ის.

- სიმართლე გითხრათ, - დაიწყო მან ყოყმანით, - დანამდვილებით არც კი ვიცი...

ვიფიქრე, აჯობებს, თუ ყველაფერს კარგად დავათვალიერებ და დავალაგებ-მეთქი. იქ ხომ, ფარდულში, - იგი კვლავ შეყოყმანდა, - ძალზე თავისებური და არასასიამოვნო სუნი იდგა...

ლუსიმ სწორად გათვალა, რომ ის, რაც ამ სიტყვების მიღმა იგულისხმებოდა, ყველას შეაძრწუნებდა.

მისტერ უიმბორნმა ხმადაბლა წარმოთქვა:

- დიახ, დიახ, რასაკვირველია... პოლიციის ქირურგმა თქვა, რომ დაახლოებით სამი კვირა... თუმცა, ალბათ, წინააღმდეგი არავინ იქნება, თუ ამ დეტალებს აღარ გავიხსენებთ.

მან გამამხნეველად გაუღიმა ძალზე გაფითრებულ ემას და დაამატა:

- არ დაგავიწყდეთ, რომ ამ უბედურ ახალგაზრდა ქალს ჩვენთან საერთო არაფერი აქვს.

- მე ასე კატეგორიულად არ ვიტყოდი, - თქვა სედრიკმა.

ლუსი აილსბეროუმ ცნობისმოყვარეობით შეხედა მას. მაშინვე თვალში ეცა სამ ძმას შორის არსებული მკვეთრი განსხვავება. ტანმალალ სედრიკს ქარნაკრავი, მტკიცე სახე და გრუზა თმა ჰქონდა, გულმხიარულებით გამოირჩეოდა. აეროპორტიდან პირგაუპარსავი მოვიდა, მოკვლევაზე წასვლის წინ გაიპარსა, თუმცა ტანსაცმელი არ გამოუცვლია. ლუსი ეჭვობდა, რომ ეს მისი ერთადერთი კოსტიუმი იყო: ნაცრისფერი ფლანელის ძველი შარვალი და საკმაოდ გაცვეთილი, აქა-იქ დაკემსილი განიერი პიჯაკი. ერთი სიტყვით, გარეგნულადაც და შინაგანადაც ბოჰემური ცხოვრების წესს მისდევდა და, როგორც ჩანს, ამით ძალზე ამაყობდა.

მისი ძმა ჰაროლდი კი, პირიქით, სიტის იდეალური ჯენტლმენის განსახიერება იყო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპანიის დირექტორად მუშაობდა. ამ მაღალ, მხრებგაშლილ კაცს მუქი თმა საფეთქლებთან შესთხლებოდა, უზადოდ შეკერილი შავი კოსტიუმი ეცვა და მონაცრისფრო სადაფისფერი ჰალსტუხი ეკეთა. მაშინვე მიხვდებოდა, რომ თქვენ წინაშე პრაქტიკული ყკუის წარმატებული ბიზნესმენი იდგა.

- კარგი, რა, სედრიკ, - თქვა მან ერთგვარი ძალდატანებით, - შენი შენიშვნა აშკარად უადგილოა.

- ვითომ რატომ? ბოლოს და ბოლოს, ქალი ხომ ჩვენს ფარდულში იყო. რა უნდოდა იქ?

მისტერ უიმბორნმა განზრახ ჩაახველა და თქვა:

- შესაძლოა... ე-ე... პაემანზე მოვიდა. თუ არ ვცდები, ყველა ადგილობრივმა იცის, რომ ფარდულის გასაღები გარეთ, ლურსმანზე კიდია.

მისტერ უიმბორნის ხმაში ისეთი აღშფოთება იგრძნობოდა ამგვარი უდარდებლობის გამო, რომ ემამ სასწრაფოდ სცადა თავის გამართლება:

- ომის დაწყებისთანავე ასე დამკვიდრდა. იქ ხომ ჰაერსაწინააღმდეგო სამოქალაქო თავდაცვის ერთგვარი შტაბი მდებარეობდა. მორიგეობის შემდეგ ყველას შეეძლო სპირტქურაზე კაკაოს მოდულება. გრძელ ფარდულში კაცი ვერაფერს მოიპარავდა და როდესაც ომი დამთავრდა, გასაღები ძველ ადგილას დავტოვეთ. ასე უფრო მოსახერხებელი იყო „ქალთა ინსტიტუტის“ წევრებისთვის. სახლში რომ შეგვენახა, დამატებით სირთულეს შევუქმნიდით საკუთარ თავსაც და მათაც, ვისაც ფარდული სჭირდებოდა. გარდა ამისა, ზოგჯერ შინ არავინ არის, მოსამსახურეც კი - ისინი ხომ ცოტა ხნით მოდიან ხოლმე...

იგი გაჩუმდა. მექანიკურად, უხალისოდ ლაპარაკობდა, თითქოს ფიქრებით სულ სხვაგან იყო.

სედრიკმა მას გაოცებული მხერა მიაპყრო. - შეწუხებული ჩანხარ, დაიკო. რა მოხდა?

- გკეყოფა, სედრიკ, - გაღიზიანებული კილოთი მიუგო ჰაროლდმა, - შენც ეკითხები, რა!

- დიახ, ვეკითხები. კარგი, ვთქვათ, ახალგაზრდა უცნობი ქალი მართლა რეზერვორდჰოლის ფარდულში დაახრჩვეს (ვიქტორიული მელოდრამის სიუჟეტს ხომ არ გაგონებთ?), რამაც ემა შოკში ჩააგდო. მაგრამ იგი გონიერი ქალია და ვერ ვხვდები, ახლა მაინც რატომ ვერ მშვიდდება. ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა.

- ყველა როდი ეგუება ასე ადვილად იმას, რომ მის სახლში მკვლელობა მოხდა, - გესლიანად წარმოთქვა ჰაროლდმა, - გავბედავ და ვიტყვი, რომ იქ, თქვენთან, მალიორკაზე, ადამიანის მოკვლა ჩვეულებრივი ამბავია.

- მალიორკაზე კი არა, იბიცაზე.

- ეს ერთი და იგივეა.

- სულაც არა. სულ სხვა კუნძულია.

ჰაროლდმა ამ დაზუსტებას ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

- ჰოდა, თუ შენთვის, მგზნებარე სამხრეთელებს შორის მცხოვრები კაცისთვის, მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავია, აქ, ინგლისში, მსგავს შემთხვევებს სერიოზულად ვეკიდებით. და საერთოდ, სედრიკ, - დაამატა მან

მომეტებული გაღიზიანებით, - საზოგადოებაში, მით უმეტეს მოკვლევაზე, ასეთი სახით გამოჩენა...

- მაინც რითი არ მოგწონს ჩემი ტანსაცმელი? ძალიან კომფორტულია.

- სრულიად შეუსაბამოა.

- რაც არის, ის არის. სხვა არაფერი წამომიღია. არ მინდოდა, ჩემოდნის გამო დრო დამეკარგა. მაშინვე აქეთ გამოვქანდი, რათა ახლობლებს მძიმე წუთებში მხარში ამოვდგომოდი. მე მხატვარი ვარ, მხატვრებისთვის კი ტანსაცმელში მთავარი - მისი კომფორტულობაა.

- მაშასადამე, ხატვას კიდევ ცდილობ?

- მომისმინე, ჰაროლდ. როდესაც ამბობ, ხატვას „ცდილობ“...

მისტერ უიმბორნმა კვლავ ავტორიტეტულად ჩაახველა.

- არა მგონია, ასეთმა კამათმა სარგებელი მოიტანოს, - თქვა საყვედურის

კილოთი, - ვიმედოვნებ, ძვირფასო ემა, სანამ ლონდონში დავბრუნდები, მეტყვით, რითი შემიძლია თქვენი დახმარება.

მისტერ უიმბორნის საყვედურმა შედეგი გამოიღო - ემა კრეკენტორპმა სწრაფად მიუგო:

- გკმადლობთ, მისტერ უიმბორნ, ჩვენთან ჩამობრძანებისთვის. ძალზე თავაზიანი საქციელია თქვენი მხრიდან.

- არაფერია. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო მოკვლევაზე ისეთი პირის დასწრება, რომელიც თვალს მიადევნებდა პროცესს ოჯახის ინტერესის დასაცავად. უკვე შევუთანხმდი ინსპექტორს შეხვედრის თაობაზე და დარწმუნებული ვარ, ერთგვარი ჩახლართულობის მიუხედავად, ყველაფერი მალე გაირკვევა. ვფიქრობ, აქ არაფერია საიდუმლოებით მოცული. ემამ გვითხრა, რომ ყველა ადგილობრივმა იცოდა, სად ეკიდა გასაღები. ადვილი შესაძლებელია, რომ ზამთრის თვეებში შეყვარებულები ერთმანეთს გრძელ ფარდულში ხვდებოდნენ. ერთხელაც შეკამათდნენ და ახალგაზრდა კაცმა ეჭვიანობისას თავი ველარ გააკონტროლა. როდესაც გაიაზრა, რაც ჩაიდინა, შემინებულმა თვალი სარკოფაგს მოჰკრა და გადაწყვიტა, რომ უკეთეს ადგილს ვერც მიაგნებდა.

„დიახ, ძალზე დამაჯერებლად ჟღერს, - გაიფიქრა ლუსიმ, - თავდაპირველად სწორედ ეს აზრი მოუვა კაცს თავში“.

- თქვენ ადგილობრივი წყვილები ახსენეთ, მაგრამ მოკლული ვერავინ ამოიციო, - თქვა სედრიკმა.

- ჯერჯერობით ცოტა დრო გავიდა. ეჭვი არ მეპარება, მალე ამოიციობენ. თანაც, შესაძლებელია, ადგილობრივი მხოლოდ მამაკაცი იყო, ქალი კი - ბრეკემპტონის სხვა რაიონიდან. ბრეკემპტონი დიდი ქალაქია - ბოლო ოცი წლის განმავლობაში ძალიან გაიზარდა.

- მე რომ იმ ქალიშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, შეყვარებულთან ამ გაყინულ ფარდულში შეხვედრას არ მოვისურვებდი, - შეეპასუხა სედრიკი, - მყუდრო კინოთეატრს ვამჯობინებდი, სადაც კომფორტულად შეიძლება ხვევნა-კოცნა. არ მეთანხმებით, მის აილსბეროუ?

- ნუთუ აუცილებელია ამ ყველაფერში ქექვა? - გაღიზიანებით, თუმცა, იმავდროულად, ვედრებით წარმოთქვა ჰაროლდმა.

ამ დროს საუბარი შეწყდა, ვინაიდან „დაიმლერმა“ რეზერფორდჰოლის შესასვლელ კართან დაამუხრუჭა. ყველანი რიგრიგობით გადმოვიდნენ მანქანიდან.

თავი მერვე

ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე, მისტერ უიმბორნმა მოულოდნელობისგან თვალები რამდენჯერმე დაახამხამა და ინსპექტორის გვერდის ავლით, რომელთან შეხვედრაც უკვე მოესწრო, გამომცდელად მიაჩერდა იქვე, ოდნავ მოშორებით მდგარ ლამაზ ქერათმიან მამაკაცს.

- ეს დეტექტივ-ინსპექტორი კრედოკია ახალი სკოტლენდიარდიდან) სკოტლენდიარდის ახალი დასახელება 1891 წლიდან.-, - წარადგინა იგი ინსპექტორმა ბეკონმა.

- ახალი სკოტლენდიარდიდან... ჰმ, - მისტერ უიმბორნმა წარბები აზიდა. დერმუტ კრედოკი შესაშური ბუნებრიობით, თავისუფლად ალაპარაკდა.

- ჩვენ ამ საქმის გამოძიებაში ჩაგვრთეს, მისტერ უიმბორნ, - თქვა მან, - და ვინაიდან თქვენ კრეკენტორპების ოჯახის ინტერესს იცავთ, ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ მცირეოდენ კონფიდენციალურ ინფორმაციას მოგაწვდით.

ინსპექტორ კრედოკზე უკეთ არავის შეეძლო სიმართლის თუნდაც მცირე მარცვლის ისე წარმოდგენა, რომ მსმენელს იგი სრულ ჭეშმარიტებად მიეღო.

- დარწმუნებული ვარ, ამაში ინსპექტორი ბეკონიც დამეთანხმება, - თქვა მან და კოლეგას გადახედა.

ინსპექტორმა ბეკონმა, თანხმობის ნიშნად, ისეთი სერიოზული გამომეტყველებით დაუკრა თავი, თითქოს კრედოკის ამ განზრახვის შესახებ პირველად შეიტყო.

- მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, - განაგრძო კრედოკმა, - შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოკლული აქაური არ იყო. იგი ცოტა ხნის წინ საზღვარგარეთიდან, შესაძლოა, საფრანგეთიდან ჩამოვიდა (თუმცა, დარწმუნებულნი არა ვართ), აქ კი ლონდონიდან გამოემგზავრა.

მისტერ უიმბორნმა კვლავ აზიდა წარბები. - მართლა? - იკითხა მან. - ნუთუ მართლა?

- ამის გათვალისწინებით, - განაცხადა ინსპექტორმა ბეკონმა, - პოლიციის უფროსმა გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამ საქმეს

სკოტლენდიარდი გამოიძიებდა.

- იმედი ვიქონიოთ, დანაშაული მალე გაიხსნება, - თქვა მისტერ უიმბორნმა, - ცხადია, ხვდებით, რომ ეს შემთხვევა ოჯახისთვის დიდი დარტყმაა. მართალია, ამ საქმესთან არც ერთ წევრს პირადი შემხებლობა არა აქვს, ისინი...

იგი წამით შეყოვნდა, მაგრამ ინსპექტორმა კრედოკმა ეს სიცარიელე მაშინვე შეავსო:

- ცხადია, ძალზე არასასიამოვნოა, როდესაც თქვენს მამულში მოკლულს პოულობენ. სხვა ნათქვამში კი ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით. ახლა კი ოჯახის თითოეულ წევრს უნდა გავესაუბრო...

- არ დაგიმაღავთ და, არ მესმის...

- მათ რისი შეტყობინება შეუძლიათ? სავარაუდოდ, საინტერესოს ვერაფერს იტყვიან, თუმცა, ვინ იცის... გავბედავ და გეტყვით, რომ თქვენც საკმაოდ ინფორმაციის მოწოდება შეგიძლიათ, სერ. ყველაფერი მაინტერესებს, რაც ამ სახლსა და ოჯახს ეხება.

- რა კავშირი უნდა ჰქონდეთ კრეკენტორპებს საზღვარგარეთიდან ჩამოსულ, უცნობ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც აქ მოკლული იპოვეს?

- სწორედ ეს არის მთავარი, - მიუგო კრედოკმა, - რატომ ჩამოვიდა აქ? ხომ არ ჰქონდა უწინ ამ სახლთან რამე კავშირი? იქნებ მათთან მუშაობდა? ვთქვათ, მოახლედ? ან იქნებ სასწრაფოდ დასჭირდა შეხვედრა ვინმესთან, ვინც რეზერვორდჰოლში კრეკენტორპებამდე ცხოვრობდა?

მისტერ უიმბორნმა ცივად შენიშნა, რომ რეზერვორდჰოლში მხოლოდ კრეკენტორპები ცხოვრობდნენ მას შემდეგ, რაც 1884 წელს ეს სახლი იეშუა კრეკენტორპმა ააშენა.

- ეს, თავისთავად, ძალზე საინტერესოა, - თქვა კრედოკმა, - ხომ არ შეგიძლიათ, მოკლედ მიაშობოთ ამ ოჯახის ისტორიის შესახებ?

მისტერ უიმბორნმა მხრები აიჩეჩა.

- სათქმელი ბევრი არაფერია. მისტერ იეშუა კრეკენტორპი ფაბრიკანტი იყო და

ტკბილ და მარილიან ნამცხვარს, საწებელს, მარინადასა და მისთანებს აწარმოებდა. დიდი ქონება დააგროვა და ეს სახლი ააშენა. ახლა აქ მისი უფროსი ვაჟი, ლუთერ კრეკენტორპი ცხოვრობს.

- სხვა ვაჟიშვილები?

- ერთი ვაჟი, ჰენრი, ავტოავარიაში 1911 წელს დაიდუპა.

- ამჟამინდელ მისტერ კრეკენტორპს არასდროს უცდია ამ სახლის გაყიდვა?

- მას ამის გაკეთება არ შეუძლია, - კვლავ ცივად წარმოთქვა ადვოკატმა, - მამამისის მიერ დატოვებული ანდერძის თანახმად.

- ანდერძში რა წერია? - ეს რატომ უნდა გითხრათ? ინსპექტორ კრედოვს გაეღიმა.

- იმიტომ, რომ, თუ მოვისურვებ, თვითონაც გავეცნობი მას სომერსეტჰაუსში(სომერსეტჰაუსი - შენობა ლონდონში. მასში განთავსებულია საგადასახადო სამმართველო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, მათ შორის არქივი, სადაც ყველა ანდერძის ასლი ინახება.).

მისტერ უიმბორნმა ცალყბად ჩაიციხა და თქვა:

- მართალი ბრძანდებით, ინსპექტორო. მე მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ იმას, რასაც მეკითხებით, საქმესთან კავშირი არა აქვს. იეშუა კრეკენტორპის ანდერძს რაც შეეხება, მასში საიდუმლო არაფერია. მისი უზარმაზარი ქონება ნდობით მმართველთა განკარგულებაშია. ამ კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი სიცოცხლის ბოლომდე მის ვაჟს, ლუთერს უნდა უხადონ, მისი სიკვდილის შემდეგ კი თანაბრად გაუნაწილონ შვილიშვილებს - ედმუნდს, სედრიკს, ჰაროლდს, ემასა და ედიტს. ედმუნდი ომში დაიღუპა, ედიტი ოთხი წლის წინ გარდაიცვალა. ასე რომ, ლუთერ კრეკენტორპის სიკვდილის შემდეგ თანხა სედრიკს, ჰაროლდს, ალფრედს, ემასა და ედიტის ვაჟს, ალექსანდრე ისთლის შეხვდებათ.

- სახლი?

- სახლი ლუთერ კრეკენტორპის უფროს ვაჟს ან მის შვილებს გადაეცემა. - ედმუნდ კრეკენტორპი დაქორწინებული არასდროს ყოფილა?

- არა.

- მაშასადამე, უძრავ ქონებას...

- მისი მეორე ვაჟი, სედრიკი მიიღებს. - მისტერ კრეკენტორპს სახლის გაყიდვის უფლება არა აქვს? - არა.

- არც კაპიტალის განკარგვის უფლება აქვს?

- არა აქვს.

- ეს ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ? - იკითხა ინსპექტორმა კრედოვმა, - როგორც ჩანს, მამამისს იგი არ უყვარდა.

- სწორად ივარაუდეთ, - მიუგო მისტერ უიმბორნმა, - მან მოხუც იეშუას იმედი გაუცრუა. უფროსი ვაჟი მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, მას კი არც ფაბრიკა აინტერესებდა და არც სხვა ბიზნესი. ლუთერი მთელ დროს უცხოეთში მოგზაურობაში ატარებდა, სადაც ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდა. მოხუცს ეს სულაც არ მოსწონდა. ამიტომაც ფული მომდევნო თაობას დაუტოვა.

- მაშასადამე, ამჟამად ეს მომდევნო თაობა ვერაფერს მიიღებს, იმ ფულის გარდა, რომელსაც მათ მამა გამოუყფვს, მას კი გვარიანი შემოსავალი აქვს, მაგრამ კაპიტალს ვერ განკარგავს.

- მართალს ბრძანებთ. თუმცა, ვერ გამიგია, რა კავშირი აქვს ამ იურიდიულ დეტალებს იმ უბედური უცხოელი ქალის მკვლელობასთან!

- შესაძლოა, არც ჰქონდეს კავშირი, - სწრაფად დაეთანხმა ინსპექტორი კრედოკი, - მე მხოლოდ ფაქტების დადგენა მსურდა.

მისტერ უიმბორნმა დაჟინებით შეხედა მას, შემდეგ თავი კმაყოფილებით დააქნია და წამოდგა.

- ლონდონში დაბრუნებას ვაპირებ, - თქვა მან, - ცხადია, თუ მეტი შეკითხვა არა გაქვთ.

- არა მაქვს, გმადლობთ, სერ. შესასვლელიდან გონგის გამაყრუებელი ხმა გაისმა.

-- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისტერ უიმბორნმა. - ეს, ალბათ, რომელიმე ბიჭის ნამოქმედარია.

- ახლა ჩვენ წავალთ, - თქვა ინსპექტორმა კრედოკმა და ხმაურის გადასაფარავად ხმას აუწია, - დაე, ოჯახმა მშვიდად ისადილოს. ლანჩის შემდეგ მე და ინსპექტორი

ბეკონი დავბრუნდებით, რათა თითოეულ წევრს გავესაუბროთ. აქ სამის თხუთმეტ წუთზე ვიქნებით.

- თქვენი აზრით, ეს აუცილებელია?

-- როგორ გითხრათ... - თქვა კრედოკმა და მხრები აიჩეჩა. - ეს ერთგვარი შანსია. შესაძლოა, ვინმემ რამე გაიხსენოს, რაც მოკლულის ამოცნობაში დაგვეხმარება.

- ეჭვი მეპარება, ინსპექტორო, ეყვი მეპარება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმატებას გისურვებთ. გიმეორებთ, რაც უფრო სწრაფად გაირკვევა ყველაფერი, მით უკეთესი იქნება.

მან თავი დააქნია და ოთახიდან ნელა გავიდა.

მოკვლევის შემდეგ ლუსი სამზარეულოსკენ გაეშურა და ლანჩის მომზადებას შეუდგა. ამ დროს კარში ბრაიან ისთლიმ შემოჰყო თავი.

- დახმარება ხომ არ გჭირდებათ? - იკითხა მან, - სახლის საქმეებში გამოცდილება არ მაკლია.

ლუსიმ იგი სწრაფად შეათვალიერა. ბრაიანი თავისი პატარა „ემჯით“ პირდაპირ მოკვლევაზე გამოცხადდა და მის შესახებ აზრი ჯერ არ ჩამოჰყალიბებოდა.

საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა, გულკეთილი კაცი ჩანდა, ოცდაათი წლის იქნებოდა. ქერა თმა, სევდიანი ცისფერი თვალები და დიდი, ღია ფერის ულვაში ჰქონდა.

- ბიჭები ჯერჯერობით არ დაბრუნებულან, - თქვა მან, როდესაც შიგნით შევიდა და სამზარეულოს მაგიდის კიდეზე შემოსკუპდა, - ველოსიპედებით აქ მოსასვლელად კიდეც ოციოდე წუთი დასჭირდებათ.

ლუსის გაეღიმა.

- მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, არაფერი გამოტოვონ.

- ამაში ვერ დავადანაშაულებ. ეს ხომ პირველი მოკვლევაა მათ ცხოვრებაში, თანაც, ასე ვთქვათ, მთელი ოჯახის მონაწილეობით.

- მაგიდიდან ხომ ვერ ჩამოხვიდოდით, მისტერ ისთლი? გამოსაცხობი ტაფის დადგმა მინდა.

ბრაიანი დაემორჩილა. - უნდა გითხრათ, რომ ცხიმი უკვე გადნა, - თქვა მან, - რა უნდა გააკეთოთ? -- იორკშირული პუდინგი.

- ძველებური, კარგი იორკშირული. მაშასადამე, დღეს მენიუმში ტრადიციული ინგლისური როსტბიფი იქნება?

- დიახ.

- შემწვარ ხორცს ადრე ალაპის დროს მიირთმევდნენ. კარგი სურნელი აქვს, - მან ცხვირით ღრმად, სიამოვნებით შეისუნთქა, - ჩემი ლაყბობა ხელს ხომ არ გიშლით?

- თუ დასახმარებლად მოხვედით, დამეხმარეთ კიდეც, - თქვა ლუსიმ და ჰაერლუმლიდან კიდეც ერთი ტაფა გამოიღო, - კარტოფილის ნაჭრები გადაატრიალეთ, რათა მეორე მხრიდანაც შეწითლდეს.

ბრაიანი მონდომებით შეუდგა ბრძანების შესრულებას.

- და ეს ყველაფერი იწვებოდა, სანამ მოკვლევაზე ვიმყოფებოდით? - გაიკვირვა მან. - რომ დამწვარიყო?

- ვერ დაიწვებოდა. ჰაერლუმელს თერმორეგულატორი აქვს. - ერთგვარი ელექტრონული ტვინი, ასეა? ლუსიმ აღმაცერად გადახედა და უთხრა:

- მართალია. ახლა კი ტაფა ჰაერლუმელში შედგით. აი, ხელის მოსაკიდებელი. სულ ქვევით, თუ შეიძლება. შუა ცხაურა იორკშირული პუდინგისთვის დამჭირდება.

ბრაიანმა ეს დავალებაც მორჩილად შეასრულა, მაგრამ უეცრად შეჰყვირა. - დაიწვით?

- ოდნავ. არაფერია. რა სახიფათო ყოფილა საჭმლის მომზადება!

- თქვენ საჭმელი, ალბათ, არასდროს მოგიმზადებიათ, არა?

- პირიქით, საკმაოდ ხშირად. ოღონდ, ცხადია, გაცილებით მარტივი კერძები. შემოდია, კვერცხი მოვხარშო, თუ საათზე დახედვა არ დამავიწყდება, ან კვერცხი და

ბეკონი შევწვა. სტეიკიც დამიბრაწავს გრილზე, წვნიანის კონსერვიც გამიხსნია. შინ პატარა ელექტროქურა მაქვს.

- ლონდონში ცხოვრობთ? - დიახ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია.

გულდამძიმებული ლაპარაკობდა. თან ლუსის აკვირდებოდა, რომელიც ფრთხილად ათავსებდა ჰაერლუმელში იორკშირულ პუდინგს.

- აქ ყოფნა მაინც ძალიან სასიამოვნოა, - თქვა მან და ამოიოხრა.

ლუსიმ სამუშაოს ნაწილი დაასრულა და ახლა შეეძლო, მეტი ყურადღება დაეთმო თანამოსაუბრისთვის.

- სად - აქ? სამზარეულოში? - დიახ. მშობლიური სახლის სამზარეულოს მაგონებს, სადაც ბავშვობა გავატარე.

უეცრად ლუსიმ ბრაიან ისთლის იერში საოცარი უიმედობა ამოიკითხა. ყურადღებით დააკვირდა და მიხვდა, რომ იმაზე უფროსი იყო, ვიდრე თავიდან მოეჩვენა. ორმოცი წლის იქნებოდა. მაინც უჭირდა მასში ალექსანდრეს მამის დანახვა. ისთლი იმ ახალგაზრდა მფრინავებს აგონებდა, რომლებიც ომის დროს გაიცნო, როდესაც თვითონ თოთხმეტი წლის მგრძნობიარე და მეოცნებე გოგო იყო. ომის შემდგომ სამყაროში თანდათანობით გაიზარდა და გარემოსაც შეეგუა, ბრაიანი კი თითქოს ერთ ადგილას იდგა და დრო მას გვერდს უვლიდა.

კაცმა დაილაპარაკა და მისმა სიტყვებმა ლუსის ვარაუდი დაადასტურა. ბრაიანი კვლავ მაგიდაზე შემოჯდა.

- ძნელია ამ სამყაროში ცხოვრება, ასე არაა? ყველაფერში სწორად გარკვევას ვგულისხმობ. ეს ჩვენთვის არავის უსწავლებია.

ლუსის გაახსენდა, რას უყვებოდა ემა.

- მფრინავ-გამანადგურებელი იყავით, არა? და მედალიც გაქვთ მიღებული - ჯვარი „საბრძოლო დამსახურებისთვის“.

- სწორედ ეს მიშლის ხელს. თქვენ იღებთ გონგს(ციიმ (ინგლ. ჟარგ.) - მედალი.) და ადამიანები ცდილობენ, დაგეხმარონ. გაძლევენ სამუშაოს და ასე შემდეგ. კეთილშობილური საქციელია მათი მხრიდან. მაგრამ ეს საოფისე სამუშაოა და თქვენ მისთვის სრულიად არ გამოდგებით. მაგიდასთან ჯდომა და ციფრებში ქექვა... რომ იცოდეთ, საკუთარი იდეები მქონდა, ვცდილობდი კიდევ მათ რეალიზებას. მაგრამ ამ საქმეში სხვის იმედად არ უნდა იყოთ. ვერ მიაგნებთ მათ, ვინც ფულის ჩადებას მოისურვებს. მე რომ ცოტაოდენი კაპიტალი მქონოდა...

იგი ჩაფიქრდა.

- ედის არ იცნობდით, არა? ჩემს ცოლს. ცხადია, არ იცნობდით. იგი ოჯახის ყველა წევრისგან განსხვავდებოდა. ჯერ ერთი, გაცილებით ახალგაზრდა იყო. მეორეც - სახმელეთო ჯარებში მსახურობდა. ედი ყოველთვის ამბობდა, ჩემი მოხუცი სრულ ჭკუაზე არ არისო. არც ცდებოდა. საოცრად ძუნწია. მაგრამ ფულს იმ ქვეყნად ხომ არ წაიღებს. მაინც გაინაწილებენ მისი გარდაცვალების შემდეგ. ედიტის წილი ალექსანდრეს შეხვდება, მაგრამ, სანამ ოცდაერთი წელი შეუსრულდება, კაპიტალს ვერ განკარგავს.

- მაპატიეთ, მაგრამ ერთხელაც ხომ ვერ ადგებოდით მაგიდიდან? საწებელი უნდა მოვამზადო.

ამ დროს სამზარეულოში აქოშინებული და სახეაწითლებული ალექსანდრე და სტოდარტ-უესტი შემოვიდნენ.

- გამარჯობა, ბრაიან, - ალერსიანად თქვა ალექსანდრემ მამის დანახვაზე, - აი, სად ყოფილხარ. ოჰო, რა შესანიშნავი ხორცია! იორკშირული პუდინგიც იქნება?

- დიახ.

- ჩვენს სკოლაში საზიზღრად ამზადებენ - წყალწყალაა და სლიკინა. - აბა, მოუსვით აქედან, - თქვა ლუსიმ, - საწებელი უნდა მოვამზადო. - ცოტა მეტი გააკეთეთ. იქნებ ორი ჯამი გამოვიდეს?

-- გამოვა.

- კარგიაა-ა! - შესძახა სტოდარტ-უესტმა, ცხადია, არც ის დავიწყებია, რომ კარგად, „ავსტრალიურად“ გაეწელა თავისი საფირმო სიტყვა.

- ოღონდ არ მომწონს, როდესაც საწებელი ღია ფერისაა, - შემფოთებით ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

- ნუ ღელავთ, გავამუქებ. - საოცარი მზარეულია, - უთხრა მამას ალექსანდრემ.

ლუსის მოეჩვენა, რომ მათ როლები გაცვალეს: ალექსანდრე ბრაიანს მზრუნველ მამასავით ელაპარაკებოდა.

- ჩვენი დახმარება ხომ არ გჭირდებათ, მის აილსბეროუ? - თავაზიანად იკითხა სტოდარტ-უესტმა.

- დიახ, მჭირდება. ალექსანდრე, წადით და გონგს შემოჰკარით. ჯეიმზ, შეგიძლიათ, ეს ლანგარი სასადილო ოთახში წაიღოთ? მისტერ ისთლი, ხორცს მოერევით? მე კი კარტოფილსა და იორკშირულ პუდინგს გამოვიყოლებ.

- იქ ინსპექტორია სკოტლენდიარდიდან, - თქვა ალექსანდრემ, - როგორ ფიქრობთ, ჩვენთან ერთად ისადილებს?

- ეს მის ემაზეა დამოკიდებული.

- არა მგონია, მამიდა ემა წინააღმდეგი იყოს... სტუმართმოყვარე ქალია. ბიძია ჰაროლდს კი ნამდვილად არ მოეწონება. ძალიან ბრაზობს ამ

მკვლევლობის გამო.

ალექსანდრე ლანგრით ხელში უკვე კარში გადიოდა, როდესაც მხარს ზემოდან დამატებითი ინფორმაცია გაუზიარა:

- მისტერ უიმბორნი ამჟამად ბიბლიოთეკაშია იმ სკოტლენდიარდელ კაცთან ერთად, მაგრამ ლანჩზე არ დარჩება. ამბობს, რომ ლონდონში უნდა დაბრუნდეს. წავიდეთ, სტოდერს. ოჰ, ის უკვე გონგის შემოსართყმელად წასულა!

სწორედ ამ დროს გონგის ხმა გაისმა. სტოდარტ-უესტი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი იყო, მასში მთელი სული ჩააქსოვა, ასე რომ, საუბრის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ბრაიანს ხორცი მოჰქონდა, მას ლუსი მისდევდა კარტოფილითა და პუდინგით. შემდეგ ქალი სამზარეულოში დაბრუნდა, საწებლით პირამდე სავსე ორი ჯამის წასაღებად.

მისტერ უიმბორნი უკვე ხელთათმანებს იცვამდა, როდესაც ემა სწრაფად დაემვა კიბით ჰოლში.

- იქნებ ცოტა ხნით მაინც დარჩენილიყავით, მისტერ უიმბორნი? სუფრა უკვე გაწყობილია.

- არა. ლონდონში მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს დანიშნული. ნუ წუხხართ, მატარებელში ვაგონ-რესტორანია.

- უღრმესი მადლობა, რომ ჩამობრძანდით.

ამ დროს ბიბლიოთეკიდან ორი პოლიციელი გამოვიდა. მისტერ უიმბორნმა ემას ხელი თავის ხელისგულებს შორის მოიქცია.

- არ იღელვოთ, ძვირფასო, - თქვა მან, - ეს დეტექტივ-ინსპექტორი კრედოკია ახალი სკოტლენდიარდიდან. აქ საქმის გამოსაძიებლად მოავლინეს. ახლა ინსპექტორი მიდის, მაგრამ სამის თხუთმეტ წუთზე დაბრუნდება, რათა

დაგელაპარაკოთ... იქნებ ისეთი რამე შეატყობინოთ, რაც გამოძიებას დაეხმარება. თუმცა გიმეორებთ, რომ აღელვების მიზეზი არ გაქვთ, - მან კრედოკს შეხედა, - შეიძლება თუ არა, მის კრეკენტორპს ვუთხრა, რაც თქვენგან შევიტყვე?

- რა თქმა უნდა, სერ.

- ინსპექტორმა კრედოკმა ახლახან მითხრა, რომ მოკლული ქალი, სავარაუდოდ, ადგილობრივი არ უნდა იყოს. იგი ლონდონიდან ჩამოვიდა და, შესაძლოა, უცხოელია.

- უცხოელი. ფრანგი? - მოულოდნელად, მკვეთრად იკითხა ემამ. მისტერ უიმბორნი, დარწმუნებული, რომ მისი ნათქვამი მის ემას დაამზვიდებდა,

განცვიფრებული ჩანდა. ქალს დერმუტ კრედოკიც ჩააშტერდა სახეში... რატომ ივარაუდა მან, რომ მოკლული ფრანგი იყო? და რატომ შემფოთდა?

თავი მეცხრე

ლუსის მიერ მომზადებული შესანიშნავი ლანჩი ღირსეულად მხოლოდ ბიყებმა და სედრიკ კრეკენტორპმა დააფასეს, რომელსაც თითქოს სულ არ აღელვებდა ის გარემოებები, ინგლისში დაბრუნება რომ აიძულა. როგორც ჩანს, მომხდარს იგი კარგ, ოღონდ ცოტა საზარელი შეფერილობის ხუმრობად აღიქვამდა.

ლუსიმ შენიშნა, რომ ასეთი დამოკიდებულება სრულიად მიუღებელი იყო მისი ძმის, ჰაროლდისთვის. იგი ამ მკვლელობას კრეკენტორპების ოჯახის შეურაცხყოფად მიიჩნევდა. საშინლად აღშფოთებული საყჩყმელს არც კი მიჰკარებია. ემამაც ძალიან ცოტა მიირთვა, შეწუხებული და გაუბედურებული ჩანდა. ფიქრებში წასული ალფრედი ხმას თითქმის არ იღებდა. იგი საკმაოდ ლამაზი კაცი იყო, შავგვრემანი, გამხდარი სახით, ეგ არის, რომ თვალები ჰქონდა ერთმანეთთან ახლოს განლაგებული.

ლანჩის შემდეგ პოლიციელები დაბრუნდნენ და ტაქტიანად სთხოვეს სედრიკს, მათთვის რამდენიმე წუთი დაეთმო.

- დაბრძანდით, მისტერ კრეკენტორკ, - თავაზიანად და მეგობრულად მიმართა ინსპექტორმა კრედოკმა, - როგორც შევიტყვე, ახლახან დაბრუნებულხართ ბალეარის კუნძულებიდან (ბალეარის კუნძულები - ესპანეთის ავტონომიური გაერთიანება და პროვინცია 1983 წლიდან.). მუდმივად იქ ცხოვრობთ?

- ბოლო ექვსი წლის განმავლობაში - კი. იბიცაზე (ბალეარის კუნძულები - ესპანეთის ავტონომიური გაერთიანება და პროვინცია 1983 წლიდან.). ჩემს

გემოვნებას ის უფრო შეეფერება, ვიდრე ეს სევდის მომგვრელი ქვეყანა.

- იქ, ჩვენთან შედარებით, ალბათ, გაცილებით მეტი მზიანი დღეა, - გაელიმა ინსპექტორ კრედოკს, - მაგრამ თქვენ, თუ არ ვცდები, ინგლისში არცთუ დიდი ხნის წინ იყავით, კერძოდ, საშობაოდ. ასე სწრაფად დაბრუნება რამ გაიძულათ?

სედრიკს გაეცინა.

- დეპეშა მივიღე ჩემი დისგან, ემასგან. აქამდე ჩვენი მამულის ტერიტორიაზე მკვლელობა არასდროს მომხდარა. არ მინდოდა, რამე გამომრჩენოდა - ჰოდა, ჩამოვედი.

- კრიმინოლოგია გიტაცებთ?

- რა საჭიროა ასეთი მაღალინტელექტუალური სიტყვები! მომწონს მკვლელობები - დეტექტიურ ამბებსა და მისთანებს ვგულისხმობ! აქ კი მკვლელობა ლამის ჩვენი სახლის ზღურბლზე მოხდა - ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება. თანაც გავიფიქრე, რომ ემას დახმარება დასჭირდებოდა ჭირვეულ მამასთან, პოლიციასა და ათასგვარ გაუთვალისწინებელ გარემოებასთან გასამკლავებლად.

- გასაგებია. მაშასადამე, ამის მიზეზი სპორტული ინტერესი და ოჯახური გრძნობები ყოფილა. დარწმუნებული ვარ, და ძალიან გემადლიერებათ, თუმცა თქვენი ორი ძმაც ჩამოვიდა.

- ისინი დის მხარდასაჭერად და სანუგეშებლად როდი ჩამოვიდნენ, - თქვა სედრიკმა, - ჰაროლდი საშინლად გაღიზიანებულია. სიტყვი მოღვაწე მაგნატისთვის მიუღებელია, რომ მისი სახელი მკვლელობას, თანაც საექვო რეპუტაციის ქალის მკვლელობას დაუკავშირონ.

- 00 ქალს საექვო რეპუტაცია ჰქონდა? - ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ. თუმცა, ფაქტების მიხედვით, ასე უნდა იყოს. - მე კი მეგონა, რაიმე ვარაუდი გაგიჩნდათ ქალის ვინაობასთან დაკავშირებით.

- მომისმინეთ, ინსპექტორო, თქვენ ხომ იცით - და თუ არ იცით, კოლეგას ჰკითხეთ, - ამოვიცანი თუ არა მოკლული?

- მე მხოლოდ ვარაუდი ვახსენე, მისტერ კრეკენტორპ. თუნდაც ის ქალი არასდროს გენახათ, მაინც შეგეძლოთ ვარაუდის გამოთქმა მასთან ან მკვლელთან დაკავშირებით.

სედრიკმა თავი გადააქნია.

- ვარაუდის მსგავსიც კი არაფერი მაქვს. იმას გულისხმობთ, რომ ქალი გრძელ ფარდულში, შესაძლოა, რომელიმე ჩვენგანთან ერთად წავიდა პაემანზე? მაგრამ ჩვენ ხომ აქ არ ვცხოვრობთ. აქ მხოლოდ არცთუ ახალგაზრდა ქალი და ავადმყოფი მოხუცი კაცია. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ მსხვერპლს პაემანი ჩემს პატივცემულ მამიკოსთან ჰქონდა?

- ჩვენ ვვარაუდობთ - ამაში, ცხადია, ინსპექტორი ბეკონიც მეთანხმება, - რომ ქალს, შესაძლოა, ამ სახლთან რაღაც აკავშირებდეს, ის, რაც, ვთქვათ, მრავალი წლის წინ მოხდა. იქნებ გაიხსენოთ, მისტერ კრეკენტორპ.

სედრიკი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და თავი გადააქნია. - სხვა ოჯახების მსგავსად, დროდადრო ჩვენც აგვყავდა უცხოელი მოსამსახურე,

მაგრამ იმ ქალს ვერავის ვამსგავსებ. აჯობებს, სხვებს ჰკითხოთ. მათ ჩემზე მეტი იციან.

- აუცილებლად ვკითხავთ.

კრედოკი სკამზე გადაწვა და განაგრძო:

- როგორც მოკვლევაზე მოისმენდით, ექიმები სიკვდილის დადგომის ზუსტ დროს ვერ ასახელებენ. ეს ორიდან ოთხ კვირამდე შუალედი ანუ დაახლოებით, საშობაო დღესასწაულის დღეებს ემთხვევა. თქვენ ბრძანეთ, რომ ოჯახს საშობაოდ ეწვიეთ. როდის ჩამოხვედით ინგლისში და როდის გაემგზავრეთ აქედან?

სედრიკი კვლავ ჩაფიქრდა.

- ახლავე გავიხსენებ... თვითმფრინავით ჩამოვფრინდი. აქ შობის წინა შაბათს მოვედი ანუ - ოცდაერთ დეკემბერს.

- პირდაპირ მალიორკიდან გადმოფრინდით?

- დიახ. დილის ხუთ საათზე. შუადღისას ჩამოვფრინდი.

- ინგლისიდან როდის გაემგზავრეთ?

- მომდევნო პარასკევს, ოცდაშვიდში.

- გმადლობთ.

სედრიკს გაეცინა.

- როგორც ხედავთ, ზუსტად იმ სამ კვირაში ვხვდები. მაგრამ გარწმუნებთ, ინსპექტორო, რომ ახალგაზრდა ქალების გაგუდვა ჩემი საყვარელი საშობაო გასართობი ნამდვილად არაა.

- ვიმედოვნებ, მისტერ კრეკენტორპ.

ინსპექტორი ბეკონი აშკარად უკმაყოფილო ჩანდა.

- ამასთან, - განაგრძო სედრიკმა, - მსგავსი ქმედების შემთხვევაში, სადღა

იქნებოდა „მშვიდობა ქვეყნად და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკას სახარება, 2:14, თავისუფალი ციტატა.)? არ მეთანხმებით?

ამ კითხვით სედრიკმა ინსპექტორ ბეკონს მიმართა.

- გმადლობთ, მისტერ კრეკენტორპკ, - თავაზიანად მიუგო ინსპექტორმა კრედოკმა, ჯერჯერობით, სულ ესაა.

- აბა, რას ფიქრობთ მის შესახებ? - იკითხა კრედოკმა, როდესაც სედრიკმა კარი მიხურა.

- თავხედობა თავზე საყრელად აქვს, - ჩაიბუზღუნა ბეკონმა, - ასეთებს არ ვენდობი. მხატვრები თავისუფალი ქცევის ხალხია, მეძავებთან ურთიერთობასაც არ გაურბიან.

კრედოკს გაეღიმა.

- არც მისი ჩაცმულობა მომეწონა, - განაგრძო ბეკონმა, - არავითარი პატივისცემა - მოკვლევაზე მსგავსი სახით გამოცხადება!.. ასეთი ჭუჭყიანი შარვალი არასდროს მინახავს. მისი ჰალსტუხი თუ შეამჩნიეთ? შელებილი თოკი მეგონა. იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ისე გაგუდავენ ქალს, რომ წარბსაც არ შეიხრიან, ეჭვი არ შეგეპაროთ.

- თუმცა, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ეს მას არ ჩაუდენია, - ცხადია, თუ მალიორკიდან ოცდაერთ რიცხვამდე არ გამოფრენილა. ამას კი ადვილად შევამოწმებთ.

ბეკონმა გამჭოლი მზერა მიაპყრო.

- როგორც შევნიშნე, დანაშაულის ჩადენის სავარაუდო თარიღი არ გაგიმხელიათ.

- ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ გამოვამზეურებთ. მიყვარს, როდესაც რაღაცას შემოვინახავ, განსაკუთრებით - გამოძიების ადრეულ სტადიაზე.

ბეკონმა გაგებით დაუქნია თავი.

- გეთანხმებით. რათა მოულოდნელად დაუდოთ ცხვირწინ. მაშინ, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელიან - შესანიშნავი ტაქტიკაა!

- ახლა კი, - თქვა კრედოკმა, - ვნახოთ, რას იტყვის სანიმუშო ჯენტლმენი სიტიდან. ტუჩებმოკუმული ჰაროლდ კრეკენტორპი ძალიან სიტყვაძუნწობდა. მისი თქმით, საოცრად არასასიამოვნო და სამწუხარო შემთხვევა მოხდა. გაზეთები... რეპორტიორები უკვე ინტერვიუს სთხოვდნენ.. ეს ყველაფერი ძალზე არ მოსწონდა...

წყვეტილი ფრაზების რიგი ამოიწურა. ჰაროლდი უკან გადაიხარა და სკამის საზურგეს ისეთი სახით მიეყრდნო, თითქოს ცხვირში ცუდი სუნი ეცაო.

ხელშესახები შედეგი ვერც ინსპექტორის შეკითხვებმა გამოიღო. არა, წარმოდგენა არ ჰქონდა ქალის ვინაობის შესახებ. დიახ, რეზერფორდჰოლში საშობაოდ ჩამოვიდა. შობის წინადღეზე ადრე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, მომდევნო უიკენდამდე დარჩა.

- ჯერჯერობით საკმარისია, - თქვა ინსპექტორმა კრედოკმა და დაკითხვა შეწყვიტა. მიხვდა, რომ ჰაროლდ კრეკენტორპს გამოძიების დახმარების სურვილი არ ჰქონდა.

შემდეგ ალფრედის რიგი დადგა, რომელიც ოთახში უდარდელი სახით შემოვიდა, რაც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ჩანდა.

კრედოკს მოეჩვენა, რომ ალფრედ კრეკენტორპს ნაცნობი სახე ჰქონდა. სადღაც უკვე შეხვედროდა ამ ადამიანს. მაგრამ სად? იქნებ მისი სახე გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოსურათიდან ახსოვდა? შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ რაღაც ისე არ იყო. ინსპექტორი მისი საქმიანობით დაინტერესდა, თუმცა ძალზე ბუნდოვანი პასუხი მიიღო:

- ამჟამად სადაზღვევო კომპანიებთან ვთანამშრომლობ. მანამდე ბაზარზე ახალი

ტიპის დიქტოფონების დამკვიდრებას ვუწყობდი ხელს. რევოლუციური მოდელი იყო! სხვათა შორის, გვარიანი შემოსავალი მომიტანა.

ინსპექტორი კრედოკი კეთილგანწყობით უსმენდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ მაშინვე შენიშნა ალფრედის კოსტიუმის მომეტებული გარეგნული ეფექტი და ზუსტად დაასკვნა, რომ ის იაფფასიანი და მოჩვენებით ბრწყინვალეაზე გათვლილი იყო. სედრიკის კოსტიუმი კი არასოლიდურად გამოიყურებოდა, ცვეთაც ეტყობოდა, მაგრამ ჩანდა, რომ საუცხოო ქსოვილისგან შეეკერათ, თანაც - უზადოდ.

კრედოკი მისთვის დამახასიათებელ შეკითხვებზე გადავიდა. ალფრედს ისინი საინტერესო და სახალისოც კი მოეჩვენა.

- თქვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქალი ადრე, შესაძლოა, რეზერვორდჰოლში მუშაობდა, საკმაოდ გონივრულია. თუმცა, არა მგონია, მოახლე ყოფილიყო. მეეყვება, რომ ჩემს დას ოდესმე პირადი მოახლე ჰყოლოდა. თუ არ ვცდები, ახლა ის აღარავის ჰყავს. ცხადია, ჩვენს დროში უცხოელი მოსამსახურეები იშვიათობა აღარ არის. პოლონელებიც გვყავდა, ერთი-ორი გერმანელიც, ძალიან ტემპერამენტიანი... მაგრამ ვინაიდან ემას იგი არ ეცნო, თქვენი ვერსია აზრს კარგავს, ინსპექტორო. ემას შესანიშნავი მახსოვრობა აქვს. არა, თუ ის ქალი ლონდონიდან ჩამოვიდა... ჰო, მართლა, რატომ ფიქრობთ, რომ ლონდონიდან ჩამოვიდა?

ალფრედმა შეკითხვა აგდებული კილოთი დასვა, მაგრამ დაჟინებით იყურებოდა და მის თვალეში ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა.

ინსპექტორმა კრედოკმა ღიმილით გადააქნია თავი.

- არ მეუბნებით. იქნებ ჯიბეში უკან დასაბრუნებელი ბილეთიც ედო?

- შესაძლებელია, მისტერ კრეკენტორპ.

- დავუშვათ, ქალი ლონდონიდან ჩამოვიდა, იმ კაცმა კი, რომელსაც იგი უნდა შეხვედროდა, გადაწყვიტა, რომ გრძელი ფარდული სწორედ ის ადგილი იყო, სადაც

ზედმეტი ხმაურის გარეშე შეძლებდა მის მოცილებას. ალბათ წინასწარ შეათვალერა ჩვენს ეზოში. ასე რომ, ინსპექტორო, აჯობებს, ის კაცი მოძებნოთ.

- მას უკვე ვეძებთ, - მტკიცედ და თავდაჯერებულად მიუგო კრედოკმა.

მან ალფრედს მადლობა გადაუხადა და გაუშვა.

- უნდა გითხრათ, - მიმართა კრედოკმა ბეკონს, - რომ ეს კაცი ადრე სადღაც მინახავს...

- მოხერხებული კაცი ჩანს, - გამოაცხადა თავისი ვერდიქტი ინსპექტორმა ბეკონმა, - ისეთი მოხერხებული, რომ ზოგჯერ საკუთარ თავსაც კი სჯობნის.

- არა მგონია, ჩემგან რამე სახეირო გაიგოთ, - ბოდიშის კილოთი წარმოთქვა ბრაიან ისთლიმ და გაუბედავად გაჩერდა კარის ღიობში, - მე ხომ ოჯახის წევრი არც კი ვარ...

- მოითმინეთ, თქვენ ხომ მისტერ ბრაიან ისთლი ხართ, მეუღლე ედიტ კრეკენტორპისა, რომელიც ხუთი წლის წინ გარდაიცვალა?

- მართალია.

- ეს დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრიდან, მისტერ ისთლი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებას აპირებთ.

- მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცი. ძალიან უცნაური შემთხვევაა, არა? ქალი ჩამოდის და ვიღაც კაცთან ერთად ამ ძველი, გაყინული ფარდულისკენ მოემართება, თანაც - შუა ზამთარში. დაუჯერებელია!

- დიახ, ბევრი რამ გაუგებარია, - დაეთანხმა ინსპექტორი კრედოკი.

- ის მართლა უცხოელია? ათასგვარი ჭორი დადის.

- თქვენ ხომ არ გაქვთ რაიმე მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, მისტერ ისთლი? - ჰკითხა ინსპექტორმა და გამომცდელად შეხედა, მაგრამ ბრაიანი კვლავაც მშვიდად და აუღელვებლად გამოიყურებოდა.

- არა, თავში არაფერი მომდის.

- ქალი, შესაძლოა, ფრანგი იყო, - პირქუშად, დაეჭვებით ჩაურთო ინსპექტორმა ბეკონმა.

ბრაიანი ოდნავ გამოცოცხლდა, ცისფერ თვალებში ინტერესი გაუკრთა, გრძელი უღვაში გადაიგრინა.

- მართლა? მხიარული პარიზიდან? - მან თავი გადააქნია. - თუ ასეა, გვარიანი

სისულელე გამოდის - პარიზელი ქალი ფარდულ-ფარდულ დაეხეტება... ადრეც ხომ არ გინახავთ სარკოფაგში გადამალული გვამი? იქნებ ვიღაცას აკვიატებული იდეა აქვს, თავი კალიგულა(კალიგულა - რომის იმპერატორი (37-41), გამოირჩეოდა სისასტიკით, რის გამოც საყოველთაო სიძულვილი მოიხვეჭა. მოკლეს შეთქმულებმა.) ჰგონია ან რაღაც ამგვარი?

ინსპექტორ კრედოკს თავი არც კი შეუწუხებია ამ ვარაუდის უარსაყოფად და სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

- თქვენს ნათესავთაგან რომელიმეს... რამე სახის კავშირი ხომ არა აქვს საფრანგეთთან?

ბრაიანმა მიუგო, კრეკენტორპებს არცთუ ისე უყვართ პიკანტური დროს ტარება და თავგადასავლებიო.

- ჰაროლდი სოლიდურ ოჯახს დაუნათესავდა - გაღარიბებული პერის(პერი - უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელთა ტიტული, იძლევა ლორდთა პალატის წევრობის უფლებას.) ქალიშვილზე იქორწინა, რომელსაც თევზივით სლიკინა სახე აქვს... ალფრედს ქალები, მგონი, არც აინტერესებს, გამუდმებით რაღაც საეჭვო საქმეებითაა დაკავებული, რომლებიც ყოველთვის სავალალო შედეგით სრულდება. სედრიკს იბიცაზე აუცილებლად ეყოლება რამდენიმე ნაცნობი ესპანელი სენიორიტა, რომლებიც მისი გულისთვის ყველაფერზე წავლენ... იგი ქალებში მოწონებით სარგებლობს, თუმცა პირს იშვიათად იპარსავს და დიდი ხნის დაუბანელივით გამოიყურება. ვერ გამიგია, რას პოულობენ ქალები მასში! მაგრამ ასეა... ბევრით ვერაფრით დაგეხმარეთ, არა? - მან მომხიბლავად გაიღიმა. - ალექსანდრე უფრო გამოგადგებოდათ. ის და სტოდარტ-უესტი გამალებით ეძებენ სამხილებს. დაგენადლევებით, რომ რამეს უეჭველად მიაგნებენ.

ინსპექტორმა კრედოკმა თქვა, რომ ამის დიდი იმედი ჰქონდა, თანამოსაუბრეს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, ახლა მის ემა კრეკენტორპს უნდა დაველაპარაკო.

ინსპექტორმა კრედოკმა უწინდელზე მეტი ყურადღებით შეათვალიერა ემა კრეკენტორპი. ბევრს ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ შეეცვალა მას სახე ლანჩის წინ, რამაც ძალზე გააკვირვა.

ეს წყნარი ქალი სულელი ნამდვილად არ ჩანდა, თუმცა არც არაფრით ბრწყინავდა. იმ სასიამოვნო ქალების რიგს მიეკუთვნებოდა, რომელთა მზრუნველობაც მამაკაცებს ბუნებრივად მიაჩნიათ. ისინი ყველგან მყუდროებას, მშვიდ და ჰარმონიულ ატმოსფეროს ქმნიან.

ასეთ მორიდებულ ქალებს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ. მათი თავშეკავებულობის მიღმა ზოგჯერ ძლიერი ხასიათი იმალება. ამის დავიწყება არ შეიძლება. „ვინ იცის, - ფიქრობდა კრედოკი, - იქნებ სწორედ მისი სულის რომელიღაც

კუნჭულში იმალება მოკლული და სარკოფაგში დამალული ქალის საიდუმლოს გასაღები“.

აი, როგორი აზრები არ ასვენებდა ინსპექტორს, სანამ იგი ჩვეულებრივ, არცთუ მნიშვნელოვან შეკითხვებს სვამდა.

- ვფიქრობ, ყველაფერი შეატყობინეთ ინსპექტორ ბეკონს, - თქვა მან, - ასე რომ, თავს არ მოგაბეზრებთ.

- თუ შეიძლება, ყველაფერი მკითხეთ, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. - მისტერ უიმბორნმა უკვე გითხრათ, რომ, ჩვენი აზრით, მოკლული ქალი ადგილობრივი არ იყო. ამ გარემოებამ, ალბათ, ცოტა დაგამშვიდათ (ყოველ

შემთხვევაში, მისტერ უიმბორნს ამის იმედი ჰქონდა), თუმცა ჩვენი პრობლემები მხოლოდ გართულდა. გარდაცვლილის ვინაობის დადგენა კიდევ უფრო გაძნელდება.

- ჩანთა თუ ჰქონდა მას? ან რაიმე დოკუმენტი?

- არც ჩანთა, არც დოკუმენტები. მხოლოდ ცარიელი ჯიბეები აღმოვაჩინეთ.

- ვარაუდი ხომ არ გაქვთ... რა ერქვა... საიდან ჩამოვიდა... არაფერი იცით? „ერთი სული აქვს, გაიგოს, ვინ არის ის ქალი, - გაიფიქრა კრედოკმა, - ნეტავ

თავიდანვე თუ იჩენდა ასეთ დაინტერესებას? ბეკონს ჩემთვის მსგავსი არაფერი უთქვამს, არადა, გამჭრიახი ადამიანია და, ჩვეულებრივ, არაფერი გამორჩება

ხოლმე...“

- მის შესახებ არაფერი ვიცით, - თქვა მან, - აი, რატომ გვქონდა იმედი, რომ რომელიმე თქვენგანი დაგვეხმარებოდა. გთხოვთ, ერთხელ კიდევ

დაფიქრდეთ... დიახ, ვიცი, რომ ის ქალი არასდროს გინახავთ... მაგრამ იქნებ რაიმე მოსაზრება გაქვთ...

მას მოეჩვენა, - თუმცა, იქნებ არც მოსჩვენებია, - რომ ქალმა პასუხი დააყოვნა.

- არავითარი. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის.

ინსპექტორმა კრედოკმა დაკითხვის მანერა და კილო შეცვალა. ხმა უფრო მტკიცე გაუხდა.

- როდესაც მისტერ უიმბორნმა თქვა, რომ მოკლული ქალი უცხოელი იყო, მისი ფრანგული წარმოშობა რატომ ახსენეთ?

ემა ოდნავაც არ შეცბუნებულა, მხოლოდ გაოცებით აზიდა წარბები.

- ასე ვთქვი? დიახ, მგონი, მართაღს ბრძანებთ... აბა, რა გითხრათ?.. როდესაც უცხოელს ახსენებენ, რატომღაც ყოველთვის ფიქრობ, რომ ის ფრანგია. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა უმრავლესობა ფრანგია. ასე არ არის?

- ნება მომეცით, არ დაგეთანხმობთ, მის კრეკენტორპ. ახლა ინგლისში საკმაოდ ბევრი იტალიელი, ავსტრიელი და სკანდინავიელი ცხოვრობს.

- დიახ, მგონი, მართალი ხართ. - სხვა მიზეზი ხომ არ გქონდათ იმის სავარაუდოდ, რომ ქალი ფრანგი იყო?

ემა პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ცოტა ხნის შემდეგ კი თავი დანანებით გადააქნია.

- არა. არა მგონია.

ეს რომ თქვა, კვლავაც მშვიდად შეხედა კრედოკს თვალებში. ინსპექტორმა კრედოკს ანიშნა და ამ უკანასკნელმა ემას პატარა, ემალით დაფარული საპუდრე გაუწოდა.

- ეს ნივთი ხომ არ გეცნობათ, მის კრეკენტორპ?

ემამ საპუდრე გამოართვა და შეათვალიერა.

- ხომ არ იცით, ვისია?

- არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი არაა. - თუ ასეა, მეტს აღარ შეგაწუხებთ... ჯერჯერობით. - გკმაძლობთ.

ემამ ორივე მამაკაცს ოდნავ გაუღიმა, წამოდგა და კარისკენ გაემართა. „ხომ არ ჩქარობს? - გაიფიქრა კრედოკმა, - თუ კვლავ მომეჩვენა? უხარია, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა...“

- თქვენი აზრით, რაღაც იცის? - ჰკითხა ბეკონმა.

- რაღაც მომენტში, - მიუგო კრედოკმა და ღრმად ამოიოხრა, - ყოველთვის გეჩვენება, რომ თითოეულმა გამოკითხულმა იმაზე ცოტათი მეტი იცის,

ვიდრე ამბობს.

- ნამდვილად ასეა, - დაეთანხმა ბეკონი, რომელსაც გამოცდილება არ აკლდა, - ოღონდ, - დაამატა მან, - საკმაოდ ხშირად ის, რის დამალვასაც ცდილობენ, სინამდვილეში ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს: ოჯახური ცოდვები და კინკლაობა, რომლის გამომწვეურებაც არ სურთ.

- დიახ, ვიცი. ყოველ შემთხვევაში...

ბეკონმა ვერ გაიგო, რის თქმას აპირებდა ინსპექტორი კრედოკი, ვინაიდან უეცრად კარი მკვეთრად გაიღო და მაგიდისკენ მისტერ კრეკენტორპი წამოცუხცუხდა.

- კარგი ამბავი კი არის! - ჩაიბურტყუნა მან. - ამასაც მოვესწარი! ჩემს სახლში სკოტლენდიარდელი დეტექტივი მოდის და იმასაც კი არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ, თუნდაც ზრდილობის გულისთვის, ოჯახის უფროსს გაესაუბროს! ვინ არის აქ უფროსი? თქვენ გეკითხებით, ახალგაზრდავ! მიპასუხეთ! ვინ არის ამ სახლში უფროსი?

- რა თქმა უნდა, თქვენ, მისტერ კრეკენტორპ, - თავაზიანად მიუგო კრედოკმა და წამოდგა, - როგორც ვიცი, ინსპექტორ ბეკონს უკვე ყველაფერი შეატყობინეთ, რაც იცოდით. ამასთან, სუსტი ჯანმრთელობა გაქვთ და უფლება არ გვაქვს, უკიდურესი აუცილებლობის გარეშე შეგაწუხოთ. დოქტორმა ქუიმპერმა გვითხრა, რომ...

- გავბედავ და ვიტყვი... გავბედავ და ვიტყვი... ცხადია, ის აღარ ვარ, რაც უწინ ვიყავი... მაგრამ ეს თქვენი ქუიმპერი ნამდვილი ბებერი ქალივით იქცევა! არა, კარგი ექიმია და იცის, რა სჭირდება ჩემს ორგანიზმს, მაგრამ ნებაზე რომ მიუშვათ, ბამბაში გამახვევს. ამასთან აუკვიატებია, რომ ყველა უბედურების თავიდათავი - საჭმელია. შემომიჩნდა საშობაოდ, როდესაც შეუძლოდ გავხდი... რა ვჭამე? როდის? ვინ მოამზადა? ვინ მოიტანა? სული ამომართვა. ძლივს მოვიშორე თავიდან. მაგრამ, როგორ ცუდადაც უნდა ვიყო, თქვენს დახმარებას, შეძლებისდაგვარად, მაინც მოვახერხებ. ბოლოს და ბოლოს, მკვლევლობა ჩემს სახლში, უფრო სწორად - ჩემს ფარდულში მოხდა. სხვათა შორის, საინტერესო ნაგებობაა. ელისაბედ პირველის

დროინდელი. მართალია, ადგილობრივი არქიტექტორი გამუდმებით მეკამათება, მაგრამ მას ბევრი არაფერი გაეგება. 1580 წელზე გვიანდელი არ იქნება. არც ერთი დღით! თუმცა, მგონი, თემას გადავუხვიე. ჩემგან რისი გაგება გასურთ? რა ვერსიები გაქვთ?

- ვერსიებამდე ჯერჯერობით შორია, მისტერ კრეკენტორპ. ჯერ იმ ქალის ვინაობის დადგენას ვცდილობთ.

- მაშ, უცხოელია?

- ასე ვფიქრობთ.

- მტრის ჯამში ხომ არ იყო?

- ჩემი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა.

- თქვენი აზრით... თქვენი აზრით! ისინი ახლა ყველგან არიან. ყველგან აღწევენ. არ მესმის, რას აკეთებს შინაგან საქმეთა სამინისტრო! ეს ხომ სამრეწველო ჯაშუშობაა! სანამდღეს დაგიდებთ, თუ ის ქალიც ჯაშუში არ აღმოჩნდეს.

- ბრეკჰემპტონში?

- მერე რა? აქ უამრავი ქარხანაა. ერთ-ერთი სწორედ ჩემს პარკს ესაზღვრება. კრედოკმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო ბეკონს.

- ლითონის კონტეინერები, - მიუგო მან.

- რა იცით, რას აკეთებენ სინამდვილეში? ხომ არ შეიძლება, ყველას სიტყვაზე ენდოთ! კარგი, კარგი, თუ ჯაშუში არა, მაშ, ვინ იყო, თქვენი აზრით? იქნებ გგონიათ, ჩემს რომელიმე უძვირფასეს ვაჟიშვილთან ატარებდა დროს? თუ ასეა, ეს აღფრედი იქნებოდა. ოღონდ - არა ჰაროლდი: ჰაროლდი ძალზე ფრთხილია. სედრიკი კი საკუთარ სამშობლოში ცხოვრებას არ კადრულობს. მაშასადამე, მას აღფრედი

დასდევდა. ეს სხვა თაყვანისმცემელმა შეიტყო, ფარდულში გამოიჭირა და ეჭვიანობის გამო მოკლა. აბა, რას იტყვით?

ინსპექტორმა კრედოკმა დელიკატურად შენიშნა, რომ ეს გონივრული ვარაუდი იყო, მაგრამ აღფრედ კრეკენტორპმა ქალი ვერ ამოიცნო.

- ფუჰ! შეეშინდა და იმიტომ! აღფრედი ყოველთვის მხდალი იყო. თანაც - მატყუარა. ეს გაითვალისწინეთ. ისე იცრუებს, თვალს არ დაახამხამებს. დიახ, დიდებული შვილები მყავს - უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. მტაცებელთა ხროვა, რომლებიც მხოლოდ ჩემს სიკვდილს ელოდებიან... ეს მათი ცხოვრების ძირითადი საქმიანობაა! - მან ღვარძლიანად ჩაიხითხითა. - ჰოდა, ელოდონ! ჯერჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ. ამ სიამოვნებას არ მივანიყებ! კარგი, საკმარისია... თუ მეტი

ვერაფრით დაგეხმარებით... ცოტა დავილაღე. უნდა დავისვენო. მისტერ კრეკენტორპი ფრატუნით გავიდა.

- აღფრედის მეგობარი ქალი? - თქვა ინსპექტორმა ბეკონმა. - ჩემი აზრით, მოხუცმა ეს მოიგონა, - იგი შეჩერდა და შეყოყმანდა, - ვფიქრობ, აღფრედი არაფერ შუაშია. შესაძლოა, ბნელ საქმეებშია გახვეული, მაგრამ მკვლელობასთან კავშირი ნამდვილად არა აქვს. სიმართლე თუ გნებავთ, იმ მფრინავ ყმაწვილზე უფრო ვეყვობ.

- ბრაიან ისთლიზე?

- დიახ. მინახავს ამ ტიპის ხალხი. ისინი, ასე ვთქვათ, დინებას მიჰყვებიან. ხიფათი, ღრმა განცდები, ახლობლებისა და მეგობრების დაკარგვა - ეს ყველაფერი მათ მეტისმეტად ადრე იწვნიეს. ახლა კი ცხოვრება ძალზე უფერულად ეჩვენებათ. იმედი გაუცრუვდათ. შეიძლება ითქვას, რომ ბედმა ისინი სასტიკად მოატყუა. თუმცა, არ ვიცი, რით შეიძლება მათი დახმარება. გამოდის, რომ მხოლოდ წარსულით ცხოვრობენ, მომავალი კი არა აქვთ.

მათთვის რისკი არაფერს ნიშნავს. ჩვეულებრივი ახალგაზრდები ცეცხლს არ ეთამაშებიან, არა იმდენად მაღალი ზნეობის, რამდენადაც - შიშის გამო. ამათ კი არაფრის ეშინიათ. მათ ლექსიკონში სიტყვა „უსაფრთხოება“ უბრალოდ არ არსებობს. თუ ისთლი იმ ქალს გადაეკიდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა... - ბეკონი შეჩერდა და ხელი უმწეოდ ჩაიქნია. - მაგრამ რატომ უნდა მოეკლა? და თუ ასეც მოხდა, მხოლოდ იდიოტი თუ ჩატენიდა გვამს საკუთარი სიმამრის სარკოფაგში... არა, ჩემი აზრით, კრეკენტორებს ამ მკვლელობასთან საერთო არაფერი აქვთ. თორემ გვამს, ასე ვთქვათ, ცხვირწინ არ დატოვებდნენ.

კრედოკმა უსიტყვოდ დაუქნია თავი - კოლეგის მოსაზრება ძალზე დამაჯერებელი იყო.

- კიდევ ხომ არ გინდათ ვინმესთან გასაუბრება? - ჰკითხა ბეკონმა. - არა, - მიუგო კრედოკმა, ინსპექტორ ბეკონის შეთავაზებაზე კი, რომ

ბრეკჰემპტონში წასულიყვნენ და ერთ-ერთ კაფეში ჩაი დაელიათ, უარი განაცხადა. მოიმიზეზა, რომ ძველი ნაცნობი უნდა მოენახულებინა.

თავი მეთე

მის მარპლი წელგამართული იჯდა სავარძელში, რომლის უკანაც ფაიფურის ძაღლები და მარგეიტიდან(მარგეიტი - პატარა ქალაქი დიდ ბრიტანეთში, კენტის საგრაფოში.) ჩამოტანილი სხვა ნივთები მოჩანდა, და ინსპექტორ დერმოტ კრედოკს კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით შესცქეროდა.

-- მოხარული ვარ, - თქვა მან, - რომ სწორედ თქვენ ჩაგაბარეს ეს საქმე. ამის დიდი იმედი მქონდა.

- როგორც კი თქვენი წერილი მივიღე, - მიუგო კრედოკმა, - მაშინვე უფროსს მივუტანე. ის ბრეკჰემპტონიდან მოსულ შეტყობინებას კითხულობდა, რომელშიც ეწერა, რომ ეს ადგილობრივი მნიშვნელობის დანაშაული არ იყო. დახმარებას ითხოვდნენ. უფროსი წერილმა ძალზე დააინტერესა და დიდხანს მეკითხებოდა თქვენ შესახებ. აღმოჩნდა, რომ უკვე სმენოდა თქვენი ნიჭის თაობაზე ჩემი ნათლიისგან და დამატებითი ინფორმაციის მიღება სურდა.

- ძვირფასი სერ ჰენრი, - ალერსიანად ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

- სხვათა შორის, მან ლითლჰედოქსში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეტალები გამომკითხა. გაინტერესებთ, რა მითხრა საუბრის ბოლოს?

- რა თქმა უნდა. ცხადია, თუ ეს სახელმწიფო საიდუმლოება არ არის.

- მან თქვა: „რა გაეწყობა, ვინაიდან ეს სულელური აზრები, რომლებიც იმ ორ მოხუც ქალს მოუვიდა თავში, საღი აზრის საწინააღმდეგოდ სიმართლე აღმოჩნდა, თანაც ერთ-ერთ მათგანს იცნობთ კიდევ, ეს საქმეც თქვენთვის მომინდვია“. და აი, მეც აქ ვარ! ახლა კი მითხარით, ძვირფასო მის მარპლ, რა გზით უნდა წავიდეთ? ცხადია, ხვდებით, რომ ეს არაოფიციალური ვიზიტია, ამიტომაც მარტო გეახელით, თანმხლები პირების გარეშე. კარგი იქნებოდა, ყველაფერზე შინაურ გარემოში გვემსჯელა.

მის მარპლს გაეღიმა.

- ეჭვი არ მეპარება, რომ მათ, ვისაც თქვენთან მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობა აკავშირებს, ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორი გულთბილი ადამიანი ხართ, და, ცხადია, კიდევ უფრო მიმზიდველი... ნუ წითლდებით. აბა, რა ინფორმაციას ფლობთ?

- ვფიქრობ, ყველაფერს, რაც ცნობილია. თქვენმა მეგობარმა, მისის მაკგილიკადიმ, სენტ-მერიმიდის პოლიციას მიმართა. მატარებლის კონტროლიორმა წერილობით დაადასტურა, რომ მას ფანჯრიდან დანახული მკვლელის შესახებ შეატყობინეს. მისის მაკგილიკადიმ ბარათი გაუგზავნა ბრეკჰემპტონის რკინიგზის სადგურის უფროსს. უნდა გითხრათ, რომ რკინიგზის თანამშრომლებმაც და პოლიციამაც ყველაფერი გააკეთეს, რაც მათ ძალას არ აღემატებოდა, მოკლულის გვამის მოსაძებნად, მაგრამ თქვენ მათ თქვენი ფანტასტიკური საზრიანობით აჯობეთ.

- მხოლოდ საზრიანობა საკმარისი არაა, - მიუგო მის მარპლმა, - მათთან შედარებით, უდიდესი უპირატესობა მქონდა - კარგად ვიცნობდი ელსფეთ მაკგილიკადის. არ არსებობდა ერთი მტკიცებულებაც კი, რაც მის მონაყოლს დაადასტურებდა. არც შეტყობინება შემოსულა დაკარგული ქალის შესახებ. ბუნებრივია, ყველამ გადაწყვიტა, რომ მოხუცს ეს მხოლოდ მოეჩვენა - ხანდაზმული ხალხი ხომ ეყვიანია. მაგრამ - არა ელსფეთ მაკგილიკადი.

- დიახ, ოღონდ, არა ელსფეთ მაკგილიკადი, - დაეთანხმა ინსპექტორი, - სიამოვნებით შევხვდებოდი მას. სამწუხაროა, რომ ცეილონზე გაემგზავრა, სხვათა შორის, ჩვენს კოლეგას დავუკავშირდით და თქვენს მეგობარს იქ გაესაუბრებთან.

- ჩემი მსჯელობა ორიგინალობით არ გამოირჩეოდა, - განაგრძო მის მარპლმა, - ხომ გახსოვთ მარკ ტვენი? როგორ ეძებდა ბიყი ცხენს? მან წარმოიდგინა, სად წავიდოდა, ცხენი რომ ყოფილიყო, იქით გაემართა და მიაგნო კიდევ.

- მაშასადამე, თქვენ წარმოიდგინეთ, რას გააკეთებდით სასტიკი და ცივსისხლიანი მკვლელის ადგილას? - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა კრედოკმა და ხანდაზმულ მის მარპლს თეთრ, ოდნავ შევარდისფრებულ სახეში შეხედა, - სიმართლე გითხრათ, თქვენი გონება...

- ნაგვის ურნას ჰგავს, როგორც ჩემი ძმისშვილი, რეიმონდი ამბობს, - დაეთანხმა მის მარპლი და თავი ენერგიულად დააქნია, - რაზეც ყოველთვის ვპასუხობდი, რომ ნაგვის ურნა სახლში აუცილებელი ნივთია ჰიგიენის დაცვის კუთხით.

- ხომ არ შეგიძლიათ, კიდევ ერთხელ წარმოიდგინოთ თავი მკვლელის ადგილას და მითხრათ, სად შეიძლება, ახლა იმყოფებოდეს?

მის მარპლმა ამოიოხრა.

- ძალიან მინდა, რომ ეს შევძლო, მაგრამ არ ვიცი - თავში არაფერი მომდის. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იგი აუცილებლად ცხოვრობდა რეზერვორდჰოლში განსაზღვრული დროის განმავლობაში ან წინასწარ დეტალურად შეისწავლა ის.

- გვეთანხმებით. მაგრამ ეს ძალზე დიდი არეალია. უამრავ ქალს უმუშავია იქ, მათ „ქალთა ინსტიტუტი“ და იმის დროს სამოქალაქო თავდაცვის შტაბიც დაუმატეთ. ყველამ იცოდა გრძელი ფარდულისა და იმის შესახებ, თუ სად ეკიდა გასაღები. ისიც, რომ იქ სარკოფაგი იდგა. ნებისმიერ ადგილობრივს შეეძლო ფარდულში შესვლა და სარკოფაგის გამოყენება. არა, წინ ვერ წავიწევთ, სანამ მოკლულის ვინაობას არ დავადგენთ.

- ეს, ალბათ, ძალიან რთული იქნება.

- არაფერია. ადრე თუ გვიან, თავს გავართმევთ. უკვე დავიწყეთ გაუჩინარებული ქალების შესახებ ყველა შეტყობინების გადამოწმება, ასაკისა და გარეგნული მონაცემების მიხედვით. ჯერჯერობით, დამაიმედებელი არაფერია. ჩვენი ექიმების დასკვნის თანახმად, ქალი დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, პრაქტიკულად ჯანმრთელი, სავარაუდოდ, გათხოვილი. ერთი შვილი მაინც უნდა ჰყოლოდა. ქურქი იაფფასიანია, ლონდონის მაღაზიაშია ნაყიდი. ბოლო სამი თვის განმავლობაში რამდენიმე ასეული გაუყიდათ და მყიდველთა ორი მესამედი ქერათმიანი ყოფილა. არ ღირს იმის იმედად ყოფნა, რომ მას რომელიმე გამყიდველი ფოტოსურათით ამოიცნობს. და თუ ის საშობაოდ შეიძინეს, როდესაც მაღაზიებში უამრავი ადამიანი ირევა, იმ ქალს ვერავინ გაიხსენებს. მოკლულის დანარჩენი ნივთებიც ინგლისური წარმოებისაა, ძირითადად, პარიზის მაღაზიებშია ნაყიდი. ინგლისის სამრეცხაოების ნიშნები არსად ჩანს. პარიზს დავუკავშირდით და ჩვენს კოლეგებს ცნობების მოძიება ვთხოვეთ. ადრე თუ გვიან, ვილაც მაინც განაცხადებს დაკარგული ნათესავის ან მდგმურის შესახებ. ეს მხოლოდ დროის საკითხია.

- საკუდრე არ გამოგადგათ?

- სამწუხაროდ, არა. მსგავსი ნივთი ასეულობით იყიდება რივოლიზე(რივოლი - ქუჩა პარიზში, სადაც ბევრი მაღაზია მდებარეობს.). ძალზე იაფფასიანია. სხვათა შორის, ის თავიდანვე უნდა ჩაგებარებინათ პოლიციაში. ცხადია, მის აილსბეროუს ვგულისხმობ.

მის მარპლმა თავი გადააქნია.

- იმ დროს დანაშაულზე ლაპარაკი არც შეიძლებოდა. იმას, რომ ქალი მოკლეს, ერთი ფაქტიც არ ადასტურებდა. მის აილსბეროუმ ბალახში ძველ საკუდრეს მიაგნო, თანაც - იაფფასიანს. ღირდა კი პოლიციაში გაქცევა და მისი წარდგენა? - მის მარპლი შეყოვნდა და მტკიცედ დაამატა: - ვფიქრობდი, გაცილებით გონივრული იქნებოდა, თუ ჯერ გვამს მივაგნებდით.

ინსპექტორმა კრედოკმა ღიმილი ვერ შეიკავა.

- როგორც ჩანს, ეჭვი არ გეპარებოდათ, რომ ამას მოახერხებდით. - ოდნავადაც. ლუსი აილსბეროუ ძალზე ჭკვიანი და ყოჩაღია.

- სავსებით გეთანხმებით! მაშინებს კიდევ მისი სიყოჩადე. აბა, რომელი კაცი გაბედავს მასზე დაქორწინებას?!

- მე ასე არ ვიტყვოდი... თუმცა ეს, ცხადია, ძლიერი ხასიათის მამაკაცი უნდა იყოს, - მის მარპლი წამით ჩაფიქრდა, - სხვათა შორის, როგორ ცხოვრობს რეზერფორდჰოლში?

- ყველა მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ლამის საჭმელსაც მისი ხელიდან ჭამენ. მერწმუნეთ, ასეა. სხვათა შორის, ჯერაც არ იციან, რომ მას რაღაც დაავალეთ. ეს არ გაგვიმხელია.

- ახლა დასამალი არაფერია. ჩემი დავალება უკვე შეასრულა.

- ანუ, სურვილის შემთხვევაში, იქაურობის მიტოვებაც შეუძლია?

- ასეა.

- მიუხედავად ამისა, ასე არ იქცევა. რატომ?

- ჩემთვის არაფერი უთქვამს. უნდა გითხრათ, რომ ლუსი ძალიან ჭკვიანი ქალიშვილია. როგორც ჩანს, რაღაცამ დააინტერესა.

- რამ? იდუმალებით მოცულმა მკვლელობამ? თუ იმ ოჯახმა?

- არ ვიცი. შესაძლოა, აქ ორივე ფაქტორის ნაზავი იყოს, - ჩაფიქრებული სახით ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

კრედოკმა დაჟინებით შეხედა მას.

- რაიმეს კონკრეტულს გულისხმობთ?

- ოჰ, არა... ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, არა.

- მე კი მგონია, რომ კი.

მის მარპლმა თავი გადააქნია.

- მაშასადამე, - ამოიხვნეშა დერმუტ კრედოკმა, - ჟარგონი რომ ვიხმაროთ, სხვა

არაფერი დამრჩენია, თუ არა „ფაქტების შეგროვება“. ოჰ, რა მოსაწყენია პოლიციელის ცხოვრება!

- დარწმუნებული ვარ, შედეგს მიაღწევთ.

- რაიმე იდეას ხომ ვერ მომაწვდით? რაც შთაგონებას შემმატებდა ამოცანის გადასაწყვეტად.

- ცოტა ხნის წინ თეატრალურ დასებზე დავფიქრდი, - მიუგო მის მარპლმა საკმაოდ

ბუნდოვნად, - ისინი ხშირად გადაადგილდებიან, ოჯახს მოწყვეტილნი არიან. ასეთ პირობებში შესაძლოა, ვერც კი შეამჩნიონ დასის რომელიმე წევრის გაუჩინარება.

- დიახ. ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს. აუცილებლად გავითვალისწინებ. რატომ გელიმებათ?

- წარმოვიდგინე, როგორი სახე ექნება ელსფეთს, როდესაც შეატყობინებენ, რომ გვამს მიაგნეს!

- რას ამბობთ! - თქვა მისის მაკგილიკადიმ. - რას ამბობთ!

სხვა სიტყვებს ვერ პოულობდა, იდგა და უსიტყვოდ დასცქეროდა მოწმობას, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მისულმა სიმპათიურმა ახალგაზრდა კაცმა წარუდგინა, და მის მიერ გაწვდილ ფოტოსურათს.

- ის ქალია! - მტკიცედ განაცხადა მის მაკგილიკადიმ, როდესაც მეტყველების უნარი დაუბრუნდა. - დიახ, ის არის. საბრალო. უნდა გითხრათ, რომ გამიხარდა, მის გვამს რომ მიაგენით. ჩემი ხომ არავის სჯეროდა. არც პოლიციელებს, არც რკინიგზის თანამშრომლებს, არც სხვა ვინმეს. დასანანია, როცა შენი არ სჯერათ. მიუხედავად

ამისა, ვალი მოვიხადე და ყველაფერი გავაკეთე, რაც შემიძლო.

სიმპათიურმა ახალგაზრდა კაცმა თანაგრძნობისა და მოწონების ნიშნად თავი დაუკრა.

- რა თქვით, გვამი სად იპოვესო? - ბრეკჰემპტონის გარეუბანში, რეზერვორდჰოლის მამულში მდებარე ფარდულში. - ეს სახელწოდება არასდროს მსმენია. საინტერესოა, იქ როგორ აღმოჩნდა?

ახალგაზრდა კაცმა არაფერი უპასუხა.

- მას, ალბათ, ჯეინ მარპლმა მიაგნო. მან თუ რაღაც ჩაიფიქრა...

- გვამი მის... - ახალგაზრდა კაცმა თავის ბლოკნოტში ჩაიხედა. - მის აილსბეროუმ აღმოაჩინა.

- არც ეს გვარი მეუბნება რამეს, - განაცხადა მისის მაკგილიკადიმ. - მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ჯეინ მარპლის გარეშე არაფერი გამოვიდოდა.

- მისის მაკგილიკადი, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ეს სწორედ იმ ქალის ფოტოსურათია, რომელიც მატარებლიდან დაინახეთ?

- ...და რომელსაც მამაკაცი ახრჩობდა. დიახ, დარწმუნებული ვარ. - იმ მამაკაცს ხომ ვერ აღგვიწერთ?

- მაღალი იყო...

- ასე...

- მუქთმიანი.

- ასე... კიდევ?

- სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია. ფანჯრისკენ ზურგით იდგა. მისი სახე არ დამინახავს.

- რომ შეგხვდეთ, იცნობთ?

- ცხადია, ვერა!

- ვერც მის ასაკზე იტყვით რამეს?

- ვერა... ალბათ, ვერა... თუმცა... არც ისე ახალგაზრდა იყო - ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. თუ მხრების, აღნაგობის მიხედვით ვიმსჯელებთ... ალბათ,

ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, - ახალგაზრდა კაცმა თავი დაუქნია, - ვფიქრობ, ოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. უფრო ზუსტად ვერ ვიტყვი. მას არ ვუყურებდი, ხომ გესმით? ძირითადად, ქალს შევცქეროდი, მის ყელზე შემოჭდობილ ხელებს, გალურჯებულ სახეს... გამოგიტყდებით, ზოგჯერ მესიზმრება კიდევ...

- დიახ, ძალზე სამწუხარო გამოცდილება მიგიღიათ, - თანაგრძნობის კილოთი უთხრა ახალგაზრდამ და ბლოკნოტი დახურა, - ინგლისში როდის ბრუნდებით?

- აქ სამი კვირა მაინც დავრჩები. ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია?

- ოჰ, არა, - სწრაფად დაამშვიდა კაცმა, - ჭერჯერობით ამის საჭიროება არ

არსებობს. ცხადია, თუ საქმე დაპატიმრებამდე არ მივა... ამით საუბარი დასრულდა.

მალე ფოსტით მის მარპლის გამოგზავნილი წერილი მოვიდა. გაურკვეველი ხელით ნაწერში ზოგიერთი სიტყვისა და ფრაზის ქვეშაც კი განზრახ გაესვა სქელი ხაზი, მაგრამ თავის მეგობართან მრავალწლიანი მიმოწერის წყალობით, მისის მაკგილიკადიმ ადვილად შეძლო ყველაფრის გაშიფვრა. მის მარპლს სრული ანგარიში გამოეგზავნა ელსფეთ მაკგილიკადისტვის, რომელმაც უდიდესი სიამოვნებით წაიკითხა მასში მოყვანილი თითოეული სიტყვა.

მან და ჯეინმა ყველას უჩვენეს, რა შეეძლოთ!

თავი მეთერთმეტე

- არა, თქვენი ვერაფერი გამიგია, - თქვა სედრიკ კრეკენტორპმა. იგი მოხერხებულად მოკალათებულიყო დიდი ხნის წინ მიტოვებული საღორის ნახევრად დანგრეულ კედელზე და ლუსი აილსბეროუს დაჟინებით შესცქეროდა.

- რა ვერ გაიგეთ?

- აქ რას აკეთებთ?

- ცხოვრებისთვის საჭირო თანხას გამოვიმუშავებ.

- როგორც მოსამსახურე? - აგდებულად ჰკითხა კაცმა.

- თანამედროვეობას ჩამორჩენილხართ, - მიუგო ლუსიმ, - უბრალო მოსამსახურე? არაფერი შეგეშალოთ. მე ვარ „საოჯახო საქმეებში შეუცვლელი დამხმარე“, „საოჯახო პრობლემების მოგვარების პროფესიონალი“, „ის, ვინც

ღმერთმა გამოგიგზავნათ თქვენი ლოცვების პასუხად“. ძირითადად, ეს უკანასკნელი.

- შეუძლებელია, ყველაფერი მოგწონდეთ, რასაც აკეთებთ: საჭმლის მომზადება, საწოლების მოწესრიგება, კიბეებზე აღმა-დაღმა სიარული, ჭურჭლის რეცხვა და ჭუჭყიანი, ცხიმოვანი წყლით ხელების გაფუყება.

ლუსის გაეცინა.

- ზოგიერთი მოვალეობა, ბუნებრივია, არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ ასეთი საკმაოდ ცოტაა. მაგალითად, საჭმლის მომზადება ძალიან მიყვარს - ეს შემოქმედებით ინსტინქტებს მიკმაყოფილებს. უსუფთაობასა და უწესრიგობასთან ბრძოლა კი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

- ჩემთან სრული ქაოსია, - თქვა სედრიკმა, - და ეს ჩემთვის სავსებით მისაღებია, - დაამატა გამომწვევად.

- ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

- ჩემს სახლში, იბიცაზე, ყველაფერი მარტივადაა: სამი თეფში, ორი ფინჯანი თეფშებითურთ, საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი. ყველგან მტვერი, საღებავების კვალი და ქვის ნატეხებია. არა მხოლოდ მხატვარი, არამედ მოქანდაკეც ვარ. და არავის ვაძლევ უფლებას, ჩემს ნივთებს შეეხოს. ჩემს სახლში ქალის ადგილი არ არის.

-- არანაირი სახით? - რას გულისხმობთ?

- ვფიქრობ, ასეთი შემოქმედებითი ბუნების ადამიანს არც რომანტიკული თავგადასავლები უნდა აკლდეს.

- ჩემი რომანტიკული თავგადასავლები, როგორც თქვენ ბრძანეთ, მხოლოდ ჩემი საქმეა, - ღირსების შეგნებით განაცხადა სედრიკმა, - ქალებში ყველაზე მეტად იმას ვერ ვიტან, რომ მბრძანებლობა უყვართ და ცდილობენ, ყველაფერი საკუთარი სურვილისამებრ მოაწყონ. მათ, ასე ვთქვათ, „სახლის წესრიგში მოყვანა“ სურთ.

- ეჰ, კარგი იქნებოდა, თქვენი სახლისთვის მიმეხედა, - თქვა ლუსიმ, - ეს ჩემთვის ნამდვილი გამოწვევა იქნებოდა!

- ამის შესაძლებლობა არ მოგეცემათ.

- როგორც ჩანს, არა.

კედლიდან რამდენიმე აგური ჩამოვარდა. სედრიკმა თავი ხმის მიმართულებით მიაბრუნა და ჭინყვრით დაფარული სიღრმისკენ გაიხედა.

- საყვარელი ბებერი მეჯი, - თქვა მან, - მშვენივრად მახსოვს. ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა და საოცრად ნაყოფიერი ღორი იყო. მახსოვს, უკანასკნელ ჯერზე ჩვიდმეტი გოჭი დაყარა. კარგ ამინდში შუადღისას აქ მოვდიოდით ხოლმე და ზურგს ჯოხით ვფხანდით. ეს ძალიან მოსწონდა და თვალებს ნაბავდა.

- ახლა რატომ გავერანდა აქაურობა? შეუძლებელია, რომ ეს მხოლოდ ომს გამოეწვია.

- ერთი სული გაქვთ, აქაც წესრიგი დაამყაროთ, არა? როგორ გიყვართ ყველაფერში ჩარევა! ახლა კი ვხვდები, რაღა მაინცდამაინც თქვენ აღმოაჩინეთ იმ ქალის გვამი. აბა, ასე ხომ არ დატოვებდით ბერძნულ-რომაულ სარკოფაგს! - იგი ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ კი განაგრძო: - არა, ცხადია, ეს მხოლოდ ომს არ გამოუწვევია. მამაჩემის ბრალიცაა. ჰო, მართლა, მასზე რას ფიქრობთ?

- ფიქრისთვის არ მეცალა.

- პასუხს თავს ნუ არიდებთ. ის საშინელი წუწურაქია, თანაც, ჩემი აზრით, თავში

ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდეს. ყველანი ვძულვართ. ყველანი, გარდა, შესაძლოა, ემასი. ბაბუას ანდერძის გამო.

ლუსიმ მას გაოცებით შეხედა.

- ბაბუაჩემმა იცოდა, ფული როგორ უნდა გაეკეთებინა. კრეკერებს, ჩიფსებსა და ხრაშუნა ნამცხვარს ამზადებდა, ჩაიზე მისაყოლებელ ათასგვარ ნუგზარს. შორსმჭვრეტელი კაცი იყო და შემდეგ ყველიან ნამცხვარსა და კანაპეზე გადაერთო. მოგეხსენებათ, ახლა მათ გარეშე საღამოს წვეულებები არც ტარდება. ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემმა განაცხადა, რომ მისი სული ამ ნამცხვრებზე მეტს ითხოვდა. ჰოდა, ადგა და საზღვარგარეთ სამოგზაუროდ გაემართა: იტალიაში, ბალკანეთსა და საბერძნეთში. უეცრად ხელოვნების მგზნებარე თაყვანისმცემელი გახდა. ბაბუა საშინლად გაბრაზდა. როდესაც მიხვდა, რომ მამაჩემი არც ბიზნესმენად ივარგებდა და ხელოვნებაშიც დილეტანტი იყო, - სხვათა შორის, არც შემცდარა, - მთელი თავისი ფული მეურვეებს დაუტოვა შვილიშვილებისთვის გადასაცემად. მამაჩემს კი სამისდღეშიო რენტა დაუნიშნა, თუმცა მას ძირითადი კაპიტალის განკარგვის უფლება არა აქვს. იცით, როგორ მოიქცა? ფულის ხარჯვა შეწყვიტა, აქ დაბრუნდა და დაგროვება დაიწყო. ვფიქრობ, ახლა უკვე იმდენივე თანხა ექნება დაგროვილი, რამდენიც ბაბუამ დატოვა. არადა, ჩვენ - ჰაროლდი, მე, ალფრედი და ემა - პენისაც არ ვიღებთ არც „გულუხვი“ მამიკოსგან და არც ბაბუას დატოვებული ფულისგან. მე, ასე ვთქვათ, ჯიბეგაფხეკილი მხატვარი ვარ, ჰაროლდმა მოახერხა, ბიზნესი აეწყო და სიტყვი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ბაბუასგან ფულის კეთების ნიყი გამოჰყვა, თუმცა ყური მოვკარი, რომ ბოლო დროს ვალებში ჩაეფლო. ალფრედი... რაც შეეხება ალფრედს, მას „ნაპერწკალა ალფი“ შევარქვით.

- რატომ?

- თქვენ ყველაფრის გაგება გსურთ! მოკლედ გიპასუხებთ, რომ ალფი ჩვენს ოჯახში თეთრი ყვავივითაა. ციხეში ჯერ არ მჯდარა, თუმცა სასწაულებრივად აიცილა თავიდან. ომის დროს მომარაგების სამინისტროში მუშაობდა, მაგრამ იქიდან ძალიან მალე წამოვიდა რაღაც საექვო ვითარებაში. შემდეგ ხათაბალაში გაეხვია, ხილის კონსერვებთან დაკავშირებით... ბოლოს

კვერცხის მიწოდების საქმე ჩაუვარდა... დიდი უსიამოვნება არ შეხვედრია - მხოლოდ რამდენიმე საეჭვო, ბუნდოვანი გარიგება ჰქონდა.

- თქვენს ადგილას, უცხო ადამიანს ყველაფერს ასე დაწვრილებით არ მოვუყვებოდი.

- რატომ? პოლიციის ჯაშუში ხომ არა ხართ?

- იქნებ ვარ კიდევ.

- ერთბაშად არ დაგიჯეროთ!.. თქვენ აქ მანამდე დაიწყეთ მუშაობა, სანამ ჩვენით პოლიცია დაინტერესდებოდა. უნდა გითხრათ, რომ...

უეცრად სედრიკმა ბოსტნის კუტიკარიდან გამოსულ ემას მოჰკრა თვალი და სიტყვა გაწყვიტა.

- გამარჯობა, ემ! შეწუხებული მეჩვენები. - ჰო, ასეა... შენთან დალაპარაკება მინდოდა. - ჩემი წასვლის დროა, - ტაქტიანად შენიშნა ლუსიმ.

- არ წახვიდეთ, - სთხოვა სედრიკმა, - ამ მკვლელობის გამო ლამის ოჯახის წევრივით ხართ.

- ბევრი საქმე მაქვს. მე ხომ ერთი წუთით გამოვედი ოხრახუმის მოსაკრეფად. იგი აჩქარებით გაემართა ბოსტნისკენ.

- ლამაზია, - თქვა სედრიკმა და თვალი გააყოლა, - ნეტავ სინამდვილეში ვინ არის?

- ოჰ, ლუსი ცნობილი პიროვნებაა, - მიუგო ემამ, - უბრალო მოსამსახურე არ გეგონოს, მაღალი კლასის პროფესიონალია. თუმცა, მოდი, ლუსი აილსბეროუს შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ. ძალიან ვღელავ, სედრიკ. როგორც ჩანს, პოლიციელების აზრით, მოკლული ქალი უცხოელი იყო, შესაძლოა, ფრანგი. ხომ არ ფიქრობ, სედრიკ, რომ ის, შესაძლოა... მარტინა ყოფილიყო?

რამდენიმე წამის განმავლობაში სედრიკი გაოცებით აფახულებდა თვალებს.
- მარტინა? მაგრამ ვინ არის... აჰ, მარტინას გულისხმობ?

- ჰო. ხომ არ ფიქრობ...

- მარტინა რატომ უნდა იყოს?

- აბა, გაიხსენე: მაშინ ძალზე უცნაური დეპეშა გამოგვიგზავნა. ეს დაახლოებით იმ დროს მოხდა... იქნებ მართლა ჩამოვიდა და...

- სისულელეა! ჩამოვიდა, სახლში არ შემოვიდა და პირდაპირ გრძელი ფარდულისკენ გაემართა - ასე გამოდის, არა? იქ რა ჯანდაბა უნდოდა? ჩემი აზრით, ეს წარმოუდგენელია.

- ხომ არ გგონია, რომ ამის შესახებ ინსპექტორ ბეკონს უნდა ვუთხრა? ან იმას... მეორეს?

- რა უნდა უთხრა? - რა და... მარტინასა და მისი წერილის შესახებ.

- ნუ აზვიადებ, დაიკო! ეს ხომ საქმეს არ ეხება. სიმართლე თუ გინდა, არასდროს მჯეროდა, რომ ის წერილი მარტინას დაწერილი იყო.

- მე კი წამითაც არ შემპარვია ეყვი.

- ყოველთვის ზედმეტად მიმნდობი იყავი. აი, რას გირჩევ - წადი და ჩუმად იყავი. თუ ასე ძალიან უნდათ, თვითონ გაარკვიონ, ვისი გვამია. დარწმუნებული ვარ, ჰაროლდიც ამას გირჩევდა.

- ოჰ, ვიცი, ჰაროლდი რასაც მირჩევდა. და ალფრედიც. მაგრამ ძალზე მოუსვენრად ვარ, სედრიკ. მართლა. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო.

- არაფერი, - მტკიცედ ურჩია სედრიკმა, - აბსოლუტურად არაფერი. ჩემი დევიზია - უსიამოვნება სუნით არ უნდა ეძებო.

ემამ ამოიოხრა და სახლისკენ გაემართა. როდესაც შესასვლელს მიუახლოვდა, დოქტორი ქუიმპერი თავისი შელახული „ოსტინის“ კარს აღებდა, მაგრამ ემას დანახვაზე მის შესახვედრად წავიდა.

- ყველაფერი კარგადაა, ემა, - თქვა მან, - კარგა ხანია, მამათქვენი ასეთი მხნე არ ყოფილა. ამ მკვლელობამ მასზე კარგად იმოქმედა, ცხოვრებისადმი ინტერესი გაუღვიძა. იქნებ ეს საშუალება სხვა პაციენტებსაც შევთავაზო.

ემას უნებურად გაეღიმა, მაგრამ ფიქრით სხვაგან იყო. - რამე მოხდა? - მაშინვე ჰკითხა ექიმმა, რომელიც დაკვირვებული კაცი იყო.

ემამ მას მადლიერებით შეხედა. მისგან ყოველთვის გრძნობდა სიკეთესა და თანაგრძნობას. ქუიმპერი მისთვის არა მხოლოდ მზრუნველი ექიმი, არამედ მეგობარიც იყო, რომელიც ყოველთვის გაუწვდიდა დახმარების ხელს გაჭირვების ჟამს. კარგად იცოდა, რომ ამ კაცის ნაძალადევი უხეშობის მიღმა გულკეთილობა და გულისხმიერება იმალებოდა.

- დიახ, გამოიცანით, ძალიან ვლელავ, - გამოუტყდა იგი. - იქნებ მომიყვეთ? თუმცა, თუ არ გინდათ, საჭირო არაა.

- პირიქით, მინდა. ზოგიერთი რამ უკვე იცით კიდევ. საქმე ისაა, რომ არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

- მიკვირს - თქვენ ყოველთვის კეთილგონიერი ქალი იყავით. აბა, რა მოხდა?

- გკემახსოვრებათ - თუმცა შესაძლოა, არც გახსოვდეთ, - ერთხელ ჩემი ძმის შესახებ მოგიყევით, რომელიც ომში დაიდუპა.

- ფრანგ ქალზე რომ იქორწინა... თუ დაქორწინებას აპირებდა... ხომ არ მეშლება?

- არა. მივიღე თუ არა მისი წერილი, მოკლეს კიდევ. მას შემდეგ მათ შესახებ

ალარაფერი გაგვიგონია. იმ ქალიშვილის მხოლოდ სახელი ვიცოდით. ველოდებოდით, რომ წერილს მოგვწერდა ან ჩამოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არც კი შეგვხმიანებია. და აი, გასული შობის დადგომის წინადღეებში...

- მახსოვს. მისგან წერილი მიიღეთ, არა?

- დიახ. იუწყებოდა, რომ ინგლისში ჩამოვიდა და ჩვენი ნახვა სურდა. მე და ჩემმა ძმებმა შეხვედრა დავუთქვით, მაგრამ კვლავ სიურპრიზი გველოდა... უკანასკნელ წუთს დეპეშა გამოგვიგზავნა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო სასწრაფოდ საფრანგეთში ბრუნდებოდა.

- მერე რა?

- პოლიციას მიაჩნია, რომ მოკლული ქალი ფრანგია.

- მართლა? ჩემი აზრით, ის ინგლისელს უფრო ჰგავს, თუმცა ეს ძნელი დასადგენია. მაშასადამე, ის აზრი არ გასვენებთ, რომ მოკლული შესაძლოა, თქვენი ძმის მეგობარი აღმოჩნდეს?

- დიახ.

- ვფიქრობ, ეს ნაკლებად სავარაუდოა, - თქვა დოქტორმა ქუიმპერმა და დაამატა: - თუმცა მესმის, რატომაც ღელავთ.

- ჰოდა... ვერ გადამიწყვეტია, მოვუყვე თუ არა ამის შესახებ პოლიციას. სედრიკისა და სხვების აზრითაც, ამის გაკეთება საჭირო არ არის. თქვენ რას იტყვით?

- ჰმ, - დოქტორმა ქუიმპერმა ტუჩები მოკუმა, ღრმად ჩაფიქრებული ცოტა ხანს დუმდა, ბოლოს კი თითქმის უხალისოდ თქვა:

- რასაკვირველია, უფრო ადვილია, თუ არაფერს იტყვით. კარგად მესმის თქვენი ძმების. და მაინც...

- დიახ? დოქტორმა ქალს შეხედა და თვალეში სინაზე გაუკრთა.

- თქვენს ადგილას განვაცხადებდი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიტანჯებით. კარგად გიცნობთ.

ემას ლოყები ოდნავ შეეფაკლა. - ასეთი სულელური ხასიათი მაქვს. - ერთი სიტყვით, ჩემო კარგო, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ,

ოჯახის წევრებმა კი, თუ სურთ, თავი ჩამოიხრჩონ! მათზე მეტად, თქვენი კეთილგონიერების მჯერა!

თავი მეთორმეტე

- ქალიშვილო! თქვენ, ქალიშვილო! აქ მოდით!

გაოცებულმა ლუსიმ უკან მიიხედა. კართან მდგარი მოხუცი მისტერ კრეკენტორპი გაშმაგებით უქნევდა ხელს და თავისთან იხმობდა.

- გჭირდებით, მისტერ კრეკენტორპ? - ბევრს ლაპარაკობთ. აქ მოდით.

ლუსი ბრძანებას დაემორჩილა. მოხუცმა მისტერ კრეკენტორპმა მკლავში ხელი ჩაავლო, შიგნით შეიყვანა და კარი მიხურა.

- რაღაც უნდა გიჩვენოთ, - თქვა მან.

ლუსიმ იქაურობას თვალი მოავლო. პატარა ოთახში იმყოფებოდნენ, რომელიც თავდაპირველად, როგორც ჩანს, კაბინეტის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ დანიშნულებისამებრ დიდი ხნის განმავლობაში აღარ გამოეყენებინათ. საწერ მაგიდაზე გროვად ეწყო დამტვერილი ქაღალდები, კუთხეებში გირლანდებივით ჩამოშვებული აბლაბუდა მოჩანდა. ნესტისა და შმორის სუნი იგრძნობოდა.

- გსურთ, რომ აქაურობა დავალაგო? - იკითხა ლუსიმ.

მოხუცმა მისტერ კრეკენტორპმა თავი გაშმაგებით გადააქნია.

- არა, არ დაალაგებთ! ეს ოთახი ყოველთვის დაკეტილი მაქვს. კარგა ხანია, ემა აქაურობის მილაგებას ნატრობს, მაგრამ ავუკრძალე. ეს ჩემი ოთახია. ხედავთ იმ ქვებს? გეოლოგიური ნიმუშებია.

მთის ქანების ნიმუშებიც, ზოგი დამუშავებული და ზოგი დაუმუშავებელი, მტვერს დაეფარა.

- ლამაზია, - თავაზიანად თქვა ლუსიმ, - და ძალიან საინტერესო.

- მართალს ბრძანებთ. საინტერესოა. ჭკვიანი ქალიშვილი ხართ. ამ ქვებს ყველას როდი ვუჩვენებ. კიდევ უნდა განახვოთ რაღაც.

- ძალიან კეთილი ხართ, მაგრამ უამრავი საქმე მელოდება. სახლში ექვსი კაცია...

- ...რომლებიც იმდენს ჭამენ, მალე არაფერს დამიტოვებენ და სამათხოვროდ გამიშვებენ. როდესაც ჩამოდიან, ჭამის გარდა არაფერს აკეთებენ. ფულის გადახდას არავინ ფიქრობს. წურბელები! ჩემს სიკვდილს ელოდებიან. მაგრამ სიკვდილს არ ვაპირებ. ამ სიამოვნებას ვერ მივანიჭებ. იმაზე გაცილებით ძლიერი ვარ, ვიდრე ეს თუნდაც ემას წარმოუდგენია.

- ამაში ეჭვიც არ მეპარება.

- არც ისეთი მოხუცი ვარ. ემას დაჩაჩანაკებული ბებერი ვგონივარ და შესაბამისად მექცევა. თქვენ ხომ ასე არ ფიქრობთ, არა?

- ცხადია, არა, - უთხრა ლუსიმ. - ხომ გითხარით, ჭკვიანი ხართ-მეთქი. აბა, ამას შეხედეთ!

მან კედელზე ჩამოკიდებულ, დრო-ჟამით გახუნებულ სქემაზე მიუთითა. ეს გენეალოგიური ხე იყო. ზოგიერთი წარწერა ისე წვრილად გაეკეთებინათ, გამადიდებელი შუშის გარეშე ვერავინ ამოიკითხავდა. ნაწილი სიამაყით დაეწერათ დიდი ასოებით, თავზე კი გვირგვინი დაეხატათ.

- მეფის შთამომავლები ვართ, - თქვა მისტერ კრეკენტორპმა, - ეს დედაჩემის საგვარეულო ნუსხაა და არა - მამაჩემის. მამა ვულგარული ადამიანი იყო! ჩვეულებრივი მოხუცი! არ ვუყვარდი. იცოდა, რომ მასზე მალლა ვიდექი. დედის მხარეს ვგავდი. სისხლით მომდგამს მშვენიერების შეგრძნება, გული

ყოველთვის ხელოვნებისკენ, კლასიკური ქანდაკებისკენ მიმიწევდა. მამას კი ამის არაფერი გაეგებოდა... ბებერი სულელი! დედა არ მახსოვს - ორი წლის ვიყავი, როდესაც გარდაიცვალა. გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მათ ქონება გაუყიდეს, ამიტომ იძულებული გახდა, მამაჩემს გაჰყოლოდა ცოლად. აბა, შეხედეთ ამ გენეალოგიას: ედუარდ აღმსარებელი(ედუარდ აღმსარებელი - ედუარდ!III (1035-1066 წწ.), ინგლისის მეფე 1042 წლიდან)... ეთელრედ უწიგნური(ეთელრედ უწიგნური - ინგლისის მეფე 866-871 წლებში)... ყველანი აქ არიან. ჯერ კიდევ ნორმანებამდე ცხოვრობდნენ. რას იტყვით, ხომ შთამბეჭდავია?

- ძალიან.

- ახლა კიდევ რაღაცას გიჩვენებთ, - მან ოთახი გადაჭრა და ლუსი მუხის უზარმაზარ კარადასთან მიიყვანა. ქალიშვილი უსიამოვნოდ გააოცა იმან, თუ როგორ

მაგრად ჩაევლო მოხუცს მისთვის ხელი. ახლა მისტერ კრეკენტორპს ბებრული სისუსტის ნატამალიც არ ეტყობოდა. - ხედავთ ამას? ეს კარადა ლაშინგტონიდანაა, დედაჩემის წინაპრების სამშობლოდან. ელისაბედ პირველის დროინდელია. მის გადასაადგილებლად ოთხი ჯანმანათლებელი კაცია საჭირო. ვერასდროს მიხვდებით, შიგნით რას ვინახავ. აბა, თუ გინდათ, შეგახედოთ?

- ძალიან მინდა, - თავაზიანად მიუგო ლუსიმ. - გაინტერესებთ, არა? ყველა ქალი ცნობისმოყვარეა.

მან ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარადის ქვედა კარი გააღო, იქიდან გარეგნულად სრულიად ახალი, ლითონის პატარა სეიფი ამოაძვრინა და გასაღებით გახსნა.

- აბა, შეხედეთ, ჩემო კარგო. იცით, ეს რა არის? - მომცრო, ცილინდრის ფორმის

ნივთი ასწია, შემოხვეული ქალაქი ერთი ბოლოდან მოაცილა და ხელისგულზე ოქროს მონეტები დაიყარა.

- კარგად დააკვირდით, ახალგაზრდა ქალბატონო. შეგიძლიათ, შეათვალიეროთ, შეეხოთ, აიღოთ კიდევ. ეს ძველებური ოქროს სოვერენებია. ისინი მანამ იყო მიმოქცევაში, სანამ ახალი, ყოვლად უვარგისი, გაქონილი ქალაქის კუპიურები გაჩნდებოდა. დიდი ხანია, ამ მონეტებს ვაგროვებ. აქ ბევრი რამ მაქვს გადამალული. სამომავლოდ. ემამ მათ შესახებ არაფერი იცის. არავინ იცის. ეს თქვენი და ჩემი საიდუმლო იქნება, ხომ გესმით, ქალიშვილო? თუ იცით, რატომ გიჩვენებთ მათ?

-- რატომ?

- იმიტომ, რომ არ მინდა, ავადმყოფი, არაფრის მაქნისი მოხუცი გეგონოთ. ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. ცოლი დიდი ხნის წინ მომიკვდა. გამუდმებით მეკამათებოდა. არც ის სახელები მოსწონდა, შვილებს რომ დავარქვი - ნამდვილი საქსონური სახელები... არც ჩვენს გენეალოგიურ ხეს აქცევდა

ყურადღებას. მის ნათქვამს არაფრად ვაგდებდი და, თუმცა მშიშარა არსება იყო, მაინც ვუთმობდი ხოლმე. რომ გადარებთ, სულ არ გგავდათ. თქვენ ძალზე ენერგიული, ცეცხლივით ქალი ხართ, თანაც - სასიამოვნო გარეგნობის. რამდენიმე რჩევას მოგცემთ: ახალგაზრდა კაცებთან საქმეს ნუ დაიჭერთ. ისინი სულელები არიან. არადა, საკუთარ მომავალზეც უნდა იზრუნოთ. აი, მოითმინეთ... - მან ლუსის უფრო მაგრად მოუჭირა თითები ხელზე და მისი ყურისკენ დაიხარა. - მეტს აღარაფერს ვიტყვი. თქვენ კი მოიცადეთ... ჩემი ოტროველები ფიქრობენ, რომ მალე გავჭიმავ ფეხებს. არ ვაპირებ. მათზე დიდხანსაც კი ვიცოცხლებ. მაშინ ვნახოთ! დიახ, დიახ, მაშინ ვნახოთ! ჰაროლდს შვილები არ ჰყავს. სედრიკი და ალფრედი უცოლშვილოები არიან. ემა... ველარ გათხოვდება. მართალია, ქუიმპერისადმი გულგრილი არაა... ქუიმპერს კი აზრადაც არ მოუვა მასზე დაქორწინება. ცხადია, კიდევ ალექსანდრეა... თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ალექსანდრე... მიყვარს... დიახ, ეს, ცოტა არ იყოს, უხერხული მომენტია... მაგრამ ალექსანდრე მაინც მიყვარს.

იგი ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ შუბლი შეიყმუხნა და იკითხა:

მაგრად ჩაევლო მოხუცს მისთვის ხელი. ახლა მისტერ კრეკენტორპს ბებრული სისუსტის ნატამალიც არ ეტყობოდა. - ხედავთ ამას? ეს კარადა ლაშინგტონიდანაა, დედაჩემის წინაპრების სამშობლოდან. ელისაბედ პირველის დროინდელია. მის გადასაადგილებლად ოთხი ჯანმანათლებელი კაცია საჭირო. ვერასდროს მიხვდებით, შიგნით რას ვინახავ. აბა, თუ გინდათ, შეგახედოთ?

- ძალიან მინდა, - თავაზიანად მიუგო ლუსიმ. - გაინტერესებთ, არა? ყველა ქალი ცნობისმოყვარეა.

მან ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარადის ქვედა კარი გააღო, იქიდან გარეგნულად სრულიად ახალი, ლითონის პატარა სეიფი ამოაძვრინა და გასაღებით გახსნა.

- აბა, შეხედეთ, ჩემო კარგო. იცით, ეს რა არის? - მომცრო, ცილინდრის ფორმის

ნივთი ასწია, შემოხვეული ქალაქი ერთი ბოლოდან მოაცილა და ხელისგულზე ოქროს მონეტები დაიყარა.

- კარგად დააკვირდით, ახალგაზრდა ქალბატონო. შეგიძლიათ, შეათვალიეროთ, შეეხოთ, აიღოთ კიდევ. ეს ძველებური ოქროს სოვერენებია. ისინი მანამ იყო მიმოქცევაში, სანამ ახალი, ყოვლად უვარგისი, გაქონილი ქალაქის კუპიურები გაჩნდებოდა. დიდი ხანია, ამ მონეტებს ვაგროვებ. აქ ბევრი რამ მაქვს გადამალული. სამომავლოდ. ემამ მათ შესახებ არაფერი იცის. არავინ იცის. ეს თქვენი და ჩემი საიდუმლო იქნება, ხომ გესმით, ქალიშვილო? თუ იცით, რატომ გიჩვენებთ მათ?

-- რატომ?

- იმიტომ, რომ არ მინდა, ავადმყოფი, არაფრის მაქნისი მოხუცი გეგონოთ. ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. ცოლი დიდი ხნის წინ მომიკვდა. გამუდმებით მეკამათებოდა. არც ის სახელები მოსწონდა, შვილებს რომ დავარქვი -

ნამდვილი საქონური სახელები... არც ჩვენს გენეალოგიურ ხეს აქცევდა ყურადღებას. მის ნათქვამს არაფრად ვაგდებდი და, თუმცა მშიშარა არსება იყო, მაინც ვუთმობდი ხოლმე. რომ გადარებთ, სულ არ გგავდათ. თქვენ ძალზე ენერგიული, ცეცხლივით ქალი ხართ, თანაც - სასიამოვნო გარეგნობის. რამდენიმე რჩევას მოგცემთ: ახალგაზრდა კაცებთან საქმეს ნუ დაიჭერთ. ისინი სულელები არიან. არადა, საკუთარ მომავალზეც უნდა იზრუნოთ. აი, მოითმინეთ... - მან ლუსის უფრო მაგრად მოუჭირა თითები ხელზე და მისი ყურისკენ დაიხარა. - მეტს აღარაფერს ვიტყვი. თქვენ კი მოიცადეთ... ჩემი ოტროველები ფიქრობენ, რომ მალე გავჭიმავ ფეხებს. არ ვაპირებ. მათზე დიდხანსაც კი ვიცოცხლებ. მაშინ ვნახოთ! დიახ, დიახ, მაშინ ვნახოთ! ჰაროლდს შვილები არ ჰყავს. სედრიკი და ალფრედი უცოლშვილოები არიან. ემა... ველარ გათხოვდება. მართალია, ქუიმპერისადმი გულგრილი არაა... ქუიმპერს კი აზრადაც არ მოუვა მასზე დაქორწინება. ცხადია, კიდევ ალექსანდრეა... თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ალექსანდრე... მიყვარს... დიახ, ეს, ცოტა არ იყოს, უხერხული მომენტია... მაგრამ ალექსანდრე მაინც მიყვარს.

იგი ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ შუბლი შეიყმუხნა და იკითხა:

- აბა, ქალიშვილო, რას იტყვით? ყველაფრის შესახებ. - მის აილსბეროაუ... - გაისმა დახურულ კარს მიღმა ემას ხმა. ლუსის გაუხარდა, რომ, როგორც იქნა, წასვლის შესაძლებლობა მიეცა.

- მის კრეკენტორპი მეძახის, - თქვა მან, - უნდა წავიდე. დიდი მადლობა ნდობის გამოცხადებისთვის...

- არ დაგავიწყდეთ... ჩვენი საიდუმლო...

- არ დამავიწყდება, - დაჰპირდა ლუსი და კაბინეტიდან აჩქარებით გავიდა. ჯერ ვერ მოესაზრებინა, ეს ბებრული ტრაბახი იყო თუ მას ხელი სთხოვეს.

დერმუტ კრედოკი ახალ სკოტლენდიარდში, საკუთარ კაბინეტში იჯდა. იდაყვით საწერ მაგიდას დაყრდნობოდა, მხარი ტელეფონის ყურმილზე მიეჭირა და ფრანგულად ლაპარაკობდა. ეს ენა საკმაოდ კარგად იცოდა.

- ეს მხოლოდ ვარაუდია, - თქვა მან.

- დიახ, მაგრამ ყურადსადღები ვარაუდი, - უთხრეს ყურმილში პარიზის პრეფექტურიდან, - უკვე გავეცი განკარგულება თეატრალურ წრეებში ცნობების შესაგროვებლად. ჩემი აგენტი მატყობინებს, რომ რამდენიმე იმედისმომცემი მიმართულება აღმოაჩინა. ის მსახიობი ქალები, რომლებსაც არც ოჯახი აქვთ და არც საყვარელი ჰყავთ, ხშირად დიდი ხნით იკარგებიან. მათ გამო არავინ წუხს. შესაძლოა, გასტროლებზე წავიდა, შესაძლოა, ახალ თაყვანისმცემელთან ერთად გაიპარა. მისი პრობლემები არავის ადარდებს. სამწუხაროა, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათის მიხედვით ამოცნობა ძალზე რთულია. სახის ნაკვთები ძალზე დამახინჯებულია. თუმცა ეს არცაა გასაკვირი - ასეთი სიკვდილი... მაგრამ რა გაეწყობა?... ახლა კი წავალ და ჩემი აგენტების მიერ მოწოდებულ უახლეს ინფორმაციას გავეცნობი. ვინ იცის, იქნებ რამე გამოჩნდა. #V I8V0I,, Mon cher.(Au revoir, „ილი CინI (ფრანგ.) - ნახვამდის, ჩემო მეგობარო.)

სწორედ იმ დროს, როდესაც კრედოკი თავაზიანად ემშვიდობებოდა ფრანგ კოლეგას, მას მაგიდაზე ბარათი დაუდეს, რომელშიც ეწერა:

„მის ემა კრეკენტორპს დეტექტივ-ინსპექტორ კრედოკის ნახვა სურს

რეზერვორდჰოლის საქმესთან დაკავშირებით“. კრედოკმა ყურმილი დაკიდა და თქვა: - სთხოვეთ მის კრეკენტორპს. სანამ ელოდებოდა, სკამის საზურგეზე გადაწვა და ჩაფიქრდა.

მაშასადამე, არ შემცდარა. ემა კრეკენტორპმა რაღაც იცოდა, შესაძლოა - სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ იცოდა. და გადაწყვიტა, მისთვის მოეყოლა.

როდესაც ქალი შემოვიდა, კრედოკი წამოდგა, შეეგება, ხელი ჩამოართვა, სკამზე მიუთითა და სიგარეტი შესთავაზა. მის კრეკენტორპმა მოწვევაზე უარი თქვა. მცირე ხნით პაუზა ჩამოვარდა. ინსპექტორის აზრით, ქალმა არ იცოდა, საუბარი როგორ დაეწყო და შესაფერის სიტყვებს ეძებდა. იგი წინ გადაიხარა და თქვა:

- მის კრეკენტორპ, ჩემთან ალბათ რაღაცის სათქმელად მოხვედით. ხომ ასეა? რაღაც არ გასვენებთ, არა? შესაძლოა, ეს სრულიად უმნიშვნელო რამ აღმოჩნდეს და გამოძიებასთან საერთო არაფერი ჰქონდეს, მაგრამ ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ხართ. ეს მოკლულის ვინაობას ხომ არ უკავშირდება? თქვენი აზრით, იცით, ის ვინც არის?

- არა, არა, ასეც არაა. ანუ, ეს იმდენად ნაკლებმოსალოდნელია... მაგრამ...

- მაგრამ ეს მაინც გაშფოთებთ. აჯობებს, ყველაფერი დაწვრილებით მიაძვოთ. მე კი თქვენი ეჭვის გაფანტვას შევეცდები.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ ემამ დაიწყო:

- თქვენ მხოლოდ ჩემი სამი ძმა ნახეთ. არადა, კიდევ მყავდა ერთი, ედმუნდი, რომელიც ომში მოკლეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან პარიზიდან წერილი მომწერა.

ქალმა ხელჩანთა გახსნა, იქიდან გაყვითლებული და გაცრეცილი ქაღალდი ამოიღო და კითხვას შეუდგა:

- „ვიმედოვნებ, ეს სიახლე შოკს არ მოგგვრის, ემი. საქმე ისაა, რომ ვქორწინდები... ფრანგზე. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, მარტინას შეიყვარებ და იზრუნებ კიდევ მასზე, თუ რაიმე შემემთხვევა. დეტალებს მომდევნო წერილში შეგატყობინებ. იმ დროისთვის უკვე დაქორწინებული ვიქნები. თუ შეიძლება, ეს ამბავი მამას გააგებინე. კარგი? ოღონდ ფრთხილად - ის ალბათ გაცოფდება“.

ინსპექტორმა კრედოკმა ქალს ხელი გაუწოდა. ემა წამით შეყოყმანდა, შემდეგ წერილი გადასცა და განაგრძო:

- ორი დღის შემდეგ დეპეშით გვაცნობეს, რომ ედმუნდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რომ შესაძლოა, მოკლეს კიდევ. მოგვიანებით მისი დაღუპვის ცნობაც მოვიდა. ეს სწორედ დუნკერკში(დუნკერკი - ნავსადგური

საფრანგეთის ჩრდილოეთში, სადაც 1940 წელს ინგლისელებმა ფაშისტური გერმანიის ჯარისგან მარცხი იწვინეს.) განვითარებული მოვლენების წინ მოხდა. მაშინ ქაოსი სუფევდა. გავიკითხე, მაგრამ საარმიო არქივებში ქორწინების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინეს. მაგრამ ვიმეორებ - იმ საშინელი არეულ-დარეულობის დროს მოწმობა იქნებ დაიკარგა კიდევ. არც ქალიშვილისგან ისმოდა რამე. ომის შემდეგ ვცადე, მის შესახებ რაიმე გამეგო, მაგრამ მხოლოდ მისი სახელი ვიცოდი, საფრანგეთის ის ნაწილი გერმანელებს ჰქონდათ ოკუპირებული, ბევრი არქივი განადგურდა და დამატებითი მონაცემების, თუნდაც გვარის გარეშე, ვერაფერი გაირკვა. ბოლოს გადავწყვიტე, ალბათ, არ უქორწინიათ, ქალიშვილი კი, შესაძლოა, სხვას გაჰყვა ცოლად ან საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა-მეთქი.

ინსპექტორმა კრედოკმა თავი დაუკრა.

- წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდი, - დაამატა ემამ, - როდესაც დაახლოებით ერთი თვის წინ წერილი მივიღე, რომელსაც ხელს მარტინა კრეკენტორპი აწერდა.

- წერილი თან გაქვთ?

ემამ ხელჩანთიდან კიდევ ერთი ბარათი ამოიღო და ინსპექტორს გაუწოდა. კრედოკმა ის ინტერესით ჩაიკითხა. ჩანდა, რომ გაკრული ხელით ფრანგულ ენაზე განათლებულ ადამიანს დაეწერა.

„ძვირფასო მადმუაზელ,

ვიმედოვნებ, ჩემი წერილი ძალიან არ გაგაოცებთ. არ ვიცი, მოასწრო თუ არა თქვენმა ძმამ, ედმუნდმა, იმის შეტყობინება, რომ დაქორწინდით. მითხრა, რომ ამის გაკეთებას აპირებდა. ის ჩვენი დაქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს, ჩვენი სოფელი კი გერმანელებმა დაიკავეს. როდესაც ომი დამთავრდა, გადავწყვიტე, რომ არ ღირდა თქვენთან დაკავშირება ან შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ ედმუნდს ამას დავპირდი. თანდათანობით ცხოვრება დალაგდა და თქვენი შეწუხება არ მინდოდა. მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ამ წერილს მხოლოდ ჩემი ვაჟიშვილის გამო გწერთ. საქმე ისაა, რომ მამამისი თქვენი ძმია, მე კი... მისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა აღარ შემიძლია. მომდევნო კვირის დასაწყისში ინგლისში ვიქნები. თუ არ შეწუხდებით, შემატყობინეთ, შეიძლება თუ არა თქვენი ნახვა. წერილი შეგიძლიათ მომწეროთ მისამართზე: 126, ელვერსკრესენტი, 10. იმედს ვიტოვებ, რომ ეს ბარათი ძალიან არ დაგამწუხრებთ და უსიამოვნო სიურპრიზი არ აღმოჩნდება.

საუკეთესო სურვილებით,

მარტინა კრეკენტორპი“.

კრედოკი ერთხანს დუმდა, წერილი განმეორებით წაიკითხა, ქალს დაუბრუნა და ჰკითხა:

— როგორ მოიქეცით ამ ბარათის მიღების შემდეგ, მის კრეკენტორპ?

- იმ დროს ჩვენთან ჩემი სიძე, ბრაიან ისთლი იყო სტუმრად ჩამოსული. მას ყველაფერი ვუამბე. ლონდონში ძმას, ჰაროლდს დავურეკე, რომელმაც სიფრთხილისკენ მომიწოდა. „აუცილებელია, - მითხრა მან, - დავრწმუნდეთ, რომ ეს ვინმე თვითმარქვია არ არის“. - ემა შეყოყმანდა, - ეს, ცხადია, გონივრული რჩევა იყო. თუ ქალი სიმართლეს ამბობდა, იგი, ანუ მარტინა, რასაკვირველია, უნდა მიგველო. ამიტომ მითითებულ მისამართზე მივწერე, რომ რეზერვორდჰოლში ვეპატიყებოდი. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ლონდონიდან დეპეშა მივიღე, რომელშიც ეწერა: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ, სასწრაფოდ დავბრუნდე საფრანგეთში“. იმ დღიდან მის შესახებ არაფერი მსმენია.

- ეს როდის მოხდა? ემამ წარბები შეიჭმუხნა და გახსენება სცადა.

- შობამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი. ზუსტად მახსოვს, რადგან მინდოდა მეთხოვა, რომ შობა ჩვენთან ერთად გაეტარებინა, მაგრამ მამამის ამის გაგონება არ სურდა, ამიტომ შობის მომდევნო უიკენდზე დავპატიყე, როდესაც მთელი ოჯახი კვლავაც ერთად იქნებოდა. დეპეშა კი, რომელშიც იუწყებოდა, რომ სასწრაფოდ საფრანგეთში დაბრუნებას აპირებდა, შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე მოგვიტანეს.

- მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ მოკლული ქალი მარტინაა?

- ცხადია, არა. მაგრამ... როდესაც ბრძანეთ, ის შესაძლოა, უცხოელი იყოსო, უნებურად დავეყვდი... იქნებ... - ემა გაჩუმდა. შეშინებული ჩანდა.

- მის კრეკენტორპ, სწორად მოიქეცით, რომ მოხვედით და ყველაფერს მომიყევით, - სწრაფად თქვა კრედოკმა მის დასამშვიდებლად, - ჩემი აზრით, ქალი, რომელმაც წერილი მოგწერათ, მშვიდობიანად დაბრუნდა საფრანგეთში და ახლაც იქ იმყოფება. მეორე მხრივ, როგორც მართებულად აღნიშნეთ, დროში მეტ-ნაკლებად ზუსტ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან, პოლიციის ქირურგის დასკვნის თანახმად, ქალი სამი-ოთხი კვირის წინ გარდაიცვალა. ასეა თუ ისე, არ იღელვოთ და ყველაფერი ჩვენ მოგვანდეთ. ჰო, მართლა, - დაამატა მან სასხვათაშორისოდ, - თქვენ თქვით, რომ მისტერ ჰაროლდმა სიფრთხილისკენ მოგიწოდათ. მამასა და დანარჩენ ძმებს თუ მოეთათბირეთ?

- როგორ შემეძლო, მამისთვის არ მეთქვა?!. ის, ცხადია, საშინლად აღშფოთდა, - ემას ოდნავ გაელიმა, - მამა დარწმუნებულია, რომ ეს მხოლოდ მახე იყო ფულის დასაცინცლად. ფული მისთვის ყოველთვის მტკივნეული თემაა. მიაჩნია - თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ თავს იკატუნებს, - რომ ძალიან ღარიბია და ყოველ პენის უნდა

მოუფრთხილდეს. ხანში შესულ ადამიანებს მსგავსი უცნაურობა ახასიათებთ. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა: დიდი შემოსავალი აქვს კაპიტალიდან და ამ ფულის მეოთხედსაც კი არ ხარჯავს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მანამ, სანამ ცოტა ხნის წინ საშემოსავლო გადასახადი არ გაზარდეს. თანაც მას გვარიანი დანაზოგიც აქვს, ქალი გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო: - წერილის შესახებ დანარჩენ ორ ძმასაც შევატყობინე. ალფრედმა თავდაპირველად ეს ხუმრობად მიიღო, თუმცა ბოლოს დაასკვნა, რომ

თაღლითობას უფრო ჰგავდა. სედრიკი არც დაინტერესებულა - ეგოისტია. ერთი სიტყვით, ყველანი შევთანხმდით, რომ მარტინას უნდა შევხვედროდით, მაგრამ შეხვედრაზე ჩვენი ადვოკატი, მისტერ უიმბორნიც უნდა მოგვეწვია.

- მისტერ უიმბორნმა როგორ მიიღო ოჯახის საერთო გადაწყვეტილება?

- მისი გაფრთხილება ვერ მოვასწარიტ. მარტინასგან დეპეშა სწორედ მაშინ მოვიდა, როდესაც მასთან ამაზე მსჯელობას ვაპირებდით.

- სხვა არაფერი მოგიმოქმედათ?

- ერთხელაც მივწერე ლონდონში, მითითებულ მისამართზე, ოღონდ ამჯერად კონკერტზე „გადაუგზავნეთ ადრესატს“ მივაწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

- საკმაოდ უცნაურია... ჰმ...

მან დაჟინებით შეხედა ქალს და ჰკითხა:

- თვითონ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

- არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

- წერილზე როგორი რეაქცია გქონდათ? გაიფიქრეთ, რომ მართლა მარტინასგან იყო, თუ, მამისა და ძმების მსგავსად, თაღლითობაში შეგეპარათ ეჭვი? თქვენმა სიძემ რა თქვა?

- ბრაიანი ფიქრობდა, რომ წერილი ნამდვილი იყო.

- თქვენ?

- მე... დარწმუნებული არ ვიყავი.

- რა იგრძენით, როდესაც თქვენი ძმის ქვრივის სახელი წაიკითხეთ?

ემას სახეზე სითბო აღებეყდა:

- ედმუნდი ძალიან მიყვარდა. ყველა ძმაზე მეტად. რაც შეეხება წერილს... მომეჩვენა, რომ სწორედ ისე იყო დაწერილი, როგორც მსგავს ვითარებაში

მოხვედრილი სასოწარკვეთილი ქალი დაწერდა. მის მიერ აღწერილი ყველა მოვლენა, საქციელის მოტივი... ძალზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ვიფიქრე, რომ ომის დამთავრების შემდეგ მარტინა ალბათ გათხოვდა ან იმ ადამიანს შეხვდა, რომელმაც ის ბავშვთან ერთად შეიფარა. მაგრამ, შესაძლოა, კაცი გარდაიცვალა. მარტო დარჩენილს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის მოემართა, მით უმეტეს, რომ ამის გაკეთება ედმუნდმაც სთხოვა. დიახ, როგორც ჩანს, თვითონ მარტინა წერდა. თუმცა ჰაროლდი ჩამჩიჩინებდა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ წერილის დამწერი მარტინას იცნობდა და მისი პირადი ცხოვრების დეტალებიც იცოდაო. იძულებული გავხდი, ამაში დავთანხმებოდი... და მაინც...

იგი გაჩუმდა.

- არ გსურთ იმის დაჯერება, რომ გატყუებდნენ? - რბილად შეაპარა კრედოკმა. ემამ მას მადლიერებით შეხედა.

- დიახ, ძალიან არ მინდა... გამიხარდება, თუ ედმუნდს შვილი დარჩა. კრედოკმა თანაგრძნობით დაუქნია თავი.

- წერილი, როგორც ამბობთ, ნამდვილს ჰგავს. მასში სარწმუნო ფაქტებია მოყვანილი. ერთადერთი, რაც ეჭვს აჩენს, პარიზში მარტინას მოულოდნელი გამგზავრებაა და ის, რომ აღარაფერს იტყობინება. თქვენ ხომ თავაზიანად უპასუხეთ მის წერილს და მზად იყავით, სახლშიც მიგელოთ. მაშ, რატომ არაფერი მოგწერათ პარიზში ჩასვლის შემდეგ? საფუძვლიანი შეკითხვაა... თუ ეს მართლა მარტინა იყო. თუ თვითმარქვიასთან გვაქვს საქმე, ყველაფერი უფრო მარტივად აიხსნება. ერთი პირობა, გავიფიქრე, რომ თქვენ მისტერ უიმბორნს ცნობების მოძიება სთხოვეთ, რამაც ქალი დააფრთხო. მაგრამ ამტკიცებთ, მისტერ უიმბორნმა არაფერი იცოდაო... მაშინ, გამორიცხული არაა, რომ მსგავსი ნაბიჯი თქვენი ძმებისგან რომელიმემ გადადგა. შესაძლოა, ქალს ისეთი წარსული აქვს, რომელსაც საგულდაგულოდ მალავს. ალბათ იმედოვნებდა, რომ საქმე მხოლოდ ედმუნდის დასთან ექნებოდა, რომელსაც ძმა ძალიან უყვარდა, და არა გამოცდილ მამაკაცებთან, არაფერი რომ არ გამოეპარებათ... და ეგონა, რომ თქვენგან ადვილად მიიღებდა ფულს ბავშვისთვის - თუმცა, რაღა ბავშვისთვის, ბიჭი უკვე თექვსმეტი წლისაა. აღმოჩნდა, რომ სხვა რეალობასთან ჰქონდა საქმე. თანაც სერიოზული იურიდიული პრობლემებიც წამოიჭრებოდა - თუ ედმუნდ კრეკენტორპს ვაჟიშვილი კანონიერი ქორწინებიდან დარჩა, ის ბაბუათქვენის ერთ-ერთი მემკვიდრე იქნებოდა.

ემამ თავი დააქნია.

- უფრო მეტიც. როგორც ვხვდები, დროთა განმავლობაში მას რეზერვორდჰოლი და მიმდებარე მიწის ნაკვეთებიც გადაეცემოდა, რომლებსაც ამჟამად დიდი ფასი ადევს, როგორც პოტენციურ ადგილს მშენებლობების დასაწყებად.

ემას სახეზე განცვიფრება გამოეხატა.

- მართალია... ამაზე არც დავფიქრებულვარ.

- ნებისმიერ შემთხვევაში, მის კრეკენტორპ, ნერვიულობა არ ღირს, - თქვა ინსპექტორმა კრედოკმა, - კარგია, რომ ყველაფერი მიაშვეთ. ცნობებს შევკრებ, თუმცა მგონია, რომ საერთო არაფერია მოკლულსა და იმ ქალს შორის, რომელმაც წერილი მოგწერათ. შესაძლოა, ხელის მოთბობა სურდა, თქვენი რძალი კი არასდროს

ყოფილა. ემამ შვებით ამოისუნთქა.

- მოხარული ვარ, - თქვა მან და წამოდგა, - რომ მოსვლა გადავწყვიტე. თქვენგან გულწრფელი თანაგრძნობა ვიგრძენი...

კრედოკმა კარამდე მიაცილა.

ქალის წასვლის შემდეგ მან დეტექტივ-სერჟანტ უეთეროლს დაურეკა და უთხრა:

- მომისმინე, ბობ, შენთვის პატარა სამუშაო მაქვს: წადი ელვერსკრესენტის ას ოცდაექვსში, მეათე ბინაში. თან მოკლულის ფოტოსურათი წაიღე და შეეცადე, რაიმე შეიტყო ქალზე, რომელიც საკუთარ თავს მისის კრეკენტორპს - მისის მარტინა კრეკენტორპს უწოდებდა; რომელიც ან იქ ცხოვრობდა, ან წერილების წასაღებად მოდიოდა დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებიდან დეკემბრის ბოლომდე.

- გასაგებია, სერ.

ბრძანების გაცემის შემდეგ კრედოკი მაგიდაზე დახვავებულ სხვა გადაუდებელ საქმეებს მიუბრუნდა, თორმეტი საათისთვის კი თეატრალურ აგენტთან, თავის ძველ ნაცნობთან შესახვედრად გაემართა, თუმცა მისგან ღირებული არაფერი შეუტყვია.

მოგვიანებით, იმავე დღეს, ოფისში დაბრუნებულს, საწერ მაგიდაზე პარიზიდან გამოგზავნილი დეპეშა დახვდა.

„თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემები, შესაძლოა, ანა სტრავინსკას უკავშირდებოდეს, „მარიცკის ბალეტიდან“. სასურველია თქვენი ყოფნა. დესანი. პრეფექტურა“.

კრედოკმა ღრმად, შვებით ამოისუნთქა და შუბლი გახსნა.

როგორც იქნა! რაღაც კვალს მაინც მიაგნეს. მარტინა კრეკენტორპის უაზრო დევნა მაინც აღარ მოუწევდათ... გადაწყვიტა, იმავე საღამოს ბორნით პარიზში წასულიყო.

თავი მეცამეტე

- მაღლობას მოგახსენებთ თავაზიანობისა და ჩაიზე მოპატიჟებისთვის, - უთხრა მის მარპლმა ემა კრეკენტორპს.

მრავალშრიან ფუმფულა შალსა და შარფში გახვეული მის მარპლი ჭეშმარიტად სანდომიანი მოხუცებული ქალბატონის განსახიერება იყო. გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა იქ მყოფთ: საუცხოოდ შეკერილ კოსტიუმში გამოწყობილ ჰაროლდ კრეკენტორპს; ალფრედს, რომელმაც მომხიბლავი ღიმილით მიაწოდა მას სენდვიჩებიანი თეფში; და სედრიკს, გაცვეთილი ტვიდის პიჯაკით ბუხართან რომ იდგა და მოლუმული სახით ათვალთქმობდა თავისი ოჯახის წევრებს.

- ჩვენც ძალიან გვიხარია, რომ მოსვლა მოახერხეთ, - თავაზიანად მიუგო ემამ.

მის სიტყვებში მინიმუმების მსგავსიც არაფერი იგრძნობოდა იმ სცენასთან დაკავშირებით, რომელიც იმავე დღეს, ლანჩის შემდეგ გათამაშდა, როდესაც ემამ მოულოდნელად შესძახა:

- ღმერთო ჩემო, როგორ დამავიწყდა! მე ხომ ლუსი აილსბეროუს ვუთხარი, რომ სადამოს ჩაიზე მოხუცი დეიდა მოეყვანა.

-- როგორმე თავიდან მოიცილე, - ბრძანების კილოთი განაცხადა ჰაროლდმა, - ბევრ რამეზე უნდა ვიმსჯელოთ და უცხო პირები არ გვჭირდება.

- დაე, მან და ლუსიმ ერთად დალიონ ჩაი სამზარეულოში ან რომელიმე სხვა ოთახში, - თქვა ალფრედმა.

- ოჰ, არა, ასე ვერ მოვიქცევი, - გადაჭრით შეეპასუხა ემა, - ეს დიდი უტაქტობა იქნება.

- მოვიდეს, დიდი ამბავი, - თქვა სედრიკმა, - იქნებ რამე მაინც დავცინცლოთ ყველგან მყოფი ლუსის შესახებ. გამოგიტყდებით, მეტი მინდა ვიცოდე მასზე.

რატომღაც არ ვენდობი. მეტისმეტად მოხერხებულია.

- დიხ გავლენიანი ნაცნობები ჰყავს, - ჩაერთო ჰაროლდი, - არ დავიზარე და ცნობები შევკრიბე. უნდა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, თორემ ყველგან დაძრწის და იმდენი ქნა, რომ გვამსაც კი მიაგნო.

- აი, ისიც რომ ვიცოდეთ, ის წყეული ქალი ვინ არის!.. - დაამატა ალფრედმა.

- არ დაგიმალავ, ემა, - გაბრაზებული კილოთი განაგრძო ჰაროლდმა, - არ ვიცი, რა გადაგიტრიალდა თავში, როცა პოლიციელებს მიმართე და ჩააწვეთე, რომ მოკლული შესაძლოა, ედმუნდის ფრანგი მეგობარი ქალი ყოფილიყო. ახლა იფიქრებენ, რომ ის აქ ჩამოვიდა და ერთ-ერთმა ჩვენგანმა მოკლა.

- კარგი, რა, ჰაროლდ, ნუ აზვიადებ.

- ჰაროლდი მართალია, - განაცხადა ალფრედმა, - ვერ გამიგია, რა დაგემართა. ასე მგონია, ჩემს ყოველ ნაბიჯს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები აკვირდებიან.

- ვურჩიე, ეს არ გააკეთო-მეთქი, - თქვა სედრიკმა, - ქუიმპერმა კი, პირიქით, მხარი დაუჭირა.

- ის რა შუაშია? - გული მოუვიდა ჰაროლდს. - დაე, თავის აბებს, კაფსულებსა და ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს მიხედოს.

- ოჰ, გეყოფათ კამათი, - დაღლილი ხმით წარმოთქვა ემამ, - ძალიან მიხარია, რომ დღეს მის... დამავიწყდა, რა ჰქვია... გვეწვევა. უცხო ადამიანთან საუბარი ყველასთვის სასარგებლო იქნება. ერთსა და იმავეს მაინც აღარ გავიმეორებთ ათასჯერ. წავალ, მოვემზადები.

იგი ოთახიდან გავიდა.

- ეს ლუსი აილსბეროუ... - დაიწყო ჰაროლდმა და შეყოყმანდა. - სედრიკი მართალია: ჯერჯერობით არ ვიცი, ფარდულში რა უნდოდა. როგორ მოუვიდა თავში სარკოფაგის გახსნა... წარმოუდგენელია! ამას ჰერაკლე თუ შეძლებდა! იქნებ დროა, უსაფრთხოების ზომები მივიღოთ? ვფიქრობ, ლანჩის დროს იგი ჩვენდამი საკმაოდ აგრესიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა.

- ეს საქმე მე მომანდეთ, - თქვა ალფრედმა, - მალე დავადგენ, რა აქვს ჩაფიქრებული.

- ვერ გამიგია, სარკოფაგის გაღება რისთვის დასჭირდა, - ვერ ისვენებდა ჰაროლდი.

- ვინ იცის, იქნებ არც არის ლუსი აილსბეროუ? - ეჭვი გამოთქვა სედრიკმა.

- იქ რა უნდოდა? - კვლავ იკითხა ჰაროლდმა და სახე უფრო მოელუშა. - ჯანდაბა! ძმებმა ერთმანეთს შეწუხებული სახეებით გადახედეს. - ჩაიზე კი ის კუდიანი დედაბერი გვეწვევა. არადა, ბევრ რამეზე უნდა ვიმსჯელოთ.

- მოგვიანებით, საღამოს ვილაპარაკოთ, - თქვა ალფრედმა, - მთავარია, მოხუცს შეძლებისდაგვარად მეტი დავცინცლოთ ლუსის შესახებ.

ლუსიმ მის მარპლი ზუსტად დათქმულ დროს მოიყვანა. სტუმარი ბუნართან ახლოს დასვეს და ახლა იგი ალფრედს, რომელიც სენდვიჩებიან თეფშს აწვდიდა, იმ კეთილგანწყობით უღიმოდა, რომელსაც ყოველთვის იმეტებდა ლამაზი მამაკაცებისთვის.

- უღრმესი მადლობა!.. შეიძლება, გკითხოთ?.. ოჰ, კვერცხი და სარდინი!.. დიახ, ეჭვი არ მეპარება, საუცხოო იქნება. მეშინია, ჩაის დალევის დროისთვის მადაზე არ მოვიდე. მოგეხსენებათ, ასაკი თავისას შვრება. გვიან - მხოლოდ მსუბუქი ვახშამი... იძულებული ვარ, სიფრთხილე გამოვიჩინო, - ის კვლავ დიასახლისს მიუბრუნდა. - ძალიან ლამაზი სახლი გაქვთ, უამრავი საუცხოო ნივთი. თუნდაც ეს ბრინჯაოს ფიგურები. მათ დანახვაზე ისინი გამახსენდა, რომლებიც ოდესდაც მამაჩემმა იყიდა - პარიზში მოწყობილ გამოფენაზე. ბაბუათქვენმაც იქ შეიძინა? მართლა? ნამდვილი კლასიკური სტილია, არა? ძალიან კარგია! როგორ გაგიმართლათ, მის კრეკენტორპ, რომ ყველა ძმა თქვენ გვერდითაა. ხშირად ბედი ოჯახის წევრებს მთელ ქვეყანაში მიმოფანტავს. ზოგს ინდოეთში, - თუმცა ეს, ვფიქრობ, უკვე წარსულს ჩაჰბარდა, - ზოგს აფრიკაში... იქაურ დასავლეთ სანაპიროზე საზიზღარი ჰავაა.

- ჩემი ორი ძმა ლონდონში ცხოვრობს.

- რა ბედნიერებაა!

- სედრიკი კი იბიცაზეა, ბალეარის ერთ-ერთ კუნძულზე. მხატვარია.

- მხატვრებს კუნძულები ყოველთვის იზიდავდა, არ მეთანხმებით? - თქვა მის მარპლმა. - შოპენი... მალიორკაზე ცხოვრობდა, ასე არ არის? არა, მგონი, რაღაც ამერია. ის მუსიკოსი იყო. ცხადია, გოგენს ვგულისხმობდი... არ გაუმართლა. ტყუილუბრალოდ დაიღუპა თავი. არასდროს მომწონდა მის მიერ დახატული

აბორიგენი ქალები... ვიცი, რომ ისინი ყველას ალაფროთოვანებს... მაგრამ ეს ბაცი მდოგვისფერი სულ არ მომწონს, ნერვებს მიშლის კიდევ.

მან ოდნავ უკმაყოფილოდ შეხედა სედრიკს.

- თუ შეიძლება, ლუსის შესახებ მოგვიყევით, მის მარპლ, - სთხოვა სედრიკმა, - როგორი იყო ბავშვობაში?

- ლუსი მაშინაც გონიერებით გამოირჩეოდა, - სახე გაუნათდა მის მარპლს, - დიახ, ჩემო კარგო, და ნუ მაწყვეტინებ. განსაკუთრებით არითმეტიკაში გამოირჩეოდა. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: მეყასბემ ჩემი მოტყუება განიზრახა, როდესაც

როსტბიფისთვის ფილეს ვყიდულობდი...

მის მარპლი ლუსის ბავშვობის მოგონებებში გადაეშვა, შემდეგ კი შეუმჩნევლად გადაერთო სოფელში საკუთარი ცხოვრების სასაცილო ეპიზოდებზე.

მოგონებათა ნაკადი ბრაიანისა და სამხილების ენერგიულად ძებნისას გალუმპული და დასვრილი ბიყების გამოჩენამ შეწყვიტა. ჩაი შემოიტანეს თუ არა, დოქტორი ქუიმპერიც შემოვიდა. იგი მის მარპლს წარუდგინეს. ახალმოსულმა შემფოთებით მიიხედ-მოიხედა და გაოცებით წარბები აზიდა.

- ემა, ვიმედოვნებ, მამათქვენი შეუძლოდ არ გამხდარა? - არა, არა... უბრალოდ, ცოტა დაიღალა.

- ვფიქრობ, სტუმრებს ემალება, - ეშმაკურად გაელიმა მის მარპლს, - ზოგჯერ მამაჩემიც ასე იქცეოდა... „ისევ შეყარე დედაბრები? - ეკითხებოდა დედას, - უთხარი, ჩაი კაბინეტში მომიტანონ!“ ამ საკითხის მიმართ სიჯიუტეს იჩენდა.

-- ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამას... - დაიწყო ემამ, მაგრამ სედრიკმა გააწყვეტინა:

- როდესაც მისი ძვირფასი ვაჟიშვილები ჩამოდიან, ჩაის ყოველთვის კაბინეტში სვამს. ამის ახსნა რთული არ უნდა იყოს, ხომ ასეა? აქ მთავარი - ფსიქოლოგიაა, არა?

ამასობაში დოქტორი ქუიმპერი სენდვიჩებსა და ყავის ნამცხვარს მუსრს ავლებდა და კმაყოფილებას არც მალავდა, იმ ადამიანივით, რომელსაც ნორმალური ჭამისთვის დრო არ ჰყოფნის.

- ფსიქოლოგია სასარგებლო რამ არის, - თქვა მან, - ოღონდ, ფსიქოლოგების ხელში. უბედურება ისაა, რომ ჩვენს დროში ყველა მოყვარულს თავი ნამდვილი ფსიქოლოგი ჰგონია. ჯერ პირი დაღებული არა მაქვს, ჩემი პაციენტები კი თავდაჯერებული სახით მატყობინებენ თავიანთი კომპლექსებისა თუ ნევროზის შესახებ, და ჩემ მიერ დიაგნოზის დასმას არც ელოდებიან. გმადლობთ, ემა, - დაამატა დოქტორმა, - ერთ ფინჯანს კიდევ დავლევ. დღეს წახემსებაც კი ვერ მოვასწარი.

- ექიმის ცხოვრება კეთილშობილებისა და თავგანწირვის ნიმუშია, - პათოსით წარმოთქვა მის მარპლმა, - ამის გამეორებით არასდროს დავიღლები.

- კარგად არ გცნობიათ ექიმები, - მიუგო ქუიმპერმა, - ჩვეულებრივ, მათ წურბელებს უწოდებენ, და ეს ხშირად სრული სიმართლეა. მართალია, ახლა

რალაც მაინც შეიცვალა უკეთესობისკენ. ჩვენ სახელმწიფო გვიხდის და აღარ არის საჭირო

ანგარიშის გაგზავნა, როდესაც წინასწარ იცი, რომ ჰონორარს მაინც ვერ ეღირსები. სამაგიეროდ, ყველა ცდილობს, სახელმწიფოს მეტი მუქთა ფული წაჰკლიჯოს. აი, შედეგიც: თუ პატარა ჯენი ერთი-ორჯერ წამოახველებს, პატარა ტომიმ კი მკვახე ვაშლი შეყამა, საბრალო ექიმი ვალდებულია, შუალამითაც კი მივიდეს მათთან გამოძახების შემთხვევაში. ოჰ, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი! საუცხოო კექსია, ემა, შესანიშნავად აცხობთ.

- ის მე კი არა, მის აილსბეროუმ მოამზადა. - არც თქვენ გამოგდით ნაკლები, - ახლო მეგობრის კილოთი მიუგო ქუიმპერმა. - მამა არ გასინჯავს?

ემა წამოდგა და კარისკენ გაემართა, ექიმი უკან გაჰყვა. მის მარპლმა მათ თვალი გააყოლა.

- მის კრეკენტორპი, როგორც ჩანს, ძალზე გულისხმიერი ქალია, - თქვა მან, როდესაც ორივენი გავიდნენ.

- ვერ გამიგია, როგორ უძლებს მოხუცს, - ჩვეული გულახდილობით წარმოთქვა სედრიკმა.

- მამა მას ძალიან მიეჩვია, - ნაჩქარევად დაამატა ჰაროლდმა, - თანაც, შესანიშნავი სახლია, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე.

- ემა კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, - თქვა სედრიკმა, - ბედმა დაანათლა, რომ შინაბერად დარჩეს.

- ასე გგონიათ? - მის მარპლის თვალებში მხიარულმა ნაპერწკალმა გაიელვა.

- ჩემს ძმას არავის წყენინება არ უნდოდა, მის მარპლ, - სცადა ვითარების გამოსწორება ჰაროლდმა.

- არც მწყენია. უბრალოდ, მისი ვარაუდის მართებულობამ დამაყვავა. ვფიქრობ, მის კრეკენტორპი კიდევ მოასწრებს საკუთარი ცხოვრების მოწყობას. იმ ტიპის ქალებს მიეკუთვნება, რომლებიც გათხოვებას არ ჩქარობენ... სამაგიეროდ, ასეთების ქორწინება, როგორც წესი, ამართლებს.

- მერედა, ვის მიაგნებს ამ დასაკარგავში?! - წამოიძახა სედრიკმა. - აქ არავინაა, ვისაც ცოლად შეიძლება გაჰყვეს.

მის მარპლს კვლავ ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

- ყოველთვის არიან მღვდლები... და ექიმები.

მის მარპლმა თანამოსაუბრეებს შემწყნარებლური მზერა მოავლო. აშკარად ჩანდა, რომ მსგავსი აზრი ჯერ არავის მოსვლოდა თავში და მოვლენათა განვითარების ასეთ პერსპექტივას ისინი ნამდვილად არ აღუფრთოვანებია.

მის მარპლი სავარძლიდან წამოდგა. ამ პროცესის დროს მას ხან შალი უვარდებოდა, ხან შარფი, ხანაც - ხელჩანთა.

ძმები მის მისახმარებლად წამოიშალნენ.

- რა თავაზიანები ხართ! - შეცბუნებული სახით წარმოთქვა მის მარპლმა. - ოჰ, დიახ, ჩემი ცისფერი შარფი. დიახ... იმას ვამბობდი... ძალიან გემადლიერებით, აქ რომ დამპატიყეთ. რამდენჯერ ვცადე გონებაში თქვენი სახლის წარმოდგენა, მინდოდა გამეგო, რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ჩემს ლუსის.

- ჩვენთან იდეალური პირობებია - ამას წინათ მკვლელობაც კი მოხდა, - თქვა სედრიკმა.

- სედრიკ! - ჰაროლდის ხმაში მრისხანებამ გაიჟღერა.

- იცით, ვის მაგონებთ?.. - ღიმილით მიმართა მის მარპლმა სედრიკს. - ახალგაზრდა თომას იდს, ჩვენი ბანკის მმართველის ვაჟს. მას ძალიან უყვარდა ხალხის შოკში ჩაგდება. მაგრამ საბანკო წრეებში ასეთ ხუმარებს არ სწყალობენ, ამიტომ ვესტინდოეთში გაემგზავრა... შინ მამამისის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა და საკმაოდ დიდი თანხაც მიიღო მემკვიდრეობით. აი, ამაში კი გაუმართლა. მას ყოველთვის ფულის ხარჯვა უფრო უყვარდა, ვიდრე მისი გამომუშავება.

ლუსიმ მის მარპლი შინ მანქანით წაიყვანა. აქეთობას, უკანა ხეივნის მოსახვევთან, დაინახა, რომ სიბნელიდან ვიღაც მამაკაცი გამოვიდა და შუაგზაზე, მისი მანქანის ფარების შუქზე დადგა. როდესაც ხელი ასწია, ლუსიმ მასში აღფრედ კრეკენტორპი იცნო.

- ასე ჯობია, - თქვა მან მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ, - უუჰ, როგორ ცივა! ვიფიქრე, ცოტას გავივლი, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ-მეთქი, მაგრამ რატომდაც სურვილი გამიქრა. მოხუცი შინ წაიყვანეთ?

- დიახ. ძალიან კი ისიამოვნა.

- ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა. მოხუცებულ ქალებს საზოგადოებაში ყოფნა უყვართ, თუნდაც ის მოსაწყენი იყოს. სასაცილოა. რეზერფორდჰოლზე მოსაწყენი ადგილი ამქვეყნად არსად მეგულება. ორ დღეზე დიდხანს ვერ ვძლებ ხოლმე. როგორ არ გბეზრდებათ აქ ცხოვრება, ლუსი? წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ლუსის თუ დაგიძახებთ?

- არა. სხვათა შორის, აქ სულაც არა ვარ მოწყენილი. თუმცა, ისიცაა, რომ ცოტა ხნით ვაპირებ დარჩენას.

- დღეს დიდხანს გაკვირდებოდით. საზრიანი ქალი ხართ, ლუსი. ძალზე საზრიანი იმისთვის, რომ საკუთარი ძალ-ღონე საჭმელების კეთებასა და სახლის დალაგებას შეაღიოთ.

- გმადლობთ, მაგრამ კერძების მომზადება და სახლის დალაგება მირჩევნია მთელი დღის განმავლობაში ოფისში ჯდომას.

- ეს არც მე მიყვარს. მაგრამ ფულის გამოსამუშავებლად სხვა გზებიც არსებობს. შეგიძლიათ, დამოუკიდებელი იყოთ.

- მე ახლაც დამოუკიდებელი ვარ.

- სხვა რამ ვიგულისხმე - გონებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენება. როდესაც საკუთარი თავისთვის მუშაობ, სრულად უნდა დაიხარჯო მათ დასაძლევად.

- რის დასაძლევად?

- ათასგვარი დაბრკოლების, თუნდაც ხელისუფლების სულელური დადგენილებების, გასაქანს რომ არ გვაძლევს. საინტერესოა, რომ ყოველთვის

შეიძლება მათთვის გვერდის ავლა... თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი სულელი არაა. თქვენ კი ჭკვიანი ხართ. აბა, რას იტყვით, ჭკუაში გიჯდებათ?

- უნდა დავფიქრდე.

ლუსიმ მანქანა ძველი საჯინბოების ეზოში შეიყვანა. - წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმის გეშინიათ?

- ჯერ მეტი უნდა შევიტყო.

- გულწრფელად გეტყვით, ჩემო კარგო, რომ ძალიან გამომადგებოდით. თქვენ იშვიათი ნიჭი გაქვთ - ადამიანებში ნდობას აღძრავთ.

- გინდათ, ოქროს აგურების გაყიდვაში დაგეხმაროთ?

- სარისკო არაფერია. მხოლოდ ოდნავ უნდა ავუაროთ კანონს გვერდი - მეტი არაფერი, - ალფრედმა თავისი ხელი ქალისას გადაუსვა. - საოცრად მომხიბვლელი ხართ, ლუსი. ნეტავ თქვენნაირი პარტნიორი მყავდეს!

- გკმადლობთ შექებისთვის.

- იმას გულისხმობთ, რომ არაფერი გამოვა? დაფიქრდით. წარმოიდგინეთ, რამხელა სიამოვნებაა, როდესაც ამდენ გონიერ ადამიანს გააცუცურაკებ. მხოლოდ ერთი პრობლემაა - კაპიტალია საჭირო.

- მეის არ მაქვს.

- ამის იმედი არც მქონია! კაპიტალი მალე თვითონაც მექნება. მუდმივად ხომ არ იცოცხლებს ჩემი პატივცემული მამიკო. ეგ პირუტყვი, ეგა! როდესაც იმ ქვეყნად გაემგზავრება, ხელში ნაღდი ფული ჩამივარდება. რას იტყვით, ლუსი?

- მაინც რას მთავაზობთ?

- შეუღლებას, თუ გნებავთ. ჩვეულებრივ, ქალები ამის წინააღმდეგნი არ არიან, ყველაზე დამოუკიდებლებიც კი... გარდა ამისა, ცოლი ქმრის წინააღმდეგ ჩვენებას ვერ მისცემს.

- აი, თურმე რა ყოფილა!

- გეყოფათ, ლუსი. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ გულში ჩამივარდით?

მისდა გასაოცრად, ლუსიმ ამ კაცის უცნაური მიმზიდველობის ძალა იგრძნო. ალფრედი თავისებური, თითქოს უდიდესი ცხოველური მაგნეტიზმით გამოირჩეოდა. ქალმა სიცილით მოიშორა მისი ხელი.

- ახლა ფლირტის დრო არ არის. სადილის შესახებ უნდა ვიფიქრო.

- რაც შეეხება სადილს: ლუსი, საუცხოოდ ამზადებთ. დღეს რა იქნება სადილად?

- მოითმინეთ და შეიტყობთ! ბიჭებივით ცუდად იქცევით!

ისინი სახლში შევიდნენ. ლუსი აჩქარებით გაემართა სამზარეულოსკენ. ცოტა ხანში მოულოდნელად, იქ ჰაროლდი გაჩნდა.

- მის აილსბეროუ, შეიძლება თქვენთან დალაპარაკება? - მოგვიანებით, მისტერ კრეკენტორპ, კარგი? ახლა ძალიან დაკავებული ვარ. - რასაკვირველია, რასაკვირველია. სადილის შემდეგ?

- დიახ, ასე იყოს.

სადილი ყველამ ღირსეულად შეაფასა. ლუსიმ ჭურჭლის რეცხვა დაასრულა და ჰოლში გავიდა, სადაც მას უკვე ელოდებოდა ჰაროლდ კრეკენტორპი.

- დიახ, მისტერ კრეკენტორპ?

- იქნებ აქ შევსულიყავით? - მან სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და ლუსისთან ერთად შიგნით შესვლის შემდეგ მჭიდროდ მიხურა.

- ხვალ დილით მივემგზავრები. გამთენიისას, - თქვა მან, - დამშვიდობებამდე მინდა გითხრათ, რომ განცვიფრებული ვარ თქვენი უნიკალური შესაძლებლობებით.

- გმადლობთ, - მიუგო ცოტა არ იყოს გაოცებულმა ლუსიმ.

- ვფიქრობ, თქვენი მრავალმხრივი ნიყჭყი აქ ტყუილუბრალოდ იკარგება - დიახ, ტყუილუბრალოდ!

- მართლა? ჩემი აზრით, არა.

„ყოველ შემთხვევაში, ეს დაქორწინებას მაინც არ შემომთავაზებს, - გაიფიქრა ლუსიმ, - ვინაიდან ცოლი უკვე ჰყავს“.

- თქვენთვის წინადადება მაქვს. როდესაც ეს სამწუხარო ამბავი დასრულდება, კარგი იქნება, თუ ლონდონში, ჩემს ოფისში მობრძანდებით. ოღონდ წინასწარ დამირეკეთ და შეხვედრის დრო დამითქვით. მდივანს შესაბამის მითითებას მივცემ. პირდაპირ გეტყვით: მინდა, რომ ჩემს ფირმაში თქვენნაირი ენერგიული თანამშრომელი მუშაობდეს. ერთად ვიმსჯელოთ, რა უფრო შეეფერება თქვენს გემოვნებას და რომელ სფეროში გირჩევნიათ თქვენი ნიჭის გამოვლენა. კარგ, ძალიან კარგ ჯამაგირსა და ბრწყინვალე მომავალს გპირდებით. ვფიქრობ, სასიამოვნოდ გაოცდებით.

მან დიდსულოვნად გაიღიმა.

- გმადლობთ, მისტერ კრეკენტორკ, - მორიდებულად მიუგო ლუსიმ, - დავფიქრდები.

- ოღონდ მეტისმეტად ნუ გადადებთ. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ცხოვრებაში ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად იღვწის, ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ჰაროლდმა გაიღიმა და მისმა კბილებმა კვლავ გამოანათა.

- ღამე მშვიდობისა, მის აილსბეროუ, ტკბილ ძილს გისურვებთ.

„ღმერთო ჩემო, ვერ გამიგია, რა ხდება, - გაიფიქრა ლუსიმ, - ყველაფერი ძალზე

საინტერესოდ ვითარდება...“ როდესაც კიბით თავისი საძინებლისკენ მიემართებოდა, სედრიკს შეეჩეხა. - მომისმინეთ, ლუსი, რაღაც უნდა გითხრათ.

- თქვენ გინდათ, რომ ცოლად გამოგყვეთ და იბიცაზე გავემგზავრო, სადაც გულმოწყალებას გამოიჩინთ და თქვენი მოვლის უფლებას მომცემთ?

სედრიკი გაოცდა, ოდნავ შეშფოთდა კიდევ.

- მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მომსვლია.

- მაპატიეთ. როგორც ჩანს, შევცდი.

- მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, ამ სახლში განრიგი თუ არის?

- სულ ეს არის? მაგიდაზე დევს, ჰოლში.

- რაღაცას გეტყვით და არ გეწყინოთ, - თქვა სედრიკმა საყვედურის კილოთი, - ნუ გგონიათ, რომ ნებისმიერი მამაკაცი თქვენთან შეუღლებაზე ოცნებობს. საკმაოდ სიმპათიური ქალიშვილი ბრძანდებით, მაგრამ არც იმდენად ლამაზი, რომ ყველა დაჩრდილოთ. რაც თქვენ გემართებათ, ერთ რამეს მოწმობს: საკუთარი თავი დაარწმუნეთ, რომ ასეა, მაგრამ ცდებით. პირდაპირ გეტყვით - უკანასკნელ ადგილზე ხართ იმ ქალიშვილებს შორის, ვის ცოლად მოყვანასაც ვისურვებდი.

- მართლა? - ჰკითხა ლუსიმ. - გასაგებია, ნულარ გააგრძელებთ. მაშასადამე, გირჩევნიათ, დედინაცვლის როლში მიხილოთ?

- რა თქვით? - მოულოდნელობისგან სედრიკი ლამის გაშტერდა.

- რაც გაიგონეთ, - თქვა ლუსიმ, თავის ოთახში შევიდა და კარი მიხურა.

თავი მეთოთხმეტე

დერმოტ კრედოკი არმან დესანთან მეგობრობდა, რომელიც პარიზის პრეფექტურაში მუშაობდა. მათ ერთი-ორჯერ მოუწიათ რაღაც საქმეზე ერთად მუშაობამ და კარგად უგებდნენ ერთმანეთს. ვინაიდან კრედოკი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად, ისინი უმეტესად ამ ენაზე საუბრობდნენ.

- ეს მხოლოდ ვარაუდია, - გააფრთხილა დესანმა, - კორდებალეტის მოცეკვავეთა ფოტოსურათი მაქვს. აი, ისიც: მარცხნიდან მეოთხეა. აბა, რას იტყვი?

ინსპექტორი კრედოკი გამოტყდა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა. ჯგუფურ სურათზე გაგუდული ქალის ამოცნობა რთული იყო, თანაც, ყველა მოცეკვავეს სახეზე გრიმი ჰქონდა წასმული, თავზე კი რომელიღაც ფრინველის ექსტრავაგანტური ფრთები დაემაგრებინა.

- შესაძლოა, - თქვა მან, - მაგრამ დანამდვილებით თქმა ძნელია. ვინ იყო ის? რა იცით მის შესახებ?

- თითქმის არაფერი, - მკვირცხლად მიუგო ფრანგმა, - თვითონაც ხედავთ, ბევრს არაფერს წარმოადგენდა, ისევე, როგორც „მარიცკის ბალეტი“. სპექტაკლებს საგარეუბნო თეატრებში დგამდნენ, გასტროლებზე დადიოდნენ. არაფრით გამოირჩეოდნენ, არც ვარსკვლავებით, არც ცნობილი ბალერინებით. აჯობებს, მადამ ჟოლიე გაგაცნოთ, ჯგუფის ხელმძღვანელი.

მადამ ჟოლიე საკმაოდ ცქვიტი, საქმიანი ქალი აღმოჩნდა, გამჭოლი მზერა და პატარა უღვაში ჰქონდა, გვერდებზე ცხიმი ნაკეცებად ედო.

- ოჰ, როგორ არ მიყვარს პოლიცია! - წამოიძახა გულმოსულმა და უკმაყოფილების დაფარვა არც უცდია. - ისინი ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში მაგდებენ.

- არა, არა, მადამ, ასე ნუ ამბობთ, - მიუგო დესანმა, მაღალმა, მელანქოლიური სახის მქონე მამაკაცმა, - როდის ჩამიყენებიხართ რთულ მდგომარეობაში?

- თუნდაც მაშინ, იმ სულელმა გოგომ კარბოლმჟავა რომ დალია, - დაუფიქრებლად მიახალა მადამ ჟოლიემ, - ვინაიდან ორკესტრის ხელმძღვანელი შეუყვარდა, ის კი ქალებს ყურადღებას არ აქცევდა. სხვა გატაცება ჰქონდა. მახსოვს, რა საშინელი აურზაური ატეხეთ! რაც სულაც არ იყო ხელსაყრელი ჩემი შესანიშნავი ბალეტისთვის.

- პირიქით, იმ შემთხვევის შემდეგ სალაროში შემოსავალი გაგეზარდათ, - არ დაუთმო დესანმა, - თანაც ეს სამი წლის წინ მოხდა. ჩემზე გულში ბრაზს ნუ ჩაიდებთ. ახლა კი ამ გოგოზე, ანა სტრავინსკაზე გადავიდეთ.

- მას რაღა დაემართა? - ფრთხილად იკითხა მადამ ჟოლიემ. - ის რუსია? - იკითხა ინსპექტორმა კრედოკმა.

- არა, რას ამბობთ?! ასე, ალბათ, სახელის გამო ფიქრობთ, არა? უნდა გითხრათ, რომ ამ გოგოებს ძალიან უყვართ მსგავსი სახელების შერქმევა. ის არაფრით გამოირჩეოდა, არც სილამაზით, საშუალოდ ცეკვავდა. LII8 6L8IL 85507 bI8ი, C"085(LCLIL. (Elle etait assez bien, c'est LCLIL (ფრ.) - საკმაოდ კარგი, მეტი არაფერი.) კორდებალეტისთვის გამოდგებოდა, მაგრამ სოლისტი ვერასდროს გახდებოდა.

- ფრანგი იყო?

- ალბათ. ფრანგული პასპორტი ჰქონდა. თუმცა, ერთხელ მითხრა, რომ ქმარი ინგლისელი ჰყავდა.

- გითხრათ, რომ ქმარი ინგლისელი ჰყავდა? ცოცხალი თუ გარდაცვლილი? მაღამ ჟოლიემ მხრები აიჩეჩა.

- არ ვიცი, მოკვდა თუ ცოლი მიატოვა. საიდან უნდა ვიცოდე?! რას გაუგებ ამ გოგოებს! მუდამ ხათაბალაში ეხვევიან კაცების გამო.

- უკანასკნელად როდის ნახეთ?

- ექვსი კვირით ლონდონში გავემგზავრეთ. გამოვდიოდით ტორკში, ბორნმუთში, ისტბორნში და მგონი, ჰამერსმიტში! ჰამერსმიტი - რაიონი ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში.). კარგად არ მახსოვს. მერე საფრანგეთში დავბრუნდით, მაგრამ ანა... გამოსამშვიდობებლადაც კი არ მოვიდა. მხოლოდ ბარათი გამოგზავნა, რომელშიც მომწერა, რომ ჩვენგან მიდიოდა და ამიერიდან ქმრის ოჯახთან ერთად იცხოვრებდა... ერთი სიტყვით, რაღაც აბდაუბდა... ცხადია, არ დავიჯერე. ალბათ ვიღაც კაცს შეხვდა. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ?მ?

ინსპექტორმა კრედოკმა თავი დაუკრა. მიხვდა, რომ, მაღამ ჟოლის აზრით, სხვა მიზეზი უბრალოდ ვერ იარსებებდა.

- დიდი არაფერი დანაკარგია. ჩემთვის სულერთია. მისნაირს ათასს ვიშოვი, უკეთესსაც კი, რომლებიც მოვლენ და სიამოვნებით იცეკვებენ. ასე რომ, წერილი წავიკითხე, მხრები ავიჩეჩე და ის ქარაფშუტა თავიდან ამოვიგდე. ყველა გოგო ერთნაირია, კაცებზე ჰკუას კარგავენ.

- ეს როდის მოხდა?

- როდის დავბრუნდით საფრანგეთში?.. ეს იყო... დიახ... შობის წინა კვირას. ანამ ჩვენს გამომგზავრებამდე ორი-სამი დღით ადრე მიგვატოვა. უფრო ზუსტად ვერ ვიხსენებ. ყოველ შემთხვევაში, ჰამერსმიტში უმისოდ გამოვედით. ზოგიერთი რამ გადავანაცვლეთ, დამატებითი რეპეტიციები ჩავატარეთ... ძალიან ცუდად მოიქცა. მაგრამ ასეთები არიან ეს გოგოები - გადაეყრებიან კაცებს და მაშინვე ყველაფერი ავიწყდებათ. მე ყველა გავაფრთხილე: თუ უკან დაბრუნებას მოინდომებს, აღარ ავიყვან-მეთქი.

- მისმა წასვლამ გაგალიზიანათ?

- არა, რას ამბობთ! დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაც კავალერი გაიჩინა და მასთან ერთად შობის დღესასწაულის გატარება გადაწყვიტა. რა ჩემი საქმეა?! მის ადგილას სხვას ავიყვან. ყველა სიამოვნებით იცეკვებს „მარიცკის ბალეტში“ და ეს, შესაძლოა, ანაზე უკეთესადაც მოახერხოს.

მაღამ ჟოლიე გაჩუმდა, შემდეგ კი ცნობისმოყვარეობით იკითხა:

- რატომ გსურთ მისი პოვნა? ფული ხომ არ მიიღო მემკვიდრეობით?

- არა, - თავაზიანად მიუგო ინსპექტორმა კრედოკმა, - ვფიქრობთ, რომ ის, შესაძლოა, მოკლეს.

მადამ ჟოლიეს ინდიფერენტულობა დაეტყო.

- Cმ 58 66LIL. ასეც ხდება ხოლმე. ეჰ, რა გაეწყობა! ის მორწმუნე კათოლიკე იყო. კვირაობით მესას ესწრებოდა და, ცხადია, აღსარებასაც ამბობდა.

- ოდესმე თავისი ვაჟიშვილის შესახებ ხომ არაფერი უთქვამს, მადამ?

- ვაჟიშვილის შესახებ? იმის თქმა გსურთ, რომ შვილი ჰყავდა? ვფიქრობ, ეს ნაკლებად სავარაუდოა. ამ გოგოებიდან ყველას... ყველას აქვს მისამართი, სადაც, თუ დასჭირდათ, წასვლას შეძლებენ. მესიე დესანს ეს ჩემზე უკეთ მოეხსენება.

- შესაძლოა, ბავშვი სასცენო მოღვაწეობის დაწყებამდე გაუჩნდა, - თქვა კრედოკმა, - მაგალითად, ომის დროს.

- აჰ! ტმიფ8 |8 ძყ8I8(08ი8 Iმ 0V8M8 (ფრ.) - ომში, ომის დროს)... ეს შესაძლებელია. მაგრამ, თუ ასეა, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

- თქვენი გოგონებიდან ვინ მეგობრობდა მასთან?

- შემძლია, ორი-სამი დაგისახელოთ, თუმცა განსაკუთრებული სიახლოვე არავისთან აკავშირებდა.

მადამ ჟოლიემ მეტი არაფერი იცოდა.

როდესაც მას საპუდრე უჩვენეს, თქვა, რომ ანას ასეთი ჰქონდა, ისევე, როგორც დასის ბევრ სხვა წევრს. ბეწვის ქურქი კი, შესაძლოა, ლონდონში შეიძინა, მაგრამ მის შესახებ ვერაფერს იტყოდა.

-- თავისუფალი დრო არასდროს მაქვს, - თქვა მადამ ჟოლიემ, - რეპეტიციები, განათება, ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი პრობლემების გადაყრა. ვერც კი ვამჩნევ ხოლმე, რა აცვიათ ჩემს გოგოებს.

მადამ ჟოლიეს შემდეგ მის მიერ დასახელებულ ქალიშვილებს ესაუბრნენ. ორი მათგანი ანას საკმაოდ კარგად იცნობდა, მაგრამ თქვეს, რომ ანა ბევრს არ ლაპარაკობდა და, თუ რამეს იტყოდა, ეს ხშირად აშკარა ტყუილი იყო.

- უყვარდა ზღაპრების შეთხზვა... მისი თქმით, ერთხანს დიდი ჰერცოგის საყვარელი იყო, შემდეგ - ცნობილი ინგლისელი ფინანსისტის... ომის დროს თურმე წინააღმდეგობის მოძრაობის წევრად ირიცხებოდა. ერთხელ ისიც კი განაცხადა, რომ ჰოლივუდში კინოვარსკვლავი იყო.

- ვფიქრობ, - საუბარში მეორე ქალიშვილი ჩაერთო, - ადრე ჩვეულებრივი, მოსაწყენი ცხოვრება ჰქონდა, მას კი რომანტიკა იზიდავდა. ბალეტშიც იმიტომ მოვიდა, რომ ეს რომანტიკად მოეჩვენა, თუმცა კარგი მოცეკვავე ვერ გახდა. აბა, რომ ეთქვა, მამაჩემი ამიენში ქსოვილებით ვაჭრობსო, ეს რა რომანტიკა იქნებოდა?! ჰოდა, ათასგვარ ამბავს იგონებდა...

- ლონდონშიც კი, - განაგრძო პირველმა ქალიშვილმა, - გადაგვიკრა, რომ ვიღაც მდიდარი კაცი მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წასვლას სთავაზობდა... თურმე იმიტომ, რომ ავტოვარიაში დაღუპულ საკუთარ

ქალიშვილს ამსგავსებდა. 00II8 blague(Qelle bI80V6 (ფრ.) - რა ხუმრობაა, რა სიცრუეა.)!

- მე კი მითხრა, რომ ერთ მდიდარ ლორდთან შოტლანდიაში წასვლას აპირებდა, - თქვა მეორე ქალიშვილმა, - სადაც ირმებზე უნდა ენადირათ.

საკმაოდ საინტერესო, თუმცა არაფრისმომცემი ინფორმაცია იყო. მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: ანა სტრავინსკას ტყუილის თქმა უყვარდა. ცხადია, არც შოტლანდიელ ლორდთან ერთად ნადირობდა ირმებზე და არც მსოფლიოს გარშემო მცურავ საოკეანო ლაინერზე ეფიცებოდა მზეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ მოკლეს და რეზერვორდჰოლის სარკოფაგში გადამალეს. ფოტოსურათის მიხედვით კი გოგონები, მაღამ ჟოლიეს მსგავსად, კონკრეტულს

ვერაფერს ამბობდნენ. დიახ, თითქოს ჰგავდა კიდევ, მაგრამ სახე ისე საშინლად გასივებოდა, რომ ნებისმიერს მიაღმსგავსებდნენ!

მხოლოდ ერთადერთი ფაქტი დადგინდა: 19 დეკემბერს ანა სტრავინსკამ გადაწყვიტა, საფრანგეთში არ დაბრუნებულიყო, ერთი დღის შემდეგ კი, 20 დეკემბერს, ქალი, რომელიც მას ჰგავდა, 16:33-ზე მიმავალი მატარებლით ბრეკჰემპტონში გაემგზავრა, სადაც ვიღაცამ დაახრჩო.

თუ სარკოფაგში ანა სტრავინსკა არ იწვა, სად იყო ახლა იგი?

ამ კითხვაზე მაღამ ჟოლიეს მარტივი პასუხი ჰქონდა გამზადებული: - რომელიღაც მამაკაცთან ერთად!

„ალბათ მართალია“, - უხალისოდ გაიფიქრა კრედოკმა.

ანგარიში უნდა გაეწიათ ანას მტკიცებისთვის, რომ მას ინგლისელი ქმარი ჰყავდა. იყო თუ არა ის ედმუნდ კრეკენტორპი? მეგობარი გოგონების მიერ დახატული სურათის მიხედვით, ალბათ, არა. არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ იგი მარტინას კარგად იცნობდა და მისგან მიიღო საჭირო ინფორმაცია. შესაძლოა, სწორედ მან მისწერა ემა კრეკენტორპს, შემდეგ კი, როცა მიხვდა, რომ ყველაფერი დაწვრილებით უნდა აეხსნა, დაფრთხა და უკან დაიხია. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამიტომაც მიატოვა „მარიცკის ბალეტის“ დასი. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სად იყო ამჟამად ანა?

ზედაპირზე კვლავ მაღამ ჟოლიეს საკმაოდ დამაჯერებელი პასუხი ჩნდებოდა.

- ვიღაც მამაკაცთან...

სანამ პარიზიდან გაემგზავრებოდა, კრედოკმა დესანთან მარტინას თაობაზე იმსჯელა. დესანი თითქმის ეთანხმებოდა თავის ინგლისელ კოლეგას, რომ მას, სავარაუდოდ, არაფერი ჰქონდა საერთო სარკოფაგში ნაპოვნ ქალთან. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი აზრით, ამ ვერსიას საგულდაგულო დამუშავება ესაჭიროებოდა. იგი დაჰპირდა კრედოკს, რომ 5(5LI8LI6 (ფრ.) - საფრანგეთის სამძებრო პოლიციის ტრადიციული სახელწოდება.) ყველაფერს იდღონებდა იმის გასარკვევად, შემორჩა თუ არა სადმე, საუთშირის მეოთხე პოლკის

ლეიტენანტ ედმუნდ კრეკენტორპისა და ფრანგი ქალის, სახელად მარტინას, ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი. სავარაუდო თარიღი დუნკერკის დაცემის წინა

პერიოდი იყო.

მაგრამ დესანმა კრედოკი გააფრთხილა, რომ წარმატების იმედი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, საფრანგეთის ის რაიონი, რომელზეც საუბრობდნენ, მაშინვე გერმანელებმა დაიკავეს; მეორეც - იგი მნიშვნელოვნად დააზიანა საბრძოლო მოქმედებებმა. მრავალი შენობა და, შესაბამისად, იქ მოთავსებული დოკუმენტაცია პირწმინდად განადგურდა.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო კოლეგა, რომ ცდას არ დავაკლებთ.

დესანი და კრედოკი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

უკან დაბრუნებულ კრედოკს უკვე ელოდა სერჟანტი უეთეროლი.

- თქვენ მიერ მოცემულ მისამართზე, - პირქუში ზეიმურობით თქვა მან, - ელვერსკრესენტის 126-ში მდებარე მეათე ბინას მხოლოდ წერილების მისაღებად იყენებდნენ, სერ. საერთოდ, რესპექტაბელური სახლია.

- ვინმემ ხომ არ ამოიღო ქალი ფოტოსურათით?

- ქალი, რომელიც წერილებს აკითხავდა? ვფიქრობ, ეს ამაო მცდელობა იყო - იქ უამრავი ადამიანი ტრიალებს, ვინაიდან ეს სტუდენტთა პანსიონია.

- იქნებ სხვა სახელით წარდგა?

- მაგრამ ფოტოსურათით ვერავინ ამოიღო, - თქვა სერჟანტმა და დაამატა: - მერე ყველა სასტუმრო დავიარეთ. სარეგისტრაციო წიგნებში მარტინა კრეკენტორპი არსად ფიგურირებს. პარიზიდან თქვენი სატელეფონო ზარის შემდეგ ანა სტრავინსკაზე გადავერთეთ. ასეთი მართლა აღმოჩნდა - სხვა მოცეკვავეებთან უცხოვრია ბრუქგრინის სიახლოვეს მდებარე იაფფასიან სასტუმროში. იქ ძირითადად, მსახიობები ჩერდებიან. იქაურობა 19 დეკემბერს, პარასკევს, სპექტაკლის შემდეგ, გვიან საღამოს დაუტოვებიათ. სხვა ჩანაწერი არ არსებობს.

კრედოკმა თავი დაუქნია და სხვა მიმართულებებითაც ურჩია ძებნის გაგრძელება, თუმცა წარმატების იმედი თითქმის არ ჰქონდა.

ცოტა რომ დაფიქრდა, საადვოკატო ფირმაში - „უიმბორნი, ჰენდერსონი და კარსტერსი“, დარეკა და მისტერ უიმბორნთან შეხვედრა მოითხოვა.

კრედოკი დათქმულ დროს გამოცხადდა. იგი დახუთულ ოთახში შეიყვანეს, სადაც მოზრდილ ძველებურ, დამტვერილი ქალაქების დასტებით დაფარულ მაგიდასთან მისტერ უიმბორნი იჯდა. კედლების გასწვრივ ყუთები ეწყო, რომლებზეც აკურატულად მიემაგრებინათ იარლიყები: „სერ ჯონ ფოულდსი, გარდაცვლ.“, „ლედი დერანი“, „ჯორჯ როუბოტომი, ესკვაირი“ -

და მისთანები. ინსპექტორმა არ იცოდა, ეს წარსულის რელიკვიები იყო თუ მიმდინარე იურიდიულ საქმეებს უკავშირდებოდა.

მისტერ უიმბორნმა მოსულს ფრთხილი თავაზიანობით შეხედა, რაც პოლიციელებთან ურთიერთობისას საოჯახო ადვოკატებისთვის ესოდენ დამახასიათებელია.

- რით შემიძლია თქვენი დახმარება, ინსპექტორო?

- წერილთან დაკავშირებით გეახელით, - მიუგო კრედოკმა და მარტინას ბარათი მაგიდაზე დაუდო. მისტერ უიმბორნი თითოთ, უკმაყოფილო სახით შეეხო მას, მაგრამ ხელში არ აუღია. ლოყები ოდნავ შეეფაკლა, ტუჩები მოკუმდა.

- დიახ, დიახ, - თქვა მან, - მართალს ბრძანებთ, გუშინ დილით წერილი მივიღე მის ემა კრეკენტორპისგან, რომელშიც სკოტლენდიარდში თავისი ვიზიტისა და... ასე ვთქვათ, სხვა დეტალების შესახებ მიაძმო. გამოგიტყდებით, ვერ გამიგია... მიკვირს... რატომ მაშინვე არ შემატყობინეს ამ წერილის შესახებ. ძალზე უცნაურია! არადა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ...

ინსპექტორმა კრედოკმა რამდენიმე ბანალური ფრაზა წარმოთქვა მისტერ უიმბორნის დასამშვიდებლად და გუნების გამოსასწორებლად.

- აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი ედმუნდის ქორწინებასთან დაკავშირებით, - თქვა მისტერ უიმბორნმა შეურაცხყოფილი კაცის კილოთი.

ინსპექტორმა კრედოკმა შენიშნა, რომ მაშინ გაგანია ომი იყო და დეტალებს აღარ ჩაღრმავებია.

- ომი! - გაღიზიანებით ჩაიბურტყუნა მისტერ უიმბორნმა. - თუმცა... მართლა... ომის დასაწყისში ლინკოლნინფილდის შენობაში ვიყავით. მეზობლად მდგარი სახლი, რომელშიც მრავალ დოკუმენტს ვინახავდით, პირდაპირი დამიზნებით მორტყმულმა ყუმბარამ დაანგრია... ყველაფერი განადგურდა... ოლონდ - არა უმთავრესი. თუმცა მოგვიანებით ამანაც ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა. კიდევ კარგი, რომ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები დროულად გავიტანეთ ქალაქგარეთ. იმ პერიოდში კრეკენტორპების ოჯახის საქმეებს მამაჩემი უძღვებოდა. ის ექვსი წლის წინ გარდაიცვალა. შესაძლოა, იცოდა კიდევ ედმუნდის ქორწინების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ქორწინება, თუნდაც დაგეგმილი, არ შემდგარა, ამიტომაც მამაჩემმა ამ ეპიზოდს დიდი მნიშვნელობა არ მიანიყა. უნდა გითხრათ, ძალზე მაეჭვებს წერილთან დაკავშირებული ეს ამბავი. ამდენი წლის შემდეგ ქალი აცხადებს, რომ კანონიერი ცოლი და კანონიერად გაჩენილი ვაჟიშვილის დედაა. ძალზე საეჭვოა.

საინტერესოა, რა მტკიცებულებებს ფლობს?

- ეს მეც მაინტერესებს, - მიუგო კრედოკმა, - რაზე შეუძლიათ პრეტენზიის განცხადება მასა და მის შვილს?

- ვფიქრობ, იმის იმედი ჰქონდა, რომ კრეკენტორპები ორივეს შეინახავდნენ.

- დიახ, მაგრამ მე იურიდიულ ასპექტს ვგულისხმობდი – რა შეხვდებოდით ქალსა და მის ვაჟიშვილს, თავიანთი პრეტენზიის კანონიერება რომ დაემტკიცებინათ?

- აჰა, გასაგებია, - მისტერ უიმბორნმა ცხვირზე სათვალე წამოისკუპა, რომელიც ცოტა ხნის წინ გაღიზიანებულმა გვერდზე გადადო, და ინსპექტორს დაჟინებით მიაჩერდა, - ჯერჯერობით არაფერი. მაგრამ თუ დაამტკიცებს, რომ მისი ვაჟი ედმუნდ კრეკენტორპის კანონიერი შვილია, ლუთერ კრეკენტორპის გარდაცვალების შემდეგ წილის მიღების უფლება ექნება, როგორც ლუთერ კრეკენტორპის უფროსი ვაჟის შვილს კი რეზერვორდჰოლიც საკუთრებაში გადაეცემა.

- ამჟამინდელ მემკვიდრეთაგან ვის უჭირავს თვალი რეზერვორდჰოლზე?

- იქ ცხოვრების მიზნით? ცხადია, არც ერთს. მაგრამ იმ მამულს, ძვირფასო ინსპექტორო, დიდი ფასი ადევს. ძალიან დიდი! სამრეწველო და სამშენებლო კუთხით. ის ხომ ბრეკემპტონის ცენტრია. ოჰ, დიახ, ძალზე მნიშველოვანი მემკვიდრეობაა.

- თქვით, რომ ლუთერ კრეკენტორპის გარდაცვალების შემდეგ მამული სედრიკის ხელში გადავა. ასეა?

- დიახ, ვინაიდან უძრავი ქონება მემკვიდრეობის გადაცემის მომენტში ცოცხალი ვაჟიშვილებიდან უფროსს ეკუთვნის.

- როგორც მითხრეს, სედრიკ კრეკენტორპი ფულისადმი საკმაოდ გულგრილია.

მისტერ უიმბორნმა ცივად შეხედა კრედოკს.

- მართლა? ამგვარ მტკიცებას ასე ხელალებით არ გავიზიარებდი. ალბათ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამქვეყნიური არაფერი გაეგებათ და ფული არ აინტერესებთ, მაგრამ პირადად მე ცხოვრებაში მსგავსი არავინ შემხვედრია.

მისტერ უიმბორნი აშკარად კმაყოფილი ჩანდა თავისი გამოსვლით.

ინსპექტორმა კრედოკმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ ესარგებლა ამ გამონათებით.

- ვფიქრობ, ჰაროლდ და ალფრედ კრეკენტორპებს ეს წერილი გვარიანად გააღიზიანებდათ.

- შესაძლებელია, - მიუგო ადვოკატმა, - სავსებით შესაძლებელია. - ეს მათი მემკვიდრეობის წილს შეამცირებდა?

- რა თქმა უნდა. ედმუნდ კრეკენტორპის ვაჟს - თუ ასეთის არსებობას დავუშვებთ - მთელი თანხის მეხუთედი შეხვდებოდა.

- არა მგონია, ეს სერიოზული დანაკარგი ყოფილიყო ჰაროლდ და ალფრედ კრეკენტორპებისთვის.

- დიახ, მკვლელობისთვის საკმარისი მოტივი არაა, თუ ამას გულისხმობთ.

- თუმცა, როგორც ვიცი, ამჟამად ორივეს ფინანსურად საკმაოდ უჭირს, - აუღელვებლად თქვა კრედოკმა და მშვიდად გაუძლო ადვოკატის გამჭოლ მზერას.

- აჰა! მაშასადამე, პოლიცია ინფორმაციას აგროვებს? დიახ, ალფრედი მუდმივად „მეჩეჩზეა“. ზოგჯერ ფული უჩნდება, მაგრამ - ცოტა ხნით. ჰაროლდი კი, უკვე გაიგებდით, ამჟამად საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია.

- მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, წარმატებული ფინანსისტია?

- მხოლოდ ერთი შეხედვით. სწორედაც რომ, მხოლოდ ერთი შეხედვით! ქალაქში არსებული კონცერნების ნახევარმა არც კი იცის, გადახდისუნარიანია თუ არა. ბალანსი შესაძლოა, მშვენივრად გამოიყურებოდეს... გამოუცდელი ადამიანისთვის. მაგრამ თუ მითითებული აქტივები სულაც არ არის აქტივები და მთელი ეს კონსტრუქცია კატასტროფის ზღვარზეა, მაშინ რა შეიძლება ითქვას?

- ალბათ, ის, რომ ჰაროლდ კრეკენტორპს ფული ძალიან სჭირდება.

- მაგრამ საკუთარი ძმის ქვრივის დახრჩობით ვერაფერს მიიღებდა, - თქვა მისტერ უიმბორნმა, - აი, ლუთერ კრეკენტორპს ჯერჯერობით თავს არავინ ესხმის, თუმცა სწორედ მისი სიკვდილი მოუგვარებდა პრობლემებს მის ნაშიერს. ასე რომ, ინსპექტორო, არ დაგიმაღავთ და, თქვენი აზრების მიმართულებას ვერ ჩავწვდი.

საუბედუროდ, ეს თვითონ ინსპექტორ კრედოკსაც ვერ გაეგო.

თავი მეთხუთმეტე

ინსპექტორი კრედოკი ჰაროლდ კრეკენტორპს შეხვედრის თაობაზე მოელაპარაკა და დათქმულ დროს ეწვია, თან სერჟანტი უეთეროლიც იახლა. ჰაროლდ კრეკენტორპის ოფისი სიტის საქმიან კომპლექსში შემავალი ვეებერთელა შენობის მეოთხე სართულზე მდებარეობდა. შიგნით ყველაფერი თანამედროვე ბიზნესის სტილს შეესაბამებოდა და ფირმის წარმატებაზე მეტყველებდა. მოდაზე ჩაცმულმა ეფექტურმა ახალგაზრდა ქალმა ინსპექტორს ვინაობა ჰკითხა, ყურმილი აიღო და ტაქტიანად, დაბალი ხმით მოახსენა უფროსს მისი მოსვლის შესახებ, შემდეგ კი კრედოკსა და სერჟანტ უეთეროლს ჰაროლდ კრეკენტორპის კაბინეტში შეუძღვა.

უზადოდ ჩაცმული და თავდაჯერებული ჰაროლდ კრეკენტორპი უზარმაზარ, ტყავადაკრულ საწერ მაგიდასთან იჯდა. თუკი, როგორც ინსპექტორმა იცოდა, ფინანსური პრობლემების წინაშე იდგა, გარეგნულად ამაზე არაფერი მიაჩნებდა. მან შემოსულებს გულწრფელი, კეთილმოსურნე მზერა მიაპყრო.

- დილა მშვიდობისა, ინსპექტორო კრედოკ. ვიმედოვნებ, თქვენი ვიზიტი იმის მაუწყებელია, რომ, როგორც იქნა, რაღაც სიახლე გაჩნდა, არა?

- სამწუხაროდ, ვერაფრით გაგახარებთ, მისტერ კრეკენტორპ. მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დასმა მსურდა თქვენთვის.

- კვლავაც შეკითხვები? თუ არ ვცდები, ჩვენ ყველა შესაძლო შეკითხვაზე გიპასუხეთ.

- თქვენი კარგად მესმის, მისტერ კრეკენტორპ, მაგრამ რას ვიზამთ, მოგეხსენებათ, სამსახური...

- ამჯერად რა გნებავთ? - მოუთმენლად იკითხა ჰაროლდმა.

- თუ შეიძლება, დაწვრილებით მოგვიყევით, რას აკეთებდით შარშან, ოცი

დეკემბრის შუაღამეს და საღამოს, დაახლოებით სამი საათიდან შუაღამემდე. ჰაროლდ კრეკენტორპს სიბრაზისგან სახე წამოენთო. - რა უცნაური შეკითხვაა! იქნებ ამიხსნათ, ეს რას ნიშნავს? კრედოკმა მშვიდად გაიღიმა.

- ეს იმას ნიშნავს, რომ მაინტერესებს, სად იყავით პარასკევს, ოც დეკემბერს, დღის სამი საათიდან შუაღამემდე.

- რატომ?

- ძეზნის არეალის შესამცირებლად.

- შესამცირებლად? მაშასადამე, დამატებითი ინფორმაცია მიგიღიათ. - ვიმედოვნებთ, სერ, რომ ცოტათი მაინც წავიწიეთ წინ.

- მე კი ეჭვი მეპარება, რომ ვალდებული ვარ, თქვენს შეკითხვას ვუპასუხო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ადვოკატის გარეშე.

- ეს, რასაკვირველია, თქვენი პირადი საქმეა, - მიუგო კრედოკმა, - ვალდებული არ ხართ, ჩემს ნებისმიერ შეკითხვას უპასუხოთ. სრული უფლება გაქვთ, ადვოკატი მოიწვიოთ, სანამ კონკრეტული საუბარი დაგვიწყია.

- ეს... ასე ვთქვათ... ერთგვარი გაფრთხილებაა?

- ოჰ, არა, სერ, - ბოლო ფრაზამ ინსპექტორი აშკარად გააოცა, - რას ბრძანებთ! არ იფიქროთ, რომ გამოგარჩიეთ. ასეთ შეკითხვებს ყველას ვუსვამ. ამას იმ პირთა დასადგენად ვაკეთებ, ვისაც საქმესთან კავშირი არა აქვს.

- რა თქმა უნდა, მზად ვარ, დაგეხმაროთ... იქნებ გავიხსენო. არა, ასე ერთბაშად არ გამომდის, მაგრამ არა უშავს, ჩვენთან ყველაფერი ფიქსირდება. ვფიქრობ, მის ელისი გვიხსნის.

მან მაგიდაზე დადგმული ერთ-ერთი ტელეფონით გადარეკა და თითემის მაშინვე ოთახში ტანზე კარგად მომდგარ შავ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, ხელში ბლოკნოტი ეჭირა.

- ეს ჩემი მდივანია, მის ელისი, - წარადგინა ჰაროლდმა, - ეს კი ინსპექტორი კრედოკია. მის ელის, ინსპექტორს აინტერესებს, რას ვაკეთებდი დღის მეორე ნახევარში... რომელ რიცხვში?

- ოც დეკემბერს, პარასკევს.

- მაშასადამე, Jab ელის, პარასკევს, ოც დეკემბერს. ვფიქრობ, ჩაწერილი გექნებათ.

- ოჰ, დიახ, რა თქმა უნდა! - მის ელისი გავიდა, მალევე დაბრუნდა, მაგიდის კალენდარი შემოიტანა და სწრაფად გადაფურცლა.

- ოცი დეკემბერი... დილას საქმიანი შეხვედრა გქონდათ მისტერ გოლდისთან, კომპანია „კრომარტისთან“ დაკავშირებით, ამას ლანჩი მოჰყვარესტორან „ბერკლიში“, ღორდ ფორტუილთან ერთად.

- ა-ა, მაშასადამე, ის დღე იყო...

- ოფისში სამი საათისთვის შემოიარეთ და რამდენიმე წერილი მიკარნახეთ. შემდეგ „სოთბის“ ეწვიეთ. უკან აღარ დაბრუნებულხართ, მაგრამ ჩანიშნული მაქვს, რომ საღამოს „ქეთერინგ კლუბში“ ვახშმის თაობაზე უნდა გამეფრთხილებინეთ.

ქალმა უფროსს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

- გმადლობთ, მის ელის.

მის ელისი ოთახიდან გავიდა.

- ახლა ყველაფერი გამახსენდა, - თქვა ჰაროლდმა, - იმ დღეს „სოთბის“ აუქციონზე წავედი, მაგრამ ნივთი, რომელსაც თვალი დავადგი, ვაჭრობის შედეგად ძალიან გაძვირდა. ჯერმენსტრიტზე მდებარე პატარა კაფეში - თუ არ ვცდები, „რასელსი“ ჰქვია - ჩაი დავლიე. იქიდან კინოთეატრში შევიარე, სადაც ქრონიკას უჩვენებდნენ. დაახლოებით ნახევარი საათი დავყავი და შინ წავედი - კარდიგანგარდენსის ორმოცდასამ ნომერში ვცხოვრობ. „ქეთერინგ კლუბის“ ვახშამი ქეთერერსჰოლში საღამოს რვა საათზე გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ შინ დავბრუნდი და დავიძინე. ვფიქრობ, ამომწურავად გიპასუხეთ.

- გკეთანხმებით, მისტერ კრეკენტორპ. მითხარით, თუ შეიძლება, შინ როდის მიხვედით ვახშმისთვის ტანსაცმლის გამოსაცვლელად?

- ზუსტად ვერ მოგახსენებთ... ვფიქრობ, შვიდის დასაწყისში.

- როდის დაბრუნდით?

- სავარაუდოდ, თორმეტის ნახევრისთვის.

- კარი მოსამსახურემ გაგიღოთ? თუ ლედი ელის კრეკენტორპმა?

- ჩემი მეუღლე, ლედი ალისა, ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება, სამხრეთ საფრანგეთში. იქ დეკემბრის დასაწყისში გაემგზავრა. კარი კი საკუთარი გასაღებით

გავაღე.

- მაშასადამე, ვერავინ დაადასტურებს, რომ შინ თქვენ მიერ მითითებულ დროს დაბრუნდით?

ჰაროლდმა ინსპექტორს ცივი მზერა მიაპყრო.

- ვფიქრობ, მსახურები გაიგონებდნენ, როდესაც დავბრუნდი. ისინი ცოლ-ქმარი არიან... მაგრამ, ინსპექტორო...

- არ გაბრაზდეთ, მისტერ კრეკენტორპ. ვიცი, რომ ასეთი შეკითხვები გამაღიზიანებელია, მაგრამ თითქმის დავამთავრე. მანქანა თუ გყავთ?

- დიახ, „ჰამბერჰოუკი“. - თვითონ დაგყავთ?

- დიახ. თუმცა, არც ისე ხშირად, მხოლოდ უიქენდებზე. ჩვენს დროში ლონდონში მანქანით გადაადგილება წამებაა და მეტი არაფერი.

- მაგრამ მამასთან და დასთან სტუმრად ალბათ მანქანით მიდიხართ ხოლმე, არა?

- მხოლოდ მაშინ, როდესაც რეზერფორდჰოლში დიდი ხნით დარჩენას ვაპირებ. ხოლო თუ ერთი დღით, როგორც ეს მოკვლევას მოხდა, ყოველთვის მატარებლით ვმგზავრობ. შესანიშნავი მომსახურებაა, თანაც უფრო სწრაფად ჩავდივარ, ვიდრე მანქანით. სადგურზე კი ჩემი დის გამოგზავნილი ტაქსი მელოდება ხოლმე.

- მანქანას სად აყენებთ?

- გარაჟს ვქირაობ ძველი საჯინბოების ადგილას, კარდიგანგარდენსის უკან. კიდევ ხომ არ გაქვთ შეკითხვა?

- არა, ჯერჯერობით სულ ესაა, - ღიმილით მიუგო ინსპექტორმა და დასამშვიდობებლად წამოდგა, - ვწუხვარ, რომ თქვენი შეწუხება მომიხდა.

როდესაც გავიდნენ, სეჟანტმა უეთეროლმა, რომელსაც ჩვევად ჰქონდა, ყველა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილად შეერაცხა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა:

- თქვენი შეკითხვები არ მოეწონა... აშკარად არ მოეწონა. თავს ძლივს იკავებდა.

- როცა მკვლელობა არ ჩაგიდენიათ, ბუნებრივია, გაღიზიანდებით, თუ ვიღაც თქვენზე ეყვს მიიტანს, - მიუგო ინსპექტორმა კრედოკმა, - და ეს მით უმეტეს გააღიზიანებდა ისეთ ულტრარესპექტაბელურ ადამიანს, როგორც ჰაროლდ კრეკენტორპია. ასე რომ, ნუ გიკვირთ. ახლა მთავარია, გავარკვიოთ, ვინ ნახა

ჰაროლდ კრეკენტორპი აუქციონზე და კაფეში, სადაც ჩაის დასალევად შეიარა. მას თავისუფლად შეეძლო, ჩამჯდარიყო მატარებელში, რომელიც 16:33-ზე გადის, დაეხრჩო ქალი, ფანჯრიდან გადაეგდო და შემხვედრი მატარებლით ლონდონში ვახშამზე წასვლაც მოესწრო; ღამით კვლავ გამგზავრებულიყო და გვამი ფარდულში გადაეტანა. შეაგროვეთ ცნობები იმ გარაჟის შესახებ, რომელსაც ქირაობს.

- მესმის, სერ. თქვენი აზრით, ის სწორედ ასე მოქმედებდა?

- აბა, რა ვიცი?! - მიუგო ინსპექტორმა კრედოკმა. - ის მაღალია, შავგვრემანი. შესაძლებელია, რომ იმ მატარებელში მჯდარიყო. რეზერვორდჰოლთანაც კავშირი აქვს. სწორედ ამიტომ შევიყვანე ექვმიტანილთა სიაში. ახლა კი მისი ძმის, ალფრედის რიგია.

ალფრედ კრეკენტორპი უესტჰემფსტედის რაიონში დაბინავებულიყო, დიდ თანამედროვე სახლში, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად საიმედო შენობა იყო, სამაგიეროდ, მოზრდილი ეზო ჰქონდა, სადაც იქ მცხოვრებთ მანქანის დაყენება შეეძლოთ, რაც სულაც არ ეხატებოდათ გულზე მათ, ვისაც ავტომობილი არ ჰყავდათ.

ბინაში, მოდის შესაფერისად, კარადები ჩაემუნებინათ და, როგორც ჩანს, ავეჯთან ერთად აქირავებდნენ. კერძოდ, ეს იყო: ფანერის გრძელი, ასაკეცი მაგიდა, დივან-საწოლი და უჩვეულო პროპორციის სავარძლები და სკამები.

ალფრედ კრეკენტორპი მოსულეხს გულთბილად შეხვდა, მაგრამ ინსპექტორს მოეჩვენა, რომ ცოტათი ნერვიულობდა.

- დაინტრიგებული ვარ, - თქვა მასპინძელმა, - სასმელს ხომ არ ინებებთ, ინსპექტორო?

მან მაცდურად ასწია მრავალრიცხოვან ბოთლთაგან ერთ-ერთი. - არა, გმადლობთ, მისტერ კრეკენტორპ.

- ნუთუ ასე ცუდადაა საქმე? - მან საკუთარ ხუმრობაზე გაიცინა, შემდეგ კი იკითხა, ეს ყველაფერი რას ნიშნავსო?

ინსპექტორმა კრედოკმა თავისი „საფირმო“ შეკითხვა დაუსვა.

- რას ვაკეთებდი ოცი დეკემბრის შუადღისას და საღამოს? - გაიმეორა ალფრედმა. - აბა, რა ვიცი? ეს ხომ... დიახ, ეს ხომ სამი კვირის წინ მოხდა.

- თქვენმა ძმამ, ჰაროლდმა, ყველაფერი ზუსტად გაიხსენა.

- ძმა ჰაროლდს ეს შეუძლია, ძმა ალფრედს - არა, - თქვა ალფრედმა და მცირედი შურითა და ღვარძლით დაამატა: - ჰაროლდი ოჯახის წარმატებული წევრია - საქმიანი, გამოსადეგი, მუდამ დაკავებული. ყველაფრისთვის პოულობს დროს და ყველაფერს დროულად აკეთებს. მას რომ, ვთქვათ, მკვლელობის ჩადენა დასჭირვებოდა, საგულდაგულოდ დაგეგმავდა და მოამზადებდა.

- უჩვეულო მაგალითი მოიყვანეთ. ამის განსაკუთრებული საფუძველი ხომ არ გაქვთ?

- არა, არა, მხოლოდ ის ვთქვი, რაც უეცრად თავში მომივიდა, - ამ სისულელეს ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

- ახლა კი თქვენზე ვილაპარაკოთ.

ალფრედმა ხელები გაშალა.

- როგორც გითხარით, თარიღსა და ადგილმდებარეობას ცუდად ვიმახსოვრებ. აი, შობის დღესასწაულის შესახებ რომ გეკითხათ, ამომწურავად გიპასუხებდით. ვიცი, შობას სადაც ვიყავი, - ამ დღეს ბრეკჰემპტონში მამასთან ვიკრიბებით ხოლმე. თუმცა არ ვიცი, ამას რატომ ვაკეთებთ. სულ ბუზღუნებს, რომ ძვირი უჯდება ჩვენი ჩასვლა, მაგრამ რომ არ ჩავიდეთ, გვისაყვედურებს, მოხუცებული მამა არ გახსოვთო. სინამდვილეში ამას დის გულის გასახარებლად ვაკეთებთ.

- წელსაც ასე იყო?

- დიახ.

- მაგრამ, სამწუხაროდ, მამათქვენი შეუძლოდ გახდა. ასე იყო, არა?

კრედოკმა განზრახ შეცვალა საუბრის თემა - ის ყოველთვის ემორჩილებოდა პროფესიულ ალლოს, რაც არაერთხელ გამოადგა ცხოვრებაში.

- დიახ, ავად გახდა. საერთოდ, ბელურასავით იკვებება ხოლმე, მომჭირნეობას იჩენს... მაგრამ ამდენი საჭმელ-სასმლის დანახვაზე თავი ვეღარ შეიკავა.

- თქვენი აზრით, ზედმეტი მოუვიდა? - რა თქმა უნდა. სხვა რა უნდა ყოფილიყო?

- როგორც ვიცი, მისი ექიმი საკმაოდ შეშფოთებულა.

- აჰ, იმ ბებერ სულელს გულისხმობთ? - სწრაფად და აგდებულად ჩაილაპარაკა ალფრედმა, - ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ინსპექტორო. არაფრის გამოც კი განგაშს ატეხს ხოლმე.

- მართლა? ჩემზე კი საღად მოაზროვნე ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა.

- გეუბნებით, ჩამოყალიბებული სულელია-მეთქი. რომ იცოდეთ, მამაჩემი არც ასეთი მძიმე ავადმყოფია, გულიც წესრიგში აქვს. ეგ არის, რომ ქუიმპერს ყველაფერს უჯერებს. როდესაც მამა მართლა ცუდად გახდა, ერთი ამბავი დააწია. გვერდიდან არ შორდებოდა, ჩვენგან კი დაწვრილებით სურდა გაერკვია, რა ჭამა და დალია მამამ. ნამდვილი ცირკი მოაწყო!

ალფრედი, მისდა უნებურად, საკმაოდ გაფიცხდა. კრედოკი კომენტარის გაკეთებას არ ჩქარობდა. ამან სასურველი ეფექტი მოახდინა - აწრიალებულმა ალფრედმა ინსპექტორს დაჟინებით შეხედა და უკმაყოფილო ხმით ჰკითხა:

- რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რისთვის გჭირდებათ იმის ცოდნა, თუ სად ვიყავი რომელიღაც პარასკევს თითქმის ერთი თვის წინ?

- მაშასადამე, გახსოვთ, რომ პარასკევი იყო? - ეს თვითონ მითხარით.

- შესაძლოა, - თქვა ინსპექტორმა კრედოკმა, - ყოველ შემთხვევაში, პარასკევი, ოცი დეკემბერი, სწორედ ის დღეა, რომლის შესახებაც გეკითხებით.

- რატომ? - ეს ჩვეულებრივი, ფორმალური შეკითხვაა.

- სისულელეა! როგორც ჩანს, რაღაც შეიტყვეთ იმ ქალის შესახებ... ასეა? აბა, სადაური ყოფილა წარმოშობით?

- ამის დაზუსტება ჯერჯერობით ვერ შევძელით. ალფრედმა ინსპექტორს ხისტად შეხედა.

- ვიმედოვნებ, შეცდომაში არ შეგიყვანათ ჩემი დის, ემას უცნაურმა თეორიამ იმის შესახებ, თითქოს ის ქალი ედმუნდის ქვრივი იყო. ეს ხომ აშკარა სისულელეა!

- ის... მარტინა... თქვენ ხომ არ დაგკავშირებიათ?

- მე? ღმერთო ჩემო, ცხადია, არა! რა სასაცილოა!

- თქვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში ჰაროლდს მიმართავდა?

- რა თქმა უნდა. მის სახელს ხშირად ახსენებენ გაზეთები. შეძლებული, წარმატებული კაცია. სულაც არ გამიკვირდებოდა, ქალს მისთვის ფულის დაცინცვლა რომ მოენდომებინა. მაგრამ ვერაფერს მიიღებდა. ჰაროლდი ჩვენი მოხუცივით ძუნწია. ოჯახში ყველაზე გულკეთილი ემაა, ედმუნდს ის ძალიან უყვარდა. მაგრამ ემა არც ისე მიმნდობია. იგი არ გამორიცხავდა, რომ წერილი ვიღაც თაღლით ქალს დაეწერა. ამიტომაც გადაწყვიტა, მასთან შესახვედრად მთელი ოჯახი და გამოცდილი ადვოკატი მოეწვია.

- გონივრული წინდახედულობაა, - თქვა კრედოკმა, - კონკრეტული თარიღი შეარჩიეთ?

- თუ არ ვცდები, შობის დღესასწაულიდან მალევე უნდა შეხვედროდით... ოცდაშვიდში... - იგი შეყოყმანდა.

- აი, ხომ ხედავთ, - თავაზიანად უთხრა კრედოკმა, - უკვე ზოგიერთი თარიღიც გახსენდებათ.

- გასაგებად გითხარით, რომ კონკრეტული თარიღი არ დაგვითქვამს. -- თუმცა ამ თემაზე ისაუბრეთ. როდის?

- მართლა ვერ ვიხსენებ.

- იქნებ ის მაინც გაიხსენოთ, ოც დეკემბერს რას აკეთებდით?

- ვწუხვარ... ჩემს თავში სრული სიცარიელეა.

- საქმიანი შეხვედრების ჩანიშვნა არ გიყვართ?

- ვერ ვიტან.

- შობის წინა პარასკევი... ამის გახსენება რთული არ უნდა იყოს.

-- რომელიმე დღეს საჭირო კაცს გოლფს ვეთამაშებოდი, - ალფრედმა თავი გადააქნია, - მაგრამ ეს ერთი კვირით ადრე მოხდა. თუ სწორად მახსოვს, იმ დღეებში უსაქმოდ დავყიალებდი. ასე ხშირად ვიქცევი. ზოგჯერ სასარგებლო საქმეს ბარში უფრო ვმოულობ, ვიდრე სხვა ადგილას.

- იქნებ იქაურმა მეგობრებმა შეძლონ თქვენი დახმარება? - შესაძლებელია. ვკითხავ. ყველაფერს ვიღონებ ამის დასადგენად.

აღფრედი ახლა უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

- ვერ ვიხსენებ, რას ვაკეთებდი იმ დღეს, - თქვა მან, - სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცი, რა არ გამიკეთებია. არავინ მომიკლავს და გვამი სარკოფაგში არ დამიმალავს.

- ამას რატომ ამბობთ, მისტერ კრეკენტორპ?

- გეყოფათ, ძვირფასო ინსპექტორო. თქვენ ხომ მკვლელობის საქმეს იძიებთ? რახან მეკითხებით, სად ვიყავი კონკრეტული დღის კონკრეტულ დროს, მაშასადამე, შესაძლო ეჭვმიტანილთა რიგის შემცირება გსურთ. ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც ის პარასკევი - თანაც, მთელი დღე კი არა, ლანჩიდან შუალამემდე - გაინტერესებთ. რით მიიქცია მან თქვენი ყურადღება? ეს სამედიცინო დასკვნა ვერ იქნებოდა - მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. იქნებ ვიღაცამ დაინახა, როგორ შევიდა ის ქალი ფარდულში? შევიდა და უკან აღარ გამოსულა... აბა, გამოვიცანი?

მან შავი თვალები მოყჭუტა და ინსპექტორს დაჟინებით მიაცქერდა, მაგრამ კრედოკი ძალზე გამოცდილი იყო საიმისოდ, რომ ამაზე რეაქცია გამოემჟღავნებინა.

- ვშიშობ, თქვენს ცნობისმოყვარეობას ვერ დავაკმაყოფილებ, - თქვა მან მეგობრული კილოთი.

- პოლიციას ყველაფრის გასაიდუმლოება უყვარს.

- არა მხოლოდ პოლიციას. ვფიქრობ, თქვენც შეგეძლოთ იმის გახსენება, მისტერ კრეკენტორპ, თუ როგორ გაატარეთ ის პარასკევი. თუმცა, იქნებ მიზეზი გაქვთ, რის გამოც იმ დღის დავიწყება გსურთ...

- არა, ინსპექტორო, ამაში ვერ გამომიჭერთ. მესმის, რომ ჩემი გულმავიწყობა ეჭვს იწვევს, მაგრამ ვერაფერს ვიზამ, დაბნეული კაცი ვარ. მოითმინეთ, იმ კვირას ლიდსში გავემგზავრე... რატუმის სიახლოვეს მდებარე სასტუმროში გავჩერდი... სახელწოდება, ცხადია, არ მახსოვს... ამის შემოწმება თქვენც ადვილად შეგიძლიათ. შესაძლოა, ეს პარასკევს იყო.

- შევამოწმებთ, - უემოციოდ თქვა ინსპექტორმა და წამოდგა, - სამწუხაროა, რომ ვერ გვეხმარებით, მისტერ კრეკენტორპ.

- მეც ძალიან ვწუხვარ! სედრიკს მყარი ალიბი აქვს - იბიცაზე იმყოფებოდა. ჰაროლდი ყველაფერს - საქმიან შეხვედრებსა თუ ოფიციალურ სადილებს მდივანთან გადაამოწმებდა, რომელიც მათ აღნუსხავს. მხოლოდ მე ვარ უალიბოდ. გულდასაწყვეტია, თუმცა მაინც სისულელეა. უკვე გითხარით, რომ ხალხს არ ვკლავ. აბა, დაფიქრდით: რატომ უნდა მომეკლა უცნობი ქალი, თუნდაც ის ედმუნდის ქვრივი ყოფილიყო? რომელიმე ჩვენგანს მისი სიცოცხლის მოსპობა რისთვის სჭირდებოდა? ის რომ ომის დროს ჰაროლდს გაჰყოლოდა ცოლად და ახლა გამოჩენილიყო... მაშინ ჩვენს რესპექტაბელურ

ჰაროლდს ორცილიანობასა და მისთანებს დააბრალებდნენ. მაგრამ - ედმუნდი! ეს სიახლე ყველას გაგვიხარდებოდა. მამას ვაიძულებდით, ჯიბეზე

ხელი გაეკრა, ქალისთვის სარჩო დაენიშნა, ბიჭი კი კარგ სკოლაში შეეყვანა. მამა, ცხადია, გაცოფდებოდა, მაგრამ უარს ვერ იტყოდა... წასვლამდე რამეს ხომ არ დალევდით, ინსპექტორო?.. დარწმუნებული ხართ? ვწუხვარ, რომ ვერაფრით დაგეხმარეთ.

- მომისმინეთ, სერ, რაღაც უნდა გითხრათ! ინსპექტორმა კრედოკმა აღელვებულ სერჟანტს შეხედა და ჰკითხა: - რა მოხდა, უეთეროლ?

- გამახსენდა, სერ! ის ყმაწვილი. სულ ვფიქრობდი, რომ სადღაც მყავდა ნანახი. და უეცრად მომაგონდა. დიკი როჯერსის(დიკი როჯერსი - მეთაური ქურდებისა და თაღლითების ცნობილი ბანდისა, რომელიც ინგლისში X საუკუნის 50-იან წლებში მოქმედებდა.) საქმეში იყო გახვეული, კონსერვებთან დაკავშირებით. მის წინააღმდეგ სამხილი ვერ მოიპოვეს - თავი დაიძვრინა, ძალიან მოხერხებულია. სოჭოშიც აკვარახჭინებდა რაღაც საქმეებს. გემახსოვრებათ საათებისა და იტალიური სოვერენების ამბავი.

რასაკვირველია! ახლა კი მიხვდა კრედოკი, რატომ ეცნო თავიდანვე ალფრედის სახე. მისი საქმიანობა ბევრ ეჭვს ბადებდა, თუმცა ვერაფერს უმტკიცებდნენ - ალფრედი ყოველთვის კანონიერების ზღვარზე მოქმედებდა, თანაც საკუთარ თავს ოსტატურად წარმოაჩენდა გულუბრყვილო ადამიანად და დამაჯერებლად არწმუნებდა სხვებს, რომ ამა თუ იმ ბნელ საქმეში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. პოლიციაში კარგად იცოდნენ, რომ ასეთ საქმიანობას მისთვის მცირე, მაგრამ მუდმივი შემოსავალი მოჰქონდა.

- ეს ნაწილობრივ მაინც ფენს ნათელს არსებულ ვითარებას, - თქვა კრედოკმა.

- თქვენი აზრით, ეს მან ჩაიდინა?

- არა. არა მგონია, მკვლელი იყოს. მაგრამ რაღაცას მივხვდი. მაგალითად, იმას, თუ რატომ იქცეოდა ასე და რატომ არ ისურვა ალიბის შექმნა.

- ამით ხომ საკუთარ თავს აზარალებს?

- არც მასეა საქმე. კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ჭკვიანური გზა აირჩია - გადაჭრით აცხადებს, რომ არაფერი ახსოვს. განა ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც

არ ახსოვთ, რას აკეთებდნენ ერთი კვირის წინ? გულმავიწყობა ფრიად მოსახერხებელია, თუ არ გინდა, ყურადღება მიაქციონ, ვისთან და როგორ ატარებ დროს, მაგალითად - თუ მძღოლების კაფეში დიკი როჯერსის ხალხთან ამფსონობ. - მაშასადამე, ფიქრობთ, უდანაშაულოა? - ჯერჯერობით, ასე არავისზე ვფიქრობ. კიდევ უნდა წაიმუშაოთ, უეთეროლ.

როდესაც თავის კაბინეტში შევიდა, კრედოკი უკმაყოფილო სახით მიუჯდა მაგიდას, ბლოკნოტი გადაშალა და წერას შეუდგა:

„მკვლელი - მაღალი, მუქთმიანი მამაკაცი!!!“

მსხვერპლი?... შესაძლოა, მარტინაა, ედმუნდ კრეკენტორპის მეგობარი ან ქვრივი.

ან

შესაძლოა, ანა სტრავინსკა. სწორედ იმ პერიოდში წავიდა დასიდან. ასაკით, გარეგნობითა და ტანსაცმლით - ემთხვევა. არსებული მონაცემებით, რეზერვორდჰოლთან კავშირი არა აქვს.

შესაძლოა, ჰაროლდის პირველი ცოლია! ორცოლიანობა!

საყვარელი - შანტაჟი?!

თუ აღფრედთანაა დაკავშირებული, შესაძლოა, შანტაჟი იყოს. იქნებ რაღაც იცოდა, რაც კაცს ციხეში გამომწყვდევას უქადდა.

თუ სედრიკთან - შესაძლოა, საზღვარგარეთ გაიცნო: პარიზში? ბალეარის კუნძულებზე?

ან

მსხვერპლი, შესაძლოა, ანა ს. იყო, რომელიც თავს მარტინად ასაღებდა.

ან

მსხვერპლი უცნობი მამაკაცის მიერ მოკლული უცნობი ქალია!“

- ეს უკანასკნელი, ალბათ, ყველაზე სავარაუდოა, - ხმამაღლა თქვა კრედოკმა. მან შუბლი შეიჭმუნა და შექმნილ ვითარებაზე დაფიქრდა. გამოძიების საქმეში

წინ ვერ წაიწევთ, სანამ მოტივს ვერ მიაგნებთ. მისი ყველა ვარაუდი ან საკმარისად დასაბუთებული არ იყო, ან - ყურით მოთრეული გახლდათ.

ყველაფერი გაცილებით მარტივი იქნებოდა, მოხუცი კრეკენტორპი რომ მოეკლათ... ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოტივს წააწყდებოდნენ.

თავში ერთმა აზრმა გაუელვა, ბუნდოვანმა ეყვმა. მაშინვე კალამს სტაცა ხელი და დაწერა:

„დოქტორ ქ-ს შობის დღესასწაულზე მისტერ კრეკენტორპის ავადმყოფობაზე უნდა ვკითხო.

სედრიკი - ალიბი.

მის მ-თან კონსულტაცია უკანასკნელი ჭორების შესახებ“.

თავი მეთექვსმეტე

მედისონროუდის ოთხ ნომერში მის მარპლთან მისულ ინსპექტორ კრედოკს ლუსი აილსბეროუ დახვდა.

წამით შეყოყმანდა და ჩაფიქრებული მანევრის შეცვლა დააპირა, მაგრამ გადაწყვიტა, რამ ქალიშვილს მისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა

შეეძლო.

მისაღმების შემდეგ ჯიბიდან საზეიმოდ ამოიღო საფულე, იქიდან - სამი ერთგირვანქიანი კუპიურა, სამი შილინგი დაამატა, მაგიდაზე დააწყო და მის მარპლთან ახლოს მიაჩოჩა.

- ეს რა არის, ინსპექტორო?

- ჰონორარია კონსულტაციისთვის. თქვენ კონსულტანტი ბრძანდებით... მკვლელობის გამოძიების საქმეში! პულსი, ტემპერატურა, სპეციფიკური გამოვლინება, მკვლელობის სიღრმისეული მოტივები - ყოველივე ამის განსაზღვრა რამდენიმე წუთში შეგიძლიათ. მე კი სოფლის რიგითი, გაწამებული ექიმი ვარ.

პასუხად მის მარპლმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი. კრედოკმა თბილად გაუღიმა. ლუსიმ გაოცებისგან პირი დაალო, თუმცა მაშინვე სიცილი აუტყდა.

- ინსპექტორო კრედოკ, როგორც ვხედავ, არაფერი ადამიანური თქვენთვის უცხო არ ყოფილა.

- ოჰ, საქმე ისაა, რომ დღის მეორე ნახევარში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მკაცრი აღარ ვარ.

- უკვე გითხარით, ლუსი, რომ ინსპექტორს ადრეც შევხვედრივარ, - თქვა მის მარპლმა, - სერ ჰენრი ქლითერინგი მისი ნათლია და ჩემი ძველი მეგობარია.

- მის აილსბეროუ, გნებავთ, მოისმინოთ, როგორ დამიხასიათა ჩემმა ნათლიამ მის მარპლი, როდესაც გამაცნო? განმიცხადა, რომ საუკეთესო დეტექტივია მათ შორის, ვინც ღმერთს ოდესმე გაუჩენია. ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენებული თვითნაბადი გენიოსი. მირჩია, არასოდეს უგულვებელმეყო... - დერმუტ კრედოკი შეყოვნდა, რათა შესაფერისი სინონიმი შეერჩია, „ბებერი კატების“ ნაცვლად. - ე-ე... ხნიერი ქალბატონები. მითხრა, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ, არა მარტო თქვან, რა შეიძლებოდა ან რა უნდა მომხდარიყო, არამედ ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში! აგრეთვე ის, თუ რატომ მოხდა. შემდეგ ჩემმა ნათლიამ დაამატა, რომ ეს... ე-ე... ხანში შესული ლედი, მისი აზრით, თვით სრულყოფილება იყო.

- აი, ეს მესმის! - თქვა ლუსიმ. - რა საუცხოო დახასიათებაა!

მის მარპლს ლოყები შეეფაკლა, შეცბუნება და ოდნავი აღელვებაც დაეტყო.

- ძვირფასი სერ ჰენრი, - ჩაილაპარაკა მან, - ყოველთვის გულკეთილი იყო ჩემ მიმართ. სინამდვილეში არც ისეთი ყვეიანი ვარ... შესაძლოა, სხვებზე ოდნავ უკეთ ვერკვევი ადამიანთა ბუნებაში... ეს არცაა გასაკვირი, როდესაც სოფელში ცხოვრობ... რა თქმა უნდა, - განაგრძო მან უფრო მტკიცე ხმით, როდესაც შეცბუნება დასძლია, - დასანანია, რომ ჩემი ფიზიკური შესაძლებლობები რამდენადმე შეზღუდულია და არ შემიძლია ვიყო... ე-ე... ჩვენთვის საინტერესო ობიექტების გვერდით. ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ყველას საგულდაგულოდ შეთვალეობა, რათა

შემდგომში ჩემი ძველი ნაცნობებისთვის შემედარებინა - ადამიანთა ტიპაჟები ყოველთვის ერთმანეთს მეტ-ნაკლებად ჰგვანან, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ლუსი ცოტათი გაოცებული ჩანდა, კრედოკმა კი გაგებით დააქნია თავი. - მაგრამ თქვენ ხომ მიგიწვიეს იქ ჩაიზე, ასე არ არის? - იკითხა მან.

- დიახ, მიმიწვიეს. და ძალიანაც ვისიამოვნე. იმედი ოდნავ გამიცრუვდა, რადგან მოხუცი მისტერ კრეკენტორპი ვერ ვნახე, მაგრამ ყველა სურვილი არავის უსრულდება.

- გრძნობთ, რომ თუ იმ ადამიანს შეხვდებით, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, მაშინვე მიხვდებით, რომ ის დამნაშავეა? - ჰკითხა ლუსიმ.

- ოჰ, ასე არ ვიტყვოდი, ჩემო კარგო. ჩვენ ყოველთვის გვჩვევია ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ ისეთ სერიოზულ საკითხში, როგორც მკვლელობაა, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა ცოტაა. მათ უნდა დააკვირდეთ, ვისაც მკვლელობასთან რაიმე კავშირი ჰქონდა ან შეიძლებოდა ჰქონოდა, და გაიხსენოთ, ვის გაგონებენ ისინი.

- როგორც სედრიკისა და ბანკის მმართველის შემთხვევაში?

- ბანკის მმართველის ვაჟიშვილის, ძვირფასო, - შეუსწორა მის მარპლმა, - თვითონ მისტერ იდი მისტერ ჰაროლდს უფრო ჰგავს. ძველი ტრადიციების მიმდევარია, თუმცა ფული ზომიერად მეტად უყვარს. მანაც ბევრი იწვალა სკანდალის თავიდან ასაცილებლად.

- ალფრედზე რას იტყვით? - ღიმილით ჰკითხა კრედოკმა.

- ჭენკინსს მაგონებს, ჩვენი გარაჟიდან, - სწრაფად მიუგო მის მარპლმა, - ავტონაწილებს არ იპარავდა, მაგრამ გატეხილ ან ცუდ დომკრატს კარგზე ცვლიდა. აკუმულატორებთან დაკავშირებითაც რაღაცას სცოდავდა... თუმცა ამაში კარგად ვერ ვერკვევი. ყოველ შემთხვევაში, რეიმონდმა მის მომსახურებაზე უარი თქვა და სხვა გარაჟში მიჰყავს ხოლმე მანქანა - მილჩესტერის გზატკეცილზე. რაც შეეხება ემას, - ჩაფიქრებული სახით განაგრძო მის მარპლმა, - ის ძალიან მაგონებს ჯერალდინა

უებს, კაპასი მოხუცი დედისგან დამფრთხალი, ყოველთვის მორიდებულად და შეუმჩნეველად რომ დადის. ყველა საშინლად გაოცდა, როდესაც დედის გარდაცვალების შემდეგ ჯერალდინას გვარიანი მემკვიდრეობა ერგო. მაშინვე თმა შეიჭრა, ახალი ვარცხნილობა გაიკეთა, სამოგზაუროდ წავიდა და იქიდან ქმართან, ძალზე სიმპათიურ მამაკაცთან ერთად დაბრუნდა. ახლა უკვე ორი შვილი ჰყავთ.

ეს საკმაოდ მკაფიო პარალელი იყო.

- ფიქრობთ, რომ ემას შესაძლო ქორწინებაზე უნდა მიგენიშნებინათ? - გაუბედავად იკითხა ლუსიმ. - ეს ხომ მის ძმებს ძალიან გააბრაზებდა.

მის მარპლმა თავი დაუკრა.

- დიახ, - თქვა მან, - მამაკაცები ასეთები არიან - იმასაც ვერ ხედავენ, რაც მათ თვალწინ ხდება. ვფიქრობ, თქვენც ვერაფერს მიხვდით.

- გეთანხმებით, - დაეთანხმა ლუსი, - მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია. მომეჩვენა, რომ ორივენი...

- მოხუცები არიან, არა? - აიტაცა მის მარპლმა და ოდნავ გაიღიმა. - მაგრამ დოქტორი ქუიმპერი, მისი შევერცხლილი საფეთქლების მიუხედავად, ორმოცს ოდნავაა გადაცილებული. და აშკარად ოჯახურ გარემოზე ოცნებობს. ემა კრეკენტორპი კი ჯერ ორმოცისაც არ არის - თავისუფლად შეუძლია, გათხოვდეს და ოჯახს მოეკიდოს. მსმენია, რომ ექიმის ცოლი ახალგაზრდა გარდაიცვალა - მშობიარობას გადაჰყოლია.

- მეც ასე ვიცი. ერთხელ ემამ ახსენა იგი.

- ქუიმპერი მარტოხელაა, - თქვა მის მარპლმა, - სამუშაოთი დატვირთულ ექიმს ცოლი სჭირდება... მზრუნველი... არცთუ ახალგაზრდა ქალი.

- მომისმინეთ, ძვირფასო, - მიმართა მას ლუსიმ, - ამიხსენით, დანაშაულს ვიძიებთ თუ მაჭანკლობას ვაპირებთ?

მის მარპლს თვალები აუკიაფდა.

- ვშიშობ, გვარიანი რომანტიკოსი ვარ. იქნებ იმიტომ, რომ შინაბერად დავრჩი. უნდა გითხრათ, ლუსი, რომ პირნათლად შეასრულეთ ჩვენ შორის დადებული კონტრაქტი. და თუ მართლა გინდათ საზღვარგარეთ დასვენება, სანამ ახალ ადგილას დაიწყებდეთ მუშაობას, ამას კიდევ მოასწრებთ.

- როგორ? რეზერვორდჰოლი მივატოვო? არასოდეს! ახლა ნამდვილი მამებარი ვარ, იმ ბიჭებივით აზარტული. ისინი მთელ დროს სამხილების ძებნაში ატარებენ. გუშინ ნაგვის ურნები გადააქოთეს. საინტერესოა, რომ თვითონაც არ იციან, რას ეძებენ. ინსპექტორო კრედოკ, თუ ერთ მშვენიერ დღეს საზეიმო სახით ქალაქის

ნაგლეჯს en Battery is low რამედ გიღირთ,

გრძელი ფარდულიდ. 15% იიი ნი შემეცოდა და ის ბარათი ძველ საღორ TURN ON BATTERY SAVER - რატომ მაინცდა-“ - ქარპლმა და

საგრძნობლად გამოცოცხლდა. - ნუთუ რეზერვორდჰოლში კვლავაც ჰყავთ ღორები?

- არა, არა, აღარ ჰყავთ. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ იქ... შევირბენ ხოლმე. ისე, - მიუგო ლუსიმ და უეცრად სახე წამოუწითლდა.

მის მარპლმა მომეტებული ინტერესით შეხედა. - ამჟამად ვინ არის იქ? - იკითხა კრედოკმა. - სედრიკი. ბრაიანი უიქენდზე ჩამოვიდა. ხვალ ჰაროლდი და ალფრედი

ჩამოვლენ. ამ დილით დარეკეს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ინსპექტორო კრედოკ, რომ თქვენ მტრედებთან კატა შეუშვით.

კრედოკს გაეღიმა.

- დიახ, ცოტა შევაფუცხუნე. ვთხოვე, გაეხსენებინათ, რას აკეთებდნენ პარასკევს, ოც დეკემბერს.

- შეძლეს ამის გაკეთება? - ჰაროლდმა შეძლო. ალფრედმა - ვერა ან არ მოინდომა.

- ვფიქრობ, ალიბის დამტკიცება საშინლად რთულია, - თქვა ლუსიმ, - ზუსტად უნდა გაიხსენო დრო, ადგილი, თარიღი. არც მისი შემოწმება იქნება ადვილი.

- დიახ, ამას დრო და მოთმინება სჭირდება, მაგრამ არა უშავს, მოვახერხებთ, - მიუგო ინსპექტორმა და საათს დახედა, - ახლა რეზერვორდჰოლში მივდივარ, სედრიკს უნდა დაველაპარაკო, თუმცა კარგი იქნებოდა, ჯერ დოქტორ ქუიმპერს გავსაუბრობდი.

- მიუსწრებთ. იგი მიღებას შვიდის ნახევარზე ამთავრებს. მე კი შინ უნდა დავბრუნდე და სადილი მოვამზადო.

- კიდევ ერთ საკითხზე მაინტერესებს თქვენი აზრი, მის აილსბეროუ. ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს მარტინასთან დაკავშირებული ამბავი?

- ყველა საშინლად გაბრაზდა ემაზე იმის გამო, რომ თქვენთან მოვიდა, - სწრაფად მიუგო ლუსიმ, - და, ვგონებ, დოქტორ ქუიმპერზეც - ამის გაკეთება ხომ მან ურჩია. ჰაროლდი და ალფრედი ფიქრობენ, რომ ეს ვიღაც თაღლითის ნამოქმედარია. ემა ბოლომდე არაფერშია დარწმუნებული. სედრიკი იზიარებს აზრს, რომ ეს

თაღლითობაა, თუმცა გულგრილობას ინარჩუნებს. ბრაიანს კი ეჭვი არ ეპარება, რომ ეს მარტინაა.

- საინტერესოა, რატომ?

- იმიტომ, რომ ასეთი ადამიანია. ყოველთვის ყველაფერს იჯერებს. მიაჩნია, რომ ეს ედმუნდის ცოლია, უფრო სწორად - ქვრივი, რომელსაც მოულოდნელად საფრანგეთში დაბრუნება მოუხდა, თუმცა კვლავ აუცილებლად შეახსენებს მათ თავს. იმასაც ბუნებრივად მიიჩნევს, რომ ქალი აქამდე არაფერს იწერებოდა, ვინაიდან წერა თვითონაც არ უყვარს. ბრაიანი გულკეთილი ადამიანია. იმ ძაღლს ჰგავს, რომელსაც უნდა, რომ სასეირნოდ წაიყვანონ.

- მერედა, მიგყავთ ხოლმე სასეირნოდ, ჩემო კარგო? - ჰკითხა მის მარპლმა. - მაგალითად, სალორეში?

ლუსიმ მას გამჭოლი მზერა მიაპყრო.

- სახლში ბევრი ჯენტლმენია, რომლებიც მოდიან და მიდიან, - ჩაფიქრებული სახით თქვა მის მარპლმა.

მის მიერ წარმოთქმული სიტყვა „ჯენტლმენი“ ყოველთვის ვიქტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელ ჟღერადობას იძენდა. წარმოქმნილი ექოთვითონ მის მარპლზე ზემოქმედებას ვერ ახდენდა, მაგრამ სხვას აუცილებლად წარმოუდგებოდა თვალწინ ენერგიული, სისხლსავსე (შესაძლოა, ბაკენბარდებიანი), ზნეობრიობით არცთუ გამორჩეული, მაგრამ გალანტური მამაკაცები.

- თქვენ ლამაზი ქალიშვილი ხართ, - განაგრძობდა მის მარპლი ლუსის შეფასებას, - ვფიქრობ, ისინი ყურადღებას არ გაკლებენ, ასე არაა?

ლუსი კვლავ წამოწითლდა. მის თავში ნაწყვეტ-ნაწყვეტმა მოგონებებმა გაირბინა - საღორის კედელზე მიყრდნობილი სედრიკი; სამზარეულოს მაგიდაზე უხალისოდ შემომჯდარი ბრაიანი; ალფრედის თითები, თითქოს შემთხვევით რომ ეხებოდა მისას, როდესაც ყავის ფინჯნების ალაგებაში ეხმარებოდა.

- ჭენტლმენები, - განაცხადა მის მარპლმა ისეთი კილოთი, თითქოს ნაკლებად შესწავლილ და საშიშ არსებებზე საუბრობდა, - თუნდაც საკმაოდ ასაკიანები, ზოგიერთ საკითხში ერთმანეთს ძალიან ჰგვანან...

- ძვირფასო! - შესძახა ლუსიმ. - ასი წლის წინ თქვენ აუცილებლად დაგწვავდნენ კოცონზე, როგორც კუდიანს.

და მან მოხუცი მისტერ კრეკენტორპის შესახებ უამბო, რომელმაც, განსაზღვრული პირობებით, მას ქორწინებაზე მიანიშნა.

- კაცმა რომ თქვას, - განაგრძო მან, - ყველა მათგანი თავისებურად ცდილობდა

ჩემი გულის მონადირებას. ჰაროლდი ძალზე კორექტული იყო - სიტში ხელსაყრელ სამუშაოს მთავაზობდა. არა მგონია, ასეთი მომხიბლავი ვიყო. როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ მათ შესახებ რაღაც ვიცი.

მას გაეცინა.

მაგრამ ინსპექტორმა კრედოკმა მისი მხიარულება არ გაიზიარა.

- ფრთხილად იყავით, - უთხრა მან, - ეს კურკური და ლაციცი იმით არ დასრულდეს, რომ სიცოცხლეს გამოგასაღმონ.

- ვფიქრობ, ეს მარტივი გამოსავალი იქნებოდა, - დაეთანხმა ლუსი, რომელსაც

ტანში ოდნავ გააჟრჟოლა, - იმ ბიჭების შემხედვარეს, თავი დეტექტივებად რომ წარმოუდგენიათ, ზოგჯერ მავიწყდება, რომ ეს თამაში არ არის... სულაც არ არის თამაში.

- დიახ, მკვლელობა თამაში არაა, - თქვა მის მარპლმა და წამით გაჩუმდა, შემდეგ კი იკითხა: - ბიჭებს სკოლაში დაბრუნება მალე უწევთ?

- დიახ, უკვე მომავალ კვირას. ხვალ კი ჯეიმზ სტოდარტ-უესტთან მიემგზავრებიან და არდადეგების დარჩენილი ნაწილის იქ გატარებას აპირებენ.

- მიხარია ამის გაგონება, - სერიოზული სახით განაცხადა მის მარპლმა, - არ მინდა, რამე მოხდეს, სანამ ისინი აქ არიან.

- მოხუც მისტერ კრეკენტორპს გულისხმობთ? ფიქრობთ, რომ მორიგი მსხვერპლი ის იქნება?

- ოჰ, არა, - თქვა მის მარპლმა, - მას არაფერი შეემთხვევა. ბიჭებს ვგულისხმობ... კერძოდ, ალექსანდრეს.

- მაგრამ...

- ისინი სამხილებს ეძებენ. საერთოდ, ბიჭებს უყვართ ამგვარი საქმიანობა. მაგრამ ეს, შესაძლოა, ძალზე საშიში აღმოჩნდეს.

კრედოკმა ჩაფიქრებული სახით შეხედა.

- მითხარით, მის მარპლ, - თქვა მან, - თქვენ ხომ არ გჯერათ, რომ უცნობი ქალი უცნობმა მამაკაცმა მოკლა? ამას რეზერფორდჰოლს უკავშირებთ, არა?

- დიახ, ვფიქრობ, რაღაც კავშირი აუცილებლად არსებობს.

- ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით მკვლელობის შესახებ... მაღალი და მუქთმიანი - თქვენმა მეგობარმა სხვა ვერაფერი შეგვატყობინა. რეზერფორდჰოლში სამი

მამაკაცია მაღალი და მუქთმიანი. როდესაც მოკვლევის შემდეგ გარეთ გამოვედი, სამივე ძმა მანქანის მოსვლას ელოდებოდა. ჩემკენ ზურგით იდგნენ, ზამთრის პალტოები ეცვათ - ტყუპს ჰგავდნენ, სინამდვილეში კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან, - კრედოკმა ამოიოხრა, - ერთი სიტყვით, ყველაფერი ძალზე რთულადაა.

- საინტერესოა, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - ზოგჯერ მეჩვენება, რომ, პირიქით, ყველაფერი იმაზე მარტივია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ნამდვილი მიზეზი, ჩვეულებრივ, ძალზე უბრალოა... ვთქვათ, ანგარება.

- იდუმალეობით მოცული მარტინას არსებობის თუ გჯერათ, მის მარპლ?

- მზად ვარ დავიჯერო, რომ ედმუნდ კრეკენტორპმა იქორწინა ან აპირებდა დაქორწინებას ქალიშვილზე, რომელსაც მარტინა ერქვა. ემა კრეკენტორპმა გვიჩვენა კიდევ მისი წერილი. ჩემი პირადი შთაბეჭდილებისა და იმის მიხედვით, რაც ლუსიმ გვიამბო, ვფიქრობ, ემა კრეკენტორპი ამას არ გამოიგონებდა... ანდა, რაში

სჭირდებოდა?

- კარგი, დავუშვათ, რომ მარტინა კვლავ გამოჩნდა, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა კრედოკმა, - მაშინ მოტივი გაჩნდება... ვინაიდან მისი პრეტენზია თითოეული კრეკენტორპის წილს შეამცირებს, თუმცა არა იმდენად, რომ მისი

გულისთვის კაცი მკვლელობაზე წავიდეს. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ მათ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ...

- ჰაროლდსაცტ? - გაოცებული სახით იკითხა ლუსიმ.

- დიახ. მიუხედავად რესპექტაბელური გარეგნობისა, ჰაროლდ კრეკენტორპი საღად მოაზროვნე და კონსერვატორი ფინანსისტი არ არის. მან ბევრი ვალი აიღო და საკმაოდ სარისკო საქმეები წამოიწყო. კრახის თავიდან ასაცილებლად, უახლოეს პერიოდში მას დიდი თანხა სჭირდება.

- თუ ასეა... - დაიწყო ლუსიმ და შეყოყმანდა.

- დიახ, მის აილსბეროუ?

- მიგიხვდით, ჩემო კარგო, - დელიკატურად ჩაერთო მის მარპლი, - იმის თქმა გსურთ, რომ ეს მკვლელობა არავის სჭირდებოდა?

- დიახ. მარტინას სიკვდილი ვერაფრით დაეხმარება ვერც ჰაროლდს და ვერც დანარჩენებს. სანამ...

- სანამ ლუთერ კრეკენტორპი ცოცხალია. ასეა. ეს აზრი მეც მომივიდა თავში. მისტერ კრეკენტორპ-უფროსი კი, როგორც ექიმი ამბობს, გაცილებით ჯანმრთელია, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.

- ის კიდევ დიდხანს იცოცხლებს, - თქვა ლუსიმ და მოიდუმა. - აბა, რა მოხდა? - ჰკითხა კრედოკმა გასამხნეველად.

- შობის დღესასწაულზე ცუდად გახდა, - მიუგო ლუსიმ, - როგორც თვითონ მითხრა, ამის გამო ექიმს ერთი ამბავი აუტეხავს. „კაცი იფიქრებდა, რომ მომწამლეს“. ეს მისი

სიტყვებია. ქალიშვილმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო კრედოკს.

- დიახ, - თქვა ინსპექტორმა, - მეც სწორედ ამის შესახებ მინდა დოქტორ ქუიმპერთან გასაუბრება.

- უნდა წავიდე, - განაცხადა ლუსიმ, - ღმერთო ჩემო, რა დრო გასულა!

მის მარპლმა საქსოვი გადადო და „თაიმსი“ აიღო, რომელშიც კროსვორდი სანახევროდ ამოეხსნა.

- სამწუხაროა, რომ აქ ლექსიკონი არაა, - ჩაილაპარაკა მან, - „ტონტინი“ (ტონტინი - საინვესტიციო გეგმა კაპიტალის მოსაზიდად. ძირითადად, გავრცელებული იყო XVII-XVIII საუკუნეებში.) და „ტოკაი“ (ტოკაი - უნგრული ღვინო.) - ეს ორი სიტყვა ყოველთვის ერთმანეთში მერევა. თუ არ ვცდები, ერთ-ერთი მათგანი უნგრული ღვინის დასახელებაა.

- გხ ტოკაია, - თქვა ლუსიმ და ზღურბლიდან უკან მოიხედა. პირველი სიტყვა შვიდასოიანია, მეორე - ხუთი ასოსგან შედგება. რა წერია მათ შესახებ?

- ოჰ, არა, ეს კროსვორდიდან არ არის, - გაურკვეველად თქვა მის მარპლმა, - უბრალოდ, რაღაც გავიფიქრე.

ინსპექტორმა კრედოკმა მას გამომცდელად შეხედა, შემდეგ დაემშვიდობა და წავიდა.

თავი მეჩვიდმეტე

ინსპექტორ კრედოკს რამდენიმე წუთი მოცდამ მოუწია, სანამ ქუიმპერი პაციენტების საღამოს მიღებას დაამთავრებდა. ბოლოს მასთან გამოვიდა.

დაღლილი და დათრგუნვილი ჩანდა. კრედოკს დასალევი შესთავაზა, თავისთვისაც დაისხა და დალია.

- ბედოვლათები, - თქვა და გაცვეთილ სავარძელში ჩაეშვა. - მშიშრები და სულელები არიან, ტვინის ნატამალი არა აქვთ. დღეს ერთი სამწუხარო შემთხვევა მქონდა. ქალს სამი წლის წინ უნდა მოეკითხა ჩემთვის. საქმე რომ არ გაეჭიანურებინა, ოპერაციას გავუკეთებდი და კარგად იქნებოდა. ახლა კი ძალზე გვიანაა. ასეთი საქციელი მაცოფებს. საქმე ისაა, რომ ადამიანებში ერთდროულად გმირობაც ბუდობს და სიმხდალაც. ის ქალი ტკივილისგან იტანჯებოდა და უდრტვინველად იტანდა მას... მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმთან არ მიდიოდა, რათა ის არ დადასტურებულიყო, რისიც ეშინოდა. სხვა კატეგორიის ხალხიც არსებობს: ისინი ყოველი წვრილმანის გამო მაწუხებენ. ნეკიც რომ გაუსივდეთ, ამბობენ, რომ ჯოჯობეთურად სტკივათ, კიბო აქვთ. არადა, ბაღში მუშაობისას ოდნავ მოჰყინვიათ!.. კარგი, ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ორთქლის გამოშვება მჭირდებოდა. ჩემი ნახვა რისთვის დაგჭირდათ?

- ჭერ ერთი, მადლობის თქმა მინდოდა იმისთვის, რომ მის კრეკენტორპს ჩემთან მოსვლა და იმ წერილის ჩვენება ურჩიეთ, რომელიც ვითომდა მისი ძმის ქვრივმა გამოგზავნა.

- აჰა, გასაგებია. დაადგინეთ რამე? სიმართლე თუ გნებავთ, მისთვის არაფერი მირჩევია. თვითონ სურდა ამის გაკეთება. ძალიან წუხდა. მისი ძვირფასი უმცროსი ძმები კი, ცხადია, მის გადარწმუნებას ცდილობდნენ.

-- რატომ?

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

- ალბათ, ეშინოდათ, ის ქალი ნამდვილი მარტინა არ აღმოჩენილიყო.

- თქვენი აზრით, წერილი მართლა მარტინამ დაწერა?

- აბა, რა გითხრათ?! ჩემთვის წერილი არ უჩვენებიათ. ვფიქრობ, მოხერხებული ქალის გაკეთებულია. როგორც ჩანს, ზოგიერთი ფაქტი იცოდა და ბედი სცადა. ემას

გრძნობებზე თამაშის იმედი ჰქონდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ემა სულელი არ არის.

გულში ვერ ჩაიკრავდა უეცრად გამოჩენილ რძალს, სანამ ყველაფერს არ გაარკვევდა. მითხარით, ჩემი აზრი რატომ გაინტერესებთ? - ცნობისმოყვარეობით იკითხა მან. - ეს

ხომ მე არ მეხება.

- გამოგიტყდებით, თქვენთან სხვა მიზეზის გამო მოვედი. თუმცა არ ვიცი, რომელი მხრიდან მივუდგე.

დოქტორი ქუიმპერი აშკარად დაინტერესდა.

- როგორც ვიცი, - დაიწყო კრედოკმა, - არცთუ დიდი ხნის წინ, შობის დღესასწაულზე, მისტერ კრეკენტორპმა სერიოზულად იავადმყოფა.

ინსპექტორმა შეამჩნია, რომ ექიმს სახე შეეცვალა - გაუმკაცრდა. - დიახ.

- კუჭის მოქმედების დარღვევასთან დაკავშირებით?

- დიახ.

- ცოტა უცნაური ხომ არ არის? მისტერ კრეკენტორპი საკუთარი ჯანმრთელობით ტრაბახობდა, ირწმუნებოდა, რომ ოჯახის წევრების უმრავლესობაზე დიდხანს

იცოცხლებდა. თქვენც გადმოგწვდათ, ექიმო... მაპატიეთ...

- ოჰ, ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ოდნავადაც არ განვიცდი იმას, რასაც პაციენტები ჩემ შესახებ ამბობენ!

- ასე თქვა, ბებერი ქალივით იქცეოდაო. ქუიმპერს გაეღიმა.

- ხაზი გაუსვა, რომ ათასგვარ შეკითხვას უსვამდით - რა ჭამეთ, საჭმელი ვინ მოამზადა, ვინ მოგიტანათო, - და ასე შემდეგ.

ექიმი აღარ იღიმებოდა. სახე კვლავ გაუმკაცრდა.

- განაგრძეთ.

- ასეთი ფრაზაც წარმოთქვა: „ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვიდაცამ ჩემი მოწამვლა სცადა“.

პაუზა ჩამოვარდა. - გაგიჩნდათ... მსგავსი ეჭვი?

ქუიმპერი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოლოს კრედოკისკენ შეტრიალდა.

- რისი მოსმენა გსურთ, დალახვროს ეშმაკმა? ნუთუ გგონიათ, რომ ექიმს შეუძლია, მტკიცებულების გარეშე მსგავსი ბრალდება გამოთქვას?

- მხოლოდ იმის გაგება მსურს - ცხადია, არაოფიციალურად, - თავში მსგავსი აზრი თუ მოგივიდათ?

- მოხუცი კრეკენტორპი, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტას ქამს - ის ხომ ყველაფერში მომჭირნეობას იჩენს. მაგრამ როდესაც შინ მთელი ოჯახი იკრიბება, ემა ყველას

გულუხვად უმასპინძლდება. შედეგად, გასტროენტერიტის მწვავე შეტევა დაემართა, რომლის სიმპტომები ამ დიაგნოზთან თავსებადია.

კრედოკი არ მოეშვა: - გასაგებია. თქვენს დიაგნოზში ეყვი არ შეგპარვიათ? არაფერს გაუოცებინართ?

- კარგი, კარგი. დიახ, გავოცდი! დაკმაყოფილდით?

- ძალიან დამაინტერესეთ, - უთხრა კრედოკმა, - მაინც რამ დაგაეჭვათ ან შეგაშინათ?

- გასტრიტი, ცხადია, სხვადასხვანაირი არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმპტომები დარიშხანით მოწამვლაზე უფრო მიანიშნებდა, ვიდრე უბრალო გასტროენტერიტზე. გაითვალისწინეთ, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ზოგჯერ უფრო გამოცდილ სპეციალისტებსაც კი - მე მხოლოდ თერაპევტი ვარ - ვერ დაუდგენიათ დარიშხანით მოწამვლა და უყოყმანოდ დაუწერიათ დასკვნა, რომ სიკვდილის მიზეზი ბუნებრივმა ავადმყოფობამ გამოიწვია.

- თქვენ რა დაასკვნით მისტერ კრეკენტორპის გამოკითხვის შემდეგ?

- როგორც ჩანს, ჩემი ეჭვი სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. მისტერ კრეკენტორპმა დამარწმუნა, რომ მსგავსი შეტევა ადრეც ჰქონია, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩემი პაციენტი გახდებოდა, თანაც, იმავე მიზეზით: მსუყე და ცხიმოვანი საჭმლის გამო.

- ეს მაშინ ხდებოდა, როცა სახლში ოჯახის წევრები და სტუმრები იკრიბებოდნენ?

- დიახ. ძალზე გონივრული ახსნაა. მაგრამ, რომ არ დაგიმალოთ, მისტერ კრედოკ, მაინც ვერ დავმშვიდდი... მივწერე კიდევ მოხუცებულ მორისს. ის ჩემი უფროსი კომპანიონი იყო და ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ მალევე გადადგა. მანამდე კრეკენტორპი მისი პაციენტი იყო. მორისს ვკითხე, თუ რა სახის შეტევა იყო ეს და რას ფიქრობდა მასზე?

- მერე, რა გიპასუხათ? ქუიმპერს გაეცინა.

- ასე ვთქვათ, სილა გამაწნა. მიმანიშნა, სულელივით ნუ იქცევო, - ექიმმა მხრები აიჩეჩა, - უნდა გითხრათ, მართლა სულელივით ვიქცეოდი.

- საინტერესოა, - ჩაფიქრებული სახით თქვა კრედოკმა.

შემდეგ გადაწყვიტა, გულწრფელად ელაპარაკა.

- მოდი, გულახდილად ვისაუბროთ, ექიმო. არის რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ლუთერ კრეკენტორპის სიკვდილი მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს.

ქუიმპერი თავის დაქნევით დაეთანხმა.

- მართალია, ხანში შესული კაცია, - განაგრძო კრედოკმა, - ჯერ კიდევ ძალზე მხნედ გამოიყურება. ოთხმოცდაათ წლამდე თუ მიაღწევს?

- თავისუფლად. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი თავის მოვლის მეტს არაფერს აკეთებს, თანაც ძლიერი ორგანიზმი აქვს.

- მისი ვაჟიშვილები და ქალიშვილი კი ახალგაზრდები აღარ არიან და შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობა ყველაზე მეტად აღიზიანებთ.

- ემას ეს არ ეხება. ის არაფერ შუაშია. მოხუცს შეტევა მხოლოდ მაშინ ემართება, როდესაც ოჯახის სხვა წევრები ჩამოდიან. როდესაც მხოლოდ ორნი არიან, მშვიდად, უდავიდარაბოდ ცხოვრობენ.

„ელემენტარული წინდახედულობა... ცხადია, თუ ეს მართლა ემას“, - გაიფიქრა ინსპექტორმა, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს, რადგან გადაწყვიტა, პიროვნებებს არ შეხებოდა.

- ბუნებრივია, ამ საკითხებში ცუდად ვერკვევი, - განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ, თან სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა, - მაგრამ დავუშვათ, თუნდაც ჰიპოთეზურად, რომ დარიშხანი მაინც გამოიყენეს... გამოდის, რომ მისტერ კრეკენტორპი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა?

- აი, თქვენც შეამჩნიეთ ეს უცნაურობა, - თქვა დოქტორმა ქუიმპერმა, - სწორედ ეს გარემოება მიბიძგებს იმის აღიარებისკენ, რომ ბებერმა მორისმა ტყუილუბრალოდ არ მიმანიშნა, სულელივით ნუ იქცევით. უნდა გითხრათ, ეს ის შემთხვევა არაა, როდესაც დარიშხანი მცირე დოზით რეგულარულად შეჰყავთ. კრეკენტორპს ქრონიკული გასტრიტი არასდროს სჭირდა. ასე რომ, უეცარი შეტევა, სულ ცოტა, უცნაურად გამოიყურება, და თუ დავუშვებთ, რომ ამ შეტევების მიზეზი ავადმყოფობა არაა, უნდა ვიფიქროთ, რომ მოწამვლის მსურველი ყოველ ჯერზე ცდება დოზის შერჩევას... ეს კი აბსურდია.

- იმის თქმა გსურთ, რომ ძალზე ცოტას უყრის?

- დიახ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრეკენტორპს ძლიერი ორგანიზმი აქვს და დოზა, რომელიც თავისუფლად ეყოფოდა სხვა ადამიანს, მისთვის, შესაძლოა, საკმარისი არ ყოფილიყო. ყოველი ორგანიზმი თავისებურად რეაგირებს ამა თუ იმ საწამლაზე. მაგრამ ამდენი მცდელობის შემდეგ დროა, რომ მოწამვლის მსურველმა შესაფერისი დოზა გამოიყენოს. რატომ არ აკეთებს ამას?..

- იმიტომ, - განაგრძო მან, - რომ მოწამვლის მსურველი არ არსებობს! შესაძლოა, ეს თავიდან ბოლომდე მხოლოდ ჩემი მდიდარი წარმოსახვის ბრალია.

- უცნაური პრობლემაა, - დაეთანხმა ინსპექტორი, - მართლა უაზრობა გამოდის.

- ინსპექტორო კრედოკ!

მოუთმენელმა ჩურჩულმა ინსპექტორი შეაკრთო.

ის სადარბაზო კართან იდგა და ზარის დარეკვას აპირებდა. ჩრდილიდან ალექსანდრე და მისი მეგობარი სტოდარტ-უესტი გამოვიდნენ და ფრთხილად მიიხედ-მოიხედეს.

- თქვენი მანქანის ხმა გავიგონეთ და გვინდოდა მოგვესწრო, სანამ შეხვიდოდით.

- ჰოდა, თუ ასეა, შიგნით შევიდეთ, - მიუგო კრედოკმა და ხელი კვლავ ზარისკენ გაიწვდინა, მაგრამ ალექსანდრემ სახელოზე დაქაჩა - იმ ძაღლის ლეკვს ჰგავდა, დაჟინებით რომ ითხოვს ყურადღებას.

- ჩვენ სამხილს მივაგენით, - ერთი ამოსუნთქვით თქვა მან.

- დიახ, სამხილს მივაგენით, - ექოსავით გაიმეორა სტოდარტ-უესტმა. „ჯანდაბა იმ გოგოს თავს!“ - უბოროტოდ გაივლო გულში კრედოკმა.

- შესანიშნავია, - უდარდელი კილოთი ჩაილაპარაკა მან, - სახლში შევიდეთ და ვნახოთ, რა არის.

- არა, - გადაჭრით მიუგო ალექსანდრემ, - ვინმე უეჭველად ხელს შეგვიშლის. აჯობებს, სასარაჯოში(სასარაჯო - სახელოსნო, სადაც ცხენების ტყავის აკაზმულობას ამზადებენ.) წავიდეთ. ჩვენ გაგიძღვებით.

კრედოკი უხალისოდ დათანხმდა. სახლის კუთხეში შეუხვიეს და საჯინიბოების ეზოსკენ გასწიეს. სტოდარტ-უესტმა მძიმე კარი ხელის კვრით შეაღო და ჩამრთველი გადაატრიალა. იქაურობა მკრთალად განათდა. ოდესღაც ვიქტორიული ეპოქისთვის

დამახასიათებელი სისუფთავითა და წესრიგით თავმომწონე სასარაჯო ახლა ყოველგვარი ძველმანის საწყობად ექციათ.

მოჩანდა ბაღის მოღრეცილფეხებიანი ძელსკამები, დაჟანგული ინვენტარი, უშველებელი ბალახის საკრეჭი მანქანა, აქა-იქ ზამბარებამოჩრილი მატრასები, ჰამაკები, დაგლეჯილი ჩოგბურთის ბადეები და მისთანები.

- აქ ხშირად მოვდივართ, - თქვა ალექსანდრემ, - ხელს არავინ გვიშლის.

ოთახს ადამიანის ცხოვრების კვალი მართლა ეტყობოდა. ძველი მატრასები ისე დაეწყოთ, რომ ერთგვარი დივანი გამოსულიყო; ჟანგით შეჭმულ ბაღის მაგიდაზე ეწყო შოკოლადის ნამცხვრის თუნუქის დიდი ქილა, ბევრი ვაშლი, თუნუქის კანფეტებიანი კოლოფი და რაღაც თავსატეხი კონსტრუქცია.

- ეს ნამდვილი სამხილია, სერ, - მოუთმენლად თქვა სტოდარტ-უესტმა, რომელსაც სათვალის მინების მიღმა თვალები უელავდა, - დღეს დილას მივაგენით.

- რამდენი დღე ვეძებდით! ბუჩქებშიც...

- ხის ფულუროებშიც...

- ნაგვის ბუნკერებშიც გადავაქოთეთ...

- სხვათა შორის, მშვენიერი ნივთები აღმოვაჩინეთ, ფაქტობრივად... - შემდეგ კი საქვაბეში შევედით.

- მოხუც ჰილმენს იქ დიდი, მოთუთიებული აბაზანა აქვს, რომელშიც უსარგებლო ქაღალდები ყრია...

- გასათბობად, თუ შემთხვევით საქვაბე ჩაქრება...

- მაშინვე ხელს სტაცებს რომელიმე ქალაქს და ღუმელში გადაუძახებს...
- სწორედ იქ მივაგენით...
- იქნებ მითხრათ, რა ნახეთ? - გააწყვეტინა კრედოკმა შთაგონებულ დუეტს.
- ნივთმტკიცება! მიდი, სტოდერს! ოღონდ ხელთათმანი ჩაიცვი.

სტოდარტ-უესტმა, საუკეთესო დეტექტიური რომანების ტრადიციების მიხედვით, საკმაოდ ბინძური ხელთათმანი ჩაიცვა და ჯიბიდან „კოდაკის“ ფოტოსურათების პაკეტი ამოიღო. იქიდან უდიდესი სიფრთხილით ამოაძვრინა ჭუჭყიანი, დაჭმუჭნილი კონვერტი და ინსპექტორს საზეიმოდ გადასცა.

ნორჩი მაძებრები სუნთქვაშეკრულები ელოდნენ მის რეაქციას.

კრედოკმა კონვერტი ვითარების შესაფერისი სერიოზულობით აიღო. მას მოსწონდა ბიჭები და მზად იყო, მათთვის თამაშში მხარი აეხა.

გახეული კონვერტი ცარიელი იყო, ზედ საფოსტო შტემპელი ერტყა და ეწერა: მისის მარტინა კრეკენტორპს, ელვესკრესენტი, 126, 10.

- ხედავთ? - ჩურჩულით წარმოთქვა ალექსანდრემ. - მაშასადამე, ის აქ ყოფილა! ის, ბიძია ედმუნდის ფრანგი ცოლი... აი, ის, რომლის გამოც ეს ალიაქოთი ატყდა. ჩვენს მამულში ყოფილა და კონვერტი სადღაც დავარდნია. ხომ ყველაფერი ემთხვევა, სერ?

- მაშასადამე, - გააწყვეტინა სტოდარტ-უესტმა, - ის მოუკლავთ და სარკოფაგში ჩაუწვენიათ. ამას წყალი არ გაუვა, ასე არ არის, სერ?

ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ ინსპექტორის პასუხს. კრედოკმა კვლავ აუბა მხარი.

- შესაძლებელია, - თქვა მან, - სავსებით შესაძლებელია.

- ეს მნიშვნელოვანი, ძალზე მნიშვნელოვანი სამხილია, არა, სერ? თითის ანაბეჭდებსაც ხომ შეამოწმებთ? ვისიც ზედ დარჩა?

- აუცილებლად! - პათოსით წარმოთქვა ინსპექტორმა. სტოდარტ-უესტმა შვებით ამოისუნთქა.

- ბედმა მაინც გაგვიღიმა, არა? - თქვა მან. - თანაც ბოლო დღეს?

- ბოლო დღეს?

- დიახ, - დაუდასტურა ალექსანდრემ, - ხვალ სტოდარტთან მივემგზავრები სტუმრად, არდადეგების ბოლომდე. შესანიშნავი სახლი აქვთ. დედოფალ ანას(დედოფალი ანა - სტიუარტების დინასტიის უკანასკნელი მონარქი ქალი (1702-1714).) დროინდელი, ხომ ასეა?

- არა, უილიამისა და მერის(უილიამი და მერი - იგულისხმებიან ინგლისის მეფე უილიამ III ორანელი და მისი მეუღლე.) დროინდელი, - შეუსწორა სტოდარტ-უესტმა.

- მაგრამ დედაშენი ამბობდა...
- დედაჩემი ფრანგია, ინგლისურ არქიტექტურაში ცუდად ერკვევა.
- მაგრამ მამაშენმა თქვა, რომ სახლი...

ამასობაში კრედოკი კონვერტს ათვალთვლებდა.

რა ჭკვიანია ეს ლუსი აილსბეროუ! როგორ მოახერხა საფოსტო მარკის გაყალბება? ინსპექტორი კონვერტს ახლოდან დააკვირდა, თუმცა, ცუდი განათების გამო, ბევრი ვერაფერი გაარჩია. ცხადია, ბიჭებმა ძალიან გაიხარეს, მას კი ზედმეტი თავის ტკივილი ერგო. ჯანდაბა, ლუსიმ ეს ვერ გაითვალისწინა. თუ სამხილი ნამდვილი იყო, სასწრაფოდ უნდა ემოქმედა. აქ...

გვერდით ცხარე სამეცნიერო დისკუსია გაჩაღდა არქიტექტურულ სტილთან დაკავშირებით, მაგრამ ინსპექტორს არაფერი ესმოდა.

- კარგი, ბიჭებო, - თქვა მან ბოლოს, - სახლში შევიდეთ. თქვენ ძალიან დაგვეხმარეთ.

თავი მეთვრამეტე

ბიჭებმა კრედოკი სახლში უკანა კარიდან შეიყვანეს. როგორც ჩანს, ამ შესასვლელით ხშირად სარგებლობდნენ. განათებულ სამზარეულოში მყუდროება სუფევდა. ლუსის დიდი თეთრი წინსაფარი ეკეთა და ცომს აბრტყელებდა. კამოდზე მიყრდნობილი ბრაიან ისთლი მას ძალღური ერთგულებით შესცქეროდა და შიგადაშიგ თავის დიდ ქერა უღვაშს იპრებდა.

- გამარჯობა, მამა, - უთხრა ალექსანდრემ ალერსიანად, - კვლავ აქ ხარ?

- მომწონს სამზარეულოში ყოფნა, - მიუგო ბრაიანმა, - მის აილსბეროუ წინააღმდეგი არ არის.

- ოჰ, ცხადია, არა, - თქვა ლუსიმ, - სადამო მშვიდობისა, ინსპექტორო კრედოკ. - სამზარეულოს გასაჩხრეკად მოხვედით? - ინტერესით იკითხა ბრაიანმა.

- ასე არ ვიტყვოდი. მითხარით, მისტერ სედრიკ კრეკენტორპი ჯერ არ გამგზავრებულა, არა?

- ო, არა. ჯერაც აქ არის. მისი ნახვა გსურთ? - მასთან დალაპარაკება მინდოდა... თუ შეიძლება.

- წავალ, ვნახავ, სახლში თუ არის, - თქვა ბრაიანმა, - შესაძლოა, ადგილობრივ ლუდხანაში შეიარა.

იგი კამოდს მოსცილდა.

- გპმადლობთ, - უთხრა ლუსიმ, - თვითონ წავიდოდი, მაგრამ ხელები ფქვილით მაქვს დასვრილი.

- რა უნდა გამოაცხოთ? - აღელვებით იკითხა სტოდარტ-უესტმა.

- ღვეზელი პიკანტური ან ტკბილი შიგთავსით.
- კარგიაა-ა! - შესძახა სტოდარტ-უესტმა.
- ვახშამი მალე იქნება? - დაინტერესდა ალექსანდრე.
- არა.
- აუჰ! საშინლად მშია.
- საკუჭნაოში ტორტის დარჩენილი ნაწილი დევეს.

ბიჭები ერთდროულად გავარდნენ წინ და კინალამ ერთმანეთს შეეჯახნენ. - კალიების გუნდით ყველაფერს მუსრს ავლებენ, - გაიხუმრა ლუსიმ. - მიიღეთ ჩემი მილოცვა, - უთხრა კრედოკმა.

- მილოცვა? რისთვის?
- თქვენი გამომგონებლობისთვის - აი, რისთვის.
- გამომგონებლობისთვის?

კრედოკმა მას პაკეტზე მიუთითა, რომელშიც კონვერტი იდო.

- შესანიშნავი ნამუშევარია, - თქვა მან.
- რას გულისხმობთ?

- რას და ამას, ძვირფასო ლედი, ამას, - ინსპექტორმა კონვერტი სანახევროდ ამოსწია.

ლუსი მას გაოცებით მიაჩერდა. უეცრად კრედოკმა იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა.

- განა თქვენ არ დაამზადეთ ეს სამხილი, შემდეგ კი საქვების ოთახში მოათავსეთ, რათა ბიჭებს ეპოვათ? მიპასუხეთ... სწრაფად!

- ვერ ვხვდები, რისი თქმა გსურთ. იმას გულისხმობთ, რომ...

კრედოკმა შეამჩნია, რომ ბრაიანი ბრუნდებოდა და პაკეტი საჩქაროდ ჯიბეში დამალა.

- სედრიკი ბიბლიოთეკაშია, - თქვა ბრაიანმა, - გელოდებათ.

იგი კვლავ კამოდს მიეყრდნო, ინსპექტორი კი ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

სედრიკ კრეკენტორპი თითქოს კმაყოფილი ჩანდა ინსპექტორის დანახვით.

-- როგორ მიდის გამოძიების საქმე? - იკითხა მან. - ხელშესახებ წარმატებას თუ მიაღწიეთ?

- მხოლოდ ოდნავ წავიწიეთ წინ, მისტერ კრეკენტორპ.
- დაადგინეთ, ვისი გვამია?

- ჭერჯერობით არა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი გვაქვს.

- ესეც კარგია.

- ახლახან მიღებული დამატებითი ინფორმაციიდან გამომდინარე, რამდენიმე საკითხის დაზუსტება მსურს. რადგან აქ ხართ, გადავწყვიტე, თქვენით დამეწყო, მისტერ კრეკენტორპ.

- დიდხანს დარჩენას არ ვაპირებ. ორი დღის შემდეგ იბიცაზე ვბრუნდები.

- თუ ასეა, დროულად მოვსულვარ.

- აბა, დავიწყეთ!

- თუ შეიძლება, დაწვრილებით, ზუსტად მომიყევით, სად იყავით და რას აკეთებდით პარასკევს, 20 დეკემბერს.

სედრიკმა სწრაფად გახედა მას, შემდეგ უკან გადაიზნია, დაამთქნარა, უდარდელი სახე მიიღო და ისე დაფიქრდა, თითქოს გახსენებას ცდილობდა.

- უკვე გითხარით, რომ შინ ვიყავი, იბიცაზე. მთავარი სირთულე ისაა, რომ ჩემთვის ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. დილაობით ვხატავ, სამიდან ხუთამდე სიესტა(სიესტა - სადილის შემდგომი ძილი ესპანეთსა და ზოგიერთ სხვა, ცხელი კლიმატის

ქვეყანაში.). თუ კარგი ამინდია, ჩანახატებს ვაკეთებ. შემდეგ - აპერიტივი მოედანზე მდებარე კაფეში მერთან ან ექიმთან ერთად. ამას მსუბუქად წახემსება მოსდევს. საღამოს უმეტეს ნაწილს „სკოტის ბარში“ ვატარებ მეგობრების, უბრალო ადამიანების გარემოცვაში. დაკმაყოფილდით?

- მე სიმართლე მაინტერესებს, მისტერ კრეკენტორპ.

სედრიკი წელში გაიმართა.

- ეს შეურაცხმყოფელი განცხადებაა, ინსპექტორო.

- ასე გგონიათ? მისტერ კრეკენტორპ, თქვენ მითხარით, რომ იბიციდან ოცდაერთ დეკემბერს გამოემგზავრეთ და იმავე დღეს ჩამოხვედით ინგლისში.

- სწორედ ასე იყო. ემ! გამარჯობა, ემ!

ემა კრეკენტორპი პატარა სასტუმრო ოთახის კარიდან შემოვიდა და კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო სედრიკსა და ინსპექტორს.

- მომისმინე, ემ. აქ ხომ შობის წინა შაბათს ჩამოვფრინდი? პირდაპირ აეროპორტიდან მოვედი, არა?

- დიახ, - მიუგო გაოცებულმა ემამ, - სწორედ ლანჩის დაწყებისთვის.

- აი, ხომ ხედავთ? - უთხრა სედრიკმა ინსპექტორს.

- როგორც ვხედავ, სულელები გგონივართ, მისტერ კრეკენტორპ, - თავაზიანად მიუგო ინსპექტორმა, - ალბათ, იცით, რომ თქვენი სიტყვების

გადამოწმება შეგვიძლია. ვფიქრობ, თუ თქვენს პასპორტს გვიჩვენებთ...

მან მომლოდინის პოზა მიიღო.

- დილიდანვე ვეძებდი იმ წყეულს, მაგრამ ვერსად მივაგენი, - თქვა სედრიკმა, - „კუკის ბიუროში“ (| „კუკის ბიურო“ - ცნობილი ტურისტული სააგენტო.) ვაპირებდი მის გაგზავნას.

- მაშასადამე, ცუდად გიძებნიათ, მისტერ კრეკენტორპ. თუმცა, თქვენი პასპორტი აღარ მჭირდება. სასაზღვრო სამსახურს დაფიქსირებული აქვს, რომ ინგლისში ცხრამეტი დეკემბრის საღამოს ჩამობრძანდით. იქნებ ახლა მაინც მითხრათ, რას აკეთებდით ცხრამეტი დეკემბრის საღამოდან მამულში მისვლამდე ანუ დაახლოებით ოცდაერთი დეკემბრის ლანჩამდე?

სედრიკმა წამსვე გაბოროტებული სახე მიიღო.

- ჩვენს დროში ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა, - თქვა მან გაბრაზებით, - ყველგან

ანკეტებისა და ბლანკების შევსებას ითხოვენ. აი, სადამდე მივიდა ბიუროკრატიული სახელმწიფო. კაცი ვერსად წასულა და ვერაფერი გაუკეთებია თავის გემოზე! ვიღაც ყოველთვის შეკითხვებს გისვამს. მითხარით, რატომ ატყდა ამხელა ამბავი ოცდაერთ რიცხვთან დაკავშირებით? მასში რამე განსაკუთრებულია?

- ჩვენი ვარაუდით, სწორედ იმ დღეს მოკლეს ის ქალი. ცხადია, შეგვიძლიათ, უარი განაცხადოთ პასუხის გაცემაზე, თუმცა...

- ვინ ამბობს, რომ პასუხის გაცემას არ ვაპირებ? ცოტა მადროვეთ. სხვათა შორის, მოკვლევაზე არაფერი გითქვამთ სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით. მაშასადამე, მას შემდეგ ახალი ინფორმაცია შემოსულა.

კრედოკი დუმდა. სედრიკმა ალმაცერად გახედა დას და იკითხა: - შეგვიძლია, სხვა ოთახში გავიდეთ?

- დაგტოვებთ, - თქვა ემამ, მაშინვე წამოდგა და კარისკენ სწრაფად გაემართა, თუმცა ლიობში შეჩერდა, მოტრიალდა და დაამატა: - ეს სერიოზული საქმეა, სედრიკ. თუ ქალი ოც რიცხვში მოკლეს, ინსპექტორს ყოველი წუთის შესახებ წვრილად უნდა უამბო.

იგი გვერდით ოთახში გავიდა და კარი მიხურა.

- ემა ყოჩალი ქალია, - თქვა სედრიკმა, - კარგი, დავიწყოთ. დიახ, იბიციდან ცხრამეტში გამოვემგზავრე. ერთი-ორი დღით პარიზში ვაპირებდი დარჩენას, აგრეთვე - არხის მეორე მხარეს ძველ მეგობრებთან რამდენიმე დღის გატარებას. მაგრამ ისე მოხდა, რომ თვითმფრინავში ძალზე მომხიბლავი ქალი გავიცანი... საოცრად მიმზიდველი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, თვითმფრინავიდან ერთად ჩამოვედით. იგი შტატებში უნდა გამგზავრებულიყო, ოღონდ ჯერ ლონდონში უნდა მოეგვარებინა რაღაც საქმეები. ასე და ამგვარად, ცხრამეტში ჩამოვფრინდით და სასტუმრო „კინგსუეი პალასში“ გავჩერდით. ამას იმ შემთხვევისთვის გეუბნებით, თუ

თქვენს აგენტებს ეს ჯერ არ აღმოუჩენიათ. იქ ჯონ ბრაუნად დავრეგისტრირდი... მსგავს ვითარებაში ყველა ასე იქცევა.

- ოცში რას აკეთებდით?

სედრიკი დაიყვანა.

- ნაბახუსევზე მთელი დილა ლოგინში გავატარე. - შუადღისას? სამი საათის შემდეგ?

- ახლავე გავიხსენებ... ცოტა გავისეირნე. მთვარეულივით დავბორიალებდი.

ნაციონალურ გალერეაში შევიარე... ხომ ღირსეული საქციელია? შემდეგ ფილმი ვნახე - „როენა პრერიიდან“. ვესტერნი ბავშვობიდან მიტაცებდა. ძალიან ვისიამოვნე. ბარში ცოტაოდენი ლუდი დავლიე, სასტუმროში დავბრუნდი და წავუძინე. ათი საათისთვის მეგობარ ქალთან ერთად დროს სატარებელი ადგილებისკენ გავემართეთ. დასახელებებს ვერ ვიხსენებ. ერთს, მგონი, „მოხტუნავე ბაყაყი“ ერქვა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი თანამგზავრი იმ ადგილებს ჩემზე უკეთ იცნობდა. გამოგიტყდებით, მაშინ ბლომად დავლიე და მხოლოდ მომდევნო დილა მახსოვს. წინა დილასთან შედარებით, უარესად ვიყავი, თავი მისკდებოდა. ქალი თვითმფრინავში ჩაჯდა და გაფრინდა, მე კი თავი ცივ წყალს შევუშვირე, აფთიაქში რაღაც საშინელი წამალი ვიყიდე და რეზერფორდჰოლში გამოვემგზავრე. ემას განაწყენება არ მინდოდა, ამიტომ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ჰითროუს აეროპორტიდან მოვდიოდი. მოგეხსენებათ, ქალებს არ მოსწონთ, როდესაც კაცები შინ მისვლამდე სხვაგან გაივლიან. მისგან ფული ვისესხე, რათა ტაქსის მძღოლისთვის გადამეხადა - მე ხომ ჯიბეში პენიც არ მედო. მამისთვის თხოვნას აზრი არ ჰქონდა. ის ბებერი არამზადა ფულს არავის აძლევს. რას იტყვით, დაკმაყოფილდით?

- ვინმეს თუ შეუძლია, რამე მაინც დაადასტუროს თქვენი ნაამბობიდან, მისტერ კრეკენტორპ? თუნდაც ის, რაც სამიდან საღამოს შვიდ საათამდე მოხდა?

- ვფიქრობ, ეს ნაკლებად სავარაუდოა, - მხიარულად მიუგო სედრიკმა, - ნაციონალურ გალერეაში თანამშრომლები თითქოს ვერც კი გხედავენ, კინოთეატრში კი იმდენი ხალხია, ისედაც ვერავინ შეგამჩნევთ. არა, არა მგონია.

ამ დროს ემა დაბრუნდა, ხელში პატარა ბლოკნოტი ეჭირა.

- თუ სწორად გავიგე, ინსპექტორო კრედოკ, გაინტერესებთ, რას აკეთებდა თითოეული ჩვენგანი ოც დეკემბერს, არა?

- ე-ე... დიახ, მის კრეკენტორპ.

- ახლახან ჩემს ჩანაწერებს გადავხედე. დილიდან ბრეკჰემპტონში ეკლესიის აღდგენის ფონდის კრებას დავესწარი. ის დაახლოებით 12:45-ზე დასრულდა. ლედი ედინგტონსა და მის ბარტლეტთან ერთად - ისინიც ამ ფონდის კომიტეტის წევრები არიან - კაფე „კადენაში“ ვისადილე, იქიდან კი საშობაო

საჩუქრებისა და სადღესასწაულო სუფრისთვის პროდუქტის საყიდლად გავემართე. შევიარე გრინფორდის, ლაიალის, სვიფტის, ბუთის საფირმო და ზოგიერთ ნაკლებად სოლიდურ მაღაზიებში. 16:55-ზე შემროკის ჩაის სახლში ჩაი გეახელით. მერე რკინიგზის სადგურში ბრაიანის დასახვედრად წავედი, რომელიც მატარებლით უნდა ჩამოსულიყო. შინ ექვსი საათისთვის მოვედი. მამა საშინელ ხასიათზე დაგვხვდა: წასვლისას მას სადილი დავუტოვე. მისის ჰარტს დღისით მისთვის ჩაი უნდა მიერთმია, მაგრამ რატომღაც საერთოდ არ მოსულა და მამა ძალიან გაბრაზდა. თავის ოთახში ჩაიკეტა და ჩემთან ლაპარაკიც არ სურდა. არ მოსწონს, როდესაც სახლიდან მთელი დღით გავდივარ. მე კი ზოგჯერ განზრახ ვიქცევი ასე.

- გონივრული საქციელია. გმადლობთ, მის კრეკენტორპ.

ინსპექტორი ვერ ეტყოდა მას, რომ, ვინაიდან ქალი იყო და არა მამაკაცი, თანაც ხუთი ფუტისა და შვიდი დუიმის სიმაღლის, მის გადაადგილებას იმ საბედისწერო დღეს პოლიციისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნაცვლად ამისა, თქვა:

- როგორც ვხვდები, თქვენი ორი ძმა მოგვიანებით გესტუმრათ, არა?

- ალფრედი შაბათ საღამოს მოვიდა. თქვა, რომ ტელეფონით დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ მე შინ არ ვიყავი, მამა კი, როცა უხასიათოდაა, ყურმილს ხელს არ ჰკიდებს. ჰაროლდი ზუსტად შობის წინადღეს გვეწვია.

- გმადლობთ, მის კრეკენტორპ.

- ამას ალბათ არ უნდა გეკითხებოდეთ... - გაუბედავად თქვა ქალმა. - მაგრამ, ვინაიდან კვლავ მობრძანდით და შეკითხვებს გვისვამთ, როგორც ჩანს, რაღაც ახალი შეიტყვეთ.

კრედოკმა ჯიბიდან პაკეტი ამოაცურა და იქიდან თითის წვერებით კონვერტი ამოიღო.

- ოღონდ არ შეეხოთ, თუ შეიძლება. ხომ არ გეცნობათ?

- გხ... - ემა დაბნეული სახით შეჰყურებდა კონვერტს. - ეს ხომ ჩემი ხელწერაა. წერილი, რომელიც მარტინას მივწერე.

- ასეც ვფიქრობდი.

- თქვენთან როგორ მოხვდა? განა ის... თქვენ მას მიაგენით?

- შესაძლოა, მივაგენით კიდევ. ეს ცარიელი კონვერტი კი აქ ვიპოვეთ. - სახლში?

- ცოტა მოშორებით.

- მაშასადამე... ის მაინც მოსულა აქ! ის... იმის თქმა გსურთ, რომ სარკოფაგში მოთავსებული ქალი... მარტინაა?

- სავსებით შესაძლებელია, მის კრეკენტორპ, - რბილად მიუგო კრედოკმა.

ინსპექტორი ამაში უფრო მეტად მაშინ დარწმუნდა, როდესაც ლონდონში დაბრუნებულს, მაგიდაზე არმან დესანის მიერ გამოგზავნილი შეტყობინება დახვდა:

„ანა სტრავინსკას ერთ-ერთმა მეგობარმა გოგომ მისგან ღია ბარათი მიიღო.

როგორც ჩანს, მოგზაურობის თაობაზე გამოთქმული ვარაუდი სიმართლე აღმოჩნდა! ანა უკვე იამაიკაზეა და, როგორც თქვენთან ამბობენ, მშვენივრად ატარებს დროს!“

კრედოკმა ბარათი დაყმუყნა და ნაგვის ურნაში ჩააგდო.

- უნდა ვთქვა, - განაცხადა საწოლზე მჯდომმა ალექსანდრემ და ჩაფიქრებული სახით მოკბიჩა შოკოლადის ფილა, - რომ ამაზე კარგი დღე არასდროს გვექონია. ნამდვილ სამხილს მივაგენით!

ბიჭს აღტაცებისგან ხმა უთრთოდა.

- საუცხოო არდადეგები გამოვიდა, - განაგრძო ბედნიერებით აღვსილმა, - არა მგონია, ასეთი რამ ოდესმე განმეორდეს.

- ვიმედოვნებ, არც ჩემს ცხოვრებაში იქნება მსგავსი შემთხვევა, - თქვა ლუსიმ, რომელიც მუხლებზე იდგა და ჩემოდანში ალექსანდრეს ნივთებს აწყობდა, - ნუთუ ყველა ამ წიგნის წაღებას აპირებ?

- ყველას, გარდა ზედა ორისა. ისინი უკვე წავიკითხე. ფეხბურთის ბურთი, ბუცები და რეზინის ჩექმები შეგვიძლია, ცალკე მოვათავსოთ.

- ბიჭებო, რამდენ ნივთს დააატარებთ თან!

- არაფერია. ჩვენს წასაყვანად „როლსი“ მოვა. მათ გადასარევი „როლსი“ ჰყავთ. და ახალთახალი „მერსედეს-ბენციც“.

- მდიდრები ყოფილან.

- წარმოუდგენლად მდიდრები! თანაც კარგი ხალხია. თუმცა აქ მაინც სიამოვნებით დავრჩებოდი. იქნებ ჩვენი წასვლის შემდეგ კიდევ ერთ გვამს მიაგნონ.

- იმედი მაქვს, ეს აღარ მოხდება.

- სამაგიეროდ, წიგნებში ხდება ხშირად. იმათ კლავენ, ვინც რამე დაინახა ან მოისმინა. შესაძლოა, ეს თქვენ აღმოჩნდეთ, - დაამატა ბიჭმა და შოკოლადის მეორე ფილა გახსნა.

- გკმადლობთ!

- არა, სულაც არ მინდა, რომ მოგვკლან, - სცადა მისი დარწმუნება ალექსანდრემ, - მომწონხართ. სტოდერსსაც მოსწონხართ. ჩვენი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო მზარეული ხართ. ისე ამზადებთ, კაცი თითებს ჩაიკვნეტს. თანაც მშვენივრად აზროვნებთ.

ბოლო ფრაზა აშკარად უდიდეს მოწონებას გამოხატავდა. ლუსიმ ეს სათანადოდ დააფასა.

- გმადლობ, - თქვა მან, - სულაც არ მინდა მომკლან, თუნდაც შენი სიამოვნების გულისთვის.

- თუ ასეა, სიფრთხილე გამოიჩინეთ, - ურჩია ალექსანდრემ, მესამე ფილის ჭამას

შეუდგა და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა: - თუ თქვენთან ზოგჯერ მამაჩემი გამოჩნდება, მიმიხედეთ, კარგი?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ცოტა არ იყოს გაოცებულმა ლუსიმ.

- მამაჩემის პრობლემა ის არის, - თქვა ალექსანდრემ, - რომ ცხოვრების ლონდონური წესი მისთვის მიუღებელია. იმასაც გაგიმხელთ, რომ ქალებიც

შეუფერებელი ხვდება.

მან შეწუხებული სახით დააქნია თავი და განაგრძო:

- მე ის ძალიან მიყვარს, მაგრამ მას ისეთი ადამიანი სჭირდება, ვინც მიხედავს. იგი დინებას მიჰყვება და გამუდმებით ცუდ ადამიანებს აწყდება. ძალიან ვწუხვარ, რომ დედაჩემი ადრე გარდაიცვალა. ბრაიანს ნორმალური ოჯახური გარემო სჭირდება.

ბიჭმა მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ლუსის და ხელი მორიგი შოკოლადისკენ წაიღო.

- მეოთხე აღარ გინდა, ალექსანდრე, - სთხოვა ქალმა, - შეუძლოდ გახდები.

- ოჰ, არა მგონია. ერთხელ ექვსი ცალი შევჭამე და არაფერი მომსვლია. ჯანმრთელი ვარ.

ბიჭმა ცოტა ხნით პაუზა აიღო, შემდეგ კი თქვა: - უნდა გითხრათ, რომ ბრაიანს მოსწონხართ.

- სასიამოვნოა ამის მოსმენა.

- ის ზოგჯერ სულელურად იქცევა, - განაგრძო ბრაიანის ვაჟმა, - სამაგიეროდ, უმაღლესი კლასის მფრინავ-გამანადგურებელი იყო. საოცრად უშიშარი და საოცრად

გულკეთილია.

ალექსანდრე კვლავ გაჩუმდა, ჭერს თვალი მოავლო და ოდნავ დარცხვენით დაამატა:

- ვფიქრობ... არ დაგიმაღავთ... მისთვის ძალიან კარგი იქნება, თუ ხელმეორედ იქორწინებს... ოღონდ შესაფერისზე... მეც არ გავჯიქდებოდი დედინაცვლის გამო, თუ, რა თქმა უნდა, წესიერი ქალი იქნებოდა...

ლუსის ახლადა დაჰკრა თავში, რომ ალექსანდრე მიზანმიმართულად ლაპარაკობდა.

- ათასგვარი ჭორი დედინაცვლების შესახებ, - განაგრძობდა ალექსანდრე და ჯიუტად კვლავ ჭერს მიმართავდა, - მოდაში აღარ არის. ჩემი და სტოდერსის ბევრ თანაკლასელს ჰყავს დედინაცვალი, - მანამდე იყო განქორწინება და მისთანები, - მაგრამ ისინი მშვიდობიანად ცხოვრობენ. თუმცა დედინაცვალსაც გააჩნია. ზოგჯერ შესაძლოა, უსიამოვნებაც მოხდეს, თუ ერთად მოვლენ შენს წასაყვანად ან, პირიქით, სპორტის დღეს გეწვევიან. იმას ვგულისხმობ, თუ მშობლების ორივე წყვილი გყავს. ეს, ერთგვარად, კარგიც კია, როცა ფული გჭირდება! - თანამედროვე ოჯახის პრობლემებს შეჭიდებული ალექსანდრე შეჩერდა და სული მოითქვა. - ცხადია, მშობლიურ სახლში ნამდვილ მშობლებთან ერთად ცხოვრება ყველაფერს ჯობია... მაგრამ რახან დედა მოკვდა... ალბათ გესმით, რასაც ვგულისხმობ, არა? მთავარია, წესიერი ქალი იყოს, - მესამეჯერ გაიმეორა ალექსანდრემ.

ლუსის გული აუჩუყდა.

- ვფიქრობ, ძალზე მგრძნობიარე ხარ, ალექსანდრე, - თქვა მან, - უნდა მოვახერხოთ და მამაშენს კარგი ცოლი მოვუძებნოთ.

- დიახ, - ორჭოფულად მიუგო ბიჭმა და უცერემონიოდ დაამატა: - მეგონა, უკვე გითხარით, რომ ბრაიანს ძალიან მოსწონხართ. თვითონ მითხრა...

„ჰოო, - გაიფიქრა ლუსიმ, - ამ ბოლო დროს ყველა ჩემს გათხოვებას ცდილობს. ჯერ მის მარპლი იყო, ახლა - ალექსანდრე!“

მას რატომღაც საღორის ნახევრად დანგრეული კედელი გაახსენდა. წამოდგა.

- ღამე მშვიდობისა, ალექსანდრე! დილით მხოლოდ პიჟამის, სავარცხლისა და კბილის ჯაგრისის ჩადება დაგჭირდება. ძილი ნებისა!

- ძილი ნებისა, - თქვა ალექსანდრემ. იგი დაწვა, თავი ბალიშზე დადო, თვალები დახუჭა, მყისვე მძინარე ანგელოზს დაემსგავსა და მაშინვე ჩაეძინა კიდეც.

თავი მეცხრამეტე

- არცთუ დამაჯერებელია, - თქვა, როგორც ყოველთვის, სახემოღუშულმა სერჟანტმა უეთეროლმა.

კრედოკი ჰაროლდ კრეკენტორპის ოცი დეკემბრის ალიბის შემოწმებასთან დაკავშირებულ პატაკს ეცნობოდა.

15:30-ზე ჰაროლდი „სოთბის“ აუქციონზე შეამჩნიეს, თუმცა იქაურობა მალე დაუტოვებია. კაფე „რასელსში“ სურათის მიხედვით ვერ იცნეს, ვინაიდან ყველანი საქმით იყვნენ დაკავებულნი, თანაც ის იქაურობას ხშირად არ სტუმრობდა.

კრეკენტორპის მსახურმა დაადასტურა, რომ ჰაროლდი შინ, კარდიგანგარდენსზე მდებარე სახლში, ვახშმისთვის ტანსაცმლის გამოსაცვლელად 18:45-ზე, საკმაოდ გვიან მივიდა იმის გათვალისწინებით, რომ წვეულება რვის ნახევარზე იწყებოდა, ამიტომ საკმაოდ გაღიზიანებული ჩანდა. მსახურს არ გაუგია, იქიდან როდის დაბრუნდა მისტერ კრეკენტორპი. დიახ, უკვე საკმაოდ გვიანი იყო და დაზუსტებით ვერაფერს იტყოდა, მით უმეტეს, რომ მის მოსვლას ხშირად მანამდეც ვერ იგებდა. თანაც, თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, ის და მისი ცოლი დასაძინებლად ადრე წასვლას ამჯობინებდნენ. გარაჟში, სადაც ჰაროლდი მანქანას აყენებდა, მას გამოყოფილი ადგილი ჰქონდა, ამიტომ ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა მის მოსვლა-წასვლას ან კონკრეტული საღამოს გახსენებას.

- რეალური არაფერი გვაქვს, - თქვა კრედოკმა და ამოიოხრა.

- ჰაროლდი ნამდვილად ესწრებოდა „კათერესში“ გამართულ ვახშამს, თუმცა იქაურობა საკმაოდ ადრე, სიტყვით გამოსვლების დამთავრებამდე დატოვა.

- რკინიგზის სადგურებიდან რა ისმის?

ვერც ბრეკჰემპტონსა და ვერც პადინგტონში დამაიმედებელი ვერაფერი შეეტყობო. უკვე თითქმის ოთხი კვირა გასულიყო და ვინმე რამეს ძნელად თუ გაიხსენებდა.

კრედოკმა კვლავ ამოიოხრა და ხელი სედრიკის შესახებ მიღებული ინფორმაციისკენ გაიწვდინა. მნიშვნელოვანი არც აქ იყო რამე, თუმცა ტაქსის მძღოლმა არცთუ დარწმუნებით თქვა, რომ კაცი, რომელიც 20 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში პადინგტონის სადგურამდე მიიყვანა, „რალაციტ ჰგავდა ფოტოსურათზე გამოსახულ პიროვნებას“. მან გაიხსენა, რომ მგზავრს ჭუჭყიანი შარვალი ეცვა და თმა გასწეწოდა. თან ილანძლებოდა - არ იცოდა, რომ ინგლისში მისი არყოფნის პერიოდში მგზავრობის საფასური გაეძვირებინათ. მძღოლს ეს დღე იმიტომ დაამახსოვრდა, რომ დოღში, 14:30-ზე გამართულ გარბენში, გაიმარჯვა ცხენმა, რომელსაც „ქრაულერი“ ერქვა. მძღოლს სწორედ მასზე დაედო ფული და გვარიანი თანხაც მოეგო. ეს სიახლე რადიოთი მაშინ გადმოსცეს, როდესაც მან ჯენტი გადმოსვა და მაშინვე შინისკენ გაემშურა ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად.

- მადლობა ღმერთს, რომ დოღი არსებობს! - თქვა კრედოკმა და ფურცელი გვერდზე გადადო.

- ესეც ინფორმაცია ალფრედის შესახებ, - მოახსენა სერჟანტმა უეთეროლმა.

მის ხმაში რალაც ისეთმა გაიჟღერა, რომ კრედოკმა თავი ასწია. სერჟანტს კმაყოფილი სახე ჰქონდა, იმ კაცს ჰგავდა, რომელმაც სასიამოვნო სიახლე ბოლოსთვის შემოინახა.

შემოწმებამ აქაც თითქმის არაფერი მოიტანა. ალფრედი ბინაში მარტო ცხოვრობდა, როცა მოესურვებოდა, მაშინ მიდიოდა და მოდიოდა. მეზობლები, ძირითადად ოფისის თანამშრომლები, მთელი დღის

განმავლობაში მუშაობდნენ და არც ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. მაგრამ აი, უეთეროლმა თითი პატაკის ბოლო აბზაცს დაადო.

სერჟანტი ლიკი, რომელიც სატვირთო მანქანებიდან ქურდობის ფაქტებს იძიებდა, უედინგტონ-ბრეკჰემპტონის გზაზე მდებარე კაფე „ლოადოვბრიქსში“ ზოგიერთ მძღოლს უთვალთვალებდა. ერთ-ერთ მაგიდასთან ჩიკ ევანსი შენიშნა, დიკი როჯერსის ბანდის წევრი. გვერდით აღფრედ კრეკენტორპი ეჯდა, რომელსაც სერჟანტი სახეზე ცნობდა, ვინაიდან მან ჩვენება მისცა დიკი როჯერსის საქმეში. გაიფიქრა კიდევ, კიდევ რამეს ხომ არ გეგმავენო? ეს პარასკევს, 20 დეკემბერს, საღამოს ათის ნახევარზე ხდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ აღფრედ კრეკენტორპი ბრეკჰემპტონისკენ მიმავალ ავტობუსში ჩაჯდა. 23:55-ზე, ბრეკჰემპტონ-პადინგტონის მატარებლის გასვლის წინ, კონტროლიორმა უილიამ ბეიკერმა ბილეთი დაუკომპოსტირა მგზავრს, რომელშიც მის კრეკენტორპის ერთ-ერთი ძმა ამოიცნო. თარიღი იმიტომ დაამახსოვრდა, რომ იმ დღეს ვიღაც შემლილი ხანში შესული ქალი იფიცებოდა, შუადღისას გვერდით მიმავალ მატარებელში ადამიანი მოკლესო.

- აღფრედი? - ჩაილაპარაკა კრედოკმა, როდესაც პატაკი მაგიდაზე დადო. - ნუთუ აღფრედი? საინტერესოა.

- ყველაფერი ემთხვევა, ის უნდა იყოს, - თქვა უეთეროლმა.

ინსპექტორმა თავი დაუქნია. დიახ, აღფრედს შეეძლო, 16:33-ზე ბრეკჰემპტონისკენ მიმავალ მატარებელში ჩამჯდარიყო, გზაში დანაშაული ჩაედინა და ბოლო სადგურიდან კაფე „ლოადოვბრიქსამდე“ ავტობუსით მიეღწია. თუ იქაურობა ათის ნახევარზე დატოვა, საკმაო დრო ჰქონდა რეზერვორდჰოლში მისასვლელად, ყრილიდან გვამის ასაღებად, სარკოფაგში დასამალავად და ბრეკჰემპტონში ლონდონისკენ 23:55-ზე მიმავალ მატარებელში ჩასაჯდომად. შესაძლოა, მას დიკი როჯერსის ბანდის რომელიმე წევრი გვამის გადატანაშიც ეხმარებოდა, თუმცა კრედოკს ამაში ეჭვი ეპარებოდა. არასაიმედო ხალხი კი იყო, მაგრამ მკვლელობაში არ გაერეოდნენ.

„აღფრედი?“ - გაიფიქრა ინსპექტორმა.

რეზერვორდჰოლში მთელი ოჯახი შეკრებილიყო. ლონდონიდან ჰაროლდი და აღფრედი ჩამოსულიყვნენ. მალე ვითარება დაიძაბა და ხმამაღალი ლაპარაკიც გაისმა.

ლუსიმ საკუთარი ინიციატივით მოამზადა დოქში ყინულიანი კოქტეილი და ბიბლიოთეკაში წაიღო. შესასვლელშივე მკაფიოდ მოესმა ხმაური, რეპლიკების მიხედვით კი დაასკვნა, რომ ძირითადად, ემას საყვედურობდნენ.

- სულ შენი ბრალია! - გაისმა გაბრაზებული ჰაროლდის ბოხი ხმა. - ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, ადამიანი ასეთი ახლომხედველი და სულელი იყოს. შენ რომ წერილი სკოტლენდიარდში არ წაგედო, ეს ალიაქოთი არ ატყდებოდა.

- ალბათ, ჭკუაზე შეიშალე! - შესძახა აღფრედმა.

- ემას ნუ აშინებთ, - თქვა სედრიკმა, - რაც მოხდა, მოხდა. უარესი იქნებოდა, თუ დაადგენდნენ, რომ მოკლული მართლა მარტინაა, ჩვენ კი მათ ამ წერილს დავუმალავდით.

- სედრიკ, შენთვის ადვილია ასე ლაპარაკი, - მიუგო გაბრაზებულმა ჰაროლდმა, - ოცში შენ ჯერ კიდევ არ იყავი ინგლისში. მათ კი სწორედ ის დღე აინტერესებთ. ეს რთულ მდგომარეობაში გვაგდებს მე და ალფრედს. საბედნიეროდ, მახსოვს, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი იმ დღეს.

- ამაში ეჭვი არ მეპარება, - უთხრა ალფრედმა, - თუ მკვლელობას ჩაიფიქრებდი,

ჰაროლდ, დარწმუნებული ვარ, პირველ რიგში, საიმედო ალიბის მოიძებნებდი.

- როგორც ვხვდები, შენ ამაში არ გაგიმართლა, - ცივად მიუგო ჰაროლდმა.

- არც მასეა საქმე, - შეეპასუხა ალფრედი, - თუ პოლიციელებს რკინის ალიბის წარუდგენ, ის მართლა რკინის უნდა იყოს, თორემ ისინი საკმაოდ ჭკვიანები არიან და მისგან ქვას ქვაზე არ დატოვებენ.

- იმის მინიშნება გსურს, რომ ქალი მე მოვკალი?

- ოჰ, შეწყვიტეთ კამათი, გაჩუმდით! - წამოიძახა ემამ, - ცხადია, ის ქალი თქვენ არ მოგიკლავთ.

- უნდა მოგახსენოთ, რომ ოც დეკემბერს მე უკვე ინგლისში ვიყავი, - თქვა სედრიკმა, - პოლიციამ კი ამის დადგენა შეძლო. ასე რომ, ყველანი მათ ხელში ვართ.

- ემას რომ... - კარგი, რა, ჰაროლდ, თავიდან ნუ დაიწყებ! - დაიყვირა ემამ.

ამ დროს მოხუცი კრეკენტორპის კაბინეტიდან დოქტორი ქუიმპერი გამოვიდა. მან გაოცებით შეხედა ჯერ ლუსის, შემდეგ კი დოქს, რომელიც ქალს ხელში ეჭირა.

- ეს რა არის? რამეს აღნიშნავთ?

- პირიქით. ეს ყინულიანი კოქტეილია, რათა ისინი ცოტა დააწყნაროს, თორემ ძალიან გაცხარდნენ.

- ურთიერთბრალდებები? - ძირითადად, ემას მისამართით.

ექიმმა წარბები გაოცებით ასწია.

- მართლა? - მან ლუსის დოქი გამოართვა, ბიბლიოთეკის კარი შეაღო და შიგნით შევიდა.

- სადამო მშვიდობისა!

- აჰ, დოქტორო ქუიმპერ, სწორედ თქვენთან მინდოდა დალაპარაკება, - გაღიზიანებული და მკვახე ხმით წარმოთქვა ჰაროლდმა, - რა უფლებით

ერევით ჩვენი ოჯახის საქმეებში და რატომ ჩააგონეთ ჩემს დას, რომ წერილი სკოტლენდიარდში წაეღო?

- მის კრეკენტორპმა რჩევა მკითხა, - მშვიდად მიუგო ექიმმა, - მეც ვურჩიე.

ვფიქრობ, ძალიან სწორად მოიქცა. - კიდევ ბედავთ თქვათ, რომ... - ქალიშვილო!

ეს მოხუცი მისტერ კრეკენტორპის ჩვეულებრივი მისაღმება იყო. იგი კაბინეტის კარიდან იყურებოდა.

ლუსი უხალისოდ შეტრიალდა.

- დიახ, მისტერ კრეკენტორპ?

- დღეს სადილად რა გვექნება? მე კარი(კარი - ქურქუმას ძირისგან, ნივრისა და სხვა სუნელებისგან დამზადებული საკაზმი, აგრეთვე ამ სანელებელშერეული ნებისმიერი კერძი.) მინდა. თქვენ მას ძალიან კარგად ამზადებთ. რამდენი ხანია, კარი არ გვიყვამია.

- უნდა გითხრათ, რომ ბიჭებს ის არცთუ ისე მოსწონთ.

- ბიჭები... ბიჭები. დიდი ამბავი, თუ არ მოსწონთ! მთავარია, მე რა მომწონს. ამასთან, ბიჭები უკვე გაემგზავრნენ - ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! მე საუცხოო, ცხელი კარი მინდა, გასაგებია?

- დიახ, მისტერ კრეკენტორპ, გექნებათ კარი.

- მშვენიერია. კარგი გოგო ხართ, ლუსი. იზრუნეთ ჩემზე და მეც ვიზრუნებ თქვენზე.

ლუსი სამზარეულოში დაბრუნდა, გადადო ქათამი, რომლისგანაც ფრიკასეს(ფრიკასე - რაგუს სახეობა.) მომზადებას აპირებდა, და კარისთვის აუცილებელი ინგრედიენტების შეგროვებას შეუდგა. ამ დროს სადარბაზოს კარი გაჯახუნდა. ფანჯრიდან დაინახა, რომ დოქტორი ქუიმპერი ლამის სირბილით გაემართა მანქანისკენ, მერე „გაზს“ მკვეთრად დააწვა და წამში გაუჩინარდა.

ლუსიმ ამოიოხრა. მოეწყინა ბიჭების გარეშე, ბრაიანიც თვალში აკლდა.

რა გაეწყობოდა?! დაჯდა და სოკოს მომზადებას შეუდგა.

ყოველ შემთხვევაში, ოჯახს კარგ სადილს მაინც მოუმზადებდა.

ცხოველებს გამოკვება სჭირდებათ!

ლამის სამ საათზე დოქტორმა ქუიმპერმა მანქანა გარაჟში დააყენა, ჩაკეტა, სახლში შევიდა და კარი მიხურა. ახლა მის სიმფკინსს ჯანმრთელი ტყუპი ჰყავდა, ოჯახი კი ათ სულამდე გაიზარდა. მისტერ სიმფკინსი ამ ფაქტით სულაც არ აღფრთოვანებულა.

- ტყუპი! - განაცხადა პირქუშად. - რა ხეირია მისგან? აი, ოთხი რომ დაბადებულიყო, საჩუქრებს გამოგვიგზავნიდნენ, მათ ფოტოსურათებს

გაზეთებში დაბეჭდავდნენ. როგორც ამბობენ, მისი უდიდებულესობა დეპეშით მოგვილოცავდა.

ტყუპი კი რა არის? ორი მშვიერი პირი ერთის ნაცვლად. ჩემს გვარში ტყუპი არასდროს დაბადებულა, არც ჩემი ცოლისაში. ვერ გამიგია, როგორ გაჩნდნენ.

დოქტორი ქუიმპერი საძინებელ ოთახში ავიდა და ნაჩქარევად შეუდგა ტანსაცმლის გახდას. საათს დახედა - ოთხის ხუთი წუთი იყო. არ ელოდა, თუ ეს ტყუპი ამდენ საზრუნავს გაუჩენდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მან დაამთქნარა. დაილალა - ძალიან დაილალა. საწოლს კმაყოფილებით დახედა.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

დოქტორმა ქუიმპერმა შეიგინა და ყურმილი აიღო.

- დოქტორო ქუიმპერ? - გაისმა ქალის აღელვებული ხმა.

- გისმენთ.

- ლუსი აილსბეროუ ვარ რეზერვორდჰოლიდან. ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა მობრძანდეთ. აქ ყველა ავად გახდა.

- ავად გახდა? რა მოხდა? როგორი სიმპტომებია?

ლუსიმ ყველაფერი დაწვრილებით ადღუწერა.

- ახლავე მოვალ. მანამდე კი... - მან მოკლე და მკაფიო ინსტრუქცია გასცა. შემდეგ სწრაფად ჩაიცვა ტანსაცმელი, რომელიც ახლახან გაიხადა, თავის

სამუშაო ჩანთაში აუცილებელი წამლები და ინსტრუმენტები ჩააწყო და აჩქარებით გაემართა მანქანისკენ.

დაახლოებით სამი საათის შემდეგ არაქათგამოცლილი ექიმი და ლუსი სამზარეულოს მაგიდას მიუსხდნენ და მოზრდილი ჭიქებით შავი ყავის სმას შეუდგნენ.

- ასე უკეთესია, - თქვა დოქტორმა ქუიმპერმა, როცა ყავა ბოლომდე დალია და ჭიქა ლამბაქზე ხმაურით დადგა, - ეს აუცილებლად მჭირდებოდა. ახლა კი, მის აილსბეროუ, საქმეზე გადავიდეთ.

ლუსიმ ექიმს შეხედა. დაღლილობისგან კაცი თავის ორმოცდაოთხ წელზე გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდა. საფეთქლებთან მუქი თმა შევერცხლოდა, თვალბეჭვებზე ნაოჭები გასჩენოდა.

- ჩემი აზრით, - თქვა მან, - ახლა საფრთხე აღარავის ემუქრება. მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ეს როგორ მოხდა. სადილი ვინ მოამზადა?

- მე მოვამზადე, - მიუგო ლუსიმ.

- კერძოდ, რა? დაწვრილებით მომიყევით.

- სოკოს წვნიანი, კარი ქათმის ხორცი და ბრინჯით, სილაბაბი(სილაბაბი - ათქვეფილი ნადები ღვინითა და შაქრით.), ცივი საუზმეულიდან - ქათმის ღვიძლი და ბეკონი.

- კანაპე(კანაპე - ბუტერბროდის სახეობა.) „დიანა“, - თქვა მოულოდნელად დოქტორმა ქუიმპერმა.

ლუსის ოდნავ გაეღიმა.

- დიახ, კანაპე „დიანა“.

- კარგი, მოდი, გავერკვეთ. სოკოს წვნიანი... ალბათ, კონსერვირებული, არა?
- რას ბრძანებთ? თვითონ მოვამზადე.

- მაშ, თვითონ... რომელი პროდუქტებისგან?

- ნახევარი გირვანქა სოკო, ქათმის ბულიონი, რძე, ზეთში შემწვარი ფქვილის საკაზმი და ლიმონის წვენი.

- ჰმ! ასეთ დროს ამბობენ: „ყველაფრის თავიდათავი - სოკოა!“

- არა, სოკო არაფერ შუაშია. წვნიანი მეც ვჭამე, მაგრამ კარგად ვარ.

- დიახ, კარგად ხართ. ეს მეც შევნიშნე.

ლუსი წამოწითლდა.

- ფიქრობთ, რომ...

- არა, არ ვფიქრობ. ძალიან ჭკვიანი ხართ და მართლა ის რომ იყოს, რაც, თქვენი აზრით, გავიფიქრე, ახლა ლოგინში იწვებოდით და ყველაზე ხმამაღლა იკვნესებდით... თანაც, ყველაფერი ვიცი თქვენ შესახებ. არ დამეზარა და ცნობები შევკრიბე.

-- რატომ?

ექიმმა ტუჩები მაგრად მოკუმა.

- იმიტომ, რომ ვალდებული ვარ, ყველას კეთილსაიმედოობა შევამოწმო, ვინც ამ სახლში შემოდის. თქვენთან დაკავშირებით, საეჭვო არაფერია: ფულს საკუთარი შრომით გამოიმუშავებთ, მოსამსახურედ მიდიხართ, კრეკენტორპებს ადრე არ იცნობდით. არც რომელიმე ძმასთან მეგობრობთ და არც ბნელი განზრახვის შესრულებაში დაეხმარებოდით.

- თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ...

- მე ბევრ რამეზე ვფიქრობ, - თქვა ქუიმპერმა, - მაგრამ სიფრთხილეს ვიჩენ. ასეთია ექიმის ცხოვრება. აჯობებს, სადილს მივუბრუნდე. მაშასადამე, კარი ქათმისგან. თქვენც მიირთვით?

- არა. როდესაც კარის ამზადებ, მისი სურნელიც კი განაყრებს. ცხადია, გავსინჯე მზადების პროცესში. სადილად კი მხოლოდ წვნიანი და ცოტაოდენი სილაბაბი

შევჭამე. - სუფრაზე სილაბაბი რით მიიტანეთ? - მინის ჯამებით. თითოეულისთვის ცალ-ცალკე. - ნარჩენების შესახებ რას იტყვით? -- თუ ნახმარ ყურჭელს გულისხმობთ, ყველაფერი ალაგებული და გარეცხილია. ექიმმა დაიკვნესა.

- ერთხელაც იქნება, ფანატიზმი დაგლუპავთ.

- დიახ, შესაძლებელია. თქვენი კარგად მესმის, მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, ასე თუ მოხდებოდა.

- იქნებ რამე მაინც დარჩა?

- ცოტაოდენი კარი. ჯამი საკუჭნაოშია. ქათმის წვნიანში ჩამატებას ვაპირებდი. გუშინდელი სოკოს წვნიანიც დარჩა... დესერტი და ქათმის ღვიძლი სულ შეიყამა.

- კარგი, კარის და წვნიანს წავიღებ. ჩატნი(ჩატნი - ინდიელთა სანელელებელი.)? ჩატნი მაინც დატოვებთ მაგიდაზე?

- დიახ, აი, იმ ქვის ჭყურჭლებიდან ერთ-ერთშია. - ცოტა ჩატნისაც წავიღებ. ექიმი წამოდგა.

- წავალ, ჩვენს ავადმყოფებს დავხედავ. მითხარით, დილამდე გაუძლებთ? იმორიგეებთ? რვა საათისთვის მედდას გამოგიგზავნით, წინასწარ დაწვრილებით ინსტრუქტაჟს ჩავუტარებ.

- მინდა, რომ პირდაპირ მითხრათ: როგორ ფიქრობთ, ეს საჭმლით მოწამვლაა... თუ... თუ... განზრახ მოწამვლა?

- უკვე გითხარით. ექიმი ვარაუდს არ გამოთქვამს - ექიმი დარწმუნებული უნდა იყოს. თუ ანალიზის პასუხი დადებითი იქნა, რაიმეს მოვიმოქმედებ. სხვაგვარად...

- სხვაგვარად? - გაიმეორა ლუსიმ. დოქტორმა ქუიმპერმა ქალს მხარზე ხელი დაადო.

- განსაკუთრებული ყურადღება ორ ადამიანს მიაქციეთ, - თქვა მან, - პირველ რიგში, ემას. არ დავუშვებ, რომ მას რამე შეემთხვეს, - ექიმის ხმაში დაუფარავმა სინაზემ გაიჟღერა, - კაცმა რომ თქვას, ემას ცხოვრება ჯერ არც დაუწყია. ქვეყანას კი ემა კრეკენტორპისნაირი ადამიანების წყალობით უდგას პირში სული. ემა... ემა ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს. მისთვის ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ ვეტყვი. უმორჩილესად გთხოვთ, თვალი არ მოაცილოთ.

- ნუ ღელავთ, - უთხრა ლუსიმ, - გპირდებით.

- მოხუცსაც მიხედეთ. რომ არ დაგიმალოთ, დიდად არ მესიმპათიურება, მაგრამ ჩემი პაციენტია და არავის მივცემ უფლებას, იმ ქვეყნად გაამგზავროს, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი თავხედი ვაჟიშვილებიდან რომელიმეს, იქნებ სამივეს ერთადაც კი, ერთი სული აქვთ, თავიდან მოიცილონ და მისი ფული მიისაკუთრონ.

მოულოდნელად ექიმის თვალებში ირონიული ღიმილი გაკრთა.

- აჰა! - თქვა მან. - რაღაც ძალიან ბევრს ვლაპარაკობ. ყოჩაღად იყავით, ოთხი თვალი და ოთხი ყური გამოისხით და ენას კბილი დააჭირეთ.

ინსპექტორი ბეკონი აშკარად შემფოთებული ჩანდა. - დარიშხანი? - იკითხა მან. - დარიშხანია?

- დიახ, კარიში აღმოჩნდა. აი, ნარჩენები მოგიტანეთ, რათა თქვენმა სპეციალისტმაც შეამოწმოს. მე მხოლოდ მარტივი ანალიზი გავაკეთე იმისა, რაც წავიღე, მაგრამ შედეგი ეჭვს არ იწვევს.

- მაშასადამე, ეს ვიღაცის ნამოქმედარია?

- როგორც ჩანს, - ცივად თქვა დოქტორმა ქუიმპერმა.

- თქვენ ბრძანეთ, რომ ყველა მოიწამლა, ლუსი აილსბეროუს გარდა? - ყველა, მის აილსბეროუს გარდა.

- მეეჭვება, მას გაეკეთებინა. - რა უნდა ამოძრავებდეს?

- იქნებ გაგიჟდა, - ივარაუდა ბეკონმა, - ასეც ხდება ხოლმე: შეხედავ - ნორმალური ადამიანია, სინამდვილეში კი ტვინნაღრძობია.

- მის აილსბეროუს თავში ყველაფერი რიგზე აქვს. ამას როგორც ექიმი, ისე გეუბნებით. სრულიად ჯანმრთელია და ჩვენზე არანაკლებ საღად აზროვნებს. მაგრამ თუ მის აილსბეროუ კრეკენტორპების ოჯახს დარიშხანშეზავებული კარით უმასპინძლებდა, საამისო მიზეზიც უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, ის აუცილებლად იზრუნებდა იმაზე, რომ ერთადერთი არ ყოფილიყო, ვინც არ დაზარალდა. ანუ ისე მოიქცეოდა, როგორც ყვეიანი დამნაშავე, - ჭკუა კი ნამდვილად არ აკლია! - ცოტაოდენ მოწამლულ კარის შეჭამდა, შემდეგ კი თავს მოიკატუნებდა, თითქოს შეუძლოდ იყო, გაცილებით ცუდად სინამდვილესთან შედარებით.

- და მაშინ ველარ გარკვევდით...

- ...რომ მას ნაკლები დარიშხანი შეხვდა, - აიტაცა ექიმმა, - ეს მართლა რთული დასადგენია. ერთსა და იმავე საწამლავზე ყოველი ადამიანი თავისებურად რეაგირებს. ზოგი მძიმედ იტანს, ზოგი - ნაკლებად მძიმედ. მაგრამ თუ პაციენტი მოკვდება, - მკვირცხლად დაამატა ქუიმპერმა, - მაშინ, ცხადია, საკმაოდ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა რაოდენობის საწამლავი მიიღო.

- მაშასადამე... - ინსპექტორი ბეკონი ვითარების გაანალიზებას ცდილობდა. - მაშასადამე, ახლა ვიღაც თვალთმაქცობს და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს სხვებივით ცუდადაა - არ უნდა, რომ მასზე იეჭვონ... ასეა?

- გამოგიტყდებით, ეს მეც გავიფიქრე, ამიტომაც გეახელით. ახლა ყველაფერი თქვენს ხელთაა. სახლში მედდა დავტოვე, რომელსაც ვენდობი, მაგრამ ის ყველა პაციენტს ერთდროულად ვერ მიხედავს. თუმცა, ჩემი აზრით, სასიკვდილო დოზა არავის მიუღია.

- ნუთუ, მან ვერ გათვალა? მკვლელს ვგულისხმობ.

- ვფიქრობ, მას სხვა განზრახვა ჰქონდა. დოზა ისე გაიანგარიშა, რომ ეს საკვებით, ვთქვათ, სოკოთი მოწამვლას დამსგავსებოდა. მოგეხსენებათ, ბევრს საშინლად ეშინია სოკოსი. ბუნებრივია, მოგვიანებით, ერთ-ერთი ჩვენი ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდება და იგი მოკვდება.

- ვინაიდან მას კიდევ ჩაუყრიან საწამლავს?

ექიმმა თავი დაუკრა.

- ამიტომაც შეგატყობინეთ დაუყოვნებლივ, სახლში კი გამოცდილი მედდა გავგზავნე.

- მან დარიშხანის შესახებაც იცის?

- რასაკვირველია. მანაც და მის აილსბეროუმაც. ცხადია, უჩემოდაც გეცოდინებათ, როგორ მოიქცეთ, მაგრამ თქვენს ადგილას ავადმყოფებს ვინახულებდი და ვეტყობდი, რომ დარიშხანით მოიწამლნენ. შესაძლოა, მკვლელს შეეშინდეს და განზრახვაზე ხელი აიღოს. მას ხომ საკვებით მოწამვლის სურათის დახატვა სურდა.

ინსპექტორის მაგიდაზე ტელეფონმა დარეკა. ბეკონმა ყურმილი აიღო.

- კარგი, შემაერთეთ, - იგი ექიმისკენ მიბრუნდა, - თქვენი მედდა რეკავს. დიახ, გისმენთ... რა? სერიოზული გაუარესებაა? დიახ... დოქტორი ქუიმპერი ჩემთანაა.

ინსპექტორმა ყურმილი ექიმს გადასცა.

- ქუიმპერი გისმენთ... გასაგებია... დიახ... ყველაფერი სწორია. ასე იმოქმედეთ.

ახლავე მოვალთ. მან ყურმილი დაკიდა და ბეკონს შეხედა. - რა მოხდა?

- ალფრედი, - მიუგო ექიმმა, - ალფრედი მოკვდა.

თავი მეოცე

კრედოკი საშინლად გაოცებული ჩანდა.

- ალფრედი? - შესძახა მან. - ნუთუ ალფრედი?

ინსპექტორმა ბეკონმა ყურმილი ოდნავ გასწია და ჰკითხა:

- არ ელოდით?

- ცხადია, არა. რომ არ დაგიმალოთ, მკვლელი მეგონა! - მიუგო კრედოკმა.

- დიახ, ყური მოვკარი, რომ კონტროლიორმა ამოიცნო. ცუდად ჰქონდა საქმე. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ დამნაშავე იყო.

- გამოდის, რომ ვცდებოდით, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა კრედოკმა.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა.

- იქ ხომ მედდა იყო? ეს როგორ გამორჩა? - იკითხა ბოლოს კრედოკმა.

- მას ვერ დავადანაშაულებთ. მის აილსბეროუ ძალზე გადაიღალა და ზევით ავიდა თვალის მოსატყუებლად. მედდას ხუთი ავადმყოფი შერჩა ხელთ: მოხუცი კრეკენტორპი, ემა, სედრიკი, ჰაროლდი და ალფრედი. ცხრად ხომ არ გაიჭრებოდა.

თანაც მოხუცი ახმაურდა, ყვიროდა - ვკვდებიო. ქალი მის დასამშვიდებლად წავიდა, შემდეგ ალფრედს გლუკოზიანი ჩაი მიუტანა. მან დალია... და მოკვდა...

- კვლავ დარიშხანი?

- მგონი. ცხადია, შესაძლებელია, მდგომარეობა მოულოდნელად გაუარესებოდა, მაგრამ ქუიმპერი ასე არ ფიქრობს. ჯონსონიც ეთანხმება.

- ნუთუ მართლა ალფრედი იყო სამიზნე? - დაეჭვებით იკითხა კრედოკმა.

- იმას გულისხმობთ, რომ ალფრედის სიკვდილით პენიც კი არავის მოემატებოდა, - თქვა ბეკონმა, - მაშინ, როცა მოხუცის სიკვდილი ყველას აძლევდა ხელს? გამორიცხული არაა, რომ მკვლეელი შეცდა, თუ ფიქრობდა, რომ ჩაი მისთვის იყო განკუთვნილი.

- დანამდვილებით იციან, რომ ჩაიში დარიშხანი ეყარა?

- რა თქმა უნდა, არა. მედდამ, ჩვეულებისამებრ, ყველაფერი საგულდაგულოდ გარეცხა - ჭიქები, კოვზები, ჩაიდან, ერთი სიტყვით, ყველაფერი. იგი ძალზე კვალიფიციური მუშაკია... მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ ვარიანტის გარდა, სხვა არაფერი რჩება.

- საიდანაც გამომდინარეობს, - ჩაფიქრებით წარმოთქვა კრედოკმა, - რომ ერთ-ერთი დაზარალებული არც ისე ცუდად ყოფილა. პირიქით, ისეთი მარჯვე აღმოჩნდა, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ჭიქაში დარიშხანი მაინც ჩაყარა...

- მსგავსი რამ აღარ გამეორდება, - პირქუშად განაცხადა ინსპექტორმა ბეკონმა, - ახლა სახლში ორი მედდაა, და კიდევ, მის აილსბეროუ. ჩემი ხალხიც დავტოვე იქ. მოხვალთ?

- დიახ, ახლავე წამოვალ.

ლუსი აილსბეროუ ინსპექტორ კრედოკის შესახვედრად გავიდა, ფერმკრთალი და ყურებჩამოყრილი ჩანდა.

- როგორც ჩანს, გვარიანად გაწამდით, - თანაუგრძნო კრედოკმა.

- ეს რაღაც დაუსრულებელი კომმარია... ღამით მომეჩვენა, რომ ყველა კვდებოდა. - რაც შეეხება კარის...

- დარიშხანი კარიში იყო? - გაიოცა ლუსიმ.

- დიახ, ვილაცას არ უძუნწია... ბორჯიას(ბორჯია - ესპანური წარმოშობის იტალიელ

დიდგვაროვანთა ოჯახი, რომლის წარმომადგენლებიც ხშირად იყენებდნენ საწამლავს თავიანთ პოლიტიკურ თუ პირად მტრებთან ბრძოლაში.) დარად.

- თუ ასეა, - განაცხადა ლუსიმ, - მაშინ ეს ოჯახის რომელიმე წევრს ჩაუდენია. - დარწმუნებული ხართ?

- დიახ. საქმე ისაა, რომ ამ წყეული კარის მომზადება საკმაოდ გვიან დავიწყე... ექვსი საათის შემდეგ... სხვა კერძი მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მისტერ კრეკენტორპმა მოულოდნელად ეს დაიჟინა. ამასთან, საკაზმი - დაფქული კარი - ახალი, ხელუხლებელი ქილიდან ამოვიღე, თვითონ გავხსენი. ასე რომ, იქ მის ჩაყრას ვერავინ შეძლებდა. სხვათა შორის, კარი ცხარე საჭმელია და რაც უნდა ჩაყარო, ვერ იგრძნობ.

- დარიშხანს გემო არა აქვს, - დაბნეული სახით ჩაილაპარაკა კრედოკმა, - რაც შეეხება ჩაყრის შესაძლებლობას... მოდი, გავერკვეთ. ვის შეეძლო ქვაბში დარიშხანის დაუბრკოლებლად ჩაყრა, სანამ კარი იხარშებოდა?

ლუსი დაფიქრდა.

- კაცმა რომ თქვას, ნებისმიერ მათგანს. რთული არ იქნებოდა სამზარეულოში შეპარვა, სანამ სასადილო ოთახში სუფრას ვაწყობდი.

- გასაგებია. ვინ იყო მაშინ სახლში? მოხუცი მისტერ კრეკენტორპი, ემა, სედრიკი...

- ჰაროლდი და ალფრედი. ისინი ლონდონიდან დღის მეორე ნახევარში ჩამოვიდნენ. ბრაიანიც იყო... ბრაიან ისთლი. მაგრამ იგი სადილამდე წავიდა. ვილაცას უნდა შეხვედროდა ბრეკჰემპტონში.

- აქ აშკარად იჩენს თავს კავშირი შობის დღესასწაულზე მოხუცის

ავადმყოფობასთან, - თქვა კრედოკმა, - ქუიმპერი უკვე მაშინ ვარაუდობდა დარიშხანის არსებობას. თქვენი აზრით, წუხელ ყველა ერთნაირად ცუდად იყო?

- ყველაზე ცუდად მოხუცი მისტერ კრეკენტორპი გრძნობდა თავს. დოქტორი ქუიმპერი მას გვერდიდან არ მოსცილებია. უნდა ითქვას, ქუიმპერი შესანიშნავი ექიმია... ჭირვეულობით კი სედრიკი გამოირჩეოდა. ჯანმრთელი, ავადმყოფობას მიუჩვეველი ადამიანები ყოველთვის მოუთმენლები არიან.

- ემაზე რას იტყვით?

- ძალიან ცუდად იყო.

- საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ალფრედი?

- ეს მართლა საინტერესოა. ნუთუ მართლა ის იყო წინასწარ შერჩეული მსხვერპლი? - იკითხა ლუსიმ.

- გამოგიტყდებით, მეც ეს შეკითხვა დავუსვი ბეკონს.

- ბუნებრივია. რაღაც უაზრობა გამოდის. ვის აძლევდა ხელს ალფრედის სიკვდილი?

- აი, მოტივი რომ მაპოვნინა... - დანანებით თქვა კრედოკმა. - თორემ ამ ამბავს კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. დავუშვათ, მარტინა დაახრჩვეს, ედმუნდ კრეკენტორპის ქვრივი. ეს თითქმის დამტკიცებულია. რა კავშირია ამ მკვლელობასა და ალფრედის მოწამვლას შორის? არადა, უნდა იყოს... ყველაფერი, ასე თუ ისე, ოჯახს უკავშირდება... იქნებ მათ შორის მანიაკია? არა, არც ეს იძლევა რამეს.

- დიახ, არაფერს იძლევა, - დაეთანხმა ლუსი.

- მაინც გაფრთხილდით, - უთხრა კრედოკმა, - გახსოვდეთ, რომ სახლში მკვლეელია, ერთ-ერთი ავადმყოფი კი, შესაძლოა, თავს იკატუნებს...

კრედოკის წასვლის შემდეგ ლუსიმ დაღლილობას სძლია და ნელა ავიდა მაღლა. როდესაც მოხუცი მისტერ კრეკენტორპის ოთახს ჩაუარა, მისი მბრძანებლური, თუმცა ავადმყოფობისგან ოდნავ დასუსტებული ხმა მოესმა:

- ქალიშვილო! ქალიშვილო! თქვენ ხართ? აქ მოდით.

ლუსი ოთახში შევიდა. ლოგინში წამომჯდარი მისტერ კრეკენტორპი ბალიშებს მიყრდნობოდა. მძიმე ავადმყოფის კვალობაზე, ძალზე მხნედ გამოიყურებოდა.

- გაავსეს სახლი მედდებით, - ჩაიბურტყუნა მან, - დაიბლინებიან, წამდაუწუმ სიცხეს მიზომავენ. გამაწამეს კაცი! არც იმას მაჭმევენ, რაც მინდა. და ამ მასხრად აგდებაში უამრავი ფული უნდა ვიხადო. უთხარით ემას, ყველა გაყაროს. მე თქვენც მშვენივრად მომივლით.

- ყველა ავადაა, მისტერ კრეკენტორპკ, - მიუგო ლუსიმ, - მარტო თქვენ ხომ არ მოგივლით.

- სოკო ძალზე საშიში რამაა! - მოულოდნელად თქვა მისტერ კრეკენტორპმა, - ყველაფერი თქვენ მიერ მომზადებული წვნიანის ბრალია, - დაამატა ბრალმდებლის კილოთი.

- სოკო კარგი იყო, მისტერ კრეკენტორპ.

- თქვენ არ გადანაშაულებთ, ქალიშვილო, არ გადანაშაულებთ. ასეთი რამ ადრეც

მომხდარა. ერთი გაფუჭებული სოკოც საკმარისია. ამისგან დაზღვეული არავინაა. ვიცი, კარგი გოგო ხართ, ამას განზრახ არ ჩაიდენდით. ემა როგორ არის?

- დღეს უკეთაა.

- გასაგებია... ჰაროლდი?

- ისიც.

- ალფრედს რა დაემართა? ასე უცებ ფეხები რატომ გაჭიმა?

- ეგ როგორ გაიგეთ? თქვენთვის არ უნდა ეთქვათ, მისტერ კრეკენტორპ. მისტერ კრეკენტორპს გაეცინა, თავის შეკავება არც უცდია.

- მე ყველაფერი მესმის, - თქვა მან, - არაფერი გამომეპარება. თუმცა ისინი ცდილობენ. მაშ, ალფრედი მოკვდა, არა? ამიერიდან ფულს ველარ გამომძალავს, არც

არაფერი შეხვდება. გეცოდინებათ, ყველანი ჩემს სიკვდილს ელოდებიან. ეს განსაკუთრებით ალფრედს ეტყობოდა. ახლა კი მოკვდა. ამას ბედის ირონიას

ვუწოდებდი.

- ასე არ უნდა ლაპარაკობდეთ, მისტერ კრეკენტორპ, - მკაცრად თქვა ლუსიმ.

მოხუცს კვლავ გაეცინა.

- მე ყველა მათგანზე დიდხანს ვიცოცხლებ, - გამარჯვებული სახით წარმოთქვა მან, - აი, ნახავთ, ჩემო გოგონი. ნახავთ, თუ ასე არ იქნება.

ლუსი თავის ოთახში წავიდა, ლექსიკონი აიღო და სიტყვა „ტონტინის“ მნიშვნელობა მოძებნა. შემდეგ წიგნი დახურა და დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული.

- ვერ გამიგია, რისთვის დაგჭირდით, - გაღიზიანებული კილოთი თქვა დოქტორმა მორისმა.

- თქვენ დიდი ხანია, კრეკენტორპების ოჯახს იცნობთ, - უთხრა ინსპექტორმა კრედოკმა.

- დიახ, დიახ, ყველა კრეკენტორპს ვიცნობდი. ბებერი იემუა კრეკენტორპიც მახსოვს. კერკეტი კაკალი იყო, თანაც - გამჭრიახი. ბევრი ფული იშოვა, - ექიმი სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა და ინსპექტორ კრედოკს აბურძგნილი წარბების ქვემოდან შეხედა, - მაშასადამე, იმ ახალგაზრდა, სულელ ქუიმპერს დაუჯერეთ? - თქვა მან. - ოჰ, ეს ახალგაზრდა, თავგამოდებული ექიმები! მუდამ უცნაური იდეები აწუხებთ. აიკვიატა, რომ ვიღაც ლუთერ კრეკენტორპის მოწამვლას

ცდილობს. სისულელეა! მელოდრამა! ეს, ცხადია, გასტრიტის ჩვეულებრივი გამოვლინებაა. მახსოვს, მოხუცს ადრეც აწუხებდა. ხშირად არა, მაგრამ მაინც. რა

არის აქ განსაკუთრებული? - დოქტორი ქუიმპერი სხვაგვარად ფიქრობს, - უთხრა კრედოკმა.

- დიდი ამბავი, თუ სხვაგვარად ფიქრობს! ვიმედოვნებ, როგორდაც მივხვდებოდი, დარიშხანით რომ მოეწამლათ.

- სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამას ცნობილი ექიმებიც ვერ მიმხვდარან, - თქვა კრედოკმა, - რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? თუნდაც გრინბეროუს, მის თინის ან ჩარლზ ლიდსის საქმეები, აგრეთვე - უესტბერნების შემთხვევა, როდესაც ოჯახის სამი წევრი ერთმანეთის მიყოლებით, ზედმეტი ფაციფუცის გარეშე, აკურატულად დაკრძალეს ისე, რომ ექიმებს საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ, არადა, კომპეტენტური, გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ.

- კარგი, კარგი, - თქვა დოქტორმა მორისმა, - მიმანიშნებთ, რომ შეცდომა დავუშვი, მე კი ასე არ ვფიქრობ, - იგი წამით გაჩუმდა და განაგრძო: - მითხარით, თუ ეს მართლა მოხდა, დოქტორ ქუიმპერის აზრით, ვინ ჩაიდინა?

- მან არ იცის, - მიუგო კრედოკმა, - მაგრამ ძალზე შეშფოთებულია. გეცოდინებათ, - დაამატა მან, - საქმე დიდ ფულს ეხება.

- დიახ, დიახ, ვიცი. და ისინი მას მხოლოდ ლუთერ კრეკენტორპის სიკვდილის შემდეგ მიიღებენ, რაც ძალიან უნდათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფულისთვის საკუთარი მამის მოკვლას შეეცდებოდნენ.

- დიახ, არ ნიშნავს, - დაეთანხმა ინსპექტორი კრედოკი.

- ასეა თუ ისე, - თქვა დოქტორმა მორისმა, - ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ არავისზე შეიძლება უმიზეზოდ ეყვის მიტანა - ამისთვის საფუძვლიანი ეჭვი უნდა არსებობდეს, - დააზუსტა მან, - გამოგიტყდებით, თქვენმა ნათქვამმა შემძრა... დარიშხანი, თანაც დიდი დოზით... თუმცა ვერ გამიგია, რა გსურთ ჩემგან. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მსგავსი ეჭვი არასდროს გამჩენია. შესაძლოა, უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდებოდი ლუთერ კრეკენტორპის კუჭის ტკივილს. მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ახლა ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

კრედოკი კვლავ დაეთანხმა.

- მე მხოლოდ ის მინდა, - თქვა მან, - რომ მეტი შევიტყო კრეკენტორპების ოჯახის შესახებ. მათ მოდგმაში ვინმეს ფსიქიკური გადახრა ხომ არ ჰქონია?

ექიმმა გამომცდელად შეხედა მას ხშირი წარბების ქვემოდან.

- დიახ, ვხვდები, რასაც ფიქრობთ. გეტყვით, რაც ვიცი... იეშუას ამ მხრივ არაფერი

სჭირდა, სიმკაცრე და შეუპოვრობა ახასიათებდა. სამაგიეროდ, ცოლი ჰყავდა ნევრასთენიკი, მელანქოლიისკენ მიდრეკილი, ინბრიდული ინბრიდინგი - ახლო მონათესავე ცხოველების შეჯვარება.) ოჯახიდან. მეორე ვაჟის გაჩენის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ვფიქრობ, ლუთერს მისგან ერთგვარი გაუწონასწორებლობა დაჰყვა. ჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, თუმცა მამასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ეს იმით დასრულდა, რომ მამამისს მასზე გული აუცრუვდა. ლუთერმა ეს მძიმედ განიცადა, მშობელზე გულში წყენა ჩაიდო, რაც დროთა განმავლობაში აკვიატებულ იდეად ექცა და მის ოჯახურ ცხოვრებაზეც აისახა. საკმარისია, ცოტა ხნით მაინც

დაელაპარაკოთ და მაშინვე მიხვდებით, რომ საკუთარ ვაჟიშვილებს ვერ იტანს.

ქალიშვილები კი უყვარს. ორივე - ემა და ედი... რომელიც მოკვდა. - ვაჟიშვილებისადმი სიძულვილის მიზეზი რა არის? - ჰკითხა კრედოკმა.

- ამის გასარკვევად, აჯობებს, თანამედროვე ფსიქიატრებს მიმართოთ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არასრულფასოვან მამაკაცად გრძნობდა თავს. ამას მისი ფინანსური მდგომარეობაც აღრმავებდა. მას მხოლოდ შემოსავალი შესდიოდა კაპიტალიდან, ფულსა და ქონებას კი ვერ განკარგავდა. ვაჟიშვილებისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის უფლება რომ ჰქონოდა, მათდამი ალბათ უფრო ღმობიერი იქნებოდა. შეურაცხყოფდა იმის გაცნობიერება, რომ მასზე არაფერი იყო დამოკიდებული.

- ამიტომაც ინუგეშებს თავს იმით, რომ მათზე დიდხანს იცოცხლებს?

- შესაძლოა. ვფიქრობ, მისი სიძუნწის მიზეზიც ეს არის. არ გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ კაპიტალიდან მიღებული არცთუ მცირე შემოსავლით მან გვარიანი თანხა დააგროვა, - ცხადია, ძირითადად მანამ, სანამ გადასახადები დღევანდელ თავბრუდამხვევ სიმაღლეს მიაღწევდა.

კრედოკს თავში ახალმა აზრმა გაუელვა. - მან თავისი დანაზოგი ალბათ ვინმეს უანდერძა. ამის უფლება ხომ მაინც აქვს!

- დიახ, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა უწყის, ვის უანდერძა. შესაძლოა, ემას. თუმცა, არა მგონია. მის კრეკენტორპი ბაბუამისის ქონების წილს ისედაც მიიღებს. შესაძლოა, შვილიშვილს, ალექსანდრეს.

- უყვარს ბიჭი?

- ყოველ შემთხვევაში, ადრე უყვარდა. ალექსანდრე ხომ მისი ქალიშვილის შვილია და არა მისი საძულველი ვაჟიშვილებიდან ერთ-ერთის. ამას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, ედის ქმარს, ბრაიან ისთლისაც ძალიან კარგად ეპყრობა. რომ არ დაგიმალოთ, ბრაიანს თითქმის არ ვიცნობ. უკვე რამდენიმე წელი გავიდა, მათთან არ ვყოფილვარ. მახსოვს, ოდესღაც ვწუხდი მის გამო. მეგონა, რომ ომის შემდეგ საკუთარ ადგილს ვერ იპოვიდა. მას ომიანობისთვის დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა... სიმამაცე, გამბედაობა, ბედს მინდობა და

მომავლის იმედად ყოფნა. ვფიქრობ, სიმტკიცე აკლია და არ გამოვრიცხავ, უვარგის ადამიანად იქცეს.

- მითხარით, თქვენი აზრით, მისტერ კრეკენტორპის შვილებს ხომ არა აქვთ ფსიქიკური გადახრა?

- სედრიკი ექსცენტრიკული პიროვნებაა, ბუნებით მეამბოხე. ვერ ვიტყვი, რომ აბსოლუტურად ნორმალურია, მაგრამ არსებობენ კი ამქვეყნად აბსოლუტურად ნორმალური ადამიანები? ჰაროლდი უფრო ორთოდოესია, ჩემი აზრით, ნაკლებად მიმზიდველი, ცივისსხლიანი, თვალი მუდამ გამორჩენაზე უჭირავს. აღფრედი დანაშაულის ჩადენისკენაა მიდრეკილი.

პატარაობიდანვე ასეთი იყო. მინახავს, როგორ იპარავდა ფულს მისიონერებისთვის განკუთვნილი ყუთიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, ჰოლში იდგა. აი, ასე. თუმცა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს - მოკვდა ის საბრალო. არა, მასზე ასე არ უნდა მელაპარაკა.

- რას იტყობდი... - კრედოკი შეყოყმანდა. - ემა კრეკენტორპის შესახებ?

- მშვენიერი ქალია, წყნარი... ყოველთვის ვერ მიხვდებით, რას ფიქრობს. საკუთარი გეგმები და აზრები აქვს, ოღონდ არ ამზეურებს. ძლიერი ხასიათით გამოირჩევა, თუმცა გარეგნულად ეს არ ეტყობა.

- ალბათ ედმუნდსაც იცნობდით, რომელიც ომის დროს საფრანგეთში დაიღუპა, არა?

- დიახ. ვფიქრობ, ის ყველას სჯობდა. ყოჩაღი, გულკეთილი ბიძი იყო.

- ოდესმე თუ გსმენიათ, რომ ფრანგ ქალზე დაქორწინებას აპირებდა თუ იქორწინა კიდევ, სანამ მოკლავდნენ?

დოქტორმა მორისმა შუბლი შეიყმუხნა. - თითქოს რაღაც მახსოვს, - თქვა მან, - ეს დიდი ხნის წინ იყო. - ომის დასაწყისში?

- დიახ, დიახ. გავბედავ და ვიტყვი, რომ შემდგომში აუცილებლად ინანებდა, უცხოელი რომ მოიყვანა ცოლად.

- მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იმ ქალზე მაინც იქორწინა, - თქვა კრედოკმა და მოკლედ გააცნო ექიმს ბოლო თვის მოვლენები.

- მახსოვს, გაზეთებში დაიწერა სარკოფაგში ნაპოვნი მკვდარი ქალის შესახებ. მაშასადამე, ეს რეზერვორდჰოლში მოხდა?

- ჩვენი ვარაუდით, მოკლული - ედმუნდ კრეკენტორპის ქვრივია.

- Mob ამბობთ? დაუჯერებელია! რომანს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ცხოვრებას. ნეტავ ვის დასჭირდა საბრალო ქალის მოკვლა და რა კავშირი აქვს მას იმასთან, რომ კრეკენტორპების ოჯახს გამუდმებით წამლავენ დარიშხანით?

- გვაქვს რამდენიმე ვერსია, - მიუგო კრედოკმა, - ოღონდ, ვარაუდის დონეზე. როგორც ჩანს, ვიღაცას მადა გაეხსნა და იეშუა კრეკენტორპის მთელი ქონების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

- ჰოდა, სულელი ყოფილა, თუ ეს გადაწყვიტა, - თქვა დოქტორმა მორისმა, - მას ხომ უზარმაზარი სამემკვიდრეო გადასახადის გადახდა მოუწევს.

თავი ოცდამეერთე

- საძაგელი რამ არის სოკო, - განაცხადა მისის ქიდერმა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მას ეს ფრაზა ათჯერ მაინც ექნებოდა გამეორებული. ლუსის ამჯერადაც არაფერი უთქვამს.

- მე სოკოს ახლოსაც არ ვეკარები, - განაგრძო მისის ქიდერმა, - რა იცი, რა ხდება... ისიც კარგია, რომ ღმერთმა მხოლოდ ერთი მიცვალებული გვაკმარა. შესაძლოა, ეს თქვენც დაგმართოდათ, მის. სასწაულებრივად გადარჩით.

- სოკო არაფერ შუაშია, - უთხრა ლუსიმ, - სოკო ნორმალური იყო.

- ვინ იცის, მის, ვინ იცის? - თქვა მისის ქიდერმა. - სოკო ძალზე საშიში რამაა. ერთიც რომ იყოს გაფუჭებული, უბედურებას ვერ ასცდებით! უცნაურია, - ხმამაღლა ლაპარაკობდა მისის ქიდერი, რათა თეფშებისა და ჯამების რაკარუკი გადაეფარა, რომლებსაც ნიჟარაში რეცხავდა, - ყველაფერი ერთბაშად დაატყდება ხოლმე ადამიანს თავს! მახსოვს, ჩემს უფროს დისშვილს წითელა შეეყარა. ერთი დღის შემდეგ ჩვენი ერნი დაეცა და ხელი მოიტეხა, მალე ჩემს ქმარს ძირმაგარები გამოუვიდა. და ეს ყველაფერი - ერთი კვირის განმავლობაში. ამას, აბა, ვინ დაიჯერებს? ახლაც მსგავსი რამ ხდება: ჯერ ის მკვლელობა, ნამდვილი მხეცობა... ახლა მისტერ ალფრედი სოკოსგან მოიწამლა და მოკვდა. ნეტავ შემდეგი ვინ იქნება?

ლუსიმ თავი უხერხულად იგრძნო - ამის გაგება მასაც აინტერესებდა.

- ჩემს ქმარს აღარ მოსწონს, აქ რომ დავდივარ, - თქვა მისის ქიდერმა, - ეშინია, ხათაბალაში არ გავება. ვეუბნები, მის კრეკენტორპი კარგად მიცნობს, სასიამოვნო ქალია და მენდობა, თანაც მის ლუსი აილსბეროუს ვერ მივატოვებ, მას ხომ უამრავი საქმე აქვს: აქეთ ავადმყოფების მიხედვა, იქით საჭმლის მომზადება, ლანგრებზე დაწყობა და ყველასთვის სათითაოდ ჩამორიგება-მეთქი. არა, მართლა უზომოდ ბევრი საქმე გაქვთ, მის.

ლუსი მის ნათქვამს სრულად ეთანხმებოდა: ბოლო დროს მისი ცხოვრება, ძირითადად, ლანგრებით აქეთ-იქით სირბილი იყო. ახლაც საჭმელს ამზადებდა და სწორედ იმ ლანგრებზე აწყობდა.

- ეს მედდები კი თითსაც არ ანძრევენ, - განაგრძობდა ქოთქოთს მისის ქიდერი, - მათ მხოლოდ ჩაი მიართვით დღეში რამდენჯერმე, თანაც მაგარი. უნდა აჭამო კიდევ.

ძალა აღარ მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

იგი ძალზე კმაყოფილი კილოთი ლაპარაკობდა, თუმცა სინამდვილეში იმაზე ნაკლებს შრომობდა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში.

- თავს არასდროს ზოგავთ, მისის ქიდერ, - თანაგრძნობით უთხრა ლუსიმ.

მისის ქიდერს ესიამოვნა. ლუსიმ კი პირველ ლანგარს ხელი დაავლო და კიბეს აუყვა.

- ეს რა არის? - ზიზღნარევი კილოთი იკითხა მისტერ კრეკენტორპმა. - ბულიონი და მოხარშული კრემი, - მიუგო ლუსიმ.

- მომაცილეთ, - უთხრა მისტერ კრეკენტორპმა, - ამ სისამაგლეს არ შევჭამ. მედდას ვუთხარი, ბიფშტექსი მინდა-მეთქი.

- დოქტორ ქუიმპერის აზრით, თქვენთვის ბიფშტექსი ჯერჯერობით ნაადრევია, - თქვა ლუსიმ.

მისტერ კრეკენტორპმა ჩაიფრუტუნა. - თითქმის გამოვჯანმრთელდი. ხვალ ავდგები კიდევ. სხვები როგორ არიან?

- მისტერ ჰაროლდი გაცილებით უკეთაა, - მოახსენა ლუსიმ, - ხვალ ლონდონში გამგზავრებას აპირებს.

- ჯანდაბამდე გზა ჰქონია, - ჩაილაპარაკა მისტერ კრეკენტორპმა, - სედრიკი? არის იმედი, რომ ხვალ თავის კუნძულზე წაეთრეს?

- არა, ამის ძალა ჯერ არ შესწევს.

- სამწუხაროა. ემა რას აკეთებს? რატომ არ მოდის ჩემს სანახავად?

- ის კვლავ ლოგინში წევს, მისტერ კრეკენტორპ.

- ქალებს უყვართ ლოგინში ნებივრობა, - თქვა მისტერ კრეკენტორპმა, - აი, თქვენ კი მშვენიერი, ძლიერი ქალიშვილი ხართ, - დაამატა მოწონებით, - ალბათ, მთელი დღე საქმეს აკეთებთ, არა?

- დიახ, ბევრს ვვარჯიშობ, - ხუმრობით მიუგო ლუსიმ.

მისტერ კრეკენტორპმა კვლავ მოწონებით დააქნია თავი.

- დიახ, მშვენიერი, ძლიერი ქალიშვილი ხართ, - გაიმეორა მან, - კარგად მახსოვს

ჩვენი ამასწინანდელი საუბარი. მალე დარწმუნდებით, რომ სიტყვებს ტყუილუბრალოდ არ ვხარჯავ. ემა ყოველთვის კი არ იუფროსებს აქ. ნურც სხვებს

დაუჯერებთ, რომლებიც ამბობენ, რომ მოხუცი და ძუნწი კაცი ვარ. უბრალოდ, საკუთარ ფულს ვუფროთხილდები. გვარიანი თანხა გადავინახე და ვიცი, როგორ დავხარჯავ, როცა ამის დრო მოვა.

მან ლუსის ალერსიანი მზერა მოავლო. ქალიშვილმა მისი გამოწვდილი ხელი აირიდა და ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

შემდეგი ლანგარი ემას ერგო.

- ოჰ, გმადლობთ, ლუსი. ვგრძნობ, რომ თითქმის გამოვჯანმრთელდი. მომშივდა, ეს კი, მგონი, კარგის ნიშანია, არა? იცით, ჩემო კარგო, - განაგრძო ემამ მას შემდეგ,

რაც ლუსიმ ლანგარი მუხლებზე დაუდო, - ძალიან ვღელავ დეიდათქვენის გამო. მის მონახულებას ალბათ ველარ ახერხებთ, არა?

- დიახ, ამის დრო აღარ მაქვს.

- მოგენატრებოდათ კიდევ.

- ნუ ღელავთ, მის კრეკენტორპ. მან ხომ იცის, რა საშინელება გადავიტანეთ.

- დაურეკეთ? - არა, ამ დღეებში არ დამირეკავს.

- ჰოდა, დაურეკეთ! ყოველდღე დაურეკეთ. მოხუცებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ არიან მათი ახლობლები და რა ხდება ამქვეყნად. სიამოვნებთ, როდესაც ესაუბრებიან.

- ძალიან გულკეთილი ბრძანდებით, - უთხრა ლუსიმ. მას ცოტათი სინდისი ქენჯნიდა, როდესაც ქვევით დაეშვა ახალი ლანგრის ასაღებად. მას შემდეგ, რაც ავადმყოფების რაოდენობამ მოიმატა, ერთი წუთი მოცლა არ ჰქონდა. გადაწყვიტა, როგორც კი სედრიკს საჭმელს მიუტანდა, მის მარპლისთვის დაერეკა.

სახლში ახლა მხოლოდ ერთი მედდა იმყოფებოდა. ლუსი მას ჰოლში შეეჩეხა და გულთბილად მიესალმა.

უჩვეულოდ მოწესრიგებული და დავარცხნილი სედრიკი საწოლში წამომჯდარი ჭამდა, თან რაღაცას გულმოდგინედ წერდა ქალაქის ფურცლებზე.

- გამარჯობა, ლუსი, - თქვა მან, - დღეს რომელი ჯოჯობეთური წამალი უნდა დამალევინოთ? მომისმინეთ, იქნებ ის საშინელი მედდა როგორმე თავიდან მომაცილოთ. შეუძლებელია მისი საუბრის მოსმენა. რატომღაც „ჩვენობით“ მომმართავს. „აბა, როგორ ვართ დღეს დილით? კარგად გვეძინა? ღმერთო, როგორი ცელქები ვართ, ზეწარი და საბანი გადმოგვიგდია!“ - სედრიკმა ოსტატურად, მაღალი ფალცეტით გასცინა მედდას.

- როგორც ვხედავ, დღეს მხიარულ განწყობაზე ხართ, - უთხრა ლუსიმ, - რას საქმიანობთ?

- გეგმებს ვაწყო, - მიუგო სედრიკმა, - ვფიქრობ, როგორ განვკარგო მამული, როდესაც მოხუცი ფეხებს გაჭიმავს. უნდა გითხრათ, რომ ძალზე ძვირად ღირებული მიწაა. ჯერ ვერ გადავწყვიტე, დავიტოვო რაღაც ნაწილი და კოტეჯები ავაშენო თუ მთლიანად გავყიდი. სამრეწველო მიზნებისთვის პირდაპირ ფასდაუდებელია. სახლი მოხუცთა თავშესაფრადაც გამოდგება. ან სკოლად. იქნებ, მიწის ნახევარი გავყიდი, შემოსული თანხით კი დარჩენილ ნაწილზე რამე შოკის მომგვრელი ავაშენო? რას იტყვით?

- ეს მიწა ჯერჯერობით თქვენი არაა, - ცივად მიუგო ლუსიმ.

- მოვა დრო და ჩემი იქნება, - თქვა სედრიკმა, - და, რაც მთავარია, არავისზე გაიყოფა, როგორც ეს ფულის შემთხვევაში ხდება. მთლიანად მე მერგება. და თუ კარგ ფასად გავყიდი, კაპიტალად გადაიქცევა, კაპიტალი კი, შემოსავლისგან განსხვავებით, არ იბეგრება. უამრავი ფული მექნება. დაფიქრდით ამაზე.

- თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ ფული გეზიზღებოდათ, - შეახსენა ლუსიმ.

- ცხადია, მეზიზღება, როდესაც არ მაქვს, - განაცხადა სედრიკმა, - ეს ერთადერთი საშუალებაა ღირსების შესანარჩუნებლად. რა მშვენიერი ხართ, ლუსი!.. თუ ეს მხოლოდ მეჩვენება, ვინაიდან დიდი ხანია, მშვენიერი ქალი არ მინახავს?

- ვფიქრობ, გეჩვენებათ, - მიუგო ლუსიმ.

- კვლავაც ყველას და ყველაფრის მოწესრიგება გევალებათ?

- როგორც ვხედავ, ვიღაცას საკმაოდ უშრომია თქვენს მოსაწესრიგებლად, - თქვა ლუსიმ და მამაკაცს ახედ-დახედა.

- იმ წყეული მედდის ნახელავია, - გრძნობით წარმოთქვა სედრიკმა, - ალღღფრედის საქმეზე მოკვლევამ როგორ ჩაიარა? რამე სიახლე ხომ არ არის?

- მოკვლევა გადაიდო, - შეატყობინა ლუსიმ.

- პოლიცია დროის მოგებას ცდილობს. ამ მასობრივმა მოწამვლამ ცუდ დღეში ჩააგდო. მენტალობას ვგულისხმობ. სხვა, უფრო ბანალურ საკითხებს აღარ ვახსენებ. მეტი სიფრთხილე გმართებთ, ჩემო კარგო, - დაამატა მან.

- გავფრთხილდები, - დაარწმუნა ლუსიმ.

- ახალგაზრდა ალექსანდრე როგორ არის? უკვე წავიდა სკოლაში?

- ვფიქრობ, ჯერაც სტოდარტ-უესტთან უნდა იყოს. სწავლა, თუ არ ვცდები, ზეგ იწყება.

სანამ წასახემსებლად წავიდოდა, ლუსი ტელეფონის აპარატისკენ გაემართა და მის მარპლს დაურეკა.

- საშინლად ვწუხვარ, რომ ვერ გინახულეთ, მაგრამ ძალიან დაკავებული ვიყავი.

- მესმის, ჩემო კარგო, მესმის. თანაც, ჯერჯერობით ვერაფერს მოვიმოქმედებთ. ლოდინიდა დაგვრჩენია.

- რას უნდა დაველოდოთ?

- მალე ელსფეთ მაკგილიკადი ჩამოვა, - თქვა მის მარპლმა, - მივწერე, დაუყოვნებლივ ჩამოფრინდეს. ავუხსენი, რომ ეს მისი ვალდებულებაა. ასე რომ, ცოტაც უნდა მოითმინოთ, ძვირფასო.

მოხუცი ქალბატონის ხმა ალერსიანად და იმედის მომცემად ჟღერდა.

- მაშ, თქვენ არ ფიქრობთ, რომ... - ლუსი შეყოყმანდა.

-- რომ მსხვერპლი კიდევ იქნება? ოჰ, ვიმედოვნებ, აღარ იქნება. მაგრამ დანამდვილებით ეს ხომ არავინ იცის. მით უმეტეს, როდესაც საქმე სასტიკ ბოროტმოქმედთან გვაქვს. არადა, ვფიქრობ, დამნაშავე სწორედ ასეთი პიროვნებაა.

- ან შეშლილია, - თქვა ლუსიმ.

- ვიცი, რომ ეს ჩვენს დროში დამკვიდრებული ახლებური მიდგომაა, მაგრამ არ ვიზიარებ.

ლუსიმ ყურმილი დაკიდა, სამზარეულოში გავიდა და ლანგარი აიღო, რომელზეც მისი საჭმელი იდო. მისის ქიდერს წინსაფარი უკვე მოეხსნა და წასასვლელად ემზადებოდა.

- ვიმედოვნებ, კარგად იქნებით, არა? - თანაგრძნობით იკითხა მან.

- რა თქმა უნდა, კარგად ვიქნები, - მოუჭრა ლუსიმ. მან ლანგარი დიდ, პირქუშ სასადილო ოთახში კი არ წაიღო, არამედ - პატარა კაბინეტში. ჭამას ამთავრებდა, როდესაც კარი გაიღო და ბრაიან ისთლი შემოვიდა.

- გამარჯობა, - უთხრა ლუსიმ, - ნამდვილად არ გელოდით.

- ასეც ვიცოდი, - თქვა ბრაიანმა, - ხალხი როგორ არის?

- ოჰ, გაცილებით უკეთ. ჰაროლდი ხვალ ლონდონში დაბრუნებას აპირებს.

- რას იტყვით ამ ყველაფრის შესახებ? მართლა დარიშხანი იყო? - დიახ, ნამდვილად დარიშხანი. - გაზეთები რომ არაფერს წერენ?

- ვფიქრობ, პოლიცია ინფორმაციას ჯერჯერობით არ ამხელს. ალბათ, სწორადაც იქცევა.

- როგორც ჩანს, ვიღაცას კრეკენტორპების ოჯახის ჯავრი სჭირს, - თქვა ბრაიანმა, - ვის შეეძლო სამზარეულოში შეღწევა და საჭმელში დარიშხანის ჩაყრა?

- ვფიქრობ, ამის გაკეთება ყველაზე ადვილად მე შემიძლო, - მიუგო ლუსიმ. ბრაიანმა მას შეშფოთებით შეხედა.

- მაგრამ ეს თქვენ არ გაგიკეთებიათ, არა? - იკითხა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა კაცმა.

- ცხადია, არა, - განაცხადა ლუსიმ. ვერავინ შეძლებდა კარიში საწამლავის ჩაყრას. იგი მან მოამზადა,

სამზარეულოშიც მარტო იყო, შემდეგ კი კერძი სასადილო ოთახში გაიტანა. მაშასადამე, ამას სუფრასთან მჯდომი ხუთი ადამიანიდან ერთ-ერთი თუ

გააკეთებდა.

- სხვა რამეს ვგულისხმობდი... თქვენ ეს რატომ უნდა გაგიკეთებინათ? - თქვა ბრაიანმა. - მათ ხომ თითქმის არ იცნობთ. ვიმედოვნებ, - დაამატა მან, - საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, გაუფრთხილებლად რომ გეწვიეთ?

- რა თქმა უნდა, არა. დარჩებით?

- დავრჩებოდი... თუ ეს ზედმეტ საზრუნავს არ გაგიჩენთ.

- არა, რას ამბობთ! ყველაფერს მოვაგვარებთ.

- საქმე ისაა, რომ ამჟამად უმუშევარი ვარ, რაც, რომ არ დაგიმალოთ, ყელში ამომივიდა. მაშ, საწინააღმდეგო მართლა არაფერი გაქვთ?

- ოჰ, მე აქ არაფერს ვწყვეტ. ეს ემას პროეროგატივია. - ემასთან დაკავშირებით მშვიდად ვარ, - თქვა ბრაიანმა, - ემა ყოველთვის

კარგად მექცეოდა. ცხადია, თავისებურად. ისე, უნდა გითხრათ, ჩვენი ემა საკმაოდ იდუმალი პიროვნებაა. აქ ცხოვრებასა და მოხუცი კაცის მოვლას ბევრი ვერ

გაუძლებდა. სამწუხაროა, რომ გაუთხოვარი დარჩა. ახლა კი ეს ძალზე დაგვიანებულია.

- ვფიქრობ, სულაც არაა ძალზე დაგვიანებული, - ჩაილაპარაკა ლუსიმ.

- მართლა? - ბრაიანი ჩაფიქრდა, - მღვდელი თუ... - წარმოთქვა იმედიანად, - ემა შეუცვლელი დამხმარე იქნებოდა მრევლთან ურთიერთობისას, „დედათა კავშირთანაც“, „დედათა კავშირი“ - ეკლესიის მრევლის წევრ ქალთა საზოგადოება, რომელიც საეკლესიო საქმეებზე მსჯელობს.) გამონახავდა საერთო ენას. „დედათა კავშირი“ - ასე ჰქვია, არა? სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, ეს რა არის - მხოლოდ წიგნებში ამომიკითხავს. კვირაობით კი შლაპას დაიხურავდა და ეკლესიაში წავიდოდა, - დაამატა ბოლოს.

- არცთუ პერსპექტიულად ჟღერს, - თქვა ლუსიმ, წამოდგა და ლანგარი აიღო.

- მე წაგაღებინებთ, - უთხრა ბრაიანმა. სამზარეულოში ერთად შევიდნენ. - ყურჭლის გარეცხვაში ხომ არ დაგეხმაროთ? მომწონს ეს სამზარეულო, - დაამატა მან, - ვიცი, ჩვენს დროში მას დიდად არ სწყალობენ, მაგრამ მე მომწონს... ეს სახლიც მომწონს. ალბათ საშინელი გემოვნება მაქვს, მაგრამ სიმართლეს ვამბობ. აქ, პარკში, თვითმფრინავიც კი დაეშვება, - ხალისით განაგრძო ბრაიანმა, ჭიქებისთვის განკუთვნილი ტილო აიღო და კოვზებისა და ჩანგლების წმენდა დაიწყო.

- სამწუხაროა, რომ აქაურობა სედრიკს დარჩება, - განაცხადა მან, - იგი ყველაფერს გაყიდის და კვლავ საზღვარგარეთ წავა. ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცს ინგლისი არ მოსწონდეს! არც ჰაროლდი იცხოვრებს ამ სახლში, ემასთვის კი ძალიან დიდია. აი, ალექსანდრეს რომ შეხვდებოდეს, საუცხოოდ გავატარებდით დროს, მხიარულად და უდარდელად ვიქნებოდით. ცხადია, ამ სახლს ქალიც ძალიან მოუხდებოდა, - ბრაიანი ლუსის ჩაფიქრებული სახით დააცქერდა, - თუმცა, რა აზრი აქვს ამდენ ლაპარაკს? სახლი რომ ალექსანდრეს შეხვდეს, ამისთვის ყველა ნათესავი უნდა მოკვდეს, ეს კი ნაკლებად სავარაუდოა, არა? თანაც, თუ მოხუცის გარეგნობით ვიმსჯელებთ, ის ას წლამდე მაინც მიაღწევს, თუნდაც - სხვების ჯიბრზე. ვფიქრობ, მას ძალიანაც არ განუცდია ალფრედის სიკვდილი. ასეა?

- ასეა, - მოკლედ მიუგო ლუსიმ.

- ჭირვეული ბებერი ეშმაკი, - მხიარულად წარმოთქვა ბრაიან ისთლიმ.

თავი ოცდამეორე

-- ღმერთო ჩემო, რას არ ლაპარაკობს ხალხი! - თქვა მისის ქიდერმა. - ცხადია, ვცდილობ, ჭორებს არ ავყვე, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს მოისმენთ, ყურებს არ

დაუჯერებთ, - იგი გაჩუმდა და შეკითხვებს დაელოდა. - დიახ, წარმომიდგენია, - მიუგო ლუსიმ.

- თუნდაც გრძელ ფარდულში ნაპოვნი გვამის შესახებ, - განაგრძობდა მისის ქიდერი და კიბორჩხალასავით იხევდა უკან, ვინაიდან სამზარეულოს იატაკს რეცხავდა, - ვითომ ომის დროს მისტერ ედმუნდის საყვარელი იყო, შემდეგ აქ ჩამოვიდა, ქმარმა მიაგნო და ეჭვიანობის გამო სიცოცხლეს გამოასალმა. უცხოელი, სავარაუდოდ, ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ქალი რატომ ჩამოვიდოდა აქ ამდენი წლის შემდეგ? მეთანხმებით?

- დიახ, ძნელი დასაჯერებელია, - თქვა ლუსიმ.

- უარესსაც კი ამბობენ. მოგეხსენებათ, ენას ძვალი არა აქვსო, ჰოდა, ლაქლაქებენ. თითქოს მისტერ ჰაროლდი საზღვარგარეთ ყოფნისას დაქორწინდა. ჯერ კიდევ ალისას ცოლად მოყვანამდე. ქალი აქ ჩამოვიდა, ორცოლიანობის შესახებ შეიტყო და სასამართლოში ჩივილი დააპირა. კაცმა იგი ფარდულისკენ გაიტყუა, - ვითომ მოსალაპარაკებლად, - იქ კი დაახრჩო და სარკოფაგში მოათავსა. ოდესმე მსგავსი რამ თუ გსმენიათ?

- საშინელებაა, - დაბნეულად ჩაილაპარაკა ლუსიმ, ვინაიდან ფიქრებით სხვაგან იყო.

- dom ნათქვამს, ცხადია, ყურადღებას არ ვაქცევდი, - გულუბრყვილოდ განაგრძობდა მისის ქიდერი, - ამ ზღაპრების არასდროს მჯეროდა. ვერ გამიგია,

როგორ მოსდით ადამიანებს თავში მსგავსი რამ, მათ გავრცელებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეშინია, ამათ მის ემას ყურამდე არ მიაღწიოს. ეს გაანერვიულებს, რაც ძალიან არ მინდა. ის ხომ საუცხოო ქალია. მის ემას შესახებ არაფერი მსმენია, ერთი სიტყვაც კი. ბუნებრივია, ახლა არც მისტერ ალფრედის შესახებ ამბობენ რამეს, იმასაც კი, რომ ღმერთმა დასაჯა ბნელი საქმეების გამო - მიცვალებულია, ბოლოს და ბოლოს. ჭორაობა ხომ საშინელებაა, დიდი ცოდვაა, მის.

მისის ქიდერი აშკარად კმაყოფილი ლაპარაკობდა.

- ამგვარი მითქმა-მოთქმა, ალბათ, გულს გტკენთ, - უთხრა ლუსიმ.

- რა თქმა უნდა, - დაეთანხმა მისის ქიდერი, - რა თქმა უნდა. ჩემს ქმარსაც ვუთხარი, ეს როგორ შეიძლება-მეთქი?!

ამ დროს ზარმა დარეკა.

- ეს ექიმი იქნება, მის. თქვენ შეეგებებით თუ მე წავიდე?

- მე გავაღებ, - თქვა ლუსიმ.

მაგრამ ეს ექიმი არ აღმოჩნდა. ზღურბლზე მაღალი, ელეგანტური, წაულას ქურქში გამოწყობილი ქალი იდგა. შორიახლოს, მოხრეშილ გზაზე „როლს-როისი“ თუხთუხებდა, რომლის საჭესთანაც მძღოლი იჯდა.

- მის ემა კრეკენტორპის ნახვა თუ შეიძლება?

სტუმარს სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ოდნავ ღაურით უქცევდა. ძალზე მიმზიდველი იყო, მუქი თმა და ძვირფასი, ზომიერად წასმული ფერ-უმარილი ამშვენებდა.

- მაპატიეთ, - მიუგო ლუსიმ, - მაგრამ მის კრეკენტორპი ავადაა, ლოგინში წევს და არავის იღებს.

- ვიცი, რომ ავად არის, ვიცი. მაგრამ აუცილებლად უნდა ვნახო. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

- ვშიშობ... - დაიწყო ლუსიმ. სტუმარმა გააწყვეტინა:

- თქვენ, ალბათ, მის აილსბეროუ ბრძანდებით, არა? - თქვა მან და მომხიბლავად გაიღიმა. - გიცანით, ჩემმა ვაჟმა ბევრი რამ მიაძო თქვენზე. მე ლედი სტოდარტ-უესტი გახლავართ, ალექსანდრე ჩვენთანაა სტუმრად.

- ოჰ, ახლა გასაგებია, - მიუგო ლუსიმ.

- მართლა ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მის კრეკენტორპის ნახვა შევძლო, - განაგრძო ქალმა, - ყველაფერი ვიცი მისი ავადმყოფობის შესახებ და გარწმუნებთ, რომ მხოლოდ მოსაკითხავად არ მოვსულვარ. ჩემი ვიზიტი იმას უკავშირდება, რაც ბიჭებისგან, უფრო სწორად, ჩემი შვილისგან შევიტყვევალდებული ვარ, რაღაც შევატყობინო, თუმცა ამის გაკეთება ადვილი არ არის. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ მიმიღოს?

- მობრძანდით, - უთხრა ლუსიმ და სტუმარს სასტუმრო ოთახში შეუძღვა, - მის კრეკენტორპს თქვენს მოსვლას ვაუწყებ.

იგი ზევით ავიდა, ემას ოთახის კარზე დააკაკუნა და შიგნით შევიდა.

- ლედი სტოდარტ-უესტი მობრძანდა, - თქვა ლუსიმ, - ძალიან უნდა თქვენი ნახვა.

- ლედი სტოდარტ-უესტი? - გაიკვირვა ემამ და სახეზე შეშფოთება გამოესახა. - ბიჭებს რამე ხომ არ შეემთხვათ? ალექსანდრე ხომ კარგადაა?

- ნუ ღელავთ, - დაამშვიდა ლუსიმ, - მათ არაფერი უჭირთ. ეგ არის, რომ ბიჭებმა მას რაღაც უამბეს, რის გამოც სასწრაფოდ თქვენთან მოსვლა გადაწყვიტა.

- აი, თურმე რა... - ემა შეყოყმანდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. - არა, უნდა მივიღო. ლუსი, როგორ გამოვიყურები?

- მშვენივრად, - მიუგო ლუსიმ.

ემა საწოლზე წამომჯდარიყო, მხრებზე ღია წითელი შალი მოესხა, რომელიც ლოყებს უვარდისფრებდა. მედდას მისთვის მუქი თმა აკურატულად დაევარცხნა. წინადლით ლუსიმ ტუალეტის მაგიდაზე შემოდგომის ფოთლებიანი ლარნაკი დაუდგა. ოთახი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა და საავადმყოფოს პალატას არაფრით ჰგავდა.

- უკვე კარგად ვარ, - განაცხადა ემამ, - დოქტორმა ქუიმპერმა მითხრა, რომ ხვალ ადგომასაც შევძლებ.

- მართლა მშვენივრად გამოიყურებით, - თქვა ლუსიმ, - მაშასადამე, ლედი სტოდარტ-უესტს შემოსვლა ვთხოვო?

- დიახ, მობრძანდეს. ლუსი კიბეზე დაეშვა და სასტუმრო ოთახში შევიდა. - მის ემა კრეკენტორპი გელოდებათ.

ლუსი სტუმარს ზევით აუძღვა, ოთახში შეუშვა და კარი მიხურა. ლედი სტოდარტ-უესტი საწოლს მიუახლოვდა და ემას ხელი გაუწოდა.

- მის კრეკენტორპ? ბოდიშს გიხდით, მყუდროება რომ დაგირღვიეთ. თუ არ ვცდები, ერთმანეთს ადრეც შევხვედრივართ - სკოლაში, სპორტულ ზეიმზე.

- დიახ, - მიუგო ემამ, - მშვენივრად მახსოვს. დაბრძანდით, თუ შეიძლება.

ლედი სტოდარტ-უესტი საწოლთან მდგარ სკამზე დაჯდა და წყნარად, ხმადაბლა წარმოთქვა:

- ალბათ გაგაოცათ ჩემმა უეცარმა გამოჩენამ, მაგრამ მერწმუნეთ, საამისო მიზეზიც მაქვს, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი. საქმე ისაა, რომ ბიჭებმა ბევრი რამ

მიამბეს. ისინი, ცხადია, ძალზე ააღელვა აქ მომხდარმა მკვლევლობამ. გამოგიტყდებით, როდესაც ეს შევიტყვე, შევშფოთდი და ჯეიმზის შინ წაყვანა დავაპირე, მაგრამ ქმარმა სიცილი დამაყარა. მითხრა, რომ მომხდარს თქვენს სახლთან და ოჯახთან საერთო არაფერი ჰქონდა, ჯეიმზის წერილებიდან კი ჩანდა, რომ ბიჭებს ამ უჩვეულო შემთხვევის ეპიცენტრში ყოფნა ძალზე სიამოვნებდათ, და მისი წამოყვანა სისასტიკე იქნებოდა. მათ ასაკში მეც მსგავსი შეგრძნებები გამიჩნდებოდა. დავნებდი და დავეთანხმე, რომ დარჩენილიყო, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ კი დაბრუნდებოდა და ალექსანდრეს ჩვენთან სტუმრად მოიყვანდა.

- მიგაჩნიათ, რომ მაშინვე უნდა გამოგვეგზავნა თქვენი ვაჟიშვილი? - ჰკითხა ემამ.

- არა, არა, ეს არ მიგულისხმია. ოჰ, როგორ მიძნელდება თქმა, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრათ. დამეთანხმებით, რომ ბიჭები ყველაფერს ხედავენ და ამჩნევენ. მათ მითხრეს, რომ ის ქალი... მოკლული... პოლიციის ვარაუდით, ფრანგია, რომელიც თქვენმა უფროსმა ძმამ... ომში რომ დაიღუპა... საფრანგეთში გაიცინო. ეს სიმართლეა?

- ეს შესაძლებელია, - ემას ხმა აუთრთოლდა, - ამ ვერსიას ვერ გამოვრიცხავთ. შესაძლოა, სწორედ ასე იყო.

- რადგან ფიქრობენ, რომ მოკლული მარტინაა, მაშასადამე, ამის მიზეზიც არსებობს, არა?

- უკვე გითხარით, რომ ეს შესაძლებელია.

- მაგრამ რატომ... რატომ ფიქრობენ, რომ ეს მარტინაა? რაიმე წერილს... დოკუმენტს მიაგნეს?

- არა, არაფერს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მარტინასგან წერილი მივიღე. - წერილი? მარტინასგან?

- დიახ. მწერდა, რომ ინგლისში იმყოფებოდა და ჩემი ნახვა სურდა. აქ მოვიწვიე, მაგრამ ჩამოსვლის წინ დეპეშა მივიღეთ, რომელშიც გვაუწყებდა, რომ საფრანგეთში ბრუნდებოდა. შესაძლოა, დაბრუნდა კიდევ. ჩვენ არაფერი ვიცით. ცოტა ხნის წინ სახლის სიახლოვეს იმ წერილის კონვერტს მივაგენით, რომელიც მე მარტინას გავუგზავნე. ვფიქრობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აქ იყო. ოღონდ არ მესმის...

-- ოღონდ არ გესმით, - აიტაცა ლედი სტოდარტ-უესტმა, - ეს ყველაფერი მე რატომ მაინტერესებს? თქვენს ადგილას მეც გამიკვირდებოდა. როდესაც ამის შესახებ შევიტყვე, უფრო სწორად, ბიჭების საკმაოდ არეულ-დარეული მონათხრობი მოვისმინე, გადავწყვიტე, რომ აუცილებლად უნდა მოვსულიყავი და გადამემოწმებინა, ყმაწვილებს რაიმე ხომ არ შეეშალათ, ვინაიდან, თუ ეს სიმართლეა...

- დიახ? - თქვა ემამ.

- მაშინ ის უნდა გითხრათ, რის თქმასაც არასდროს ვაპირებდი. საქმე ისაა, რომ მარტინა დიუბუა მე ვარ.

ემა სტუმარს შეჰყურებდა, მაგრამ ნათქვამის აზრს ვერ ჩასწვდომოდა. - თქვენ! - თქვა მან. - თქვენ მარტინა ხართ?

ქალმა თავი ენერგიულად დააქნია.

- დიახ. დარწმუნებული ვარ, გაცდებით, მაგრამ ეს სიმართლეა. თქვენი ძმა ომის პირველ დღეებში გავიცანი. ჩვენს სახლში იყო დაბინავებული. დანარჩენი იცით. ერთმანეთი შეგვიყვარდა, დაქორწინებას ვაპირებდით. ამას დუნკერკთან უკან დახევა დაემთხვა. ედმუნდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მოგვიანებით მისი დაღუპვა შემატყობინეს. ამაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თქვენი ძმა ძალიან მიყვარდა...

- ომის მკაცრი რეალობა დადგა. გერმანელებმა საფრანგეთის ოკუპაცია მოახდინეს. მე წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი გავხდი. ერთ-ერთი ვიყავი იმათგან, ვისაც, საფრანგეთის გავლით ინგლისელების სამშობლოში გაგზავნას ავალბდნენ. სწორედ ასე შევხვდი ჩემს ამაჟამინდელ ქმარს. იგი საჰაერო ძალების ოფიცერი იყო. საფრანგეთში სპეცდავალეების შესასრულებლად გადაესროლათ. რამდენჯერმე დავაპირე, თქვენთვის წერილი მომეწერა ან შეგხვედროდით, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ ამის გაკეთება, წარსულის

ქექვა არ ღირდა. ჩემი ახალი ცხოვრება მქონდა და იმ დროის გახსენება აღარ მინდოდა, - ქალი რამდენიმე წამით გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო: - უნდა გითხრათ, ძალიან გამიხარდა, როდესაც შევიტყვე, რომ ჯეიმზის საუკეთესო სკოლის მეგობარი ედმუნდის დისშვილია. სხვათა შორის, ალექსანდრე ძალიან ჰგავს ედმუნდს, ამას თქვენც მიაქცევდით ყურადღებას. მიხარია, ჯეიმზი და ალექსანდრე რომ დამეგობრდნენ.

იგი წინ გადაიხარა და ემას ხელზე ხელი დაადო.

- ახლა ხომ ხვდებით, ძვირფასო ემა... როდესაც ეს ამბავი გავიგე... ის, რომ ქალი მოკლეს, რომელიც მარტინა ეგონათ, აუცილებლად უნდა მოვსულიყავი თქვენთან და სიმართლე გამემხილა. ახლა კი ერთ-ერთმა ჩვენგანმა, თქვენ ან მე, ეს პოლიციას უნდა ვამცნოთ. ვინც უნდა იყოს ის ქალი, მარტინა ნამდვილად არ არის.

- ვერაფრით ვიჯერებ, - თქვა ემამ, - რომ თქვენ... თქვენ სწორედ ის მარტინა ხართ, რომლის შესახებაც ჩემი ძვირფასი ედმუნდი მწერდა, - მან ამოიოხრა და თავი

გადააქნია, შემდეგ კი უეცრად სახე მოედუშა, - რაღაც ვერ გავიგე. წერილი ხომ თქვენ გამომიგზავნეთ?

- არა, არა! - გადაჭრით უარყო ლედი სტოდარტ-უესტმა. - რას ამბობთ! მე არ დამიწერია. - თუ ასეა... - ემა შეეყოყმანდა.

- თუ ასეა, ვილცამ თქვენთვის ფულის დაცინცვლა გადაწყვიტა. ეს აშკარაა. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს?

- ალბათ, ის, - ნელა წარმოთქვა ემამ, - ვინც იმ დროს გიცნობდათ და ედმუნდთან თქვენი ურთიერთობის შესახებ იცოდა.

ლედი სტოდარტ-უესტმა მხრები აიჩეჩა.

- შესაძლებელია. თუმცა არავისთან ვიყავი ისე ახლოს, რომ ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ მელაპარაკა. ინგლისში ჩამოსვლის შემდეგ კი სიტყვაც არავისთან დამიდრავს. თანაც, რას ელოდებოდა ის ქალი ამდენ ხანს? უცნაურია, ძალზე უცნაურია!

- მეც ვერაფერი გამიგია. ვნახოთ, რას იტყვის ინსპექტორი კრედოკი, - მოულოდნელად ემას სტუმრისადმი სინაზე მოეძალა, - ძალიან მიხარია, ძვირფასო, რომ, როგორც იქნა, გაგიცანით.

- მეც ძალიან მიხარია. ედმუნდი ხშირად გახსენებდათ. ძალიან უყვარდით. მართალია, შემდგომში ცხოვრება ავაწყვე და ბედნიერიც გავხდი, წარსული ჩემს გულში სამუდამოდ დარჩა.

ემა ბალიშებზე მიწვა და შვებით ამოისუნთქა.

- მადლობა ღმერთს! სანამ ვფიქრობდით, რომ მოკლული შესაძლოა, მარტინა ყოფილიყო, ეს ამბავი, ასე თუ ისე, ჩვენს ოჯახს უკავშირდებოდა.

მაგრამ ახლა... ოჰ, რამხელა ტვირთი მომეხსნა. არ ვიცი, ვინ იყო ის უბედური, მაგრამ მას ჩვენთან საერთო არაფერი ჰქონდა!

თავი ოცდამესამე

ელეგანტურმა მდივანმა ქალმა, როგორც ყოველთვის, ჰაროლდ კრეკენტორპს ჩაი შემოუტანა.

- გპმადლობთ, მის ელის. დღეს ცოტა ადრე წასვლას ვაპირებ.

- ჯობდა, საერთოდ არ მოსულიყავით, მისტერ კრეკენტორკ, - თქვა მის ელისმა, - დაქანცული სახე გაქვთ.

- არა, კარგად ვარ, - უპასუხა ჰაროლდმა, თუმცა მართლა ვერ გრძნობდა თავს კარგად. ის ხომ ასეთ დავიდარაბაში მოხვდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოგვარდა.

„საოცარია, - გაიფიქრა სახემოღუმულმა, - რომ ალფრედი ვერ გამოძვრა, მოხუცისგან განსხვავებით. რამდენი წლისაა? სამოცდაცამეტის? თუ სამოცდათოთხმეტის? თანაც გაუთავებლად ავადმყოფობს. წესით, თუ ვინმეს ამ შემთხვევის შემდეგ გადარჩენის ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა, ეს, პირველ რიგში, მოხუცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ არა, ალფრედს არ გაუმართლა, არადა, ხარივით ჯანმრთელი იყო და არასდროს უჩიოდა რამეს“.

ჰაროლდმა ამოიოხრა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა. დიახ, ელისი მართალია - ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, მაგრამ ძალიან უნდოდა ოფისში მოსვლა და საქმეებისთვის თვალის გადავლება. ნახავდა და წავიდოდა. მიიხედ-მოიხედა - ბუნებრივი ხით მოპირკეთებული მდიდრული კაბინეტი, თანამედროვე სტილის ძვირფასი ავეჯი - ყველაფერი მის წარმატებულ კარიერაზე მიანიშნებდა. ასეც იყო საჭირო! როდესაც წარმატებულად გამოიყურებით, ყველას ჰგონია, რომ ბიზნესშიც

ყველაფერი კარგად გაქვთ. ალფრედს ეს არ ესმოდა... და სულ ტყუილად...

ჯერჯერობით მისი ფირმის ფინანსური სიძნელეების შესახებ ცოტამ თუ იცოდა. მაგრამ კრახი გარდაუვალად ახლოვდებოდა. აი, ალფრედის ნაცვლად, მამა რომ გარდაცვლილიყო, რაც სულაც არ იქნებოდა გასაკვირი... მაგრამ დარიშხანი იმ ბებერ წუწურაქს, როგორც ჩანს, მოუხდა კიდევ! დიახ, მამამისი რომ მომკვდარიყო, სადარდებელი არაფერი ექნებოდა.

ახლა მისთვის შემფოთება არავის უნდა შეენიშნა. წარმატებული და სტაბილური ადამიანის სახე უნდა შეენარჩუნებინა. ალფრედს არ უნდა დამსგავსებოდა, რომელსაც შუბლზე ეწერა, რომ არასაიმედო, წარუმატებელი ადამიანი იყო. თაღლითობდა, მაგრამ წესიერად ამასაც ვერ ბედავდა, ნამდვილ რისკზე ვერ მიდიოდა. გამუდმებით ბნელ ხალხთან ამფსონობდა, იქ ვიღაცას „გადააგდებდა“, აქ

რალაც საეჭვო საქმეში გაეხვეოდა... მართალია, არასდროს ჩავარდნილა, მაგრამ ხშირად იდგა უფსკრულის პირას, ყოველთვის კანონის ზღვარზე ბალანსირებდა. მერე, რას მიაღწია ამით? ხანმოკლე შედარებით

კეთილდღეობას, რასაც კვლავ მათხოვრული არსებობა და წვრილმანი აფერისტობა მოსდევდა. გაქანება არ ჰქონდა. ასე რომ, თუ ყველაფერს საგულდაგულოდ აწონიდა, არც ისე დიდი დანაკარგი გამოდიოდა. კაცმა რომ თქვას, აღლფრედი გამორჩეულად არასდროს უყვარდა. ახლა კი, დანაკარგის მაგიერ, ხეირს ნახავდა - ბაბუამისის, იმ ბებერი კრიჟანგის მიერ დატოვებული ფული, ხუთის ნაცვლად, ოთხად განაწილდებოდა. ასე არ ჯობდა?

ჰაროლდს სახე ოდნავ გაუნათდა. წამოდგა, შლაპა და პალტო აიღო და ოფისიდან გავიდა. ორიოდე დღით დასვენება ნამდვილად არ აწყენდა, ბოლომდე მომაგრდებოდა. მანქანა შესასვლელთან ელოდებოდა. ჩაჯდა და ცოტა ხანში უკვე ლონდონის გადატვირთული ქუჩებით შინისკენ მიემართებოდა.

კარი მსახურმა, დარვინმა, გაუღო. - ლედი ახლახან მობრძანდა, სერ, - მოახსენა მან.

წამით ჰაროლდი კაცს მიაშტერდა. ალისა! ღმერთო ჩემო, მაშ, დღეს უნდა დაბრუნებულიყო? არც კი გახსენებია. კიდევ კარგი, რომ დარვინმა გააფრთხილა. რა სანახავი იქნებოდა, ზევით ასულს გაოცება და იმედგაცრუება რომ ვერ დაემალა. მართალია, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა... საკუთარ გრძნობებთან დაკავშირებით, არც ალისა და არც თვითონ ილუზიების ტყვეობაში არ იმყოფებოდნენ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ალისას უყვარდა კიდევ იგი.

არა, ალისამ იმედი ვერ გაუმართლა... იგი არც უყვარდა, როდესაც ცოლად მოიყვანა. საკმაოდ მომხიბლავი ქალი იყო, თუმცა მზეთუნახავი არ ეთქმოდა. თანაც ოჯახმა და სასარგებლო ნაცნობ-მეგობრობამაც იქონია გავლენა. ბუნებრივია, იმედოვნებდა, რომ შვილები ეყოლებოდათ და ეს მათაც გამოადგებოდათ, მაგრამ დრო გავიდა და არც ბიჭი შესძენიათ და არც გოგო. ახლა კი მასა და ალისას სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა ერთად დაბერება და მოსაწყენი საღამოების როგორღაც გადაგორება, ვინაიდან არ იცოდნენ, ერთმანეთთან რაზე ელაპარაკათ, მათი კავშირი კი არც სათანადო სიყვარულით იყო განმტკიცებული.

ალისა ხანგრძლივი დროით სტუმრობდა თავის ნათესავებს - ზამთარში, ჩვეულებრივ, რივიერაზე მიემგზავრებოდა ხოლმე. ხელს აძლევდა ასეთი ცხოვრება, ამის საწინააღმდეგო არც კაცს ჰქონდა რამე.

ჰაროლდი ზევით ავიდა და გულთბილად მიესალმა ცოლს, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვდა.

- აი, უკვე შინ ხარ, ძვირფასო. მაპატიე, რომ სადგურში ვერ დაგხვდი, მაგრამ

სიტყვი გადაუდებელი საქმეები მქონდა. გავთავისუფლდი თუ არა, აქეთ გამოვეშურე. აბა, რას იტყვი სან-რაფაელის შესახებ?

ალისა იმის მოყოლას შეუდგა, თუ როგორ ცხოვრობდა სან-რაფაელში. ეს იყო გამხდარი ქალი ქვიშისფერი თმით, საკმაოდ კეხიანი ცხვირითა და არაფრისმთქმელი თაფლისფერი თვალებით. უზადო მეტყველებით გამოირჩეოდა, მაგრამ უსიცოცხლო, მონოტონური, სევდის მომგვრელი ხმით

ლაპარაკობდა. აღმოჩნდა, რომ დანიშნულების ადგილს მშვიდობიანად მიაღწია, ოღონდ ლა-მანშზე გადასვლისას გული ერეოდა, თანაც ეს აბეზარი მებაჟეები დუვრში!..

- თვითმფრინავით უნდა იმგზავრო, - უთხრა ჰაროლდმა. ეს მისი საფირმო რჩევა იყო, - ასე გაცილებით გაგიადვილდება.

- მართალი ხარ, მაგრამ არ მიყვარს თვითმფრინავი. არც არასდროს მყვარებია. მასში თავს დაუცველად ვგრძნობ.

- ბევრ დროს მოიგებ, - თქვა ჰაროლდმა.

ამის საპასუხოდ ლედი ალისა კრეკენტორპს არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, მისი მთავარი პრობლემა, დროის მოგების ნაცვლად, დროის გაყვანა იყო. იგი თავაზიანად დაინტერესდა ქმრის ჯანმრთელობის მდგომარეობით.

- ემას გამოგზავნილმა დეპეშამ ძალზე შემაშფოთა, - თქვა ქალმა, - როგორც გავიგე, ყველანი ერთდროულად მოიწამლეთ.

- დიახ, დიახ, ასე იყო, - მიუგო ჰაროლდმა.

- ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, - გაიხსენა ალისამ, - რომ ერთ-ერთ სასტუმროში ორმოცი ადამიანი მოწამლულა. ალბათ ისეთი პროდუქტი აჭამეს, რომელიც მაცივარში დიდხანს იდო. ახლა ხომ ყველაფერს საყინულეში ტენიან, ეს კი სახიფათოა.

- ალბათ, - დაბნეულად ჩაილაპარაკა ჰაროლდმა. იმაზე ფიქრობდა, ღირდა თუ არა დარიშხანის ხსენება. ალისას რომ უყურებდა, ამაზე საუბარი რატომღაც უძნელდებოდა. გრძნობდა, რომ იმ სამყაროში, სადაც ალისა ცხოვრობდა, დარიშხანით არავის წამლავდნენ. არც მას და არც მის ნათესავებს მსგავსი რამ არასდროს შეემთხვეოდათ. ამის შესახებ მხოლოდ გაზეთებში თუ ამოიკითხავდნენ. აი, მის ოჯახში კი მოხდა...

ჰაროლდი თავის ოთახში ავიდა და ერთი-ორი საათით დასასვენებლად წამოწვა, შემდეგ სადილისთვის გამოეწყო და სასადილო ოთახში შევიდა. მაგიდასთან ცოლის პირდაპირ იჯდა. კვლავაც ძველებურად საუბრობდნენ - თავაზიანად, უშინაარსოდ. ალისა სან-რაფაელში მყოფ ნაცნობ-მეგობრებს ახსენებდა.

- შემოსასვლელში, მაგიდაზე, შენთვის ამანათი დევს, - თქვა ალისამ.

- მართლა? მე კი ვერ შევამჩნიე.

- რომ იცოდე, დაუჯერებელი რამ მიაძებს: ერთ ძველ ფარდულში გაგუდული ქალი უპოვიათ, ფარდული კი თურმე რეზერფორდჰოლში მდებარეობს. მაშასადამე, მეორე

რეზერფორდჰოლიც არსებულა. - არა, - მიუგო ჰაროლდმა, - მეორე არ არსებობს. ეს ჩვენს ფარდულში მოხდა.

- მართლა, ჰაროლდ? მოკლული ქალი რეზერვორდჰოლის ფარდულში? ამის შესახებ ჩემთვის არაფერი გითქვამს.

- ამის თქმა ვერ მოვასწარი, - თავი იმართლა ჰაროლდმა, - თანაც უსიამოვნო ამბავია. ცხადია, ჩვენს ოჯახთან მას საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ჯერ პოლიცია დაინტერესდა ამ საქმით, შემდეგ პრესა ჩაერთო... და ასე შემდეგ.

- დიახ, სასიამოვნო არაფერია, - თქვა ალისამ, - იმ კაცს თუ მიაგნეს, ვინც ეს ჩაიდინა? - იკითხა თითქოს თავაზიანობის გულისთვის.

- ჭერჯერობით ვერა. - ქალი ვინ არის? - არავინ იცის. სავარაუდოდ, ფრანგია.

- აჰ, ფრანგი! - თქვა ალისამ და მისი კილო ზედმიწევნით ჰგავდა ინსპექტორ ბეკონისას, მიუხედავად მათ შორის არსებული კლასობრივი სხვაობისა. - გეთანხმები, ყველასთვის ძალზე უსიამოვნო ამბავია, - დაამატა მან.

ცოლ-ქმარმა სასადილო ოთახიდან პატარა კაბინეტში გადაინაცვლა, სადაც, ჩვეულებრივ, სხდებოდნენ ხოლმე, როდესაც მარტონი იყვნენ. ჰაროლდს კვლავ დაღლილობა მოეძალა. „დღეს ადრე დავწვები“, - გაიფიქრა მან.

ჰაროლდმა შემოსასვლელში მდგარი მაგიდიდან ცოლის მიერ ნახსენები პატარა ამანათი აიღო. მცირე ზომის აკურატულად შეხვეულ ფუთას ლუქი ედო. ჰაროლდმა თავისი საყვარელი სავარძელი ბუხართან მიაჩოჩა, დაჯდა და ამანათი გახსნა.

შიგნით წამლის პატარა ყუთი აღმოჩნდა, წარწერით - „ორი აბი ძილის წინ“. იქვე ფურცელი იდო ბრეკჰემპტონის აფთიაქის ბეჭდით, რომელზეც ეწერა: „იგზავნება დოქტორ ქუიმპერის მითითებით“.

ჰაროლდ კრეკენტორჰმა შუბლი შეიჭმუნა, კოლოფს თავი ახადა და აბებს დახედა. თითქოს სწორედ ისეთი იყო, როგორსაც იღებდა, მაგრამ დოქტორმა ქუიმპერმა ხომ უთხრა, რომ მეტი აღარ სჭირდებოდა? მისი სიტყვებიც ახსოვდა: „ამიერიდან ეს აღარ დაგჭირდებათ“.

- რა მოხდა, ძვირფასო? - ჰკითხა ალისამ. - შეწუხებული ჩანხარ.

- ოჰ, არაფერია... რაღაც აბებია. ძილის წინ ვიღებ ხოლმე. მაგრამ მახსოვს, დოქტორმა ქუიმპერმა მითხრა, რომ აღარ დამჭირდებოდა.

- პირიქით, ალბათ გეტყოდა, დალევა არ დაგავიწყდესო, - მშვიდად მიუგო ცოლმა. - ჰო, ასე იქნებოდა, - ყოყმანით თქვა ჰაროლდმა.

მან ცოლს გახედა. ალისა ქმარს აკვირდებოდა. უეცრად კაცი მისმა ფიქრებმა დააინტერესა - ეს იშვიათად ემართებოდა. ქალის მზერა არაფერს გამოხატავდა, თვალები დაცარიელებული სახლის ფანჯრებს მიუგავდა. ნეტავ რას ფიქრობდა მასზე? რას გრძნობდა მის მიმართ? ოდესმე თუ უყვარდა? ალბათ უყვარდა. იქნებ იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ მათხოვრული ცხოვრება მოჰბეზრდა, მას კი წარმატებული ბიზნესმენის სახელი გავარდნოდა? თუ ასე იყო, სწორი არჩევანი გაუკეთებია: სახლი ლონდონში, მანქანა, საზღვარგარეთ საკუთარ ნებაზე მოგზაურობა, ძვირფასი ტანსაცმელი, თუმცა, ღმერთია

მოწმე, რომ ის არასდროს უხდებოდა. დიახ, საბოლოოდ, როგორც ჩანს, მოგებული დარჩა. ნეტავ თვითონაც ასე ფიქრობდა? არა, ცხადია, ცოლს ის არ უყვარდა, მაგრამ არც თვითონ უყვარდა იგი. მათ არაფერი ჰქონდათ საერთო - არც ინტერესი, არც მოგონებები. არც კი იცოდნენ, რაზე ელაპარაკათ. აი, შვილები რომ ჰყოლოდათ... მათ ოჯახში მხოლოდ ედის ჰყავდა შვილი - ალექსანდრე. პატარა ედი. სულელი გოგო იყო. სულელურად იქცეოდა. გაგანია ომის დროს გათხოვდა. არადა, მან კარგი რჩევა მისცა.

აი, რა უთხრა მაშინ: „ეს ყველაფერი ძალიან კარგია - მამაცი მფრინავები, გლამური, ვაჟკაცობა და მისთანები, მაგრამ მშვიდობიან დროს ეს არაფერში გამოგადგება. მადლობა თქვი, ასე თუ ისე, შენს შენახვას თუ მოახერხებს“.

ედიმ უპასუხა, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას ბრაიანი უყვარდა, ბრაიანს კი - იგი. შესაძლოა, მალე მოეკლათ, - მაშ, რატომ უნდა ეთქვათ უარი ბედნიერებაზე? რა აზრი ჰქონდა მომავალზე ფიქრს, თუ ნებისმიერ წუთს დაბომბვა და სიკვდილი ელოდათ?! ბოლოს ისიც დაამატა, რომ მომავლის არ ეშინოდა, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, ბაბუამისის დატოვებული ფული ერგებოდათ.

ჰაროლდი სავარძელში მოუსვენრად აწრიალდა. ბაბუის მიერ დატოვებული ანდერძი უსამართლობა იყო და მეტი არაფერი. მან შვილიც გაამწარა და შვილიშვილებიც. ყველანი ჰაერში დაკიდებულებს ჰგავდნენ. მამა აღშფოთებისგან დუღდა და გადადუღდა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არ მომკვდარიყო. ამიტომაც უფროთხილდებოდა ასე საკუთარ ჯანმრთელობას. მაგრამ, უნდოდა თუ არა, მაინც

მოკვდებოდა. მალე, მალე უნდა მომკვდარიყო. სხვაგვარად... ჰაროლდს კვლავ წუხილი მოეძალა. აუტანელი დაღლილობა იგრძნო, თავბრუ ესხმოდა.

ჰაროლდმა შეამჩნია, რომ ალისა კვლავ მას აკვირდებოდა. მისი უფერული თვალები და ჩაფიქრებული მზერა სულს უფორიაქებდა.

- ვფიქრობ, აჯობებს, დავწვე, - თქვა მან, - დღეს ხომ ჩემი პირველი სამუშაო დღე იყო.

- დიახ, - მიუგო ალისამ, - მართლა კარგი აზრია. ექიმი აუცილებლად გირჩევდა, არ გადაიღალო.

- ექიმები ყოველთვის ასე ამბობენ.

- აბების მიღება არ დაგავიწყდეს, ძვირფასო, - შეახსენა ალისამ და კოლოფი გაუწოდა.

ჰაროლდმა ცოლს „ძილი ნებისა“ უსურვა და ზევით ავიდა. დიახ, უწამლოდ, ჯერჯერობით, გაუჭირდებოდა. მისთვის თავის ნაადრევად დანებება შეცდომა იქნებოდა. ჰაროლდმა პირში ორი აბი ჩაიღო, წყალი მიაყოლა და გადაყლაპა.

თავი ოცდამეოთხე

- ჩემ გარდა ამდენ სისულელეს არავინ ჩაიდენდა, - თქვა სახემოლუმულმა დერმუტ კრედოკმა.

იგი იჯდა, გრძელი ფეხები წინ გაეჭიმა, ერთგული ფლორენსის ავეჯით გაძეპგილი სასტუმრო ოთახისთვის ცოტა არ იყოს შეუფერებლად გამოიყურებოდა. დაღლილი, გაღიზიანებული და დათრგუნვილი ჩანდა.

- არა, არა, - სცადა მისი დამშვიდება მის მარპლმა, - პირიქით, კარგად გიმუშავიათ, ჩემო კარგო, ძალიან კარგად.

- კარგად მიმუშავია, არა? მთელი ოჯახის მოწამვლის უფლება მივეცი. ჯერ ალფრედ კრეკენტორპი მოკვდა, მას ჰაროლდი მიჰყვა. ვერ გამიგია, რა ხდება, ჯანდაბა! ნეტავ მაცოდინა.

- მოწამლული აბები, - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა მის მარპლმა. - დიახ, ვილაც ძალიან ეშმაკურად მოიქცა. გარეგნულად ზუსტად ისეთი აბები იყო,

როგორსაც ის უბედური სვამდა ხოლმე. კოლოფში ბარათიც იდო, მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტით: „დოქტორ ქუიმპერის მითითებით“ - და აფთიაქის ეტიკეტით. ამის შესახებ არც ქუიმპერმა იცოდა რამე და არც აფთიაქარმა. არა, კოლოფი რეზერვორდჰოლიდან გამოგზავნეს.

- მაშასადამე, დანამდვილებით იცით, რომ რეზერვორდჰოლიდანაა?

- დიახ. საგულდაგულოდ შევამოწმეთ. ადრე მასში ემასთვის განკუთვნილი ძილის წამალი ინახებოდა.

- გასაგებია... მაშასადამე, ემა...

- დიახ. კოლოფზე ორივე მედდისა და მისი დამამზადებელი აფთიაქარის თითების ანაბეჭყდება. სხვისი არავისი. მისი გამომგზავნი ძალზე ფრთხილი ადამიანი ყოფილა.

- საძილე აბები ვილაცამ შეცვალა?

- დიახ. საქმე სწორედ ისაა, რომ ის წყეული აბები ზედმიწევნით ჰგავს ერთმანეთს.

- მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა მის მარპლი, - ჩემს ახალგაზრდობაში ერთი მიქსტურა შავი იყო, მეორე - ყავისფერი (ხველის საწინააღმდეგო, მესამე - თეთრი, მეოთხე - ვარდისფერი. ერთმანეთში არ ერეოდათ. უნდა გითხრათ, ჩვენთან, სენტ-მერიმიდში, აბების ნაცვლად, კვლავაც მიქსტურას სვამენ. ჰო, მართლა - კოლოფში რა აღმოჩნდა?

- აკონიტი. ასეთ აბებს, ჩვეულებრივ, საწამლავისთვის განკუთვნილ სპეციალურ ფლაკონებში ინახავენ, ერთს ასთან აზავებენ და გარედან წასასმელად იყენებენ.

- ჰაროლდმა კი ალბათ დალია და ამიტომაც მოკვდა, - ჩაფიქრებული სახით თქვა მის მარპლმა. კრედოკს კვნესის მსგავსი ოხვრა აღმოხდა.

- არ გამიბრაზდეთ, თუ თქვენთან ორთქლის გამოსაშვებად მოვედი, - ჩაილაპარაკა მან, - შინაგანი ხმა ჩამძახოდა, მიდი და ყველაფერი დეიდა ჯეინს მოუყევით.

- ძალიან სწორადაც მოიქეცით, - დაუყვავა მის მარპლმა, - გული ამიჩუყეთ. ჩემთვის, პირველ რიგში, ყოველთვის სერ ჰენრის ნათლული იყავით, შემდეგ კი - დეტექტივ-ინსპექტორი.

დერმუტ კრედოკს უნებურად გაეღიმა.

- მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით, - თქვა მან, - ყველაფერი საშინლად ავურ-დავურიე. ადგილობრივმა პოლიციამ სკოტლენდიარდს მიმართა. მერედა, ვინ მიიღეს? ჯილდოდ ჩემნაირი ვირი ერგოთ!

- არა, არა, - უთხრა მის მარპლმა.

- დიახ, დიახ. არ ვიცი, ვინ მოწამლა ალფრედი, არ ვიცი, ვინ მოწამლა ჰაროლდი, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის მოკლული ქალი, ვისგანაც ყველაფერი დაიწყო! მარტინასთან დაკავშირებული ვერსია სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ნამდვილი მარტინა გამოცხადდა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, სერ რობერტ სტოდარტ-უესტის მეუღლე აღმოჩნდა. მაშ, ვინ არის სარკოფაგში მოთავსებული ქალი? ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. თავდაპირველად მეგონა, რომ ანა სტრავენსკა იყო, ახლა კი ესეც გამოირიცხა...

კრედოკს სიტყვა მის მარპლის დელიკატურმა, მრავალმნიშვნელოვანმა ჩახველებამ გააწყვეტინა.

- ასე გგონიათ? - ჩაილაპარაკა მოხუცმა. ინსპექტორმა მას გაოცებით შეხედა.

- იამაიკიდან გამოგზავნილი ღია ბარათი...

- დიახ, - მიუგო მის მარპლმა, - მაგრამ ბარათის მიღება სულაც არ არის უპირობო მტკიცებულება, არ მეთანხმებით? იმის თქმა მსურს, რომ ყოველთვის შეიძლება იმის მოხერხება, რომ ბარათი თქვენთვის სასურველი ადგილიდან გამოგზავნონ. მახსოვს მისის ბრაიერლი, რომელსაც ნერვული შეტევა დაემართა. ბოლოს ექიმებმა გამოსაკვლევად ფსიქიატრიულ კლინიკაში დაწოლა ურჩიეს. ის ძალიან ღელავდა, ეშინოდა, ამის შესახებ შვილებს არ შეეტყობთ. იცით, რა მოიფიქრა? თოთხმეტი ღია ბარათი დაწერა და ისე მოაწყო, რომ მათ შინ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქიდან გზავნიდნენ, შვილებს კი უთხრა, რომ დასასვენებლად მიემგზავრებოდა. ალბათ მიხვდით, რას ვგულისხმობ, - დაამატა მან და დაჟინებით მიაცქერდა ინსპექტორს.

- დიახ, რა თქმა უნდა, - თქვა კრედოკმა და ქალს შეხედა, - ბუნებრივია, ეს ბარათი უნდა შეგვემოწმებინა, მაგრამ ვერსია მარტინას შესახებ თითქოს ეჭვს არ იწვევდა...

- და ძალზე მოსახერხებელიც იყო, - დაასრულა მის მარპლმა.

- ყველაფერი კრიალოსანივით აეწყო. სხვა რომ არაფერი, წერილს, რომელიც ემამ მიიღო, ხელს მარტინა კრეკენტორპი აწერდა. დიახ, ლედი სტოდარტ-უესტს ის არ გაუგზავნია, მაგრამ ვილაცამ ხომ გაგზავნა? ვილაცამ, ვისაც სურდა, თავი მარტინად გაესაღებინა და კრეკენტორპებისთვის ფული დაეცინცლა. ამას ვერ უარყოფთ.

- არც ვაპირებ.

- შემდეგ კონვერტი გამოჩნდა... იმ წერილის, რომელიც ემამ ლონდონში გაუგზავნა იმ თვითმარქვიას. მას მამულში მიაგნეს. მაშასადამე, ქალი მაინც ჩამოსულა.

- მოკლული ქალი იქ არ ყოფილა! - შეეპასუხა მის მარპლი. - იგი მოკლეს, მატარებლის ფანჯრიდან ყრილზე გადააგდეს, გვამი კი ჩამოიტანეს.

- დიახ, მართალია...

- კონვერტი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მკვლელი რეზერფორდჰოლში იყო. როგორც ჩანს, ეს კონვერტი სხვა ნივთებთან და დოკუმენტებთან ერთად წაიღო, მაგრამ შემთხვევით დაუვარდა... თუმცა ვინ იცის, შემთხვევითობა იყო თუ არა. ინსპექტორმა ბეკონმა, შემდეგ კი თქვენმა ხალხმა იქაურობა საგულდაგულოდ გაჩხრიკა. მათ ვერაფერს მიაგნეს. ხომ ასეა? გაცილებით გვიან, კონვერტი საქვაბეში აღმოაჩინეს.

- ეს გასაგებია, - თქვა კრედოკმა, - მოხუცი მეზაღე უსარგებლო ქალაქებს აგროვებდა და საქვაბეში მდგარ აბაზანაში უყრიდა თავს.

- სადაც ცნობისმოყვარე ბიჭებმა კონვერტს მიაგნეს, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

- თქვენი აზრით, კონვერტი განზრახ დადეს იქ?

- გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ბოლოს და ბოლოს, არც ისე ძნელი იყო იმის დადგენა, სად ეძებდნენ ბიჭები ან სად დააპირებდნენ ამის გაკეთებას... დიახ, ესეც გასათვალისწინებელია. სხვათა შორის, კონვერტის პოვნის შემდეგ ანა სტრავენსკა აღარ გიძებნიათ, ხომ ასეა?

- ფიქრობთ, სარკოფაგში მაინც ის იყო?

- ჩემი აზრით, ვილაც შეშინდა, როდესაც იმ მოცეკვავის შესახებ ცნობების

შეგროვება დაიწყო. მას თქვენი ყურადღება აუცილებლად უნდა გადაეტანა სხვა რამეზე.

- მოდი, ჯერ მთავარი ვთქვათ, - მიუგო კრედოკმა, - ვილაც ქალი ცდილობდა, თავი მარტინად გაესაღებინა, შემდეგ კი ეს გადაიფიქრა. რატომ?

- ძალიან საინტერესო შეკითხვაა, - თქვა მის მარპლმა.

- ვილაცამ ბარათი გამოგზავნა, რომელშიც ეწერა, რომ მარტინა საფრანგეთში დაბრუნებას აპირებდა, თვითონ კი ქალს შეუთანხმდა, ერთად

გამგზავრებულიყვნენ რეზერფორდჰოლში, მაგრამ გზაში მოკლა. ეთანხმებით ჩემს მსჯელობას?

- ბოლომდე არა, - მიუგო მის მარპლმა, - ვფიქრობ, ყველაფერი იმაზე გაცილებით მარტივად მოხდა, ვიდრე თქვენ გგონიათ.

- მარტივად? - წამოიძახა კრედოკმა. - ძალიან გთხოვთ, თავგზას ნუ მიზნევთ.

მის მარპლი შეცბუნდა და იმის მტკიცებას შეუდგა, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლია.

- მოდი, პირდაპირ მოთხარით, - თქვა ინსპექტორმა, - იცით თუ არა მოკლული ქალის ვინაობა?

მის მარპლმა ამოიოხრა.

- ეს რთული ასახსნელია. იმის თქმა მინდა, რომ არ ვიცი, ვინ არის ის ქალი, თუმცა, იმავედროულად, ვიცი, ვინ იყო იგი. მიხვდით, რას ვგულისხმობ?

- მივხვდი თუ არა, რას გულისხმობთ? ვერაფერს მივხვდი! - თავი გადააქნია კრედოკმა და ფანჯარაში გაიხედა. - აი, მის აილსბეროუ მოდის თქვენს სანახავად. აჯობებს, წავიდე. დღის მეორე ნახევარში ჩემი თავმოყვარეობა გვარიანად შეილახა და ძალა აღარ მაქვს, საუბარი გავუბა ახალგაზრდა ენერგიულ ქალიშვილს, რომელიც წარმატებას ასხივებს.

თავი ოცდამეხუთე

- ლექსიკონში სიტყვა „ტონტინი“ მოქმედნე, - თქვა ლუსიმ.

იგი მის მარპლს მიესალმა და ოთახში უმიზნოდ ხეტიალს მოჰყვა, თან ხელით ხან ფაიფურის ძაღლს ეხებოდა, ხან ხელსახოცს, ხანაც ფანჯრის რაფაზე მდგარ ხელსაქმის პლასტმასის ყუთს.

- ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდით, - მშვიდად მიუგო მის მარპლმა.

ლუსი ნელა, მკაფიოდ შეუდგა სიტყვების ციტირებას:

- 1653 წელს იტალიელმა ბანკირმა ლორენცო ტონტიმ შემოიღო ანუიტეტის(ანუიტეტი - სახელმწიფო სესხის სახეობა, რომლის დროსაც ვალსა და პროცენტებს ყოველწლიურად იხდიან.) ერთ-ერთი ფორმა - ტონტინი, რომლის თანახმადაც, გარდაცვლილ მეწილეთა წილი ცოცხლად დარჩენილთა წილს ემატება, ლუსი ცოტა ხნით გაჩუმდა, - ეს ხომ სწორედ კრეკენტორპების შემთხვევაა, არა? თქვენ ამას დიდი ხნის წინ მიხვდით, ჯერ კიდევ ალფრედისა და ჰაროლდის გარდაცვალებამდე. ხომ ასეა?

მან კვლავ განაგრძო ოთახში უმიზნოდ სიარული, იგრძნობოდა, რომ ძალიან

ღელავდა. მის მარპლი ჩუმად ადევნებდა თვალს. ის სულ აღარ ჰგავდა იმ ლუსი აილსბეროუს, რომელსაც იგი იცნობდა.

- ვფიქრობ, სწორედ ასე იყო ჩაფიქრებული, - თქვა ლუსიმ, - ანდერძის მიხედვით, ყველაფერი ცოცხლად დარჩენილს შეხვდებოდა. მაგრამ თანხა ხომ უზარმაზარი იყო... ნუთუ არ მეთანხმებით, რომ ის ყველას ეყოფოდა... - იგი გაჩუმდა და თანამოსაუბრეს შეხედა.

- უბედურება ისაა, - თქვა მის მარპლმა, - რომ ადამიანთა სიხარბეს ზღვარი არა აქვს. ცხადია, ეს ყველას არ ეხება. ხშირად ყველაფერი სწორედ ამით იწყება და არა მკვლელობით, მოკვლის სურვილით ან თუნდაც ამის გაფიქრებით. თავიდათავი - სიხარბეა, როდესაც იმაზე მეტის მიღება სურთ, ვიდრე ეკუთვნით, - მან საქსოვი მუხლებზე დაიდო და სივრცეს გახედა, როგორც ჩანს, რაღაცას იხსენებდა. - ინსპექტორი კრედოკი მსგავსი შემთხვევის დროს გავიცანი. ეს ქალაქგარეთ მოხდა, მედენემის მახლობლად. მაშინაც ასე დაიწყო: ჩვეულებრივმა, მაგრამ სუსტი ნებისყოფის კაცმა სხვის ფულს დაადგა თვალი. მას არ ეკუთვნოდა, ამიტომ მოიფიქრა, ხელში როგორ ჩაეგდო. მკვლელობაზე არც უფიქრია, წვრილმანი თაღლითობა იყო, დანაშაულად არც კი ჩაითვლებოდა... ყველაფერი კი სამი

მკვლელობით დასრულდა.

- როგორც ჩვენს შემთხვევაში, - თქვა ლუსიმ, - აქაც სამი მკვლელობა მოხდა. ჯერ ქალი მოკლეს, რომელიც თავს მარტინად ასალებდა და შვილისთვის წილის მოთხოვნა შეეძლო, შემდეგ - ალფრედი, ბოლოს კი - ჰაროლდი. ახლა მხოლოდ ორნი დარჩნენ, არა?

- სედრიკსა და ემას გულისხმობთ? - ჰკითხა მის მარპლმა.

- ემას არა. ემა ქალია და არა მაღალი მუქთმიანი მამაკაცი. სედრიკსა და ბრაიან ისთლის ვგულისხმობ. ბრაიანზე ეჭვი არასდროს მიმიტანია, ვინაიდან ქერათმიანია, ღია ფერის უღვაში და ცისფერი თვალები აქვს. მაგრამ ერთხელ... ამას წინათ... - იგი

გაჩუმდა.

- განაგრძეთ, ლუსი, - უთხრა მის მარპლმა, - მიაშბეთ. რაღაცამ ძალზე გაგაღიზიანათ, არა?

- ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა. ლედი სტოდარტ-უესტი წასასვლელად ემზადებოდა და მანქანაში ჯდებოდა. უეცრად მომიბრუნდა და მკითხა: „ვინ იყო ის“

მაღალი, შავგვრემანი მამაკაცი, რომელიც ტერასაზე იდგა, როდესაც შემოვედი?“ თავიდან ვერ მივხვდი, ვისზე მელაპარაკებოდა, რადგან სედრიკი ჯერაც ლოგინში იწვა. „ბრაიან ისთლის ხომ არ გულისხმობთ?“ - ვკითხე ყოველი შემთხვევისთვის. „რა თქმა უნდა! - წამოიძახა მან. - ესკადრილის მეთაური ისთლი! ის ჩვენს სხვენზე იმალებოდა საფრანგეთში, წინააღმდეგობის მოძრაობის დროს. იგივე მიხრა-მოხრა აქვს, თავსაც ისევე ხრის. სიამოვნებით შეხვდებოდით“. ვეძებეთ, მაგრამ ვერსად მივაგენით.

მის მარპლს არაფერი უთქვამს, გაგრძელებას ელოდებოდა.

- მოგვიანებით, - თქვა ლუსიმ, - ბრაიანს ყურადღებით დავაკვირდი. ჩემკენ ზურგით იდგა და ის დავინახე, რაც მანამდეც უნდა შემემჩნია. ქერა ადამიანის თმაც კი მუქდება, როდესაც იგი მასზე ბრიოლინს ისვამს. ბრაიანს ჩვეულებრივი წაბლისფერი თმა აქვს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ისიც მუქად გამოიყურება. ასე რომ, მამაკაცი, რომელიც თქვენმა მეგობარმა მატარებელში დაინახა, შესაძლებელია, ბრაიანი ყოფილიყო. შესაძლებელია...

- დიახ, - მიუგო მის მარპლმა, - ამის შესახებ მეც მიფიქრია.

- თქვენ ხომ არაფერი გამოგრჩებათ! - დანანებით თქვა ლუსიმ.

- რა ვქნა, ძვირფასო, სხვა გზა არა მაქვს.

-- ოღონდ ვერ გამიგია, ბრაიანს ეს რაში სყირდებოდა. ფული ხომ ალექსანდრეს შეხვდება და არა მას. არა, ცხადია, უკეთესად იცხოვრებდნენ, ცოტაოდენი

ფუფუნების უფლებასაც მისცემდნენ საკუთარ თავს, მაგრამ კაპიტალის განკარგვის უფლება არ ექნებოდა, უმისოდ კი თავის გეგმებს ვერ განახორციელებდა.

- მაგრამ თუ ალექსანდრეს რამე შეემთხვეოდა, სანამ ოცდაერთი წელი შეუსრულდებოდა, კაპიტალს ბრაიანი მიიღებდა, როგორც მამა და უახლოესი ნათესავი, - შენიშნა მის მარპლმა.

ლუსის თვალებში შიში ჩაუდგა.

- ბრაიანი ამას არასდროს ჩაიდენს. რომელი მამა გადადგამს ასეთ ნაბიჯს ფულის გულისთვის?!

მის მარპლმა ამოიხვნეშა.

- ზოგჯერ დგამენ ხოლმე, ჩემო კარგო. ეს სამწუხაროა და შემადრწუნებელი, მაგრამ დგამენ.

- რას არ სჩადიან ადამიანები, - განაგრძო მის მარპლმა. - ერთ ქალს ვიცნობ, რომელმაც საკუთარი სამი შვილი მოწამლა დაზღვევის უმნიშვნელო თანხის მისაღებად. ერთმა სიმპათიურმა მოხუცმა ქალმა კი თავისი ვაჟი მოწამლა, რომელიც შვებულებით ჩავიდა მის მოსანახულებლად. თუნდაც მოხუცი მისის სტანვიგი გავიხსენოთ. წაიკითხავდით ალბათ - მის შესახებ გაზეთშიც ეწერა. მას ჯერ ქალიშვილი მოუკვდა, შემდეგ - ვაჟი, ბოლოს კი განაცხადა, რომ ვიღაც მის მოწამვლასაც ცდილობდა. მართლაც, შვრიის ფაფაში საწამლავი აღმოაჩინეს. მაგრამ უტყუარად დადგინდა, რომ საჭმელს საწამლავს თვითონ ურევდა. ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ქალიშვილის მოწამვლასაც აპირებდა. ოღონდ ამას ფულის გულისთვის არ აკეთებდა. შურდა მათი, რომ მასზე ახალგაზრდები იყვნენ, და ეშინოდა, - ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ეს სიმართლეა, - რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებით დატკბობას შეძლებდნენ. ფულს ყოველთვის თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავდა, თუმცა საკმაოდ ხელმოჭერილი ყოფილა. ამბობდნენ, ცოტა უცნაური ქალი იყო, მაგრამ ეს რა გამართლებაა.

უცნაურობაც არის და უცნაურობაც. ზოგი მთელ თავის ქონებას სხვებს ურიგებს, არარსებულ ფულზე ჩეკებს წერს, მოყვასის დახმარების სურვილი ამოდრავებს. ასეთი უცნაური ადამიანები გულკეთილები არიან და მათგან საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ თუ ამ უცნაურობის მიღმა ცუდი ზრახვა იმალება, სიფრთხილე გმართებთ. აბა, ჩემო კარგო, ცოტათი მაინც თუ განუგეშეთ?

- რას გულისხმობთ? - დარცხვენით ჰკითხა ლუსიმ. - იმას, რაც ვთქვი, - მიუგო მის მარპლმა და რბილად დაამატა: - დამშვიდდით,

სანერვიულო არაფერი გაქვთ, მართლა არაფერი გაქვთ. მისის მაკგილიკადი დღე დღეზე ჩამოვა.

- მერე, ეს რამეს შეცვლის?

- შესაძლოა, არაფერი შეცვალოს, ჩემო კარგო. თუმცა ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ არ ჩამომყავს.

- არა, ვერ დავმშვიდდები, - თქვა ლუსიმ, - საქმე ისაა, რომ იმ ოჯახს ძალიან 003980939.

- მესმის, ძვირფასო, როგორ გიჭირთ არჩევანის გაკეთება, ორივე მათგანი თავისებურად მიმზიდველია.

- ვისზე მელაპარაკებით? - საკმაოდ მკვახედ ჰკითხა ლუსიმ.

- მისტერ კრეკენტორპის ორ ვაჟიშვილზე, - უთხრა მის მარპლმა, - უფრო სწორად, ვაჟიშვილსა და სიძეზე. ხომ ხედავთ, როგორ ინება ბედმა - სამწუხაროდ, ორ ყველაზე უსიამოვნო ადამიანს სიცოცხლე წაართვა, ორი ყველაზე სასიამოვნო კი ცოცხალი დატოვა. სედრიკ კრეკენტორპი აშკარად ძალზე მომხიბლავია. მას მოსწონს, როდესაც საკუთარ თავს იმაზე უარესი კუთხით წარმოაჩენს, ვიდრე სინამდვილეშია და ამას პროვოკაციული გზით აკეთებს.

- ზოგჯერ ლამის ჭკუაზე შემშალოს, - თქვა ლუსიმ.

- დიახ, - ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - და თქვენ ეს გსიამოვნებთ, არა? ძლიერი ნებისყოფის ქალიშვილი ხართ და ღირსეულ მეტოქესთან ბრძოლაზე უარს არ ამბობთ. ვხვდები, რაშია ამის მიმზიდველობა. მისტერ ისთლი კი სრულიად განსხვავებულია. უფრო შესაბრალისია, უბედური პატარა ბიჭვით გამოიყურება. თუმცა ამასაც თავისი ხიბლი აქვს.

- ერთ-ერთი მათგანი კი მკვლეელია, - მწარედ წარმოთქვა ლუსიმ, - ის შესაძლოა, ნებისმიერი მათგანი იყოს. ასე რომ, ასარჩევი არც არაფერია. ერთი მხრივ, სედრიკი. მას ალფრედისა და ჰაროლდის სიკვდილი გულთან ახლოს არ მიუტანია. იგი გულმოდგინედ გეგმავს, თუ რისი გაკეთება შეიძლება რეზერვორდჰოლში და ანგარიშობს, ეს რა დაჯდება. ცხადია, ვიცი, რომ მოსწონს საკუთარი თავის ისე წარმოჩენა, თითქოს გულქვა და უხეშია, მაგრამ

იქნებ ეს მხოლოდ ნილაბია? რათა ყველამ იფიქროს, რომ თავს იკატუნებ, სინამდვილეში კი სწორედ ასეთი ხარ, თუ უარესი არა!

- ჩემო ძვირფასო... ძვირფასო ლუსი. რომ იცოდეთ, როგორ თანაგიგრძნობთ.

- მეორე მხრივ, ბრაიანი, - განაგრძო ლუსიმ, - საოცარია, მაგრამ, როგორც ჩანს, ბრაიანს მართლა უნდა რეზერვორდჰოლში ცხოვრება. მიაჩნია, რომ ის და ალექსანდრე იქ მშვენივრად მოეწყობიან და უამრავ პროექტს განახორციელებენ.

- მას ხომ პროექტებისა და გეგმების გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია?!

- დიახ, ვფიქრობ, ასეა. უნდა გითხრათ, ეს ძალზე საინტერესო პროექტებია, მაგრამ ვგრძნობ, რომ მათ განხორციელება არ უწერია. ვფიქრობ, ისინი არარეალურია. იდეა, შესაძლოა, კარგად ჟღერდეს, მაგრამ არა მგონია, ბრაიანი იმ მრავალ სირთულეზე ფიქრობდეს, რომელიც ამ პროექტებს თან მოჰყვება.

- მაშასადამე, ასე ვთქვათ, ღრუბლებში დაცურავს.

- დიახ, ღრუბლებში დაცურავს, თანაც - არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. მისი ყველა პროექტი ჰაერნაოსნობას უკავშირდება. შესაძლოა, ჭეშმარიტმა სამხედრო მფრინავმა ვერასდროს მოახერხოს მიწაზე საბოლოოდ დაშვება... იცით, - დაამატა მან პაუზის შემდეგ, - ბრაიანს რეზერვორდჰოლი ასე ძალიან იმიტომ მოსწონს, რომ იგი ვიქტორიული სტილის დიდ, ქაოსურად აგებულ სახლს აგონებს, რომელშიც ბავშვობისას ცხოვრობდა.

- გასაგებია, - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა მის მარპლმა, - დიახ, გასაგებია... შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფი მზერა შეავლო ლუსის და ჰკითხა: - მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, არა, ძვირფასო? მგონი, რაღაც კიდევ გაწუხებთ.

- ოჰ, დიახ, კიდევ არის რაღაც, რასაც ჯერ კიდევ ორი დღის წინ ვერ ვაცნობიერებდი. საქმე ისაა, რომ ბრაიანი, შესაძლოა, იმ მატარებელში იმყოფებოდა.

- რომელიც პადინგტონიდან 16:33-ზე გადის?

- დიახ. ემას ეგონა, რომ პოლიციას მისი ალიბი აინტერესებდა და დაწვრილებით უამბო ინსპექტორს, რას აკეთებდა იმ ავადსახსენებელ ოც დეკემბერს. რომ დილით რომელიღაც კომიტეტის სხდომას დაესწრო, იქიდან მაღაზიებში გაიარა საყიდლებზე, შემდეგ ჩაი დალია „გრინშემროკში“, ბოლოს კი სადგურისკენ გაემართა ბრაიანის დასახვედრად. მატარებელი, რომელსაც ის უნდა ჩამოჰყოლოდა, პადინგტონიდან თითქოს 16:50-ზე უნდა გამოსულიყო. მაგრამ ბრაიანს შეეძლო, უფრო ადრე გამოსული მატარებლით ემგზავრა, ემასთვის კი ეთქვა, რომ მოგვიანებით ჩამოვიდა. მან მითხრა, თანაც სრულიად შემთხვევით, რომ მანქანა დაუზიანდა და სარემონტოდ წაიყვანა, რის გამოც იძულებული გახდა, მატარებლით ესარგებლა, თუმცა მატარებლით მგზავრობა ძალიან არ უყვარს. საუბრის დროს თავი ბუნებრივად ეჭირა,

შესაძლოა, დასამალი არც არაფერი ჰქონდა, მაგრამ მერჩივნა, მაინც მანქანით ჩამოსულიყო.

- ის კი სწორედ იმ მატარებელს ჩამოჰყვა, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

- ეს ჯერ კიდევ არაფერს ამტკიცებს, - თქვა ლუსიმ, - მაგრამ საშინელებაა, როდესაც გამუდმებით ეჭვი გიღრღნის გულს. როდესაც არაფერი იცი. და შესაძლოა, ვერც ვერასდროს გაიგო რამე!

- აუცილებლად გავიგებთ, ძვირფასო, - მკვირცხლად მიუგო მის მარპლმა, - იმის თქმა მსურს, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა. დარწმუნებული ვარ, მკვლელი საკუთარ თავში არ ჩაიკეტება და შეცდომას დაუშვებს. რახან ერთხელ გაუვიდა, კიდევ ცდის. და მაინც, ზედმეტად ნუ ინერვიულებთ, ლუსი. პოლიცია ყველაფერს

აკეთებს და ყველას თვალს ადევნებს. და რაც მთავარია - მისის მაკგილიკადი სულ მალე აქ იქნება!

თავი ოცდამეექვსე

- აბა, ელსფეთ, ხომ გაიგეთ, როგორ მინდა, რომ მოიქცეთ?

- გავიგე, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - თუმცა უნდა გითხრათ, ჯეინ, რომ ეს ყველაფერი ძალზე უჩვეულოდ და უცნაურად მეჩვენება.

- სულაც არ არის უცნაური, - მიუგო მის მარპლმა.

- როგორ თუ არ არის? მიდიხარ სხვის სახლში და მასპინძელს ჯიქურ ეკითხები, შეიძლება თუ არა... ე-ე... ზევით ავიდეო?

- დღეს ძალიან ცივა, - შენიშნა მის მარპლმა, - თანაც, ხომ შესაძლებელია, რომ რაღაც შეუფერებელი გეყამა და... და სასწრაფოდ დაგჭირდა ზევით ასვლა. ასეც ხდება ხოლმე. მახსოვს, ერთხელ საბრალო ლუიზა ფელბი მეწვია შინ და ნახევარი საათის განმავლობაში ხუთჯერ ავიდა ზევით. ამის მიზეზი კი, - სასხვათაშორისოდ დაამატა მის მარპლმა, - კორნუოლის ღვეზელი ყოფილა.

- აჯობებს, შენი ჩანაფიქრი გამანდო, ჯეინ, - თქვა მისის მაკგილიკადიმ. - ამის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ, - განაცხადა მის მარპლმა. - ზოგჯერ აუტანელი ხარ, ჯეინ. ჯერ იყო და, დროზე ადრე ჩამომიყვანე ინგლისში...

- ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა, - თქვა მის მარპლმა, - მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. რომ იცოდე, ყოველწუთს შეიძლება, კიდევ ვინმე გამოასაღმონ სიცოცხლეს. ცხადია, ვიცი, რომ ყველა ფხიზლადაა და პოლიციაც ყველაფერს აკეთებს ამის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ დამნაშავე ძალზე მოხერხებული აღმოჩნდეს. არ დაგავიწყდეს, ელსფეთ, რომ აქ ჩამოსვლა შენი ვალი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ასე აღგვზარდეს და მოვალეობის შესრულებაზე უარს ვერ ვიტყვით, ასე არ არის?

- რა თქმა უნდა, ასეა, - დაეთანხმა მისის მაკგილიკადი, - ბავშვობაში თავზე ზედმეტად ხელს არ გვისვამდნენ.

- მაშ, მოვილაპარაკეთ, - თქვა მის მარპლმა, - აი, ტაქსიც მოვიდა, - დაამატა მან, როდესაც ქუჩიდან სუსტი სიგნალის ხმა მოესმა.

მისის მაკგილიკადიმ თავისი მძიმე, შალისწინწკლებიანი პალტო ჩაიცვა, მის მარპლი კი უამრავი მოსასხამითა და შარფით შეიფუთნა. შემდეგ ქალბატონები ტაქსიში ჩასხდნენ და რეზერვორდჰოლისკენ გაემართნენ.

- ნეტავ, ვინ უნდა იყოს? - იკითხა ემამ და ფანჯარაში გაიხედა, როდესაც გაიგონა, რომ სახლის წინ მანქანა გაჩერდა. - თუ არ ვცდები, ლუსის მოხუცი დეიდა უნდა იყოს.

- თავი მოგვაბეზრა, - თქვა სედრიკმა, რომელიც შეზღონგზე იწვა, ფეხები ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლისთვის მიეშვირა და ჟურნალ „ქანთრი ლაიფს“ ათვალერებდა, - უთხარი, რომ შინ არა ხარ.

- შენი აზრით, თვითონ უნდა ვუთხრა, რომ შინ არა ვარ თუ ლუსის დავავალო ამის თქმა?

- ეს კი აღარ მიფიქრია, - ჩაილაპარაკა სედრიკმა, - დამავიწყდა, რომ ლაქიებისა და მსახურთუფროსების დრო გადავიდა, თუმცა ჩვენ ისინი არასდროს გვყოლია. არა, ერთი ლაქია, მგონი, გვყავდა ომამდე... მახსოვს ყურჭლის მრეცხავთან გააბა რომანი, რასაც საშინელი აურზაური მოჰყვა. იქნებ იმ კუდიან დედაბერთაგან რომელიმემ გაუდოს კარი, აქაურობის დასალაგებლად რომ მოდიან...

ამ დროს კარი უკვე გაეღო მისის ჰარტს - ამჯერად მას უწევდა ბრინჯაოს ნივთების გაწმენდა-გასუფთავება - და შემოსასვლელში გამხდარი, შარფებსა და მოსასხამებში

გახვეული მის მარპლი გამოჩნდა. აღელვება ეტყობოდა, გვერდით ჩასუქებული, შეუვალი სახის ქალი ედგა.

- ვიმედოვნებ, ძალიან არ შეგაწუხეთ, - თქვა მის მარპლმა, როდესაც ემას ხელი ჩამოართვა, - საქმე ისაა, რომ ზეგ შინ ვბრუნდები. ისე როგორ წავიდოდი, თქვენთან არ შემომეველო და კიდევ ერთხელ არ მეთქვა მადლობა ლუსის მიმართ ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის?! აჰ, სულ დამავიწყდა. ნება მომეცით, ჩემი მეგობარი, მისის მაკგილიკადი წარმოგიდგინოთ, რომელიც ორიოდ დღით მესტუმრა.

- გამარჯობა, - თქვა მისის მაკგილიკადიმ და ჯერ ემას შეავლო მკაცრად,

ყურადღებიანი მზერა, შემდეგ კი - სედრიკს, რომელიც უხალისოდ წამოდგა შეზღონგიდან... სწორედ ამ დროს ლუსიც შემოვიდა.

- დეიდა ჯეინ? არ ვიცოდი, თუ...

- აუცილებლად უნდა დავმშვიდობებოდი მის კრეკენტორპს, - უთხრა მის მარპლმა და საჩქაროდ ემას მიუბრუნდა, - ის ხომ ძალზე გულკეთილია შენ

მიმართ.

- პირიქით, ეს ლუსია საოცრად გულისხმიერი ჩვენდამი, - თქვა ემამ.

- დიახ, რა თქმა უნდა, - ჩაერთო სედრიკი, - გალერის მონასავით ვამუშავეთ: ავადმყოფების მოვლა, კიბეზე ზევით-ქვევით სირბილი, ყველასთვის ცალკე კერძების მომზადება და მირთმევა...

- ძალიან მეწყინა, როდესაც თქვენი ავადმყოფობის შესახებ შევიტყვე, - გააწყვეტინა მის მარპლმა, - ვიმედოვნებ, უკვე გამოკეთდით, მის კრეკენტორპ?

- ოჰ, დიახ, ახლა ყველანი კარგად ვართ, - მიუგო ემამ.

- როგორც ლუსიმ მითხრა, საოცრად გატანჯულხართ. საკვებით მოწამვლა ძალზე საშიშია. მაშ, ეს სოკო იყო?

- ჯერჯერობით არ დაუდგენიათ, - თქვა ემამ.

- არ დაუჯეროთ! - განაცხადა სედრიკმა. - დარწმუნებული ვარ, თქვენამდეც მოაღწევდა ჭორი, მის... ე-ე...

- მარპლი, - შეახსენა მის მარპლმა.

- დიახ, მის მარპლ. იმას ვამბობდი, რომ თქვენამდეც მოაღწევდა ჭორი. არაფერი ისე არ აღაგზნებს სოფელში მცხოვრებთა გონებას, როგორც ავისმომასწავებელი სიტყვა „დარიშხანი“.

- გაჩუმდი, სედრიკ! - საყვედურის კილოთი წარმოთქვა ემამ. - ინსპექტორმა კრედოკმა ხომ გაგვაფრთხილა...

- სისულელეა, - მიუგო სედრიკმა, - ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. თქვენც გაიგეთ, არა? - მიუბრუნდა იგი მის მარპლსა და მისის მაკგილიკადის.

- მე ახლახან დავბრუნდი საზღვარგარეთიდან, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - მხოლოდ გუშინწინ, - დაამატა მან.

- აჰა, მაშ, ჯერ არაფერი იცით ამ სკანდალური ამბის შესახებ? - განაგრძო სედრიკმა, - კარიში ჩაყრილი დარიშხანი - აი, რა მოხდა სინამდვილეში. სოკო

არაფერ შუაშია. დარწმუნებული ვარ, დეიდათქვენს ყველაფერი ეცოდინება, ლუსი.

- რაღაცას მართლა მოვკარი ყური, - ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - რამდენიმე მინიშნებას, მაგრამ თქვენი შეცბუნება არ მინდოდა, მის კრეკენტორპ, თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობ.

- ჩემს ძმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მოსწონს, როდესაც ადამიანებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, - შენიშნა ემამ და ნაზად გაიღიმა.

ამ დროს კარი გაიღო და მისტერ კრეკენტორპი შემოვიდა, რომელიც გაბრაზებით აკაკუნებდა თავის ხელჯოხს.

- სად არის ჩაი? - იკითხა მან. - რატომ არ არის მზად? თქვენ, ქალიშვილო! - მიმართა ლუსის. - ჩაი რატომ არ მომიტანეთ?

- უკვე გავამზადე, მისტერ კრეკენტორპ, ახლავე მოგართმევთ. სწორედ ახლა ვაწყობდი სუფრას.

ლუსი ოთახიდან გავიდა. მისტერ კრეკენტორპი მის მარპლსა და მისის მაკგილიკადის გააცნეს.

- მიყვარს, როდესაც დროულად ვყვამ, - განაცხადა მისტერ კრეკენტორპმა, - პუნქტუალობა და ეკონომია - აი, ჩემი დევიზი.

- ვფიქრობ, უაღრესად საჭირო თვისებებია, - თქვა მის მარპლმა, - განსაკუთრებით, ახლანდელი გადასახადებისა და მისთანების ფონზე.

- გადასახადები! - ჩაიფრუტუნა მისტერ კრეკენტორპმა. - აღარ მიხსენოთ ის მძარცველები. საბრალო მათხოვარი - აი, ვინ გავხდი მათი წყალობით. მომავალში უარესი იქნება. ცოტაც მოითმინე, ჩემო ბიჭუნო, - მიმართა მან სედრიკს, - როდესაც ეს ქონება შენს ხელში გადმოვა, ათს ჩამოვალ ერთის წინააღმდეგ, რომ სოციალისტები მამულს ჩამოგართმევენ და აქ საქველმოქმედო ცენტრს ან რაიმე მსგავსს გახსნიან

და შენივე ფულით შეინახავენ.

ლუსი დაბრუნდა და ჩაი შემოიტანა. მას ბრაიან ისთლი შემოჰყვა, რომელსაც ლანგრით სენდვიჩები, პური, კარაქი და ტორტი მოჰქონდა.

- ეს რა არის? ეს რა არის? - იკითხა მისტერ კრეკენტორპმა და ლანგარი

ყურადღებით შეათვალიერა. - მოჭიქული ტორტი? დღეს წვეულება გვაქვს? ჩემთვის რომ არავის უთქვამს?

ემას ლოყები ოდნავ შეეფაკლა.

- მამა, ჩაიზე დოქტორი ქუიმპერი გვეწვევა. დღეს მისი დაბადების დღეა და...

- დაბადების დღე? - კვლავ ჩაიფრუტუნა მოხუცმა. - მერე რა? დაბადების დღეს

მხოლოდ ბავშვებს უხდიათ. საკუთარი დაბადების დღე არასდროს გადამიხდია და ამის უფლებას არც სხვებს მივცემ.

- გაცილებით იაფად გამოხვალ, - კვერი დაუკრა სედრიკმა, - სადღესასწაულო ტორტის სანთლების ყიდვა აღარ დაგჭირდება.

- ზედმეტი არ მოგივიდეს, ბიჭო, - თქვა მისტერ კრეკენტორპმა. მის მარპლი ბრაიან ისთლის მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

- თქვენ შესახებ ლუსისგან მსმენია, - თქვა ქალმა, - რომ იცოდეთ, ძალიან ჰგავხართ ჩემს სენტმერიმიდელ ნაცნობს. ეს ის სოფელია, სადაც მრავალი წელია, ვცხოვრობ. რონი უელსს ვგულისხმობ, ადვოკატის ვაჟს.

მემკვიდრეობით მამამისის ბიზნესი ერგო, მაგრამ საქმე ვერ ააწყო. ბოლოს აღმოსავლეთ აფრიკაში გაემგზავრა და პატარა გემებით ტვირთის გადაზიდვას მიჰყო ხელი ტბაზე - მგონი, „ვიქტორია ნიანზა“ ერქვა ან, შესაძლოა, „ალბერტი“. ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ ეს წამოწყება ჩაფლავდა და საბრალო უელსმა მთელი თავისი კაპიტალი დაკარგა. ძალზე სამწუხაროა! შემთხვევით, ნათესავად ხომ არ გეკუთვნით? საოცრად გამსგავსებთ.

- არა, - მიუგო ბრაიანმა, - ჩემს სანათესავოში უელსი არავინაა.

- მშვენიერ, საღად მოაზროვნე ქალიშვილზე იყო დანიშნული, - განაგრძო მის მარპლმა, - იგი ეცადა მის გადარწმუნებას, რათა აღარსად გამგზავრებულიყო, მაგრამ კაცმა ყური არ ათხოვა. ცხადია, სულ ტყუილად. ქალები სიფრთხილესა და კეთილგონიერებას იჩენენ, როდესაც საქმე ფულს შეეხება. რასაკვირველია, მსხვილ ფინანსურ ოპერაციებს არ ვგულისხმობ: აქ მათ არაფერი გამოუვათ, ამას ჯერ კიდევ ჩემი ძვირფასი მამა მეუბნებოდა. სამაგიეროდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ფლობენ უტყუარ ალღოს. რა საუცხოო ხედია! - დაამატა მან, როდესაც ოთახი გადაჭრა და ფანჯრიდან გაიხედა.

მას ემაც შეუერთდა.

- რამხელა პარკია! რა ლამაზად მოჩანს ნახირი ხეების პირდაპირ. ვინ დაიჯერებს, რომ ქალაქის ცენტრში ნამდვილი სამოთხეა!

- ჩვენ ანაქრონიზმი უფრო გვახასიათებს, - უთხრა ემამ, - ფანჯრები ღია რომ იყოს, ჩავლილი მანქანების ხმაურსაც გაიგონებდით.

- ჩვენს დროში ხმაურს ვერსად გაექცევით, - თქვა მის მარპლმა, - სენტ-მერიმიდშიც კი. გვერდით აეროდრომი მდებარეობს, რეაქტიული თვითმფრინავები დაფრინავენ. საშინელებაა! ამას წინათ ჩემს ორანჟერეაში ორი ფანჯარა ჩაიმტვრა. როგორც ამიხსნეს, ეს ზებგერითი სიჩქარის ბრალია, თუმცა წესიერად ვერაფერს მივხვდი.

- ეს ხომ ძალზე მარტივია, - თავაზიანად განაცხადა ბრაიანმა და ქალებისკენ გაემართა, - საქმე ისაა, რომ...

მოულოდნელად მის მარპლს ხელჩანთა დაუვარდა. ბრაიანმა გალანტურად აიღო ის. სწორედ ამ დროს ემას მისის მაკგილიკადი მიუახლოვდა გაწამებული სახით - სხვათა შორის, მისი ტანჯვა სრულიად გულწრფელი იყო, ვინაიდან თავს ძალზე უხერხულად გრძნობდა, - და ჰკითხა:

- მაპატიეთ, შეიძლება, ერთი წუთით ზევით ავიდე?

- ცხადია, შეიძლება, - მიუგო ემამ.

- გაგაცილებთ, - შესთავაზა ლუსიმ.

მისის მაკგილიკადი და ლუსი ოთახიდან ერთად გავიდნენ.

- დღეს ძალიან ცივა, მანქანაშიც კი, - დელიკატურად შენიშნა მის მარპლმა.

- რაც შეეხება ზებგერით სიჩქარეს, - თქვა ბრაიანმა, - საქმე ისაა, რომ... აჰა, აი, დოქტორი ქუიმპერიც!

სახლთან ექიმის მანქანა გაჩერდა. მალე ქუიმპერი ოთახში შემოვიდა, ხელეხს იფშვნიტდა, ჩანდა, რომ შესცივნიოდა.

- ვფიქრობ, მოთოვს კიდეც, - თქვა მან, - გამარჯობა, ემა, თავს როგორ გრძნობთ? ღმერთო ჩემო, ეს რა არის?

- ტორტი თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, - მიუგო ემამ, - გახსოვთ? ამას წინათ თქვენი დაბადების დღე მიხსენეთ.

- ამას ნამდვილად არ ველოდი, - თქვა ქუიმპერმა, - უნდა გითხრათ... დიახ... უკვე თექვსმეტი წელია, ჩემი დაბადების დღე არავის გახსენებია, - იგი აშკარად შეცბუნებული ჩანდა.

- მის მარპლს თუ იცნობთ? - ჰკითხა ემამ.

- ოჰ, დიახ, - დაასწრო კაცს მის მარპლმა, - უკვე შევხვედრევართ. მან გულისხმიერება გამოიჩინა და მინახულა, როდესაც რამდენიმე დღის წინ გავცივდი. ძალიან დამეხმარა.

- ვიმედოვნებ, უკვე კარგად ხართ, არა? - იკითხა ექიმმა.

მის მარპლმა იგი დაარწმუნა, რომ სავსებით გამოჯანმრთელებულიყო.

- ბოლო დროს სულ დამივიწყეთ, ქუიმპერ, - თქვა მისტერ კრეკენტორპმა, - ისე

მოვკვდები, რომ ვერც კი შემამჩნევთ. - ჯერჯერობით ეს არ გემუქრებათ, - დაამშვიდა დოქტორმა ქუიმპერმა.

- არც ვაპირებ, - მიუგო მისტერ კრეკენტორპმა, - მოდი, ჩაი დავლიოთ. რას ველოდებით?

- ოჰ, ძალიან გთხოვთ, ჩემს მეგობარს ნუ დაელოდებით, - თქვა მის მარპლმა, - თორემ თავს ძალზე უხერხულად იგრძნობს.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ და ჩაის სმას შეუდგნენ. მის მარპლმა ჯერ პური და კარაქი აიღო, შემდეგ - სენდვიჩი.

- შიგნით რა არის? - იკითხა მან. - თევზი, - უთხრა ბრაიანმა, - მის დამზადებაში მეც ვმონაწილეობდი. მისტერ კრეკენტორპმა ჩაიქირქილა.

- მოწამლული თევზის პაშტეტი, - თქვა მან, - აი, რა არის შიგნით. მიირთვით, თუ არ გეშინიათ.

- კარგი, რა, მამა! - ამ სახლში ჭამის დროს სიფრთხილე გმართებთ, - უთხრა მისტერ კრეკენტორპმა

მის მარპლს, - ორი ვაჟი ისე მომიკლეს, თითქოს ბუზები ყოფილიყვნენ. როგორ მაინტერესებს, ამას ვინ სჩადის!

- ყურადღებას ნუ მიაქცევთ, - თქვა სედრიკმა და მის მარპლს კვლავ მიაწოდა სენდვიჩებიანი თეფში, - ამბობენ, დარიშხანი სახის ფერს აუმჯობესებსო, ოღონდ ზედმეტი არ უნდა მოგივიდეთ.

- ჰოდა, მიირთვი, ჩემო ბიჭუნო, - ჩაილაპარაკა მოხუცმა მისტერ კრეკენტორპმა.

-- ოფიციალურ დეგუსტატორად მნიშნავ? - იკითხა სედრიკმა. - თანახმა ვარ.

მან სენდვიჩი აიღო და მთლიანად ჩაიტენა პირში. მის მარპლმაც მას მიჰბაძა, ოღონდ მხოლოდ მოკბიჩა და თქვა:

- ვფიქრობ, ყველანი ძალზე გაბედულები ხართ, რახან ასე ხუმრობთ. გულწრფელად გეუბნებით, რომ მართლა ვაჟკაცურად იქცევით. აღფრთოვანებული ვარ თქვენი სიმამაცით.

უეცრად მას სახე წამოუწითლდა და ყელზე ხელი წაივლო.

- ძვალი, - გაჭირვებით ჩაილაპარაკა მან, - ძვალი გამეჩხირა.

ქუიმპერი სწრაფად წამოხტა, მის მარპლთან მივიდა, ფანჯარასთან დააყენა და პირის გაღება სთხოვა. შემდეგ ჯიბიდან ფუტლარი ამოიღო და საჭირო პინცეტი შეარჩია. ექიმმა პროფესიონალისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გადაუწია თავი მოხუცს და ყელში ჩახედა. სწორედ ამ დროს სასტუმრო ოთახში მისის მაკგილიკადი და ლუსი შემოვიდნენ. მისის მაკგილიკადის ლამის სუნთქვა შეეკრა, როდესაც ფანჯარასთან თავგადააწეული მის მარპლი და ექიმი დაინახა, რომელიც მის თავზე დახრილიყო და ხელი ყელზე დაედო.

- ის არის! - შესძახა მისდა უნებურად მისის მაკგილიკადიმ. - ის კაცია... მატარებლიდან...

მის მარპლი საოცარი სიმარჯვით დაუსხლტა ხელიდან დოქტორ ქუიმპერს და მეგობარს მიექრა.

- ვიცოდი, რომ იცნობდი, ელსფეთ! - თქვა მან. - გაჩუმდი! სიტყვა აღარ დაძრა! - იგი გამარჯვებული სახით მიუბრუნდა ექიმს, - თქვენ ხომ დარწმუნებული იყავით, დოქტორო ქუიმპერ, რომ, როდესაც მატარებელში ქალს ახრჩობდით, ვერავინ გხედავდათ? მაგრამ არა - დაგინახეს. ჩემმა მეგობარმა, მისის მაკგილიკადიმ დაგინახათ! ხომ გესმით? საკუთარი თვალით დაგინახათ. იგი მეორე მატარებელში იჯდა, რომელიც სწორედ მაშინ, თქვენი მატარებლის პარალელურად მიდიოდა.

- რა ჯანდაბა ხდება?! - იყვირა დოქტორმა ქუიმპერმა და სწრაფად გადადგა ნაბიჯი მისის მაკგილიკადისკენ, მაგრამ მის მარპლი საოცარი სისწრაფით გადაეღობა.

- დიახ, - თქვა მის მარპლმა, - მან დაგინახათ, გიცნოთ და მზად არის, ეს სასამართლოში ფიცით დაადასტუროს. ვფიქრობ, იშვიათად თუ შესწრებია მკვლელობას ვინმე, - განაგრძო მან წყნარად, ხმადაბლა, - უმეტესად, მხოლოდ

ირიბი სამხილებია. მაგრამ ამ შემთხვევაში უჩვეულო ვითარება შეიქმნა: მკვლელობა მოწმის თანდასწრებით.

- ოჰ, შე ბებერო კუდიანო! - შესძახა დოქტორმა ქუიმპერმა და მის მარპლისკენ გაიწია, მაგრამ სედრიკმა იმარჯვა და მხარში ხელი სტაცა.

- მაშ, ეს შენა ხარ მკვლელი, გველო? - თქვა მან და ექიმი თავისკენ მოატრიალა. - ამიტომაც არ მომწონდი თავიდანვე, მაშინვე ვიგრძენი, რომ არამზადა იყავი. მაგრამ ღმერთია მოწმე, ეს არასდროს მიეყვია.

სედრიკს ბრაიან ისთლი მიეხმარა. ამავე დროს სასტუმრო ოთახის კარში ინსპექტორი კრედოკი და ინსპექტორი ბეკონი გამოჩნდნენ.

- დოქტორო ქუიმპერ, - ოფიციალური ტონით წარმოთქვა ბეკონმა, - უნდა გაგაფრთხილოთ, რომ...

- ჯანდაბაში წასულხართ თქვენი გაფრთხილებით! - გააწყვეტინა ქუიმპერმა. - ნუთუ გგონიათ, რომ ვინმე დაუჯერებს ამ ორ დედაბერს? ოდესმე ვინმეს თუ სმენია ეს აბდაუბდა, მატარებელთან დაკავშირებით?

- ელსფეთ მაკგილიკადიმ მაშინვე, ოც დეკემბერს, შეატყობინა პოლიციას მკვლელობის შესახებ და მკვლეელიც აღწერა, - თქვა მის მარპლმა.

უეცრად დოქტორი ქუიმპერი მხრებში მოიხარა.

- ოდესმე ვინმესთვის თუ შეუქცევია ზურგი ასე იღბალს?! - ჩაილაპარაკა მან. - მაგრამ... - დაიწყო მისის მაკგილიკადიმ.

- გაჩუმდი, ელსფეთ! - გააწყვეტინა მის მარპლმა.

- მაგრამ რატომ უნდა მომეკლა სრულიად უცნობი ქალი? - იკითხა დოქტორმა ქუიმპერმა.

- უცნობი ქალი კი არა, - მიუგო ინსპექტორმა კრედოკმა, - თქვენი ცოლი იყო.

თავი ოცდამეშვიდე

- აი, ხომ ხედავთ, - თქვა მის მარპლმა, - როგორც ვვარაუდობდი, ყველაფერი ძალზე მარტივი აღმოჩნდა. ჩვენ წინაშე ბანალური დანაშაულია. ქმრები არცთუ იშვიათად ხოცავენ საკუთარ ცოლებს.

მისის მაკგილიკადიმ ჯერ მის მარპლს შეხედა, შემდეგ კი მზერა ინსპექტორ კრედოკზე გადაიტანა.

- ძალიან დამავალბდით, - თქვა მან, - თუ ცოტა მეტს მიაძობდით იმის შესახებ, რაც მოხდა.

- ახლავე აგიხსნი, - მიუგო მის მარპლმა, - დოქტორმა ქუიმპერმა გადაწყვიტა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა, ცოლად მდიდარი ქალი, ემა კრეკენტორპი მოეყვანა. მაგრამ მასზე ვერ იქორწინებდა, ვინაიდან უკვე ცოლიანი იყო. მართალია, მეუღლესთან ერთად წლებია, არ ცხოვრობდა, ქალი

გაყრაზე არ თანხმდებოდა. ეს ზუსტად ემთხვეოდა იმას, რაც ინსპექტორმა კრედოკმა გვიამბო ერთი მოცეკვავის შესახებ, რომელიც საკუთარ თავს ანა სტრავინსკას უწოდებდა. იმ ანას, როგორც ითქვა, თავგამოდებულ კათოლიკეს, მეგობრისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ინგლისელი ქმარი ჰყავდა. დოქტორი ქუიმპერი ემაზე დაქორწინებას ვერ გარისკავდა, ვინაიდან, შესაძლოა, ორცოლიანობა დაჰბრალებოდა. ამიტომ ამ სასტიკმა და ცივისხლიანმა ადამიანმა ცოლის თავიდან მოშორება განიზრახა. მან ქალი მატარებელში მოკლა და გვამი გრძელ ფარდულში, კერძოდ, სარკოფაგში დამალა. ეს საკმაოდ ჭკვიანური ჩანაფიქრი იყო - მკვლელის ძებნას ხომ, პირველ რიგში, კრეკენტორპებს შორის დაიწყებდნენ. მკვლელობის ჩადენამდე ქუიმპერმა ემას წერილი მისწერა, მარტინას - იმ ქალიშვილის სახელით, რომელზეც ედმუნდ კრეკენტორპი ოდესღაც დაქორწინებას აპირებდა. ემამ, როგორღდაც, თვითონ უამბო მას ძმისა და მისი სავარაუდო ქორწინების შესახებ. ქუიმპერმა მომენტი შეარჩია და ემას პოლიციაში გამოცხადება და ედმუნდის ამბის მოყოლა ურჩია - ეს დაეხმარებოდა, მოკლულ ქალში მარტინა ამოეცნოთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ყური მოჰკრა, პარიზის პოლიცია ანა სტრავინსკას შესახებ ცნობებს აგროვებსო. მაშინ მან, თავის დასაზღვევად, მოახერხა და ისე მოაწყო, თითქოს ანამ იამაიკიდან ღია ბარათი გამოგზავნა.

საბაბის მოძებნა ცოლთან შესახვედრად ლონდონში, სადაც ქალი გასტროლებზე ჩამოვიდა, ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. შესაძლოა, მისწერა, რომ მასთან შერიგებასა და ნათესავეებთან მის ჩაყვანას აპირებდა, დავუშვათ - გასაცნობად. რაც შემდეგ მოხდა, იმის გაფიქრებაც კი მზარავს. დოქტორი ქუიმპერი ხარბი ადამიანია. როდესაც დაიანგარიშა, თუ რამხელა თანხა ჩამოეჭრებოდა გადასახადის სახით მომავალი შემოსავლიდან, მადა გაეხსნა და უფრო დიდი კაპიტალის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. თუმცა ეს აზრი, შესაძლოა, მანამდეც მოუვიდა თავში, სანამ საკუთარი

ცოლის მოკვლას ჩაიფიქრებდა. ყოველ შემთხვევაში, ხმა გაავრცელა, თითქოს ვიღაც მოხუცი მისტერ კრეკენტორპის მოწამვლას ცდილობდა. ნიადაგი რომ მოამზადა, კრეკენტორპების ოჯახის წევრების დარიშხანით მოწამვლის დროც დადგა. თავდაპირველად მათ მცირე დოზას აპირებდა, ვინაიდან მას ხელს არ აძლევდა, რომ მოხუცი მისტერ კრეკენტორპი სხვებზე ადრე მომკვდარიყო.

- ჭერაც ვერ მივმხვდარვარ, ეს როგორ მოახერხა, - გაიოცა კრედოკმა, - ის ხომ სახლში არ იყო, როდესაც კარი მოამზადეს?

- მას დარიშხანი კარიში არც შეურევია, - მიუგო მის მარპლმა, - ქუიმპერმა ეს მოგვიანებით გააკეთა, როდესაც საჭმლის ნარჩენი ანალიზისთვის წაიღო. მანამდე კი, როგორც ჩანს, დარიშხანი კოქტეილით სავსე დოქში ჩაყარა. ამის შემდეგ მას ნამდვილად არ გაუძნელდებოდა - არ დაგავიწყდეთ, რომ კრეკენტორპების ოჯახის ექიმი იყო - ალფრედისთვის ახალი დოზის შეპარება და ჰაროლდისთვის ლონდონში აბების გაგზავნა, თუმცა ჯერ უთხრა, წამალი აღარ გჭირდებაო. მისი ყოველი თავდაჯერებული, თავხედური და სასტიკი ქმედება სიხარბით იყო გაჟღენთილი. ძალიან, ძალიან ვწუხვარ, - განაგრძო მის მარპლმა და მოულოდნელად ამ სუსტი დასანდომიანი მოხუცი ქალის ხმაში

მრისხანებამ გაიჟღერა, - რომ სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ვინაიდან, თუ ვინმე მაინც იმსახურებს ჩამოხრჩობას, ეს დოქტორი ქუიმპერია.

- მოისმინეთ, ყველამ მოისმინეთ! - მოწონებით წამოიძახა ინსპექტორმა კრედოკმა.

- დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თავში ერთი აზრი მომივიდა, - კვლავ განაგრძო მის მარპლმა, - მაშინაც კი, როდესაც ადამიანს ზურგში უყურებთ, მასში რაღაც განსაკუთრებულს ამჩნევთ. თუკი დოქტორ ქუიმპერს იმავე პოზაში დაინახავდა, რომელშიც ის მატარებელში იყო, - ზურგმექცევით მდგარს, ქალისკენ თავდახრილს, მის ყელზე ხელდადებულს, - ელსფეთი მას უეჭველად იცნობდა ან, ყოველ შემთხვევაში, მოულოდნელობისგან რაღაცას შეჰყვირებდა. აი, რატომ მოვაწყვე ეს პატარა სპექტაკლი. უნდა აღვნიშნო, რომ ლუსიმ შესანიშნავი ასისტენტობა გამიწია.

- გამოგიტყდებით, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - კინაღამ სუნთქვა შემეკრა. თვითონაც არ ვიცი, რატომ შევყვირე: „ის არის!“ მე ხომ მატარებელში იმ კაცის სახე არ დამინახავს და...

- ძალიან მეშინოდა, ელსფეთ, რომ ეს მისთვის არ გეთქვა.

- ვაპირებდი, - თქვა მისის მაკგილიკადიმ, - ცხადია, ვაპირებდი თქმას, რომ მისი სახე არ დამინახავს.

- ამით ყველაფერს გააფუყებდი. ძვირფასო, ის ხომ უკვე დარწმუნებული იყო, რომ იცანი. აბა, რას წარმოიდგენდა, თუ მისი სახე ვერ დაინახე?!

- კარგია, რომ ენას კბილი დავაჭირე, - თქვა მისის მაკგილიკადიმ.

- ზედმეტის თქმის უფლებას მაინც არ მოგცემდი, - მიუგო მის მარპლმა.

- რა მშვენიერი წყვილია! - გაეცინა კრედოკს. - ახლა რა მოხდება, მის მარპლ? სად არის ბედნიერი დასასრული? ან საბრალო ემა კრეკენტორპის საქმე როგორ იქნება?

- ცხადია, ყძრილობებს მოიშუშებს, - მიუგო მის მარპლმა, - გავბედავ და ვიტყვი, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ - მისტერ კრეკენტორპი კი არც ისეთი კერკეტი კაკალია, როგორც თვითონ ჰგონია თავი, - ემამ, შესაძლოა, სამოგზაუროდ წასვლა ან საზღვარგარეთ დარჩენა გადაწყვიტოს, ჯერალდინა უების მსგავსად. ვიმედოვნებ, ბედი მას დოქტორ ქუიმპერზე უკეთეს ადამიანს შეახვედრებს.

- ლუსი აილსბეროუს შესახებ რას იტყვით? აქაც საქორწინო ზარებს უნდა ველოდოთ?

- შესაძლებელია, - თქვა მის მარპლმა, - ეს სულაც არ გამიკვირდება. - თქვენი აზრით, ვის აირჩევს? - ჰკითხა დერმოტ კრედოკმა.

- ნუთუ არ იცით? - კითხვა შეუბრუნა მოხუცმა ლედიმ.

- არა, არ ვიცი, - მიუგო კრედოკმა, - თქვენ?

- ოპ, ვფიქრობ, რომ ვიცი, - თქვა მის მარპლმა.
და ინსპექტორს თვალი ჩაუკრა.